

LDn



# მნათობი



5-6

---

1999

# მნათობი

წიგნი 75-ი

№ 5-6

1990 წელი

საპარტეზელის მფარველთა კავშირის ორგანო

ბიბლიოთეკა

მინიასი

## პოეზია, პროზა

|  |    |
|--|----|
| ბივი გეგაქორი — ლექსები  | 3  |
| მარაბა აბაშიძე — ის ნაპერკაღი. მოთხრობა  | 7  |
| ნოდარ ხუნდაძე — ლექსები  | 29 |
| გაჟან სვანიძე — ლექსები  | 32 |
| როგერტ მისხი — ლექსები   | 35 |
| ლევან გერიძე — განსაკუთრებული ნიშანი. მოთხრობა   | 37 |
| ჯიმიზ ჯოისი — ულისა. მე-17 ეპიზოდი. თარგმანი და კომენტარი<br>ნიკო ყიასაშვილისა. გაგრძელება | 47 |

## 200 - პუბლიკა - 200

|                                |    |
|--------------------------------|----|
| თამაზ შილაძე — ცეცხლით გამოსდა | 66 |
|--------------------------------|----|

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

|   |    |
|---|----|
| ელიშერ ხოშთარია — პროზა, ავთანდილ მანთავაშვილი —<br>საპარტეზელის საზღვრები                                | 68 |
| რაულ ნილაწავა — "როგორც პოემის ორი შირი..."   | 78 |
| ნათია ნოზაძე — ქართული ხასიათი და საპარტეზელის<br>ისტორია რომანის საფაროში                                | 91 |
| ნელი საგინაშვილი — "სადაც ბინდ ვიყო, რაც ბინდ ვიყო, ვარ შენი შვილი"<br>(ბრიგოლ როგაძე და მიხეილ წერეთელი) | 95 |

## ხელოვნება

|  |     |
|--|-----|
| ნათელა ურუშაძე — სცენაზე სათქმელად შეთხზული სიტყვა                     | 103 |
| ეფემია ხარაძე — გიორგი შარვაშიძის თეატრალური შეხედულებანი              | 108 |
| ლია ქავთავაძე — მასობრივი ხელოვნების<br>ანტიკომუნისტური გუნდის შესახებ | 113 |

## თვალსაზრისი

|                               |     |
|-------------------------------|-----|
| მამუკა ცეცხლაძე — ალტერნატივა | 120 |
|-------------------------------|-----|

## პუბლიკაცია

|  |     |
|--|-----|
| გიორგი ლომთათიძის წერილები. წინასიტყვაობა და<br>კომენტარი რუსულადან ჟანაშვილის | 132 |
|--|-----|

გაგრძელება მე-2 გვ-ზე.

გაგრძელება

**შეცნობება**

|   |     |
|---|-----|
| გიორგი შაყულაშვილი - არგუმენტებით და არა ვარაუდებით...  | 150 |
| ნონა ნიკიერიძე - ალექსანდრე ორბელიანის "დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ქაში სემარტოველსი" | 156 |
| თეიმურაზ ბერიძე - ჯუანშერის ისტორიის ერთი ადგილის სწორად გაგებოსათვის                         | 161 |
| <b>რეცენზია</b>   |     |
| გონდო არველაძე - სომეხები სემარტოველში  | 165 |

მთავარი რედაქტორი  
**თამაზ ზილაძე**

სარედაქციო საბჭო:  
**მარიამ აბიაშვილი**  
**აკაკი მინდიაშვილი**  
**მანანა მიქელაძე**  
**მზია შატბერაშვილი**  
**ვაჟა ჩორღელი (პ.მგ. მდივანი)**

სულ ერთი და იგივე

უამი მიიზღაზნება  
და საშველი არა ნანს  
რიგმა რიგი შეცვალა  
და რიგს შეცვლის რიგვე  
და ამ ცოდვილ მიწაზე  
მეორდება მარადეამს  
სულ ერთი და იგივე,  
სულ ერთი და იგივე...

სხდებიან და კანონებს  
სწერენ მდივანბეგები,  
იქნებ გადაეღობოს  
უზნეობას ჯებირად,  
მაგრამ ადამიანი  
ბრიყვია და რეგვენი,  
ისტორიამ აქამდე  
ვერრა შეაგნებინა.

სისხლით შეღებილია  
ჯარისკაცის ფარაჯა,  
თავზე აღზევებულნი  
კვლავ იდგამენ გვირგვინებს  
და ამ ცოდვილ მიწაზე  
მეორდება მარადეამს  
სულ ერთი და იგივე,  
სულ ერთი და იგივე...

დრო მიდის და ურიცხვი  
დღე და წელიწადია  
კერპებს ძეგლებს უდგამენ  
და ლოზუნებს ჭიმავენ,  
ძველებს ემიჯნებიან  
და შეცდომებს სჩადიან  
სულ ერთსა და იმავეს,  
სულ ერთსა და იმავეს...

უტიფარი უვიცი  
 ბრძენს უკითხავს ლექციას,  
 ზის და გალაღებული  
 უდარდელად ღიღინებს,  
 ტალღას მალღა მიჰყვება  
 და ქეჩილზე ექცევა  
 სულ ერთი და ხეივანე,  
 სულ ერთი და ეგვიპე...  
 მაგრამ რა შეუქმნია  
 ბოროტებას გამაძლარს?  
 ბოლოს მაინც იმარჯვებს  
 ის, რაც სუნთქავს სიკეთით...  
 ვაი, იმ ერს უბედურს,  
 ერში თუკი სალანძღავ  
 სიტყვად გადაიქცევა  
 სიტყვა "ინტელიგენტი"...


1998

### დაკარგული ქვეყანა

ჩვენ არ ვიცოდით, ჩვენ ვერ ვგრძნობდით  
 თუ რა გველოდა,  
 ჩვენი ბავშვობა სინამდვილეს როცა შეება,  
 გაიმარჯვებდა უსათუოდ დღევანდელობა,  
 არ ავკცდებოდა სამოთხიდან გამოძევება.

ო, ჩვენ იმ დღიდან, დაკარგული ქვეყნის შვილები,  
 კეპოტინებით სინანულით, წარსულზე გლოვით,  
 დედის და წიგნის მფარველობით გამოზრდილები  
 დავიწყებული მელოდის უნაზეს ქსოვილს...

სწორედ იმ დღიდან იტანჯება ჩვენი სულები  
 უჩინარ ხეშზე მოფარფატე პეპლის თრთოლვაში,  
 უთანასწოროდ, უნუგეშოდ ვართ ჩაბმულები  
 ოცნებისა და სინამდვილის ორთაბრძოლაში.





ბავშვობა იყო უკუდავება...  
 ჩვენ ის მოგვეცა  
 ერთხელ საჩუქრად და დაკარგეთ...  
 დღეს ტანჯვით საუსე  
 ჩვენი ცხოვრება განწირულია, მოხილვითა...  
 ჩვენ ვაკაკუნებთ დაკარგული სამოთხის კარზე...

საქართველო  
 ბიბლიოთეკა  
 1998

●  
 იქნებ ფიქრით დაღლილი ვარ, იქნებ ჯაფით,  
 მე არ ვიცი, რა ჯანდაბა მომივიდა,  
 ველარ გამომირჩევია ვერცხლის ძაფი  
 უხეშ ყოველდღიურობის ქსოვილიდან.

თითქოს გაუნადღებელი თამასუქი  
 შემრჩა ხელში და ცხოვრება მიილია,  
 ბრძოლის თავი აღარა მაქვს და პასუხი  
 უწყინარი და ბებრული ღიმილია.

აღარ მახსოვს, მავიწყდება, მცევა, მტკივა,  
 მაგრამ მაინც ვფუხსფუხსებ და თითქოს ვშრომობ,  
 მე რაც ვიყავ, დღეს იმისი აჩრდილი ვარ,  
 ო, არ მინდა, რომ ასეთი დამიხსომო!..

1998

**რა სიზმარი იყო მაინც**

სად წასულხარ, სად გივლია,  
 ვერ გპოულობ, ჩემო შვინდავ!..  
 ეს ცხოვრება ნუთუ ასე  
 უღიმღამოდ გამიფრინდა?!

ნუთუ სული და სხეული  
 არის უკვე მზარეულის  
 დანასავით გაცვეთილი,  
 ნახმარი და გალეული?

რა სიზმარი იყო მაინც?  
 რა ზმანება იყო? ნუთუ  
 ბოლო ძალე მოვლედა  
 სულის ჩქროლვასა და რუდუნს?

არა! არ მშურს მე იმ კაცის,  
 წარსულის რომ იმკის ნაყოფს,  
 ქუჩაში რომ მიაბიჯებს  
 და თავისთვის ლაპარაკობს...

რა სიზმარი იყო მაინც?  
 რა ზმანება იყო? ნუთუ  
 ბოლო მალე მოედება  
 სულის ჩქროლვასა და რუღუნს?

მთელდებოდა მხოლოდ შენით  
 გული ჩემი დაკოდილი  
 და შენი ხმა სულს მიწეწდა  
 რეგტიამის აკორდივით...

მე შენ მყავდი სანუგეშოდ,  
 საიმედოდ, საოცნებოდ  
 და შენ შემძრი ამ ცხოვრების  
 სიზმრით დღემდე გაოგნებულს.

ო, მე გახა ბევრი მსურდა:  
 მხოლოდ სინარჯდის უქო,  
 რომ დამიღო შენს სხეულს  
 ძლივს მოსული არ გამექრო...

1998

●  
 მოულოდნელი სტრიქონი  
 როგორი მიაშიტია,  
 თითქოს მთვარიან ღამეში  
 გაღვიძებული ჩიტია!..

მოდის, რომ რითმის უღელში  
 თავისი ნებით შეებას,  
 უქციოს წუთისოფელი  
 პოეტს ბედნიერ დღეებად.


აწამოს ტკბილი წამებით...  
 არის პოეტის ცხოვრება  
 წუთისოფელთან ყოველდღე  
 ლექსებით გამოთხოვება...

1998



# ის ნაპერწკალი

მოთხრობა



მაგიდასთან ვიჯექი და ვწერდი... ნაწერი ურიგო არ იყო, მაგრამ მიანც უკმაყოფილო ვიყავი. ერთხელ კიდეც გადავხედე ნაწერს, მცირე ხანს შევეყვინდი, მერე დავხიე და სანაგვე კალათაში გადავუძახე. საათს შევხედე... სამი საათი იყო დაწყებული. საცაა ია უნდა მოსულიყო. მასაც არ დაუგვიანია. მცირე ხნის შემდეგ ვისხედით და ესაუბრობდით. ია რალაცას მიყვებოდა რომელიღაც კონცერტზე, რომელსაც დასწრებოდა, მაგრამ მე არ ვუსმენდი. ეტყობოდა, იამაც იგრძნო ეს და დადუმდა.

- რაზე ფიქრობ? - მკითხა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.  
 - განა ცოტაა საფიქრალი! - ვთქვი.  
 - გაზაფხულიც მოვიდა! - თქვა უცებ მან.  
 არაფერი მითქვამს...  
 - გინდა, გავიდე? - მკითხა.  
 - გავიდე, სად?  
 - რა ვიცი!  
 - შევხედე... ლანგები შეფაკვლოდა... თვალები ლურჯ ტბასავით უკამკამებდა...  
 - წავიდე? - გაიმეორა.  
 - არა!  
 თვალები ჩაუმუქდა...  
 - რატომ?  
 - არა ვარ სეირნობის გუნებაზე! - წამოვდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა...  
 - მართლა! - თქვა. - ქალაქში არაჩვეულებრივი ამბები ხდება!  
 - პოო? რა ხდება მაინც ასეთი?  
 - რა ვიცი! ცოტა არ იყოს ზღაპარს გავს! ამბობენ, ვიღაც გოლიათი გამოჩენილაო!  
 - როგორ, გოლიათი?  
 - ხომ გითხარი, მეც არ მჯერა-მეთქი!

ერთხანს ვდუმდით...  
 - გავიდე, რა? - გაიმეორა.  
 ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე... ხეები თეთრი ყვავილებით იყო გადაპენტილი.

●  
 ნელა მივდიოდით ქუჩაში... ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა... ვუყურებდი ხალხს და მიკვირდა. იყო მათ სახეებში რალაც იდუმალი... არ ვიცოდი, ეს ამბავი რისთვის მიმეწერა... ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რალაც მომხდარიყო. რა? ვერ გამეგო.

- გინდა, შევიდე? - მკითხა იამ, როცა პატარა ყავახანას მივუახლოვდით.  
 თავი დაუქნიე... მცირე ხნის შემდეგ ყავახანაში ვისხედით და ყავას ვსვამდით. უცებ ყავახანის კარი მოღია-ვდა და ყავახანაში მალალი, გამხდარი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. იგი ყავახანის შუაში დადგა და მთელი ხმით იყვირა:  
 - ის ჩამოვიდა, ქალბატონებო და ბატონებო!  
 ხმა არავის გაუღია...  
 - გესმით, ის ჩამოვიდა-მეთქი!  
 - ვინ ის? - დაეკითხა ვილაც.  
 - რომ იცოდეთ, ვინ! - თქვა ახალგაზრდამ.  
 ახლალა შევატყვე, რომ ნასვამი იყო...  
 - ჩამოვიდა, გესმით! ჩამოვიდა! - იმეორებდა გაუთავებლად.  
 რატომღაც დაღევა მომინდა... ოფიციანტს კონიაკი შევუკვეთე...  
 - ჩამოვიდა! - იძახდა ისევ ახალგაზრდა, - მაგრამ არ ვიცით, რა პოზიციაზე დგას. ისე კი, ცხადია, ჩვენი პატარა ქალაქისათვის ეს უჩვეულო პატივია!



შევთვერი...

- მაინც, ვინ არის ასეთი, ვინ! - დავიყვირე.

იგი ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე სულ ახლოს მოვიდა ჩემთან და ჩუმად თქვა:

- გოლიათი!

● შინ გუნებანამხდარი ვბრუნდებოდი... გზაჯვარედინზე იას დავემშვიდობე. გონებაში ყველაფერი ამერია... გოლიათი! ვინ იყო ნეტავ? ვინმე შარლატანი თუ... თუ ვინ?

გარეთ გამოსულს სასმელი უფრო მომეკიდა... შინ მისვლისთანავე ფანჯრებზე ფარდები ჩამოვაფარე და სრულ სიბნელეში დავრჩი...

- ნუ იფიქრებ! - ჩამესმა.

ვიცოდი, ჩემი ორეულის ხმა იყო...

- რატომ ნუ ვიფიქრებ? - ვკითხე.

- ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთს სურს!

გამეცინა...

- ნუ იცინი! - ჩამესმა.

ხელი ჩავიქნიე...

- შენ ხომ ჯერ არაფერი არ იცი! - თქვა უხილავმა.

- რა უნდა ვიცოდე?

- არაფერი არ იცი. სიბნელეში დაფათურობ და სინათლე გგონია!

- მერე, ის გოლიათი ამიხელს თვალს? - ვკითხე.

- ეს უკვე შენზეა დამოკიდებული! ვიგრძენი, თვალი მეხუჭებოდა...

- დაიძინე, - თქვა მან...

თავი ბალიშზე მივდე... მცირე ხანში ჩამეძინა...

● მესიზმრა, ვითომ კლდის მწვერვალისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდი... ოფლი ღვარად ჩამომდიოდა... ერთ ადგილას შევდექი...

- ვინ არის მანდ? - ჩამესმა ყრუ ხმა.

- მერაბი! - ვთქვი მე.

- აქ რამ მოგიყვანა?

არაფერი მითქვამს...

- არ იცი, რომ ეს სახიფათოა? - გაისმა.

- რა არის სახიფათო?

- ჩემი ძიება!

- მე არავის არ ვეძებ! კლდის მწვერვალზე მინდა ახვლა.

- იცი კი, რა კლდეა ეს?

თავი გაგიქნიე...

- მამ დაბრუნდი!

მინდოდა, შევდავებოდი, მაგრამ ამ დროს გელანჯანში გადავირის ვადა მჩხვია!

● გამეღვიძა... გაათენებულიყო ერთხანს გახევებული ვინეკი... მერე წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. სარკმელი გამოვალე. მესიამოვნა გრილი ნიავი. სარკმელი ისევ დავხურე, ჩაევიცვი, დავიბანე და სანერ მაგიდას მივეუჯექი.

თითქმის შუადღემდე ვიმუშავე. ორსაათზე ია მენჯია... უხმოდ შეეუძეხი ოთახში...

- რა ამბებია ქალაქში? - ვკითხე, როცა ტახტზე დავსხედით.

- დიდი ამბებია, დიდი!

- მაინც?

- უნახავთ!

- რაო, როგორიაო?

- ნახავ! - თქვა ქალმა.

- როდის?

- ხვალ აპირებს ქალაქის მოედანზე გამოსვლას!

- კი მაგრამ, რა უნდა?

- რა ვიცი! ხვალ თითონ იტყვის!

- ხვალ! - ვთქვი ჩაფიქრებით.

- ჰო! - თქვა იამ, - ახლა ნავალ!

წამოდგა და უჩუმრად გასხლტა ოთახიდან.

ოთახის შუაგულში დავდექი...

- ხვალ! - ვთქვი და ხელი აღვმართე.

● მეორე დღეს, დილით, ზარის ხმამ გამაღვიძა... ზარი განუწყვეტლივ რეკდა. ფანჯარაში გადავიხედე... ხალხი სადღაც მიისწრაფოდა. უმალ ჩავიცვი და მცირე ხანში მეც, ხალხის ტალღებს შერეული, ქალაქის მოედნისკენ მივეშურებოდი. მოედანს რომ მივუახლოვდი, გავშემდი! მოედანზე

მთა-კაცი იდგა... ეს იყო ტაძრისსიმა-  
ლლის, თითქოს ბროლისა და სპილენ-  
ძისაგან ჩამოსხმული გოლიათი. სხე-  
ულზე ნითელი ქიტონი მოესხა... ილი-  
მებოდა. გნიასი იდგა... გოლიათმა ხე-  
ლი მაღლა ასწია... ყველანი დანყნა-  
რდნენ.

- ვიცნობდეთ ერთმანეთს! - თქვა  
გოლიათმა და დადუმდა.

- რა გქვია, რა? - კითხა ვილაცამ.

- გოლიათი დამიძახეთ!

ხალხი შეწოჩქოლდა, მერე დანყნა-  
რდა...

- აი, გენვიეთ! - თქვა გოლიათმა -  
თქვენ ალბათ არ მგლოდით, არა?

ხმა არავის ამოუღია...

- იკით, რატომ გენვიეთ? - იკითხა.  
ისევ სიჩუმე...

- მშვენიერებისადმი ლტოლვის უნა-  
რი მინდა დაგიბრუნოთ!

- როგორ უნდა დაგიბრუნო? - იკი-  
თხა ვილაცამ.

- დაგიბრუნებთ! - თქვა გოლიათმა.

- კი მაგრამ, როგორ?

გოლიათს არაფერი უთქვამს.

- ახლა წავალ! - თქვა, - და რამდე-  
ნიმე დღეში ისევ გენვიეთ!

- მძიმე ტვირთად ხომ არ დაანებბა  
ქალაქს? - იკითხა ვილაცამ.

- არა, - თქვა გოლიათმა, - მე არც სა-  
ჭმელი მინდა თქვენი და არც არაფერი.  
მოსვლით კი მოვალ!

- კი, მაგრამ, ვინ დაგიძახა? - გაისმა  
პირველი რიგიდან.

გოლიათმა ნელა ასწია ხელი და თი-  
თი ცას მიაშვირა.

●  
შინ აფორიაქებული ვბრუნდებო-  
დი... ყველაფერი, რაც დღეს მოხდა,  
ზღაპარს გავდა... ერთ-ერთ სასაუზმე-  
სთან შევდექი... შევედი... საჭმელი და  
არაფი მოვითხოვე... სასაუზმე ხალხით  
იყო სავსე.

- ესლა გვაკლდა! - ამბობდა ჩემს  
გვერდით მაგიდასთან მჯდარი  
ჭალარა კაცი.

შევხედე... ისიც დამაკვირდა...

- თქვენ რას ფიქრობთ? - მკითხა. და  
მასთან მჯდომ მაღალ კაცს გადახედა.

- მეე? - ცოტა არ იყოს დავიბნეი.

- დიახ, თქვენ... აი, წესიერ კაცს გა-  
ვხარო... გვინდოდა ჩვენ ქალაქში, - მას  
ენა დაება.

- გოლიათი! - ცრვად დაამთავრა მი-  
სი სათქუელი მაღალმა კაცმა.

მხიებო ავიჩიე...

მშვენიერება! - თქვა ჭალარამ, - რა  
უნდა ამით თქვენს?

- ჯერ უნდა აიხსნას, რას ნიშნავს მშ-  
ვენიერება! - თქვა მაღალმა კაცმა.

- ეეჰ! დავლიოთ! - თქვა ჭალარამ,  
ჭიჭა შეივსო და გადაჰკრა.

ერთხანს გაშეშებული იჯდა...

- დავითვერი! - თქვა ბოლოს.



სახლში მისულს კიბეებზე ია შე-  
მხვდა. თვალები უცნაურად უელავდა...  
შინ შევედიო.

- ღმერთო, რა ლამაზია! - თქვა  
უცებ.

- ვინ? გოლიათი? - ვიკითხე დაცი-  
ნვით.

იამ ირონია ვერ გაიგო...

- ჰო, მაშ ვინ?

არაფერი მითქვამს.

მერე იამ თქვა: დროზე მოგვეელი-  
ნა, არა?

- რატომ?

- თუ მას უნდა მშვენიერებას გვაზი-  
აროს... - დაიწყო ბოლოს ენის ბორძი-  
კით, მაგრამ ველარ დაამთავრა.

ხელი ჩავიქნიე...

- შენ არ გნამს მისი? - მკითხა ქალმა.

ჩუმად ვიყავი...

- მე კი მნამს! - თქვა უცებ მტკიცედ.

- ეჰ, ქალები! ქალები! - ვთქვი ორ-  
ქოფულადა.

- ჰო, ქალები! - თქვა მან - ჩვენ გუ-  
მანით კაცებზე მეტს ვხვდებით.

გამეცინა...

- მაინც, რას ხვდები? - ვკითხე.

- ვხვდები, რომ ის ყველას გვიხსნის!

- კი მაგრამ, რისგან?

- ცხოვრების ერთფეროვნებისგან!

ოთახში ბოლთის ცემას მოვეყვები...

მერე ქალის წინ შევჩერდი:

- ასე რომ არ მოხდეს?

მან გაიღიმა და თქვა: ასე იქნება!

● იას ნასვლის შემდეგ საშინელი და-  
ლლილობა ვიგრძენი... ჩავენეტი და კედ-  
ლისკენ გადავბრუნდი...

- ეჭვიანობ? - ჩამესმა.

- ვეჭვიანობ? - ვთქვი ნაძალადევი  
სიცილით, - ვისზე, იმ ბაყ-ბაყ დეეზე?

- არაფერი უთქვამს.

- გეტყვოდი რალაცას, მაგრამ დალი-  
ან უხამსია, - ვთქვი.

სიჩუმე ჩამოწვა.

- და მაინც, ის არსებობს! - თქვა  
უხილავმა.

- ჰო! - ვთქვი ჩაფიქრებით, - და ეს  
ძალიან ცუდია!

- ჯერ არაფერი ვიცით! - თქვა უხი-  
ლავმა - ხვალინდელ დღეზე დღეს ნუ  
ვიმსჯელებთ!

ძილი მომერია... თვალები დაეხუჭე.

● ისევ ის კლდე დამესიზმრა... მაგრამ  
არა ისეთი, როგორც რამდენიმე დღის  
წინ იყო. კლდეს გველეშაპის სახე მიე-  
ლო... მძიმედ სუნთქავდა. მოშორებით  
ვიდექი და შიშით შევეყურებდი. კლდემ  
ნამდვილი გველეშაპივით ამოანთხია  
ციცხლი! უკან დავიხიე... დიდხანს ვი-  
დღევი ასე... გველეშაპი ჩემსკენ მობო-  
ლავდა. საიდანლაც გოლიათი გამო-  
ჩნდა. ხელში მახვილი ეჭირა... როცა  
ახლოს მივიდა, მახვილი ასწია და  
კლდეს დაჰკრა: ირგვლივ ყოველივე  
გველეშაპის შავი სისხლით მოითხვა-  
რა. მხოლოდ გოლიათს არ შეხებია  
არც ერთი წვეთი სისხლი.

- შეკვარია! - თქვა გოლიათმა და  
გველეშაპისკენ მახვილი გაიშვირა.

● გამეღვიძა... ერთიანად ვთრთოდი...  
მერე ფანჯრისკენ გავიხედე... სარკმ-  
ლიდან დილის სხივები იპარებოდა...  
ნამოვდექი... საშინელ სისუსტეს ვგრ-  
ძნობდი. მერე სააბაზანოში გავედი და  
ცივი შხაპი მივიღე... შემოვბრუნდი...  
გუნება ოდნავ გამომიკეთდა. დავჯექი  
და წერა ეცადე... თითქმის ორი საათი  
ვნერდი. ბოლოს, კმაყოფილმა ამოვი-  
სუნთქე და კალამი გადავდე. ვილაცამ

კარზე დააკაკუნა... კარი გავაღე... ია  
იყო. ვილაც ლამაზი გოგონა ახლდა.

- ეს თამთაა! - თქვა იამ.

ერთხანს ვდუმდით.

- არის რაშე ახალი? - ვკითხე ბოლოს.

- თქვენსა, ვინ ვიცი? - ვკითხა თა-  
მთამ გაკვირვებით.

- რა უნდა ვიცოდე?

- რა, გოლიათის შეხახვებ?  
ხელი ავდებულხდა ავიქნე...

- რა, არ გინახავთ? - არ შემეგებოდა  
თამთა.

- მერე?

- მერე... არაფერი!

- სასწაულები თუ კიდევ ხდებოდა,  
არ მეგონა - ამბობდა თამთა, - არადა...

- თურმე ხდება, არა? - ჩამოართვა  
სიტყვა იამ.

შევხედე...

- დავლიოთ? - თქვა უცებ.

გამიკვირდა...

- ჰო, რას მიყურებ? - თქვა სიცილით.

სამზარეულოდან კონიაკის ბოთლი  
და შოკოლადის ფილა გამოვიტანე. იამ  
ჭიქები აავსო...

- გაუმარჯოს! - თქვა და დალია.

- ვის გაუმარჯოს ან რას? - ჩავეკითხე.

- გოლიათს! გოლიათს გაუმარჯოს!

- იყვირა თამთამ.

დაკვირვებით შევათვალე მერე...  
თვალები ამღვრეოდა... ტურები უთრ-  
თოდა. იგი ერთხანს გაოგნებული იდგა,

მერე მოვიდა ჩემთან და გაიმეორა:

- ის გვიხსნის ჩვენ!

უაზროდ გავიცინე.

- რას იცინი! - იკვილა უცებ თამთამ.

გაკვირვებით შევხედე...

- ჰო, ნუ იცინი! - ჩახლერილი ხმით  
თქვა იამაც.

- წადით აქედან! - ვთქვი უცებ.

- წავიდეთ? - დაბნევით მკითხა იამ.

- ჰო!

ისინი კართან მივიდნენ, გააღეს და  
თვალს მიეფარნენ.

ტახტზე დავჯექი...

- რას ერჩოდი იმ ქალებს? - ჩამესმა.

ხმა არ ამომიღია.

- განა შეიძლება ვინმეს სხვისი სიყ-  
ვარული აუკრძალო? - გაისმა.

ისევ დუმული...

- მაინც, რამ შეგაძულა ასე?  
 - სულით და ხორციით ვგრძნობ, რომ... - აღარ დავამთავრე.  
 - რომ რა?  
 - არაფერი! - ვთქვი.  
 - მეშინია, საბედისწერო შეცდომა არ დავუშვა! - გაისმა ბოლოს.  
 - მაინც, რა?  
 - პასუხი არ გაუცია... სიჩუმე ჩამოვარდა. დიდხანს ვერ დავმშვიდდი...  
 ბოლოს საწერ მაგიდას მიუჯექი და დაღამებამდე ვმუშაობდი.

●  
 მეორე დღეს, დილით, კარზე კაკუნმა გაშალევიძა... კარი გაუღე... თორნიკე იყო, ჩემი მეგობარი. შინ შევუძებნი... აფორიაქებული ჩანდა.

- მოხდა რამე? - ვკითხე.  
 თავი უმწეოდ გააქნია.  
 - ნახე? - მკითხა უცებ, - თუ ნახე?  
 - ვნახე!  
 - მე ვერ ვნახე! - თქვა, - იმ დღეს ძალიან ცუდად ვიყავი! რა თქვა?  
 - ბევრი არ ულაპარაკია, - ვთქვი, ის კი თქვა, მშვენიერებას უნდა გაზიაროთ! - ირონიით დავუმატე.

- ვინ უნდა გვაზიაროს მშვენიერებას?  
 - იყვირა თორნიკემ - ბაყ-ბაყ დევმა?  
 - ხალხი ბაყ-ბაყ დევს არ ეძახის! - ვთქვი.

- აბა, რას?  
 ერთხანს ვდუმდი...  
 - გოლიათს! - ვთქვი ბოლოს.  
 თორნიკემ აქეთ-იქით დაიწყო სიარული...

იგი დიდხანს არ დარჩენილა ჩემთან. როცა ნავიდა, ტახტზე დავჯექი და დავფიქრდი.

ვგრძნობდი - გოლიათი მარტო მე არ მძულდა და ეს მახარებდა.  
 - მაგრამ სიზმარი? - ჩამესმა უცებ.  
 შევეკრთი... მერე ვთქვი:  
 - სიზმარში ათას სისულელეს ნახავს კაცი... ვითომ რა ბოროტ ძალასთან მომარია ის გოლიათი?  
 - არ ვიცი! დრო გვაჩვენებს ყველაფერს!

- არ იცი? განა შეიძლება შენ რამე არ იცოდე?

სიჩუმემ დაივიანა.  
 - ყველაფერს ფხიზლად უნდა შეხედო! - თქვა ბოლოს, - ახლა მთავარია, რომ ის არსებობს!

- მაგით რის თქმა გსურს?  
 - ვერ ვვადგინე?

- არც გეტყვი... ელოდი, როგორ განვითარდებოდა მოქმედების...

- მაგას შეტყობა ძალია მაქვს!  
 - მაინც, რატომ გძულს ასე?  
 - იმიტომ, რომ შარლატანია! - ვთქვი,  
 - როგორ უნდა აზიაროს ჩვენი ქალაქის მკვიდრნი მშვენიერებას, როგორ?

- იქნებ აქვს ამის საშუალება?  
 - არა მგონია!

- შენ ხომ არ იცი, რა ძალები ემსახურება!  
 - არა მგონია, ის სიკეთის ძალა იყოს!

- კი მაგრამ, რა იცი? - იმეორებდა უხილავი.

საღამომდე გაგრძელდა საუბარი... მერე გაუხდელად მივეგდე სანოლზე და ჩამეძინა.

●  
 ცოცხზე გადამჯდარი, შიშველი თამთა დამესიზმრა. ქალი ჩემსთავზე დაქროდა... ზოგჯერ ისე ახლოს მოვიდოდა, რომ მისი თმის სურნელს ვგრძნობდი.

- შემომიჯექი! - თქვა, როცა ისევ მომიახლოვდა.

არაფერი მითქვამს.  
 - ეს გოლიათმა გითხრა? - ვკითხე მნარედ.

- გოლიათს ნუ ახსენებ!  
 - რატომ?  
 - ის შენი სახსენებელი არ არის!

- დამტოვე! - ვთქვი ხრილით, - დამტოვე და ნურასოდეს მომელანდები!  
 - ასე გძულვარ?  
 - ჰო!

- მეც მძულხარ, მეც! - იყვირა მან და გაქრა!

●  
 გამეღვიძა... სიზმარზე ვფიქრობდი... ნეტავ რას უნდა მოასწავებდეს მეთქი!

- განა სულერთი არ არის შენთვის?  
- ჩამესმა.

ყურადღება არ მიმიქცევია...  
ერთხანს ჩუმად ვინექი... მერე წამოვ-  
დექი... ჩავიცვი და გარეთ გამოვედი.

●  
ნელა მივუყვებოდი აღმართს... მკლავზე ხელის შეხება ვიგრძენი. შედექი...

ჩემს წინ ჭალარა, სასაუზმემს გაცნობილი კაცი იდგა...

- გახსოვართ? - მკითხა.

- თქვენ მაშინ გოლიათს ლანძღავდით, არა? - ვკითხე.

- დიახ! - თქვა, - ვლანძღავდი და ახლაც ვლანძღავ!

იქაურობა მოვათვალიერე... ქუჩის კუთხეში სასაუზმეს მოვკარი თვალი.

- შევიდეთ!

თავი დამიქნია... მცირე ხნის შემდეგ მაგიდას ვუსხედით და ცივ ლუღს, თევზს და არაყს შევექცეოდით.

- თქვენ სახელი? - მკითხა.

- მერაბი!

- მე იოთამი მქვია!

- ჰო, მაშინ თქვენ რალაცას ამბობდით გოლიათზე, იოთამ! - ვთქვი და ვიგრძენი, რომ არაყი მომეკიდა.

იგი ერთხანს დუმდა...

- მე მხატვარი ვარ! - თქვა, - და გოლიათის ლათაიებს მშვენიერების თაობაზე ასე ადვილად ვერ ვერწმუნებ!

- ძალიან მოხარული ვარ! - ვთქვი.

- რისი?

- რომ მხატვარი ხართ და ასე ადვილად ვერავინ შეგაცდენთ! მაგრამ მაინც... - აღმომხდა უეცრად.

- რა მაინც?

- მე ხომ პოეტი ვარ, იოთამ, პოეტი ჩემი შეცდენაც ძალიან ძნელია.

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ერთხანს ჩუმად ვისხედით...

- ან როგორ უნდა მოხდეს ეს? - თქვა ბოლოს იოთამმა.

- რა?

- როგორც თვითონ იძახის - მშვენიერებასთან ზიარება!

- თქვენ გჯერათ ამის, იოთამ? - ვკითხე.

- რომ არ მჯერა, იმიტომ ვკითხულობი ან...

- ან რა?

- იქნებ თვითონაც ხელოვანია!

- მაგონი, დავეთვროთ! - ვთქვი ცივად. მამქედ შემოიხედა...

- არა, რა თქმა უნდა, თოლატანია! - თქვა უცებ.

ცოტა გულზე მომეშვა...

- მშვენიერებათან ზიარება მასაც, - სიტყვა "მასაც" სიძულვილით წარმოთქვა, - შეუძლებელია, თუ კაცი გენიოსი არ არის?

ჭიქას გადასწვდა, არყით აავსო, მეც ამივსო და თქვა:

- ჩვენს არსებაში ჩაბუდებულ მშვენიერებას გაუმარჯოს!

- განა სხვა მშვენიერება არსებობს? - ვკითხე.

ცოტა არ იყოს, გოცებით შემოშხედა... მერე ჭიქა ახნია და გადაჰკრა. დიდხანს ვისხედით სასაუზმეში. ყველაზე ბოლოს ჩვენ გამოვედით... ნელა მივუყვებოდი ქუჩას...

- ნაივდეთ ჩემთან! - ვთქვი უცებ, - ჩემს ლექსებს ნაგიკითხავ!

- იცი, რომელი საათია? - მკითხა.

თავი გავიქნიე...

- შუალამა! - თქვა მან.

- მერე რა? გელოდება შინ ვინმე?

ერთხანს მიყურა, მერე თავი გაიქნია... და ჩვენ ჩემი სახლისაკენ გავეშარეთ.

●  
მეორე დღეს გვიან გამეღვიძა... გასაშლელ ლოგინზე, ოთახის შუაგულში, იოთამს ეძინა... მალე გაიღვიძა...

- როგორა ხართ, იოთამ? - ვკითხე.

- რა ვიცი, - ჩაიბურტყუნა, - ცოტა თავი მტკივა.

- ჰო, თავი მეც მტკივა!

- არ შეიძლება ასე პირუტყვულად დათრობა! - თქვა მან.

არაფერი მითქვამს.

- ნახვალთ დღეს მოედანზე? - მკითხა უცებ.

- მოედანზე რა მინდა? - ვკითხე.

- ის იქნება იქ!

- ვინ ის?

- გოლიათი!  
 ერთხანს ვდუმდი...  
 - ნავალ! - ვთქვი და ნამოვინიე.  
 - ჯერ ადრეა! შუადღისთვის ყავს ხალხი დაბარებული!  
 - აპა! - ვთქვი.  
 - კი მაგრამ, თუ ასე გძულთ, მის სანახავად რატომ ესწრაფვით? - მკითხა.  
 - ეს ცნობისმოყვარეობაა, სხვა არაფერი! - ვთქვი.  
 დადუმდა...

● შუადღეც მალე დადგა. მე და იოთამი ნელა მივავიჯებდით მოედნისაკენ. ორივე პირქუშად ვდუმდით.

დუმდა ჩვენს გვერდით მიმავალი ხალხიც, მოედნისკენ რომ მიიჩქაროდა. როგორც იქნა, მივალნიეთ მოედნამდე... გოლიათი არ ჩანდა.

- მოდის! - დაიძახა უცებ ვიღაცამ. ხალხი ტალღასავით შეტოკდა... და მართლაც, მცირე ხნის შემდეგ ჩვენ წინ გოლიათი აისვენა.

- აჰ, მოხვედით! - თქვა. ხალხი დუმდა.  
 - მე გადავწყვიტე ისეთად გეჩვენოთ, როგორც თქვენ ხართ! - თქვა უცებ.

და უცებ... საოცარი რამ მოხდა... გოლიათმა ჩვენ წინ იწყობა დაპატარაგება! გეგონებოდათ, ბროლი და სპილენძი ლღვებო! ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ჩვეულებრივი სიმაღლის, უღამაზესი, საუცხოო გარეგნობის კაცი არ წარსდგა ჩვენს წინაშე.

იგდა და ანათებდა!  
 - ეს სხვა საქმეა! - თქვა ჩემ გვერდით მდგარმა იოთამმა.  
 დაბნევით შევხედე.

- ვიცით, რომ სასწაულმოქმედი ხარ! - უთხრა გოლიათს (ასე ვახსენებ მას კვლავ) ვიღაცამ, - მაგრამ ან შენი სასწაულმოქმედებანი, ან შენი სიღამაზე რამი წარგვადგება ჩვენ?

- უნდა შემიცნოთ! - თქვა გოლიათმა. ხალხი დუმდა...  
 - გადაწყვიტეთ! - თქვა გოლიათმა და რატომღაც ცას ახედა - ასეთად გე-

ჩვენოთ თუ წინანდელივით?  
 - ასე! ასე! - დგრილა ხალხმა. გოლიათს ოდნავ გაეღიმა...  
 - ესე იგი, არ ვცდებოდი!  
 - არ ცდებოდი?  
 - მშვენიერება უხეშ-ძალაზე უფრო დიდია!  
 ამ სიტყვებით იგი გაქრა.  
 - ეთი თვის შემდეგ ისევე განახავთ! - გასწრა საიდახლაც.

● შინ კმაყოფილი ვბრუნდებოდი.  
 - ეს სულ სხვა საქმეა! - ვუბნებოდი ჩემ გვერდით მიმავალ იოთამს და თორნიკეს, რომელიც ამ ზღვა ხალხში მაინც ვიპოვნე.

ისინი ჩემ გვერდით მოდიოდნენ.  
 - ახლა უკვე რალაცის მჯერა! - ვამბობდი.

- რისი გჯერა? - შედგა უცებ თორნიკე.

- რომ ამ კაცს შეუძლია მშვენიერებას გვაზაროს!

თორნიკე ერთხანს უხმოდ მიმხედდა, მერე ფეხი ისევ ამიწყობდა.

- აბა, ის რა იყო, - ვამბობდი, - გოლიათი მშვენიერებაზე რომ ქადაგებდა.

- ამას ისევ ის ჯობდა! - თქვა ბოლოს. სწრაფი ნაბიჯით მივდიოდით...

- შენ რა, ანუ უცებ მოიხიბლუ? - მკითხა თორნიკემ.

- კი არ მოიხიბლა! - თქვა იოთამმა, - ქვეშარიტებას ამბობს.

- ქვეშარიტებას! - აგდებით აიქნია ხელი თორნიკემ.

- გინხავს მაგაზე უფრო ლამაზი ადამიანი? - ჰკითხა უცებ იოთამმა.

თორნიკემ ნაბიჯი შეანელა...  
 - არა! - თქვა დაბნევით.

ბოლოს, ჩემი სახლი გამოჩნდა.  
 - ამოხვალთ? - ვკითხე, თუმცა მართობა ახლა ყველაფერს მერჩია.

უარი მითხრეს და მე, ამით კმაყოფილმა, შინისაკენ ავიღე გეზი.

● სახლში მისვლისთანავე ტელეფონის ყურმილს დავწვდი და ნაცნობი ნომერი ავკრიფე.

- დიახ! - მომესმა ქალის ყრუ ხმა.  
- ია, მე ვარ! - ვთქვი ოდნავი დარცხვენით.

სიჩუმე...

- მე ბოდის მოსახდელად ვრეკავ!

- ვთქვი.

- ნახე? - გაისმა მშვიდი, ოდნავ მღვლვარე ხმა.

- ვნახე და მივხვდი, რომ შენ და თამთა ცამდე მართლები ხართ!

- თამთა ახლა ჩემთანაა!

- მოდით, გოგონებო! რა მოხდება, რომ მოხვდით!

- გრძობ დანაშაულს?

- ჰო!

ერთ ხანს დუმდა, მერე თქვა:

- ერთ საათში მანდ ვიქნებით.

ყურმილი დავეკიდე.

●  
კარზე დააკაკუნეს... წამოვდექი და კარი გავალე... ჩემ წინ ია და თამთა იდგნენ.

- როგორ იცვალა ფერი! - ეს იყო სიტყვები, რომლითაც მივეგებე.

მათ ერთმანეთს გადახედეს... მე შინ შევუძებნი... არ ვიცი, პირველად ვინ თქვა დავლიოთო, ის კი მახსოვს, რომ ამ წინადადებას მზურვალედ დავუჭირე მხარი.

ცოტა ხნის შემდეგ, სამივენი, კარგად შეტიკტიკებულნი, სუფრას ვუსხედით.

- ასე არ ჯობია?! - მესაედა ამბობდა თამთა.

- რა ვიცოდი! - მესაედა ვამბობდი მე.

- როცა არ იცი, უნდა გაჩუმდე! - თქვა თამთამ ნაძალადევი სიმკაცრით და უცებ სრულიად მოულოდნელად მი-თხრა:

- გინდა, კალთაში ჩაგიჯდები!

შევჩქვიფდი... იას გადავხედე... იჯდა და უაზროდ ილიმებოდა.

თამთა მუხლებზე დამიჯდა და ჩემი ხელი მკერდზე დაიდო. ხელი გულმკერდში შევუცურე... ქალის ძუძუსთავები ქვასავით გამაგრდა თითებში. თამთა მოინურა... სიზმარი გამახსენდა...

- იქითა ოთახში გავიდეთ! - თქვა თამთამ ჩახლქილი ხმით.

- იყავით! მე გავალ! - თქვა იამ, წამოდგა და თვალს მიფარა...

თამთამ კაბა გაიძრო... ტახტზე გადავანვინე... ახლან ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო... ქალი შეიმეცა სუნთქვა-ცდა...

- მოდი! მოდი! - ექოსავით ჩსმოდა მისი ხმა.

თავს აღარ შეგანყენთ იმის მოყოლით, რა და როგორ მოხდა მერე. საოცარი რამ წინ არის! ჰო, მართლაც საოცარი... როცა გავიღვიძე, სანოლში ჩემ გვერდით ია დავინახე, რომელიც დილის მზის პირველ სხივებს თვალებს უჭუტავდა... გაოგნებული წამოვჯექი და მივიხედ-მოვიხედე...

- იქითა ოთახშია, - თქვა იამ ისე, რომ ჩემსკენ არ გამოუხედავს - ძინავს! - დაამატა.

ჩუმად ვიყავი...

- როცა ორივეს დაგეძინათ, - თქვა იამ, - თამთა მეორე ოთახში გადავანვინე!

ისე ლაპარაკობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. შეფიქრიანებულმა შევხედე...

- ვიკვირს? - მკითხა.

- ჰო! - ვთქვი ოდნავი დარცხვენით. მოუხედავად სიმშვიდისა, დაძაბული მეჩვენებოდა.

- მაპატიე, ია! - ვთქვი!

იგი წამოდგა და ოთახში დაიწყო სიარული... მერე სავარძელში ჩაჯდა. მეორე ოთახში რალაც გახმაურდა... ოთახის კარიდან თამთას ნაძინარევი სახე გამოჩნდა. ეტყობა, ისიც ჩემსავით იყო გაკვირვებული. როცა იამ მოუყვა, რა მოხდა, თამთა, იმის ნაცვლად რომ გაბრაზებულიყო, სიცხილი წასკდა.

- არადა, რა პარადოქსია! - თქვა უცებ იამ.

- რა არის პარადოქსი? - ჰკითხა თამთამ.

იამ თქვა:

- აი, გოლიათს რომ უმშვენიერესი არსების სახე არ მიეღო, ასე ხომ არ ავინყვეტდით!

- გოლიათს თავი დაანებე! - თქვა თამთამ.

- ხომ არ შეგიყვარდა? - დაცინვით ჰკითხა იამ.

- შენ რა, შენ არ გიყვარს?

- მე, აგერ მერაბი მიყვარს!

- მერაბი! ჰმ!

სიჩუმე ჩამოვარდა. თავს ბრიყვივით ვგრძნობდი.

- გოლიათი, გოლიათი! - თქვა იამ, - არადა იმდენად მშვენიერია, რომ...

- რომ რა?

- ეჰ, არაფერი!

ოთახში კვლავ დუმილმა დაივანა...

- მე საქმე მაქვს, უნდა წავიდე! - თქვა თამთამ და ოთახში მოფანტული ტანსაცმლის მოგროვება დაიწყო.

იაც გამოენყო... როცა წავიდნენ, თავს საშინლად დამცირებულად ვგრძნობდი. მაგიდიდან კონიაკის ბოთლი ავიღე... ჭიქაში ჩავესხი... მერე ჭიქა ავნიე...

- შენ გაგიმარჯოს, ბრიყვო! - ვუთხარი საკუთარ თავს და გადავკარი.

ერთი კვირა გავიდა ამ ამბის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში შინ ვიჯექი და ვწერდი... ნაწერი ურიგო არ იყო და ეს ძალიან მახარებდა. ია და თამთა არ გამოჩენილან... კვირის ბოლოს იას დაურეკე, მაგრამ დედამისმა მითხრა ქალაქგარეთ წავიდა თამთასთან ერთად. დავეჯექი და საღამომდე ვწერდი... საღამოს გარეთ გასვლა გადავწყვიტე. ის იყო, ოთახიდან უნდა გაესულიყავი, რომ კარზე ვილაცამ დააკაკუნა... კარი გავღე... თორნიკე და იოთამი ისე იღიმებოდნენ, შევატყვე, ნასვამები უნდა ყოფილიყვნენ. იოთამს ხელში რაღაც შეფუთული ეჭირა.

- როგორ ხარ? - მკითხა თორნიკემ და ტახტზე დაჯდა.

იოთამმა შეხვეული მაგიდაზე დადო.

- კონიაკია და ტკბილეული! - თქვა თორნიკემ.

ნაძალადევად გავუღიმე.

- ხო ხარ ლომივით, ჰა! - მკითხა თორნიკემ.

- ვცდილობ! - ვთქვი!

- გახსენი! - ბრძანა თორნიკემ.

ბოთლი გავხსენი და ჭიქები შევავსე...

- ჩვენი მტრების დაღუპვისა იყოს! - თქვა თორნიკემ. თვალი ჩაგვიკრა და გადაჰქრო.

ადგილზე დავსხარ...

- ვინ არის მაინც შენი მტერი? - ვკითხე.

თორნიკე იმე შეტოვდა, თითქოსადგომა სურსო, მაგრამ თავი შეიკავა და თქვა:

- არიან!

- მაინც ვინ? - კითხა ახლა იოთამმა.

- არ იცით, არა?

იოთამმა ნელა გააქნია თავი.

- გოლიათი! - თქვა უცებ თორნიკემ.

ცოტა არ იყო, დავიბენი...

- გოლიათი რა? - ჩავეკითხე.

- გოლიათია ჩემი მტერი! - ვივარა თორნიკემ - და მარტო ჩემი კი, თქვენიც!

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

- კი მაგრამ, რატომ? - ვკითხე ბოლოს.

- მაგას მერე მიხვდებით! - თქვა თორნიკემ.

ადგილიდან წამოხტა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

- დანწყნარდი! - უთხრა იოთამმა.

თორნიკე შედგა... ისევე ტახტზე დაჯდა...

- ასეთი სიძულელივით საკუთარ თავს დაიღუპავ! - თქვა იოთამმა.

თორნიკემ ხელი ჩაიქნია...

- ჩემთვის ნაცნობია შენი გრძნობა! - ვთქვი უცებ.

თორნიკემ უაზროდ შემომხედა...

ერთხანს გაყინული თვალებით მიმხედა, მერე თქვა:

- ჰო, მერე?

- მეც მძულდა იგი... ცოტა ხნის წინ!


- ახლა რამ შეგაყვარა? - დაცინვით მკითხა.

- ამას ასე ადვილად ვერ აგიხსნი! - ვუთხარი.

- ჰმ! ხომ არ გგონია, მარტო შენ ამბობ ამას - თქვა მან - ვყავართ, მაგრამ არ იციან რატომ!

წამოიწნია, მაგრამ ადგილზევე დარჩა.





- რას აპირებ? - კითხა იოთამმა.  
 - მეე? - იკითხა თორნიკემ - რა უნდა  
 დავაპირო... თავისით ჩაძალდებდა!  
 - კი მაგრამ, ვერ ხედები რომ, რომ...  
 - აღარ დავამთავრე.  
 - რომ რა?  
 - რომ აქ ზებუნებრივ ძალასთან  
 გვაქვს საქმე!  
 თორნიკემ ეჭვიანად შემაფარა თვა-  
 ლი და მკითხა:  
 - ვითომ?  
 მხრები ავიჩიე... თორნიკემ თავი  
 ჩაქინდრა...  
 - მაინც, რატომ გძულს ასე? - გავუ-  
 მეორე კითხვა.  
 - არ ვიცი! - თქვა ჩურჩულთ - თუ-  
 მცა არა... ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი...  
 არაფრით არ ვიტყვი.

●  
 იოთამის და თორნიკეს წასვლის შე-  
 მდეგ დაენუქი... არ მეძინებოდა...  
 - კარგია! - გაისმა უხილავის ხმა.  
 - რა არის კარგი?  
 - რომ არ გეძინება!  
 - რატომ?  
 - მცირე ხანს წავისაუბრებთ.  
 - რატომ ძულს თორნიკეს ასე გო-  
 ლიათი? - ვკითხე.  
 - შენ რატომ გძულდა?  
 დავიბენი...  
 - რატომ გძულდა მეიქი? - გაიმეორა.  
 - ახლა ხომ აღარ მძულს! - ვთქვი  
 ხმადაბლა.  
 - მას კისძულს. ალბათ აქვს ამის მი-  
 ზეზი!  
 ერთხანს ჩუმად ვიყავი...  
 - საოცარია გზანი უფლისანი! -  
 ვთქვი უცებ.  
 - ეგ კი მართალია! - გაისმა.  
 არაფერი მითქვამს...  
 - ის უფრო საოცარია, - გაისმა, -  
 რომ ადამიანები უფრო ართულებენ ამ  
 გზებს.  
 - როგორ?  
 - ცნობისმოყვარეობით!  
 - არ მესმის!  
 - მათ უფლის შეცნობა სურთ! - თქვა  
 უხილავმა.  
 - მერე, რა არის ცუდი?


- ეს ხომ შეუძლებელია!  
 - ცნობისმოყვარეობა ადამიანური  
 თვისებაა! - ვიცადე თავს.  
 - ჰო, მაგრამ...  
 - მაგრამ, რა?  
 - ეჰ, ბრატენი! - ხევა და დაუმატა,  
 ვაჰ, დაიძინო...  
 თულებამომგირია... მცირე ხანში ლა-  
 შეძინა ვიდეც...

●  
 მესიზმრა - ვითომ ყაყაოებით მო-  
 ფენილ ველზე ვიყავი... საიდანაც გა-  
 ლობა ისმოდა... საიდან? არ ვიცი!  
 - იარე! - ჩამესმა...  
 - ვიარო? - ვიკითხე, - საით?  
 - წინ იარე!  
 - კი მაგრამ, სად არის ეს წინ?  
 - იარე! - გაისმა მესამედ...  
 დავემორჩილე... ყაყაოები მუხლა-  
 მდე მწვებოდნენ. გალობის ხმა ძლიე-  
 რდებოდა. უცებ, მოშორებით, თეთრი  
 ტაძარი შეენიშნე. მისკენ ავილე გეზი...  
 მალე ტაძარში ვიყავი... ტაძარში ცოტა  
 ხალხი იყო... კანკალებთან იდგნენ და  
 სანთლებს ჩასჩერებოდნენ. საკურთხე-  
 ელიდან მარცხნივ ქალთა გუნდი გალო-  
 ბდა... ბოლოს, გალობა შეწყდა. ღარდა  
 გადაიხსნა და მღვდელი გამოვიდა... ხე-  
 ლში ჯვარი ეჭირა... ყველანი მიდიო-  
 დნენ და ჯვარს კოცნიდნენ. მეც მივედი  
 და ვემთხვიე. მღვდელმა თავი ასწია და  
 თქვა:  
 - კარგია, რომ მოხვედი!  
 ამ სიტყვებზე ყველაფერი გაქრა და  
 მე ისევ ყაყაოებით მოფენილ ველზე  
 აღმოვჩნდი.

●  
 გამელევიდა... დიდხანს ვინექი...  
 უცებ, ტელეფონმა დაიწკრილა. გადა-  
 ეწვდი და ყურმილი ავიღე.  
 - მე ვარ! - გაისმა იას ხმა.  
 - ჰო, ია, ვისმენ! - ვთქვი.  
 - ნუხელ დაგირეკია! - თქვა ქალმა.  
 - ჰო! დაგირეკე!  
 - ქალატგარეთ ვიყავით!  
 - ვიცი!  
 ერთხანს სიჩუმე ჩამონვა...  
 - რა მოგივიდა? - მკითხა.

მარაგ აბაშიძე  
 გიგანტური  
 ხე-ღერძის  
 ხე-ღერძის

საქართველოს  
 იტალიის



- რა უნდა მომსვლოდა?
- არ გიხარია, რომ გირეკავ?
- როგორ არა! ძალიან!
- მოვიდე?
- მოდი! - ვთქვი და ყურმილი დავეკიდე.

●  
იას ხელები ხელში მეჭირა... ერთმანეთს ვუღიმოდით...

- მართლა! - გამახსენდა უცებ - თორნიკეს ხომ იცნობ?
- იამ თავი დამიქნია.

- გუშინ აქ იყო... ერთი ნაცნობი ახლდა!

- ია მშვიდად მიყურებდა.
- რომ იცოდე, როგორ სძულს გოლიათი!

ია მცირე ხანს დუმდა.

- რა თქმა უნდა, ეძულება! - თქვა ბოლოს.

- შენ რა, იცი მიზეზი? - ვკითხე.
- მის დას გოლიათი უყვარს! - გამოცხრა.

სახტად დაერჩი... ახლა მივხვდი, რატომ იყო თორნიკე ასე ალელვებული... მას ძალიან შეუბედავი, კუზიანი და ჰყავდა, ძლივს რომ დაათრევდა ფეხებს.

- აი, რაში ყოფილა საქმე! - აღმომახდა.

- იას არაფერი უთქვამს.
- მე კი, სულელმა, რა არ ვიფიქრე!
- რა იფიქრე? - ჩამეკითხა ია.

ერთხანს ვდუმდით.

- ახლა ყველაფერი ნათელია! - ვთქვი ბოლოს.

ია წამოდგა და ოთახში სიარულს მომწყვა.

- მეც მიყვარს! - თქვა უცებ.
- შენც? - შევტოკადი.
- ჰო! მეც, თამთასაც, ყველას... განა, შენ არ გიყვარს?

- ეს სულ სხვა სიყვარულია... მე პოეტის ვარ...

- ყველანი პოეტები ვართ!
- მაგით რის თქმა გასურს?
- სულთ ყველანი პოეტები ვართ! სიჩუმე ჩამონვა...
- ის ხომ მშვენიერებაა! - თქვა უცებ ქალმა.

ალარაფერი მითქვამს... იგი დიდხანს არ დარჩენილა ჩემთან... არაად ნასვლად მინდოდა. საწერ მაგიდას მივუჯექე... მცირე ხანს ვიმუშავე... ფანჯარაზე წვიმის წვეთებს ნაკაუნის ხმი შემომეცნა... ფანჯარასთან მივედი და გაიხედე... წვიმდა! მოძინევენ, თითქოს სადღაც, კუთსემი რაღაც ცვალებულდა... მძინე და დამეცნა... სიჩუმე! მაგად ასთან მივბრუნდი და ნაწერი გადავიკითხე... არ მომეხოზა. ერთხანს ვფიქრობდი... მე რე ნელ-ნელა დავხიე და კალათაში ჩავყარე.

●  
მეორე დღეს გვიან გავიღვიძე... დღის თერთმეტი საათი იყო. წერა არ მინდოდა... გადავწყვიტე, ცოტა გამესიერნა.

●  
წელა მიუყვებოდი ქუჩას... მალე ბალი გამოჩნდა. შევედი... ხალხი ბევრი არ იყო... სკამზე დავჯექი... დიდხანს ვიყავი ასე... ბალი თანდათანობით ხალხით ივსებოდა. ჩემ გვერდით ვილაც სასიამოვნო გარეგნობის ქალ-ვაჟი ჩამოვდა. ისინიც გოლიათზე საუბრობდნენ. - რა მოხდება ორი კვირის შემდეგ? - ვკითხებოდა ქალი ბიჭს წამდაუნუსი.

ვაჟი მხრებს იჩეჩავდა.  
- იმაზე დიდი სასწაული არ უნდა მოხდეს, რაც მოხდა! - ამბობდა ქალი.

ყური აღარ დამიგდია მათთვის... ნამოვდექი და ბალიდან გამოვედი. მალე სახლში ვიყავი... ყურში ქალიშვილის ხმა მედგა:

- რა მოხდება ორი კვირის შემდეგ? ამაზე ფიქრი მეც არ მასვენებდა... და პა... გაილია ის ორი კვირაც!

●  
მოუდანი ხალხით იყო სავსე... მე, ია და თორნიკე პირველ რიგში ვიდექით. ამ ხნის განმავლობაში თორნიკე ძალიან გახდა... თვალები ამოლამებული ჰქონდა... სახე მოყამული. ვიცოდი, როგორ ძულდა გოლიათი... და მაინც... იდგა და ელოდა. გოლიათს დიდხანს არ დაუყოვნებია... მშვიდი ნაბიჯით შემოვიდა მოუდანზე. მის მი-ახლოვებაზე ხალხი უკან იხევედა და თავს ხრიდდა. მალე ხალხის ნრე შეიკრა... წრის

შუაგულში გოლიათი იდგა (გოლიათი მე-  
თქი, ინერციით ვამბობ, თორემ საშუალო  
სიმაღლის თუ იქნებოდა). მაგრამ რა ლა-  
მაზი იყო, ღმერთო ჩემო! ტანთ შავი სა-  
მოსელი ეცვა... ტანსაცმელი ოქროს და  
ვერცხლის ძაფებით ჰქონდა მოსირმული.

- სულ რამდენიმე სიტყვას გეტყვით,  
- თქვა. - მერე თქვენ განსაჯეთ!!

ხალხი დუმდა.

- მე მოვედი, რათა შევარიგო ცე-  
ცხლი და ყინული! - თქვა მან.

ცოტა არ იყო, გამიკვირდა... ხალხს  
გადავხედე... ბევრ მათგანს, ჩემი არ  
იყო, გაოცება გამოეხატა სახეზე.

- როგორ? რანაირად? აგვისენი! -  
გაისმა სხვადასხვა მხრიდან.

- დღეს მეტს არაფერს გეტყვით! -  
თქვა მძიმედ. - ერთი თვის შემდეგ ისევ  
ვნახავთ ერთმანეთს!

ამ სიტყვების თქმა და მისი გაუჩი-  
ნარება ერთი იყო!



შინ დაბრუნებულმა ფანჯრებს ფა-  
რდები ჩამოვაფარე, ტახტზე წამოვნი-  
ქი და გავირინდე. ყურში გოლიათის სი-  
ტყვები მედგა: "მოვედი, რათა შევარი-  
გო ცეცხლი და ყინული".

რა უნდოდა ამით ეთქვა?

- ვერ ხვდები?

- ვერა!

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა.

- იქნებ დემონიური და ლეთაებრივი  
საწყისების შერიგება იგულისხმა? - ვი-  
კითხე.

- არ ვიცი, არა, თვითონ უნდა მი-  
ხედე!

უცებ, ტელეფონმა დარეკა...

ყურმილი ავიღე...

- თორნიკე ვარ! - გაისმა.

- გისმენ, თორნიკე.

- ეს რა ფოკუსი მოგვიწყო, ჰა? - მკი-  
თხა.

აღელვებული ჩანდა...

- ვითომ ფოკუსია? - ჩავეკითხე.

- ეს რა მოიგონა! - იძახდა იგი.

ჩუმად ვიყავი.

- ახლა უფრო ვრწმუნდები, რომ შა-  
რლატანია! - თქვა.

გავბრაზდი...

- შარლატანობის არაფერი ცხია, -  
ვთქვი. - დრო გვიჩვენებს ყველაფერს!  
ყურმილი დაგვიდე. ტახტზე დავენე-  
ქი და ჩავთვლიმე.

გვიან გამუღვიო... თავსე მთავრე  
დანაოდა საწყაროს, სანერ მაგიდას  
მეუფევი და დიდხანს ვმუშაობდი.

●  
მეორე დღეს, დილით, ია მენვია.

- როგორ ხარ? - მკითხა.

- გაბრუებული ვარ!

- გოლიათის სიტყვებით, არა?

- ჰო! - მიუფე.

- მაგ სიტყვებმა ბევრს გაუჩინა თა-  
ვსატეხი! - თქვა ქალმა.

- შენ, შენ რას ფიქრობ? - ვკითხე.

- მე? არაფერს!

თავი დაღუნა...

უცებ ჩემი სიტყვები გამახსენდა - "მი-  
ეცლმერთს ლეთისა და კეისარსა კეისარი-  
სა" და გავიფიქრე, რატომ ვთქვი მეთქი!  
- იქნებ სწორი იყავი! - ჩამესმა.

- ვითომ? - ვიკითხე.

- ვის ელაპარაკები? - გაოცებით  
მკითხა იამ.

ნაძალადევად გავუღიმე...

- ჩემივე თავსე - ვთქვი.

ია წამოდგა და ოთახში სიარულს  
მოჰყვა.

რატომღაც, მარტოობა მსურდა. ეტ-  
ყოზა, ისიც მიხვდა ამას. შედგა...

- ნავალ! - თქვა.

არაფერი მიპასუხია.

- ნავალ! - გაიმეორა, - თუ მოგენა-  
ტრე, დამირეკე!

კარებამდე მივაცილდე. მერე კარი  
დავხურე და ტახტზე დავენექი.

- უკეთესად გრძნობ თავს? - გაისმა.

მხრები ავიჩეჩე... სიჩუმე ჩამოვნვა...


- და მაინც... - ვთქვი.

- რა, და მაინც?

- კარგია, რომ ჩვენს ქალაქში გოლი-  
ათი ჩამოვიდა.

- ჯერ არაფერი ვიცი! - თქვა უხი-  
ლავმა.

- ნუთუ შენც არ იცი, როგორ განვი-  
თარდება მოვლენები?



უხილავი დუმდა. თავი ბალიშზე მი-  
ვდე... ჩამეძინა...

● დამესიზმრა, ვითომ გაუვალ ტყეში ვი-  
ყავი... ღამე იყო... ირგვლივ მგლების ყმუ-  
ილი ისმოდა. რატომღაც, არ მემიწოდნენ...

ერთი ფიჭვის ქვეშ ნამოენეტი... ყმული ახ-  
ლოვდებოდა. მალე მგლების ალყაში აღ-  
მოვჩნდი. მათ თვალები უელავდათ. უცებ,  
ერთი მათგანი ახლოს მოვიდა ჩემთან. ხე-  
ლზე დამყნოსა და ამლოკა... სხვებიც მო-  
მიახლოვდნენ. გარინდებული ვინეტი...

- ეგ კარგია! - ჩამესმა უხილავის ხმა.  
- რა არის კარგი? - ვკითხე.

არაფერი უთქვამს... მგლების ხრო-  
ვა ნელ-ნელა დაიშალა... ნამოეინი და  
ნიკაპით მუხლებს დავეყრდნე... მომწ-  
ყურდა. იმავე წამს წყლის ჩუხჩუხის ხმა  
გავიგონე... ძირს დავიხედე... ჩემს ფე-  
ხებთან ნაკადული ჩამოდიოდა. დავე-  
ნაფე... როცა წყურვილი მოვიკალი,  
უცებ თავბრუ დამესხა...

● გამელევიდა...

- შენი ცხოვრება ძილ-ღვიძილში გა-  
დის! - ჩამესმა.

- განა ეს დანაშაულია?

- არა! მაგრამ...

- მაგრამ რა?

არაფერი უთქვამს.

- ეჰ, - ვთქვი, - ბევრი რამ გამომიც-  
დია...

- მაგრამ ბევრს ვერაფერს მიმხვდა-  
რხარ, არა? - შემანყევტინა.

- რას უნდა მივმხვდარიყავი?

- თუნდაც გოლიათი ავილოთ! -  
თქვა.

- მერე?

- განა შენ ჩასწვდი მის არსს?

- ვერა!

- რატომ?

- რა ვიცი... ჯერ ამბობს, მშვენიერე-  
ბას უნდა გაზიაროთო, მერე - ცეცხლის  
და ყინულის შერიგება მსურსო... თავი  
და ბოლო ვერ გაუგე!

- იქნებ სწორედ ეგ არის მშვენიერება?

- რა?

- ცეცხლის და ყინულის შერიგება!

- არ მესმის! - ვთქვი.

- რთული გასაგებია, მაგრამ ქვეც-  
ნობიერად ვგრძნობ, რომ ასეა!

დავფიქრდი... უხილავი მართალი  
იყო... ამ უხე ფიქრი აღარ ამინდოდა.  
"მოხდეს რაც მოსახდენია", - ვავილი-  
ქრე ჩემთვის. საათს შევხედე. ღამის  
თორმეტი საათი იყო... დავწეკი და დი-  
ლამდე უძმოდ ვეღვად მეძინა.

● დილით თორნიკე მენვია... მას მალა-  
ლი, წვერგაუპარსავი კაცი ახლდა.

- თომა! - გამომიწოდა კაცმა ხელი...

ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს  
საიდანღაც ვიცნობდი.

- მიცნობთ, - თქვა, თითქოს ჩემი ფი-  
ქრები ამოვიკითხაო, - მე იოთამის მეგო-  
ბარი ვარ... ერთხელ შევხვდით ერთმა-  
ნეთს სასაუზმეში.

- აა! - ვთქვი.

მაგიდაზე კონიაკის ნახევრად დაც-  
ლილი ბოთლი იდგა. ავიღე, ჭიქები შევა-  
ვსე და მოსულთ შევთავაზე. დავლიეთ...

- კარგია! - თქვა თომამ.

თორნიკემ ჩაიცინა...

- ერთი საიდუმლო მაქვს! - თქვა  
უცებ თომამ.

- ნუ გეშინია, თქვი! - თქვა თორნი-  
კემ. - მერაბი ჩვენი კაცია!

- ვაფრენ! - თქვა თომამ.

- აფრენთ? - ჩავეკითხე გაკვირვე-

ბით.

- ჰო! აი, ახლაც, ვდგაეარ თქვენ წინ  
და ვფიქრობ, ხომ არ ვლენო მეთქი!

უკან დავიხიე...

- ასეა, - თქვა თორნიკემ. - გუშინ მე  
ორჯერ გამარტყა!

- რისთვის? - ვკითხე ალელვებით.

- რა ვიცი! - მხრები აიჩეჩა თომამ.

არ ვიცოდი, რა მექნა...

- ალბათ, სასმელის ბრალია! - ვთქვი  
ბოლოს.

- არა! - თქვა თომამ. - სასმელი არა-  
ფერ შუაშია... უბრალოდ, ვაფრენ!

● თორნიკე და თომა დიდხანს არ დარ-  
ჩენილან ჩემთან. როცა ისინი ნავიდნენ,  
სავარძელზე დავეჯექი.

- ესლა მაკლდა! - გავიფიქრე. სიცილი მომესმა.  
 - რას იცინი? - ვთქვი ჩახლექილი ხმით. სიცილი განმეორდა. არ ვიცოდი, რა მექნა.

- ლენე! - გაისმა. - შენც ლენე ვინმეს! კონიაკის ბოთლს დავავლე ხელი მოვიქნიე და ფანჯარას ვესროლე. ფანჯარა ჩაიშხვრა.

- გასნი, დაძინე! - დაცინვეს იქვე უხილავმა...

ახლა კი დავუჯერე... თავი ბალიშზე მივდე...

● დამესიზმრა, ვითომ ნიღბების ზღვაში ვიყავი... ფეხქვეშ ფსკერს ვგრძნობდი და ეს მახარებდა... ნაპირისკენ ვქენი პირი, მაგრამ ზღვა აღელდა. შევჩერდი... არ ვიცოდი, რა მექნა...

- იყავი მანდი! - ჩამესმა. გავცოფდი...

უხილავი აქაც არ მანებებდა თავს.

- ვიქნები, პო! - ვთქვი პირქუსად.

ერთი ნიღაბი სულ ახლოს მოცურდა ჩემთან:

- გადარჩენა გსურს? - მკითხა.

თავი დავუქნიე...

- მამ, მე მომიჩვენე სახეზე...

ხელი შევაღვე... მინდოდა სახეზე მომერგო. ის კი ხელიდან მისხლტებოდა.

- შენ რა, მამასხარავებ? - ვკითხე ნიღაბს.

- არა! - თქვა. - ეს შენ ხარ უგბილი!

- რატომ?

არაფერი უთქვამს.

ზღვა ისევ აღელდა... კვლავ დავაპირე ნიღბის მორგება... ისევ გამოსხლტა ხელიდან. დიდხანს გაგრძელდა ასე...

● ბოლოს გამელევიძა... საღამო იყო. სანერ მაგიდას გავხედე... მაგიდაზე არეულად ეყვარა ფურცლები და წიგნები. ავდექი... მაგიდას მივუჯექი... მუშაობა აენწყო. როცა ყველაფერს მოვრჩი, საათს შევხედე. ღამის 12 საათი იყო... არ მეძინებოდა...

- რა დაგაძინებს, ძილისგუდავ! - ჩამესმა უხილავის ხმა.

უცებ, საიდანაც კარმა დაუბერა. გამოიკვირდა.

- შენს მიერ ჩამსხვრეული ფანჯრიდან უბერავს! - ჩამესმა.

თანჯარასთან მივედი... მართლაც ასე იყო სამხანაურონი გავედი, ფანჯრის ნაჭენი, ნაქუსი და ლურსმნები აველე. ოთახში შემოვედი და ფანჯრა სარკმელს აევაფდე.

- ასე! - ვთქვი კმაყოფილმა. ნამოვენეტი...

● დილაზე უძილოდ გავატარე... დილას, ის იყო, ოდნავ ჩავთვლიმე, რომ კარზე კაკუნმა გამომაფხიზლა... უკმაყოფილოდ ნამოვენეტი... კართან მივედი და გავალე... ია იყო.

იგი შემოვიდა და ოთახის შუაში დადგა...

- აი, მოვედი! - თქვა დაბნეით. არაფერი მითქვამს... შევხედე...

გამხდარი მეჩვენა... სახე გაცრეცოდა.

- ნუხელ ვერ დავიძინე, - თქვა.

- არც მე მეძინა!

- როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

- იკითხა ყრუ ხმით.

- რა უნდა გაგრძელდეს?

არაფერი უთქვამს...

- ტანჯვა! - თქვა ბოლოს. - ჩვენი ტანჯვა!

ერთხანს ვდუმდით...

- ნეტავ რას გვეტყვის გოლიათი ამჯერად? - თქვა უცებ.

გამოვეფხიზლდი...

- ეგ მეც მაინტერესებს! - ვთქვი.

- მხსნელად მევლინებოდა... ის კი...

- აღარ დაამთავრა.

- რა ის? - ჩავეკითხე.

ქალი დუმდა.

- არაფერი! - თქვა ბოლოს.

- შენ რალაც იცი და არ ამბობ! - ვთქვი მე.


- ინტუიციით ვგრძნობ!

- რას გრძნობ?

- რომ გოლიათი მხსნელი არ არის!

- კი მაგრამ, ვისგან ან რისგან უნდა გეიხსნას?

ია დუმდა.



- მე მისი მისია სულ სხვანაირად  
მაქვს წარმოდგენილი! - ვთქვი.

- მაინც, რანაირად?  
- მშენიერებასთან საზიარებლად... -  
ვთქვი.

ქალმა ყრუ ხმით გაიცინა.

- რატომ იცინი?  
- ისე... არაფერი.

ამკარა იყო, იამრალაც იცოდა... რო-  
ცა ჩემი კითხვებით ძალიან შევანუხე,  
თქვა:

- თუნდაც თორნიკეს და...

- ჰო, რა მერე?

- კვდება, - თქვა ჩურჩულით, - კვ-  
დება! - გაიმეორა.

ავლელდი...

- კი მაგრამ, გოლიათი რა შუაშია? -  
ვკითხე.

- განა მან არ შთაუნერგა სიყვარუ-  
ლი?

თავი ჩავექინდრე... ორივე დიდხანს  
ვდუმდით.

- მე ნავალ! - თქვა იამ.

- ნუ ნახვალ! - ვუთხარი.

ქალი გამოცოცხლდა... ტახტზე და-  
ჯდა... მივედი და ხელი მოვხევი... ჩემკენ  
მოვიზიდე... ჩემს ნებას დაჰყვა.



მეორე დღეს, დილით, ია წასული  
დამხვდა... ავდექი... ჩავიცვი და გარეთ  
გამოვედი. ცოტა ხანში მომშივდა...  
იქვე მდებარე სასაუზმეში შევედი. ლუ-  
დი და სოსისი მოვიტოვე... უცებ, ჩემი  
სახელი მომესმა. მოვტრიალდი... ჩემ  
წინ იოთამი იდგა და მიღიმოდა. სკამზე  
ვანიშნე... დაჯდა.

- არაყი ხომ არ... - და იოთამმა კისე-  
რზე თითი დაიკრა.

თავი გავიქნიე.

- მაშინ, მე დავლევ! - თქვა მან, და-  
ხლთან მივიდა, უკან რომ დაბრუნდა  
ხელში არყის პატარა გრაფინი ეჭირა.

- თორნიკე და თომა იყვნენ გუშინ  
ჩემთან! - ვთქვი.

- ვიცო! - თქვა. - ჩემთანაც იყვნენ.

- ეს თომა რა, ცოტას აფრენს? - ვკი-  
თხე.

იოთამს გაეცინა.

- ცოტას ყველა ვაფრენთ! - თქვა.

- ეგ პასუხი არ არის!  
ერთხანს ვდუმდით.  
- ძალიან ნაკითხი კაცია! - თქვა იო-  
თამმა.

იოთამი ჩემსკენ მოტეხა  
იოთამს ადგილზე დათვრა...  
- ეინ ვარ მე? - მკითხა ქცეა.

ცოტა არ იყოს, თავიბუნა...

- ჰო, ვინ ვარ? - გაიმეორა.

იოთამს ჩამოხვია.

- მხატვარი ვარ, - თქვა. - შენ კი ჩე-  
მი ნახატები არ გინახავს. შენ - პოეტი  
ხარ, რომლის შემოქმედებასაც მე არ  
ვიცნობ.

ნაძალადევა დგავიღიმე...

- ნუ იცინი! - თქვა.

სახე ხელებში ჩამალა... დიდხანს  
იყო ასე...

- იმ კაცზე ფიქრი არ მასვენებს! -  
თქვა.

- ვინ კაცზე?

- გოლიათზე.

- რაო, რას ფიქრობს მასზე?

- არ ვიცი... არ ვიცი რა ვიფიქრო!

- ამქვეყნიური არსება რომ არ არის,  
ცხადია, - ვთქვი. - დემონია თუ ანგე-  
ლოზი, ვერ მივხვდარვარ!

იოთამმა მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- დამშვიდდი, იოთამ! - ვთქვი.

- დავმშვიდდე? - იყვირა მან. - რო-  
ცა ასეთი ამბები ხდება!

ოფიცინანტს თვალი ჩაუკარი... იგი  
მოვიდა... ანგარიში გავუსწორე... იო-  
თამს მხარში შევეუდექი და გარეთ გა-  
მოვედით.



შინ დაღლილი დავბრუნდი... ტა-  
ხტზე წამოვნიქი. ტელეფონის ხმა გაი-  
სმა. ყურმილი ავიღე.

- გაუმარჯოს! - შემესმა მზიარული  
ხმა.

- გისმენთ!

- თამთა ვარ, მერაბ!

- აა! - ვთქვი დაბნევით...

- არ მოგენატრე?

არ ვიცოდი, რა მეთქვა.

- არ მოგენატრე? - გაიმეორა.

- კი!

ქალმა ჩაიცინა.

- იმ დღის შემდეგ არ მიხახიხარ! ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ!

- ვიცი!

- მოვიდე?

- ერთი ამხანაგი უნდა მოვიდეს ჩემთან!

- მერე რა, ამხანაგსაც გამაცნობ!

- საქმიანი შეხვედრაა! - ვთქვი.

- არ გიყვარვარ! - თქვა გაბუტვით,

- მე კი შენ კარგი ბიჭი მეგონე... განგონე! - ჩაიცინა.

გდუმდი.

- შენ დღეს გუნებაზე არა ხარ! - თქვა მან. - მერე დაგირეკავ!

ყურმილი დაკიდა.

უმიზეზო, უცნაური ნაღველი შემომანვა... ირგვლივ ნისლივით ჩამოწვა რალაც. ნისლი სუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა... ვიჯექი და ებროტინებდი... ლამის დაემხრწვალეყავი... ნისლი გამკვირვდა. სულ უფრო აუტანელი ხდებოდა გარემო... ძლივს ნაშოვდექი... მაგიდასთან მივედი. კონიაკი დავისხი და დავლიე. აცახცახებული ხელები სახეზე ჩამოვისვი... ოფლი ღვარად მდიოდა... სამზარეულოში გავედი... წყალი დავლიე. მერე ცივი შხაპი მივიღე. ბოლოს, ტანი გავიმშრალე და ლოგინში ჩავნექი.

დამესიზმრა, ვითომ ხე ვიყავი და ტოტებზე ზანზალაკები მქონდა ასხმული. ქარის ყოველ დაქროლვაზე ზანზალაკები ნკრიალებდნენ. ვიდექი და ვიტანჯებოდი... სამინელი იყო ეს ტანჯვა. უცებ, საიდანლაც თავნაკრული კაცი შევნიშნე... ხელში ნაჯახი ეჭირა. აქეთ-იქით იხედებოდა... ბოლოს მზე-რა ჩემზე შეაჩერა. დიდხანს მიმზერდა ამღვრეული თვალებით... ბოლოს, ცული შემართა... შემომკრა... ყველა ზანზალაკი ერთდროულად ანკრიალდა. კაცი ყურადღებას არ აქცევდა... ხის მოჭრას აგრძელებდა. რატომღაც, ნაჯახის დაკვრა არ მტკიოდა. მაგრამ არც ის მინდოდა, ნამოგეცეცი და შეშად დავეპე.

- არ გინდა! - მურმულით ვთქვი.

კაცმა მიიხედ- მიიხედა.

- ეს მე ვარ! - გუთხარი.

იგი დამავეკირდა.

- შენ რა, - თქვა, - ლაპარაკი შეგიძლია?

ჰო!

დუმილი ჩაიწვწვა კაცმა ისევ აღმართა ნაჯახი...

- არ გინდა! - გავუძეირდი.

- მინდა! - ჭინიანად თქვა და ისევ დამკრა ცული...

გამელვიდა... ჩავიცვი და საწერ მაგიდას მივუჯექი. მუშაობა თანდათან აენყო დღის თორმეტ საათამდე ვნერდი... მერე კმაყოფილებით გადავიკითხე ნაწერი და ჩავფიქრდი. რაზე ვფიქრობდი? აღარ მახსოვს. ვამბობ, ფიქრობდი-მეთქი, მაგრამ ამას ფიქრს ვერ დაარქმევ. მოზღვავებული აზრები გველივით მისხლტებოდნენ ხელიდან.

რომ ვთქვა ეს აბსტრაქტული აზრებება იყო-მეთქი, ზოგს გაეცინება, მაგრამ მისთვის სხვა სახელი ვერ დამიქმევია.

ტელეფონის ზარმა გამომარკვია...

- გისმენთ! - ჩაეძახე.

- იოთამი ვარ!

- ჰო, გისმენ, იოთამ!

- ცუდი ამბავი მოხდა!

- რა მოხდა?

- სოფიკო გარდაიცვალა... თორნიკეს და!

სახტად დავერჩი.

- როდის?

- ნუხელ, საღამოს!

- რით გარდაიცვალა?

ერთხანს სიჩუმე იყო.

- სანამლავი დაუღვევია, - თქვა ბოლოს ჩახლენილი ხმით, - ხომ მიხვალ თორნიკესთან?

- რა თქმა უნდა, - ვთქვი, - ახლავ გამოვალ!

- გელოდებით! - თქვა მან და ყურმილი დაკიდა.

დიდხანს ვიჯექი ჩუმად... მერე ჩავიცვი და თორნიკეს სახლისკენ ავიღე გეზი.

ერთმა თვემ გაიარა ამ ამბის შემდეგ. ქალაქში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მაგრამ ეს ქარიშხლის მომასწავებელ სინყნარეს გაედა. ყველა ელოდა! ელოდა გოლიათის გამოჩენას. რას აღარ ლაპარაკობდნენ! ამ ამბავმა ჩვენი პატარა ქალაქის გარეთავე გაჟონა... სხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ ამბის გასაგებად.

მაგრამ ჩვენი ქალაქელები მათ სიტყვას ბანზე უგდებდნენ და იცინოდნენ - რა გოლიათი, რის გოლიათიო. დათქმული დრო კი ახლოვდებოდა... და ბოლოს, ეს დღეც დადგა.

ხალხით გადავსებულ მოედანზე, ხალხის შუაგულში, გოლიათი იდგა... ისევე შავებში იყო ჩაცმული. ხალხი დუმდა...

- ისევ შევხვდით ერთმანეთს! - თქვა გოლიათმა.

უცებ, წინ ვიღაც თეთრწვერა მოხუცი გამოვიდა და გოლიათს მიუახლოვდა. გოლიათმა ოდნავ უკან დაიხია...

- აგვიხსენი, შვილო! - თქვა მოხუცმა, - რა გინდა ჩვენგან?

გოლიათი დუმდა.

- ხმა ამოიღე! - დაუძახა ვილაცამ.

- აკი ვითხარით! - თქვა გოლიათმა.

- შო, გავიგეთ! - თქვა მოხუცმა. - მშვენიერებას გინდა გვაზიარო... მაგრამ რანაირად უნდა მოხდეს ეს?

- თავისით მოხდება!

- თავისით? შში! - ჩაფიქრებით თქვა მოხუცმა.

ხალხი დუმდა...

- მთავარია, სიყვარულის ნიჭი გავჩნდეს ადამიანს, - თქვა გოლიათმა. - მე რე ეს ნიჭი ფრთებს გაშლის, ცაში აიჭრება და მარადისობას შეუერთდება!

ხალხს ყრუ დრტივინვამ გადაუარა.

- ეს ყველაფერი ვიცით, - თქვა ვილაცამ, - მაგრამ შენ რა კავშირი გაქვს ამასთან.

გოლიათი დუმდა.

- ხმა ამოიღე! - დაუყვირა ჩემ გვერდით მდგარმა თორნიკემ.

- არ მსურს ლაპარაკი! - თქვა გოლიათმა.

თორნიკემ მჯილი დაიკრა გულზე.

- ბევრ თქვენგანს აღნაბთ ვალიზიანებ! - თქვა გოლიათმა. - მაგრამ მე ვარსებობ და ამას ვერსად გაექცევით.

- ვიცევანს არეპირუთა, - თქვა მოხუცმა, - მაგრამ... აღარ ტასრულა. გოლიათს არაფერი უკითხავს.

- ის რატომ იყო? - კითხა ვილაცამ.

- რა?

- ცეცხლი და ყინული... ეს ვგონებ ღმერთსაც არ ძალუძს.

- რა იცით თქვენ ღმერთზე? - კითხა გოლიათმა.

უცებ წინ თორნიკე გამოვარდა.

- ხალხო! - იყვირა. - ეს სატანას მოციქულია, ხალხო!

გოლიათს წარბი არ შეუხრია. მომეჩენა, თითქოს ილიმებოდა. ხალხი აზვირთდა... ერთმანეთს მიანყდა.

- მოკალით! - გაისმა.

გოლიათი თავდახრილი იდგა.

- მაგის გამო მოკედა ჩემი და! - იყვირა თორნიკემ...

რალაც უცნობმა ძალამ წინ არ გაუშვა... იგი მუხლებზე დაეცა... ირგვლივ გიჟივით იყურებოდა.

- მაპატიე, - თქვა გოლიათმა, - მაგრამ მე არა ვარ დამნაშავე!

- აბა ვინაა? - იღრიალა თორნიკემ.

გოლიათი ჩუმად იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ხალხი თანდათან დამშვიდდა. იქნებ იმიტომ, რომ გოლიათმა პატიება ითხოვა... იქნებ სხვა რამის გამო. სიჩუმე ჩამოვარდა.

- ნუ შემიძულებთ! - თქვა გოლიათმა. ხალხი დუმდა.

- მე სიყვარულის ნიჭზე გესაუბრებოდით, - თქვა გოლიათმა. - ეს ნიჭი ის მარცვალაია, რომელზეც ბედნიერების ხე უნდა აღმოცენდეს. მაღალი, ცადატყორცნილი ხე... ხე, რომლის ჩრდილშიც მოექცევა თქვენი წილი სამყარო. - იგი დადუმდა.

- მერე? - კითხა ვილაცამ.

- მშვენიერებაც ეს არის. აღზრდა სულისა ჩვენისა!

- გაუგებრად ლაპარაკობს! - თქვა ვილაცამ.

- აბა, რა არის აქ გაუგებარი! - თქვა გოლიათმა. - გიყვარდეთ! ეს მოგეთ-



ხოვებით თქვენ - შეჩერდა და დაამატა,  
- ამჟამად.

ამ სიტყვებით იგი გაქრა.

● ბევრმა დრომ ჩაიარა ამ ამბის შემდეგ. გოლიათი ყოველი თვის ბოლოს გვეცხადებოდა ხოლმე. ჩვენ მივეჩვიეთ ამას... ვგრძნობდით - ეს სასიკეთო იყო ჩვენთვის... გამორჩნდებოდა გოლიათი... იდგა თავდახრილი ხალხის წინ... ბევრს არ ლაპარაკობდა, მაგრამ რასაც იტყოდა - ქვშმარიტება იყო.

ასე გადიოდა დრო.

● ერთ დღეს ადრე ავდექი... მინდოდა, დილიდანვე შევდგომოდი მუშაობას. უცებ, ვილაცამ კარზე დააკაკუნა... უკმაყოფილოდ წამოვდექი და კარი გავაღე. ია იყო... შინ შევუძეხი. იჯდა ტახტზე და იატაკს დასჩერებოდა.

- მოხდა რამე? - ვკითხე.

- ჯერ არა! - თქვა ნაძალადევი ლიმილით.

- მაინც, რა უნდა მოხდეს? - ვკითხე. ერთხანს დუმდა.

- ბავშვს ველოდები! - თქვა ბოლოს. ერთიანად შევტოკდი.

- აჰა! - ვთქვი.

- ეს შენ არაფრით არ გავალდებულეხს, - თქვა ქალმა. - ნუ გეშინია, შანტაჟის მოწყობას არ გიპირებ!

- ეგ არც მიფიქრია, - ვთქვი, - უბრალოდ, მოულოდნელია...

თავი ჩაქინდრა...

- თუ გინდა, მოვიცილებ, - თქვა ყოყმანით.

შევხედე... იჯდა და ელოდა ჩემს გადამწყვეტილებას. რატომღაც საშინლად შემებრალა.

- ნუ მოიცილებ, - ვთქვი.

თვალეში კმაყოფილების სხივმა გაუელვა. წამოდგა... მოვიდა და ჩემ გვერდით დაჯდა.

- ჩემ გვარს მივცემ, - ვუთხარი. - ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს შეგპირდები... ხელის მოწერა და ამისთანა რამეები გულს მირევს!

- კარგი! - თქვა ქალმა მორჩილად.

ორივე კარგა ხანს ვდუმდით...

- ნაეალ! - წამოდგა ბოლოს იგი.

კარგამდე მივაცილე... როცა მარტო დავრჩი, ოთახში ბოლთის ცემა დავიწყე. "შეიქაღებო!" - ვფიქრობდი იმდენ ბრუნვანად და თან რატომღაც მეღიშებოდა კიდევ. მერე ამაზე ფიქრს წოვქმე და ნანკრმა გოდას მიუღუჯქია ბოლოს კალამი გადავდე... საათს შევხედე... დღის წამი საათი იყო... ჩავიცვი და გარეთ გამოვედი.

● ნაცნობ ბაღში შევედი და დავჯექი... დიდხანს ვიყავი გარინდებული... იაზე ვფიქრობდი... სიბრაზე თანდათან უჩვეულოდ ნაზმა გრძნობამ შეცვალა.

- ასე! - ჩამესმა.

არაფერი მითქვამს...

- უნდა გიხაროდეს! - არ მეშვებოდა უხილავი.

- აკი არაფერს ვამბობ! - ვთქვი.

- რა უნდა თქვა! - თქვა უხილავმა. - შენი შეილია!

- შეილი, - ვთქვი ჩაფიქრებით. - მე სულ სხვანაირად მქონდა ყველაფერი წარმოდგენილი!

- მაშინა კაცს აბრძენებს! - თქვა უხილავმა.

გამეცინა... უცებ, გოლიათს გადასწვდა ჩემი ფიქრები... სად იყო ახლა ნეტავ?

- ის ყველგან არის! - ჩამესმა.

- როგორ თუ ყველგან?

- პო! ყველგან და ყველაფერში!


დავფიქრდი...

- მაგრამ ამახ შენ ვერ ჩასწვდები!

- რატომ?

უხილავს არაფერი უთქვამს. კიდევ დიდხანს ვიჯექი ბაღში... როცა მოსალამოქდა, შინ გავეშურე. შინ მისვლისთანავე ჩავნექი და ჩამეძინა...

● მესიზმრა, ვითომ ხიდზე გადავდიოდი... ხიდს ქვემოთ გაცოფებული მდინარე მოქუხდა. ნელა ვადგამდი ფეხს ძველ, დამპალ ხიდზე. შუამდე რომ მივედი, ხიდი ჩატყდა და მდინა-



რეში ჩავეარდი... მორევმა ჩამითრია...  
ვტრიალებდი ერთ ადგილას... ბო-  
ლოს, წყლის მდინარებამ გამოიტაცა...  
ნაპირზე არავინ ჩანდა. დიდხანს გაგ-  
რძელდა ასე... ბოლოს, აქაფებულმა  
ტალღამ ნაპირზე გამოპრიყა. თავით-  
ფეხებამდე სველი ვიყავი... შემცი-  
ვდა... შევამჩნიე, რომ იქვე, მახლო-  
ბლად, კოცონი ენთო... კოცონს რამ-  
დენიმე კაცი შემოსხდომოდა. მივუა-  
ხლოვდი... არაფერი უთქვამთ.

კოცონთან დავეჯექი...  
- აქ რამ მოგიყვანა? - მკითხა ერთმა  
მათგანმა.

მე ავუსხენი...  
- არ მჯერა! - თქვა მან.  
- რატომ?  
- ამ მდინარეში მოხვედრილი კაცი  
სასიკვდილოდ არის განწირული.  
- კი მაგრამ, - დავიწყე, მაგრამ ისი-  
ნი წამოვარდნენ და აყვირდნენ:  
- გასნი! გასნი აქედან!  
წამოვდექი და ნაპირს დავუყვიე...

●  
გამელვია... შიშით მიმოვიხედე...  
როცა მივხედი, რომ შინ ვიყავი, დავმშ-  
ვიდდი.

- შორია, შორი! - ჩამესმა.  
- რა არის შორი? - ვიკითხე.  
- სიმშვიდე! - იყო პასუხი.  
წამოვიჩნიე და ავდექი... გათენებუ-  
ლიყო... იაზე ვფიქრობდი... მერე სიზ-  
მარი გამახსენდა.

"რას უნდა ნიშნავდეს ნეტა?" - გა-  
ვიფიქრე.

- ვერ ხედეები? - ჩამესმა.  
- ვერა!  
- შენ ხომ პოეტი ხარ?  
- მერე?  
- ის, რომ პოეზიის მორევში ჩავარ-  
დნილი კაცი განწირულია. შენ კი გადა-  
რჩი. აი რატომ არ დაგიჯერეს!

უცებ ტელეფონმა დაინკრიალა...  
ყურმილი ავიღე...

- თორნიკე ვარ, მერაბ! - გაისმა.  
- პო, გისმენ, თორნიკე! - ვთქვი.  
- მე, იოთამმა და თომამ ჩემთან მო-  
ვიყარეთ თავი. მოხვალ?  
- მე? - ვთქვი გაჭიანურებით.

- პო, შენ!  
- მოვალ! - ვთქვი მცირე ხნის დუმი-  
ლის შემდეგ.  
- აბა, გელოდებით.

როცა მივედი, იოთამი, თომა და თო-  
რნიკე უკვე საცმად ნახამეპოყვენი.  
სამივე გადაშვების და გადამცოტნეს...  
მერე სიმღერა დაიწყეს...

- აგვეყვი! - მითხრა თორნიკემ.  
ძველ ქართულ საგალობელს მღერო-  
დნენ. გავუღიბე, მაგრამ არ მიმღერია.  
- მოდით! - თქვა უცებ თომამ და სა-  
სმისი კონიაკით შეავსო. - მე გამიმა-  
რჯოს!  
- ეს რაღაც ახალია! - თქვა იოთამმა.  
თომამ თვალეები დააბრიალა.  
- გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! - თქვა  
იოთამმა.

თორნიკეს სასმისისთვის ხელი არ  
უხლნა.  
- შენ რატომ არ სვამ? - კითხა თო-  
მამ სლოკინით.  
- იმიტომ! - მოუჭრა თორნიკემ.  
- დამშვიდდი, თომა! - უთხრა იოთა-  
მმა.

- დალიოს! - ბრძანა თომამ.  
- აღარ შემიძლია! კისერში ამომიხ-  
ვედი! აი, აქა ხარ უკვე! - ხელი ყელზე  
გადაისვა თორნიკემ.

- შენ, რა მოგივიდა დღეს? - მუქა-  
რით კითხა თომამ.  
- ერთი შენი! - თქვა თორნიკემ.  
თომა წამოდგა. ავდექით ჩვეიც...  
- კარგი ახლა, ბავშვები ხომ არა  
ხართ! - თქვა იოთამმა.

- გავაბავშვებ მაგას! - იბლავლა თო-  
მამ და იოთამის გზიდან ჩამოცილება  
სცადა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და  
ძირს დაგორდა. დიდხანს ინვა იატა-  
კზე... ახალა შევბატყვე, რომ უგონოდ  
მთვრალი იყო. მე და იოთამმა თომა  
ავიყვანეთ და მერე ოთახში, საწოლზე  
დავეანვინეთ.

- შენც მოერიდე, ხომ იცი მაგის ხა-  
სიათი! - უთხრა იოთამმა თორნიკეს.  
- ყველას კვერცხი როგორ ვუგორო!  
- თქვა თორნიკემ.  
იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ...

● შინ მისლისთანავე, გავიხადე და დავნექი... არ მეძინებოდა...

- რას გარბოდი თორნიკესთან? - ჩამესმა.

- სულ შინ ხომ არ ვიჯდები!

- ეხ, თომა, თომა...

- თორნიკეც კარგი ვინმეა, ვთქვი.

- ხომ იცის მისი ხასიათი, რაღა ალღელებს.

- თომა გიყია! - თქვა უხილავმა.

- გიყია? - ჩავეციოხე.

- აბა, ნორმალური კაცი გააკეთებს იმას, რასაც ის ჩადის?

უხილავი მართალი იყო...

- ჰოდა, თუ გიყია, მით უფრო უნდა მოერიდოს! - ვთქვი.

- კარგი, ახლა დაიძინე! - ჩამესმა.

● მესიზმრა, ვითომ ბნელ ოთახში ვიყავი... ირგვლივ ღამურები დაფრინავდნენ: კარებს ვეძებდი... ვერ ვპოულობდი... ერთი ღამურა მოფრინდა და მხარზე დამაჯდა... თავიდან მოვიშორე... მან ერთი-ორჯერ შეიფრთხილა ჩემ გარშემო და ისევ მხარზე დამაჯდა. არაფერი აღარ მითქვამს.

- ჰო, უნდა შეეჩვიო! - დაინრიპინა მან.

- რას უნდა შევეჩვიო?

- ცხოვრებას!

- განა ეს ცხოვრებაა?

ღამურას არაფერი უთქვამს. იატაკზე დავეჯექი... ღამურა გარინდებული იყო...

- ჰო ეს არის ცხოვრება! - თქვა ბოლოს.

ნაძალადევად გავიღიმე.

- შენ ვინლა ხარ? - ვკითხე.

- მე ამ ოთახის სული ვარ!

- მაშინ, გამიყვანე აქედან! - ვთხოვე.

იგი ჩუმად იყო...

- განა აქ ცუდად ხარ? - მკითხა.

ამის თქმაზე ოთახში მყოფმა ღამურებმა ჩემს ირგვლივ დაიწყეს ტრიალი.

- გამიშვი! - გავიმეორე.

ჰასუსხად სიჩუმე იყო...

- გამიშვი! - ვიყვირე და... გამეღვიძა.

● თვალები მოვიფშვნიტე... გათენებულიყო... ავედექი... ხელ-პირი დავიბანე... ჩავიცვირმ მაგიდას მივუჯექი. დაახლოებილ უსაათი ვიმუშავე... მერე ავედექი... წავისაუბრე და ნაღონობი ბალისებს გავემართე...

● ბალნი ხივრილუ იყო. ვიჯექი და ცას ავეურებდი... მონშენდილ ცას... ჩემ წინ რამდენიმე ბავშვი ერთმანეთს დასდევდა... იქვე მათი მშობლები ისხდნენ... რატომღაც ია გამახსენდა. დავფიქრდი... ნამდვილად მინდოდა ბავშვი ყოლოდა ჩემგან? ისიც ასე ითამაშებდა, ალბათ, ბავშვებთან. მაგრამ ბედნიერი იქნებოდა კი? არ ვიცის ბალიდან გვიან გამოვედი... შინ მივედი თუ არა დავნექი და ჩამეძინა.

● ზარის მკვეთრმა ხმამ გამაღვიძა... ფანჯარაში გადავიხედე... უამრავი ხალხი დავინახე... ისინი მოედნისკენ მიიჩქაროდნენ. ჩავიცვი და ხალხის რიგებს შევეურთდი...

● ხალხის გულში გოლიათი იდგა. ხალხი ჩუმად იყო...

- მე მივიღვიარ! - თქვა უცებ გოლიათმა.

- მიდიხარ? სად მიდიხარ? - კითხა ვილაცამ.

- ჩემს მბრძანებელთან! - თქვა მან.

ხალხი დუმდა... უცებ, წინა რიგიდან ვილაც გამოვიდა:

- კი მაგრამ, აკი მშვენიერებას უნდა გაზიაროთ, მერე... ცეცხლის და ყინულის შერიგების ამბავი... ეს რა, ყველაფერი სიცრუე იყო?


- არა!

- აბა, რა ვიფიქროთ?

- ისიც საკმარისია, რაც მოხდა!

- არ მესმის!

- აბა, რა არის აქ გაუგებარი... - თქვა გოლიათმა. - ადამიანები ასე უცებ არ იცვლებიან! დროა საჭირო!



მერე შეხვედნი  
ბნე-ჩიქოსება

ყველა დუმდა...  
- ალარასოდეს მოხვალ? - იკითხა ვი-  
ლაცამ.

გოლიათმა მძიმედ გაიქნია თავი...  
- ჩამოვიდა, აურია ყველაფერი და  
გარბის! - იყვირა ვილაცამ.

ხალხი აჩოჩქოლდა... გოლიათი დუ-  
მდა...

- მშვიდობით, ხალხო, - თქვა ბო-  
ლოს. - სანამ მე გემახსოვრებით, მშვე-  
ნიერების ნაპერწკალი მარად იცო-  
ცხლებს თქვენს სულელებში.

ეს იყო და ეს... გოლიათი გაქრა.



შინ დაღვრემილი ებრუნდებოდი...  
ჩემი იმედები არ გამართლდა.

- მაინც, რისი იმედი გქონდა? - ჩა-  
მესმა.

- რა ვიცი. ყოველ შემთხვევაში ასეთ  
დასასრულს არ ველოდი.

- რაიმე ცვლილებას თუ პოულობ  
შენს სულში, იმის შემდეგ, რაც ქალაქს  
გოლიათი ეწვია? - გაისმა.

დავფიქრდი...

- პო! - ვთქვი ბოლოს.

- განა ეს ცოტაა?

- არა, მაგრამ მე პოეტი ვარ. გოლი-  
ათი ის კაცი მეგონა, უფრო ადვილად  
აღსაქმელს რომ გახდოდა მშვენიერე-  
ბას... მშვენიერებამ კი ერთი წამით გა-  
იღვრა ჩვენს წინ და...

- და რა?

- გაქრა!

- არ გამქრალა, - თქვა უხილავმა. -  
აკი თქვი, რომ შენი სული ოდნავ მაინც  
გადასხვაფერდა.

არ მინდოდა ამაზე საუბარი... შინ  
მისულისთანავე ტახტზე დავჯექი და  
ფიქრებში ჩავეფალი.

დიდხანს ვიყავი გაბრუნებული... უც-  
ნაური გრძნობები ერთმანეთს ცვლი-  
და. რაღაც ხდებოდა სულში. რა? ვერ  
გამეგო. იას სახე ამოტივტივდა ჩემს  
წინ... მას თამთას სახე მოჰყვა... მერე  
თორნიკეს, იოთამის და თომას სახეე-  
ბიც დავლანდებინდ-ბუნდში. ამ სახე-  
ებმა წრე შეკრეს ჩემს ირგვლივ და მე-  
ვედრებოდნენ:

- წამოდი ჩვენთან, მერაბ, წამოდი!

არ ვიცოდი, რა მექნა ამ რამეფიქრა.  
- სად არის მშვენიერება, სად? - ყვი-  
როდა თორნიკე. - რა ადვილია ადამიან-  
ნის მოტყუება!

- ის არ გვეტყუებდნენ თორნიკე  
ვთქვი.

- კი მაგრამ ჩემი და? მან ხომ მისი  
გულიწვივს მთელა თავი.

- ეს უკუ-სხვადასხვა ამბებია!  
ვთქვი.

- არა! - იყვირა. - არა! - გაიმეორა.

- ყველაფერი იცვლება! - თქვა უცებ  
თომამ.

ყველანი მას მივაცქერდით.  
- მაგით რის თქმა გასურს? - კითხა  
იოთამმა.

- არ გეტყვით! თვითონ უნდა მი-  
ხედეთ!

დუმილი ჩამოწვა.

- პოი, საბრალო ხალხო? - გაისმა  
უხილავის ხმა.

ყველამ მიმოიხედა...

- ვინ იყო? - ჩურჩულით იკითხა  
თამთამ.

- მე ვარ! სინდისის ხმა!

- მერე, რა გინდა? - იყვირა თორნი-  
კემ.

- თქვენს სიბრიყვეს მინდა საზღვა-  
რი დავუდო!

ისევე დუმილი ჩამოვარდა.

- არა მგონია, მოახერხო ეს! - თქვა  
თორნიკემ.

- მაინც რა გასურთ? - გაისმა.

- ჩვენ? - კითხა თორნიკემ. - ჩვენ არა-  
ფერი. შენ თვითონ რა გინდა ჩვენგან.

- აკი გითხარით, თქვენს სიბრიყვეს  
ზღვარი მინდა დავუდო მე თქვი...

- გამოჩნდი ერთი, დაგვენახე! - თქვა  
იოთამმა.

უცებ ირგვლივ თვალისმომჭრელად  
აკაშკაშდა ყველაფერი.

- სად ხარ, სად? - ვყვიროდით...

- აქ ვარ! - ისმოდა. - მე, ცოცხალი  
ნათელი!

დიდხანს გაგრძელდა ასე... ბოლოს  
გამოვფხიზლდი... აღმოჩნდა, რომ ჩამ-  
ძინებოდა და ამას ყველაფერს ძილში  
ვხედავდი.

- რამ გაყო მერე? - გაისმა.

- რა რამ გაყო? - ვიკითხე.

- ცხადი და სიზმარი!

ხმა მიწყდა... ვინეტი და ახალი სულიერი ძალების მოზღვავეებას განვიცდიდი. ბოლოს ავდექი... ჩავიცვი და მაგიდას მივუჯექი... თვალწინ მშენიერებად გარდაქმნილი გოლიათის სახე მედგა... როცა წერას მოვრწი, კალამი გადავდე და საათს შევხედე. დღის სამი საათი იყო...

- მამ, დღეს ბედნიერი ხარ? - ჩამესმა ოდნავ დამცინავი ხმა.

ჩუმად ვიყავი...

- თუმცა, ამაზე დიდი ბედნიერება ხელოვანისთვის არც არსებობს, არა?

დავფიქრდი... უხილავი მართალი იყო...

- ჰო, მაგრამ მერე... - ვთქვი.

- რა, მერე?

- ყოფითობა სპობს სულის აღმავლობას!

უხილავს არაფერი უთქვამს. რატომღაც ის გამახსენდა... თვალწინ დამიდგა მისი ფერგამკრთალი სახე... ტელეფონს გადავენვდი და ნაცნობი ნომერი ავკრიფე.

- გაისმენთ! - გაისმა.

- გამარჯობა, ია!

- აჰ, შენ ხარ! - გაისმა დაბნევით.

- ჰო, მოდი!

ქალი ერთხანს დუმდა...

- კარგი - თქვა ბოლოს.

ყურმილი დავკვიდე.

ია ჩემ წინ იდგა... ტახტზე ვიჯექი და მისი ხელები ხელში მეჭირა. იგი ოდნავ ირწუნოდა და ილიმებოდა.

- როგორც იქნა დამიძახე, - თქვა.

- როდის ელოდები? - ვკითხე.

- რას? - ჯერ ვერ მიხვდა, - მერე გაიღიმა და თქვა:

- შეიძლია თვის შემდეგ.

ერთხანს ორივე დუმდით.

- რა დავარქვით? - ვკითხე. იას გავცინა.

- ჰო, რას იცინი?

- მერაბი ან ია!

- ვეთილა!

ქალი გახალსდა. მასი ხელებისკვ ხელი მეჭირა. ბავშვებთან შეიტანე და ვაკოცე... სახეზემ ხელები იამალა.

- კარგი, ხელი მოვანეროთ! - ვთქვი ხმადამბლა.

იგი შეკრთა... მერე სახე ბედნიერებისაგან გაუბრწყინდა და კვლავ ჩემს ხელებში ჩარგო სახე.

● ორი თვე გავიდა ამ ამბის შემდეგ...

მე და იამ ხელი მოვანერეთ. ძალიან ვინრო წრეში გადავიხადეთ ქორნილი. ახლა ჩემთან, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით. ია მორჩილი და ერთგული ცოლი გამოდგა. მთელი დღეები რალაცას ალაგებდა, რეცხავდა... მხოლოდ ერთ რამეში ვერ ვთანხმდებოდით. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ის ჩემი სანერი მაგიდის დალაგებას აპირებდა ხოლმე. ბოლოს იგი შეურიგდა ამას და დაულაგებელი მაგიდის დანახვისას მხოლოდ ოდნავ თუ შეიჭმუნხნიდა შუბლს. ამასობაში მისი მშობიარობის დროც დადგა... გულით მიწოდდა, ბიჭი მყოლოდა, მაგრამ ამ მხრივ იმედები არ გამიმართლდა... იას ქალიშვილი შეეძინა. ბავშვს, როგორც გადაწყვეტილი გექონდა, ია დავარქვით... მას დედის ღრმა, ლურჯი თვალები და ორად გაყოფილი ნიკაპი გამოჰყვა. უამი გადიოდა და თანდათან ვივინყებდით იმ დროს, როცა ქალაქში პირველად გამოიწინა გოლიათი.

ნოდარ ხუნდაძეს 70 წელი შეუსრულდა. "მწიგნობარს" რედაქცია ულოცავს მწერალს ღირსესანიშნავ თარიღს და უსურვებს წაბრტყეს სიონად ცხოვრებასა და შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი თავის მშობლიურ გავრაში ძალე დაბრუნებას.

### დაპარბულია სამაჩაბლო და აფხაზეთი

ოცნება ფხიზლობს, გადასცურავს თითქოს მდინარეს,  
შორს დარჩენილი სანაპირო ნელ-ნელა ქრება,  
ღამეა, ზეცით დაგვეკამკამებს ვარსკვლავთა კრება,  
არა, არ გვეძინავს, თუმცა მაინც თავს ვიმძინარებთ.

ძილ-ღვიძილში ვართ, გონს მოგება ჯერ არ გვეღირსა,  
წმინდა ძირიონი შუბლზე წაგვეცხეს, ღვთიური ზეთი,  
დაკარგულია სამაჩაბლო და აფხაზეთი,  
გლოვად ჩაგვესმის მომაკვდავი თეთრი გედის ზმა.

გაუტაცნიათ მღვრიე ტალღებს უნიბრო ნავი,  
ტალღის ქოჩორზე გაიელვებს შემკრთალი სხივი,  
წყალი შავია, უფსკერო და ყურყუმი შავი,

გზადაკარგული დასრიალებს თოლია, ჰკივის...  
მთვარე ნიშნს გვიგებს, ფერნაკრთობი, ჩვენსკენ დახრილი,  
კლდეს ენარცხება მღვრიე ტალღა, ტალღა დაღლილი.

ბიჭვინთის ტამარს შრიალით ათოვს,  
ფანჯრის ჭრილებში ჩიტები სხედან,  
შიგ ფეხის შედგმას ვერავეინ ბედავს, -  
ნეტა ვინ უშლით - ჩინგიზი? ბათო?

ცაზე ჰკივია ბებერი მთვარე,  
დაბერებულა ირგვლივ ყოველი,  
მე გათენებას შფოთით მოველი...

მტერს აქ ჩაუდგამს შიშის კარავი,  
დაღუმებულა სამრეკლოს ზარი,  
ღუმს იღუმალი ღვთიური ქნარიც,  
პირჯვარს არ იწერს ლოცვით არავინ.

ფიჭვის ხეები მოჰგვანან მთვრალებს,  
ძირს დაუხრიათ ტოტები ზანტად  
და გაჭირვებით ახელენ თვალებს.

## მეცი, ღმერთო!

მეცი, ღმერთო, რაც კი უნდა, კაცმა ის მომკას -  
ვარდის სურნელი, სუნთქვა ტყისა და მზის არილი,  
თუკი ღირსია, არ მოაქლო თოვლი, მარილი  
მადლით პირთამდე ააგებდე, ვით წყარო კაცას

შენი სიკეთე ეღვრებოდა დავლით ბოთლად  
იყოს ვულკანი მოგუგუნე და ჩაუშქრალი,  
ვით დაჭიმული საგალობოდ ჩონგურის ლარი,  
ცისკრის კამკამი, ფოთლის თრთოლვა, ნიავეის ქროლა.

შენ დაუმკვიდრე ქართულ მიწას მადლი, სიმშვიდე, -  
ხელმიუწვდომი, გაფრენილი სამოთხის ჩიტი,  
და აუხდინე საქართველოს ოცნება დიდი:

სულის მოთქმას და ფრთების გაშლას ვერვინ უშლიდეს,  
აი, ეს არის... სულ ეს არის, გიმხელ ჩემს დარდებს,  
მე სხვა სათხოვარს, დიდო ღმერთო, ვერ შემოგაკადრებ.

ღამრჩა ძვირფასი, უამრავი საფლავის ლოდი...  
იქ დარჩენილთა მარაქიდან ყველაზე შეტად  
უსაყვარლესს და უსათნოესს გაგურბი დედას,  
რომელიც ჩემთან ყოველ ღამე სიზმარში მოდის.

მღუმარედ მიცქერს და არ იტყვის სიტყვას უჯეროს,  
სურს, გამამხნევოს, გამინელოს უღვთო ტკივილი:  
დაიოკეო, შვილო, სულის მწარე კივილი...  
არ შემიძლია, თუმცა მინდა, რომ დაუუჯერო.

არა, არ ძალუმს შვილს ადვილად თავის მართლება...  
დედის უსიტყვო მზერაშია მუნათი ისმის,  
პასუხი უნდა აგო, როცა დაგემართება


სასირცხვო საქმე, თუკი გახსოვს, გორის ხარ ვისი...  
ყოველი ღამე შემზარავი არის სამსჯავრო,  
რადგან ვიკისრო უნდა ცოდვა ჩემიც და სხვისიც.

●  
 მუღამ ჩამესმის მიწის ჩურჩული,  
 თავისკენ მიხმობს ხმა იდუმალი,  
 თურმე ჰქონია რა ხიბლი, ძალი, -  
 მე სულს მიწეწავს დამუ- ჩურჩული

ჩურჩულია თუ ყვივილი მიწის,  
 ჟღერს მოწოდება - ფარული ღმრთი,  
 სუნი მცემს მწკლარტე, დაფნის და კარდის,  
 და დაოკება გულისთქმის მიჭირს.

უნდა შევიძლო, უნდა წავიდე,  
 წამისწამ ველი, დაქროლებს ქარი,  
 მიხმობს ბიჭვინთა - ოცნების თვალი...

მე უფლის ძალას გულით ვადიდებ,  
 ზურგზე მკიდია ვეება ტვირთი  
 და სულს მითრთოლებს სამოთხის ქნარი.





ხანდახან მაინც ახსენებ ღმერთი

თუკი შენს სხეულში მერცხალი გადობს  
მამლის ყივილი განთიადს ერთვის,  
ბედი მუხთალი თუ იმდენს გწყალობს,  
ჭამ ღარიბ ლუკმას, ხარ წყნარად შენთვის,  
გწამს თუ არა გწამს, ისე, უბრალოდ,  
ხანდახან მაინც ახსენებ ღმერთი!..

მინაწერი "ვეფხისტყაოსანზე"

ეს ჩემი არის, ჩემი ცის, მიწის,  
ჩემი სისხლია, ხორცი და ძვალი.  
შიგ არაფერი, უცხო და სხვისი,  
არ ურევია არცერთი ცვარი.  
ეს ჩემი არის, სულში ჩამცქერის,  
ჩემი მზის, მთვარის ბრწყინვით ცინცხალით.  
სხვა ზნის, სხვა ჯურის შიგ არაფერი,  
არ ურევია ერთი მისხალი.  
ეს ჩემი არის, პირგაბასრული  
ჩემი ხმალია, ჩემი გუთანია...  
ვერ მოვა ჩემთან დღე აღსასრულის,  
მარადისობა მაქვს საკუთარი!

თუნდაც გზაგავლით

ეკ, სიყვარული, რა გზით დახვალ,  
რა მადლით ბრწყინავ.  
ვით მზეს ცხრათვალას, არც შენ  
არცროს გაგივა ყავლი.  
სხვასთან მიხვალ და გულის გულში  
დაიდებ ბინას,  
ერთხელ ჩემთანაც მოსულიყავ,  
თუნდაც გზაგავლით!

**ერთხელ კიდევ გაპოზივლი**  
გ... ტ...ს.

ერთხელ კიდევ გინახულებ,  
ერთხელ კიდევ გამტვივდი,  
ერთხელ კიდევ თოფითხელში  
ავევეთ ნაპირს ზღაპრულ იორის.  
ერთხელ კიდევ ალაშანსაც  
შევევეთ, ვტყყონცნით ჩუქრში ზადე,  
ერთხელ კიდევ მივცეთ თავი  
ღვთიურ ფერთა კორიანტელს.  
ერთხელ კიდევ, როცა სივრცე  
გაბრწყინდება მთვარის სხივით,  
ჩავიმუხლოთ ლელიანში  
და ვუსმინოთ ხოხბის ყივილს.  
ერთხელ კიდევ, ვიდრე მკერდში  
გული გულობს, არ მომკვდარა,  
წალმის ცეცხლზე შევწვათ მწვადი,  
გაუუსინჯოთ გემო წარაფს.  
ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ  
კახეთის მზეს მიმაფიცხე,  
ერთხელ კიდევ, ჰქენი მაღლი,  
ეს ცხოვრება დამავიწყე!

**მარტოობის მზაფრავს დღენი გულშივი**

ჩემს ღალადის თუმცა არეინ არ უსმენს,  
ენა მაინც ვერ იქნა, ვერ დავლურსმნე.  
მწამდა ღმერთი, მწამდა მიწა, მწამდა ცა,  
დრომ მუხთალმა ყველაფერი წარმტაცა.  
ვჭკვრეტ დანგრეულ ჩემს ციხეს და გალავანს,  
ფალავნობაც დრომ წამართვა ფალავანს.  
მარტოობის მზაფრავს დღენი გულცივი,  
ვარ მორევში გარჩენილი კუნძივით!

**შემკულდი, მაგრამ სულ არ მეთოროვი**

ჭირზე ჭირს მირთავ, რაც წლები გადის,  
საწუთრო ბუდევ შურის და მტრობის.  
რა თილისმა გაქვს, რა ანდამატი,  
შემკულდი, მაგრამ არ კი მეთობი!

### ქვის ხელით მკვლარის პატივშია

მესროლა მტერმა ასი ტყვია,  
 გავუსხლტი შზარავ  
 ტყვიას ასივეს, ამცდნენ  
 ცხვირწინ განსისიხეს  
 შურით ტყვექმნილმა, ერთი ტყვია  
 მესროლა მშაპაც,  
 შიგ გულში მიმხვდა,  
 ვერ ავიცილე!..

### სიმარტოვიდან მარადიულ სიმარტოვეში

ოქროა ფასი ყრუ ღუმელის, ენის არდაძერის,  
 მე კი ვერ იქნა, ქვეყნის ყაყანს ველარ მოვეშვი.  
 მაგრამ არც ვნადვლობ, როდი ვგავარ ცოცხლად გარდაცვლილს,  
 მარტოდ შთენილი სამოთხისებრ სიმყუდროვეში.  
 მარტოსულობას თვით სამეფო ტახტზეც არ გავცვლი,  
 მე ჩემს სისხლ-ხორცს ვჭვრეტ ყველაფერში, არსში ყოველში.  
 არცა მაქვს შიში, როგორც მრავალს, შიში გარდასვლის  
 სიმარტოვიდან მარადიულ სიმარტოვეში!

●  
 უცხო ხარ ახლა, უცხო ხართ იქნას  
 არცერთი სიტყვა არ მეთქვა შენთვის,  
 მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს,  
 ჩხავის და ზამთრის სიცხეს წყველს.

ზამთარი ფეხის ცერებზე მოდის,  
 აწვალებს ქარი ნეშოს და ტოტებს,  
 შორიდან მიხმობს მეგრული ოდა,  
 გტოვებ და ზამთრის თბილისსაც ვტოვებ.

გავექცე იქნებ გათოშილ მზერას,  
 გესლსა და ღიმილს მტრისა თუ მოყვრის,  
 მივდივარ, თითქოს გაეურბი ყველას,  
 მივდივარ, დროა უშენოდ ყოფნის.

და ფოთოლცკენის მწუხარი დროა,  
 (დაფნის გვირგვინი მეფისტოფელებს!..)  
 აქ ჰელესპონტის ახალი ტროა  
 ამოდ ელის თავის ტროელებს.

აქ ყველა ელის, ფიქრობს და ელის,  
 მავანი მარტს და მავანი აპნისს,  
 ნეტა ლოდინი რამეს თუ შველის?  
 (მეფისტოფელებს გვირგვინი დაფნის!..)

და ბევრი დაფნა და დაფნის მთები...  
 ტარიზი, რომი, ნიცცა, ვილები...  
 გემრიელ ლუკმას ელიან მგლები,  
 ძმას და სიმართლეს - სხვათა შვილები.

ძმა სადღა არის, ძმას მოცლა არ აქვს,  
 ფულია დრო და ფულია ძმობაც(!)  
 სიმართლე უფრო წააგავს არაკს  
 ან საახალწლოდ მორთმეულ ნობათს.


ეს ხალხი ცოდვის შენდობას ითხოვს,  
 მღვდელს არ ადარდებს წუხილი მრევლის,  
 მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს,  
 ჩხავის და ზამთრის სიცხეს წყველის.

შენ კი უცხო ხარ, მოდიხარ ლექსად  
და სიუცხოვე ზანტად მიშორებს,  
მივდივარ, ვიცი წაუვალ კერსად  
კერც ამ სიყვარულს, კერც ამ სიშორეს.

და ველარც თბილისს... მიმიხმობს რაღაცა  
შეგრული ოდა ძვირფასი სოფლის  
და მარტოობა მიმყვება ღრუკვად  
იქ, სადაც დროა უშენოდ ყოფნის.

●  
გიორგობისთვე ჩაგესახლა სულში სენივით,  
ფეხით დადიხარ...  
აგიხმიანდნენ მოყვრები და ავი ენები,  
რომ სულ მთვრალი ხარ...  
თურმე კახური შენი ხსნა და შენი შვებაა, -  
ამბობენ სხვები...  
ილაპარაკონ, ეგ სულელთა ახირებაა, -  
შენ მაინც თვრები...  
თურმე სწორფერი ხოხობივით აგიფრთხილდა,  
გაჰყვა მაისებს,  
თურმე მიენდუ უსაშველო ნოსტალგიას და  
ედელვაისებს...  
თურმე დასრულდა ყველა გზა და ყველა ზღაპარი,  
ზღვა რომ ჰყვებოდა,  
შენ კი გეგონა შემოდგომა და არც ზამთარი  
არ დადგებოდა...  
ზღვა კი ჩუმია... ვინ გაუგო ზღვას და ნაპირებს  
ანდა დინებას?  
გული? ეს გული ათას ურვას მოინადირებს,  
თუკი ინება...  
გიორგობისთვე ჩაგესახლა სულში სენივით,  
ფოთლის ტრიალით  
და ღვინის დაღმართს მიუყვები თავიქვე შენივე  
ღვინის ფიალით...

# ბანსაკუთრებული ნიშანი



მოთხრობა

# ნიშანიროსეკა

კონტროლიორი ზღურბლზე იდგა და კუბეში, ფანჯარასთან ჩემ წინ მჯდომ ქალს გამომცდელი თვალით უყურებდა. როცა ქალს პასპორტი ჩამოართვა, მაშინვე ბოლმა შემომანვა და ჩემდა გასაოცრად ლანძღვისა და ბრალდებების ნაცვლად, ჩემი პასპორტის ყველა მონაცემი გამახსენდა, პასპორტისა, რომელიც ახლა შინ, ჩემს საწერ მაგიდაზე იდო:

პასპორტის ნომერი - 50772182  
 გვარი  
 სახელი  
 დაბადების თარიღი  
 საცხოვრებელი ადგილი  
 მოქალაქეობა  
 სიმაღლე - 1,78

თვლების ფერი - მუქი ნაბლისფერი  
 განსაკუთრებული ნიშანი - არა აქვს.  
 პასპორტი ნამდვილად იდო ჩემს მაგიდაზე!

უცნაური კი ის იყო, რომ პასპორტის ნომერი და ჩემი სიმაღლე სწორად გავიხსენე, თუმცა რიცხვებისა და ნომრების დამახსოვრება ჩემთვის უოველთვის პრობლემა იყო; ახლა ეჭვიც არ მეპარებოდა მონაცემების სისწორეში. მაგრამ ეს არაფერს მშველოდა, რადგან თვითონ პასპორტი არ მქონდა თან და გაცეცებას ვიყავი, რომ სულაც არ ვდარდობდი თუ რა უნდა მექნა, მატარებლიდან ჩავსულიყავი, წინასწარ გამცილებლისათვის მიმემართა, თუ...

არა მაინც, ღმერთო ჩემო, ეს როგორ დამემართა? ის ოხერი პასპორტი თვალსაჩინოდ იდო საწერ მაგი-

დაზე. კი ბატონო, პო, კომპიუტერით დანყებული ლელვის ჩირით დამთავრებული ყველაფერი ერთად აწყვია ჩემს საწერ მაგიდაზე და ამიტომაც ზოგჯერ ძნელია რაიმეს პოვნა. მაგრამ ასეა და რას იზამ? მართო ჩემი საწერი მაგიდა კი არა, მთლიანად ჩვენი ბინა ზუსტად ასე გამოიყურება: მაგალითად, ზოგჯერ, როცა ლიმონის საწური მჭირდება, პირველ რიგში მთელი სამზარეულო უნდა გადავაქოთო. და მხოლოდ ამის შემდეგ ვპოულობ მას აკვარიუმში, როგორც იტალიური დიზაინის ვერცხლისფერ ოქტოპუსს (*Octopus vulgaris*)\*, აკვარიუმში რომ დგას და ჩვენი პატარა ოქროს თევზები უშიშრად დასრიალებენ მის მაღალ ფეხებს შორის, მაგრამ, როგორც კი მრგვალ ჭურჭელში ქვიშის ზედაპირი შეიცვლება და ეს მშვენიერი ცხოველი ნაიბორძიკებს, მაშინვე ძალიან სახიფათო ხდება პატარა თევზებისათვის.

ეს არის ძველ შენობის აღმოსავლეთით, ოვალური კუთხის ერთოთახიანი ბინა, რომელსაც დიდი, ფართო, ფანჯრები აქვს, ამიტომ მზე გვიან შუადღემდე ოთახში რჩება და საგნებს საკუთარ ჩრდილებთან ათამაშებს. ამ დროს, კაცი საყოველღეობით, უბანაღურესი საქმით არის დაკავებული. მოუხედავად ამისა, ამ თამაშში მაინც ინტენსიურად მონაწილეობს. ყველგან შეგიძლია დაინახო თავი ოთახში: ქერზე, კედელზე...

როცა მზე უკვე ჩრდილოეთისაკენ იხრება, ოთახის შუაში შემოდის ნორჩი პალმის აჩრდილი, კვეთს ოთახს

\* *Octopus vulgaris* - რვაფეხა

და კედელზე ჩამოკიდებული სურათის - რომელზედაც მამაჩემს ხელში ვყავარ აყვანილი - ერთ ნაწილს ფარავს. თავიდან ეს ის ნაწილია, მე რომ ვარ გამოსახული, და ამ შემთხვევაში სურათზე მხოლოდ მამაჩემი მოჩანს. თითქოს პალმაზე იჯდეს, ამაყი და ბედნიერი და ვარცხნილობაც პალმისებური ჰქონდეს. მერე, დაახლოებით თხუთმეტ წუთში ჩემი ჯერიც მოაწვეს, თუმცა კი სწორედ ამ დროს ჩემს სანერ მაგიდაზე დადებული მაკრატლის ჩრდილი ისარივით აღიმართება ჩემს ქვეშ და მეც შექანიკურად, მთელი ძალით ვცდილობ პალმას ჩავეჭიდო, ან საკუთარ თავს ვამხნევებ სურათზე. ამასობაში პალმა მარჯვნივ გაიჩოჩებს და მამაჩემს ისევ ხელში ვყავარ აყვანილი.

კონტროლიორი თავის მოვალეობას შეუდგა და პალოგენის პატარა ხელსაწყოთი პასპორტის ფურცლები ისე გააშუქა, რომ ჩვენც კი მოვკარით თვალი საბუთის ფურცლებში ჩამალული ლომების თავებს. მერე პატარა, არეულ ჩემოდანში, რომელიც გახსნილი, კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული, რალაც ჩაინიშნა. ამ ჩემოდნის ეპიცენტრი ვეებერთელა, მწვანე სავარცხელი იყო, რომლის სახელურიც ხმლის სადავესავით ამოშვერილიყო ჩემოდნის სახურავის შიდა ჯიბიდან. სავარცხელს ალბათ თავისი დაბურქული უღვაშებისათვის იყენებდა, რომელზედაც ერთობ დამოკიდებული ჩანდა და განუნყვეტლივ ქვედა ტუჩით ეთამაშებოდა, თორემ მისი მელოტისათვის, რომელსაც კაცო ნარბეზეამდე ჩამოფხატული ქუდის ქვეშაც კი შეიგარძნობდა, ხელის გული ნამდვილად უფრო სასიამოვნო და აბსოლუტურად საკმარისი იქნებოდა.

უცბად საშუალო სიმაღლის, მუქლურჯ უნიფორმიანი სხეული შეირხა და ქალს პასპორტი გადააწოდა, ისე რომ ფარდა, რომელიც აქამდე მარცხენა მხარზე ჰქონდა ჩამოდებული, გვერდზე გასწია და კუპის ვიზუალურ

რი სიმყუდროვე დააბრუნა კორიდორიდან შემოსული სინათლით, რომელიც ახლა ფანჯარაში ირეკლებოდა. ფანჯარამ ერთბაშად მოითხოვა კურსდღეა და ეს რალცნა რად სასიამოვნოდ იყო. ჩემი თავი თავისით მიტრიალდა ფანჯრისაკენ და მე მხოლოდღა "გმადლობთ" გავგონე, რადაც არაჩვეულებრივად გრძელი დრო, რომელიც რკინის ბორბლების ხმაში ჩაიკარგა: დგნ-დგნ, დგნ-დგნ: ხე, ხე... ხეები! დგნ-დგნ: მთა, სახლი, მთვარე... გაყინულ მდინარეში. მთიდან, მოლურჯო შუქში, ლომები ჩამორბიან ღრიალით. განსაცვიფრებელი სისწრაფით მოჰქრიან, წინ მოინევენ. ახლა მათ უკან ადამიანის ფიგურა იკვეთება, რომელსაც გაშვერილ მარჯვენა ხელში ვეებერთელა ხმალი უჭირავს, ხოლო მეორეთი სქელ ჯაჭვებს არხევს, რომელსაც ლომები ექაჩებიან. ისინი ყინულზე დგანან, მაგრამ მაინც მარდად მოინევენ წინ.

მოულოდნელად წნევა მოენარცხა ფანჯარას და გვერდზე მქროლაგი მატარებელი კარდიოგრამასავით ათამაშდა ჩემს თვალწინ. ხან გასწორდებოდა, ხან ზემოთავარდებოდა და ისევ ქვევით ეშვებოდა. მერე ისეთ დონეზე გაჩერდა, სადაც უკვე სუნთქვა მიჭირდა. მატარებლის სიჩქარე კი მატულობდა და მატულობდა, ისე რომ, დაგეშილი ლომები რამდენიმე წამით გაქრნენ. ამან ცოტა დამამშვიდა, მაგრამ სიჩქარესთან ერთად თვალსა და ხელს შუა გამიქრა ყოველგვარი ვიზუალური საყრდენი: ხე და მთა, და სახლი, და მთვარე... ისინი აღარ არსებობდნენ, აღარც მესხიერებაში და აღარც ნარმოდგენაში. საშინელი სიჩქარით მივექანებოდი რალაც სიცარიელეში, რომელშიც მონოტონურად სწორი ხაზი ახლა მხოლოდ ტოტალური უძრაობის განცდას განმიმტკიცებდა.

"- შენ ახლა შეგიძლია ადგე და კუპე დატოვო", - ჩამესმა უცებ დახმული ხმა.

"- როგორ?.. რატომ?" - აღმომხდა უნებლიედ, თუმცა შევამჩნიე, რომ

პირი საერთოდ არ გამოიღია. ამ უჩვეულო ფაქტმა მაიძულა, იგივე სიტყვები კვლავ გამემეორებინა; თან ამ უცნაურ ხმაზე ვფიქრობდი: საიდან მოდის-მეთქი და საერთოდ, მე მეხებოდა ნათქვამი თუ არა, არც ის ვიცოდი. მიუხედავად ამისა, მოვიხდომე და პირველი სიტყვა, "როგორ", ისე ხმაამოვღა ამოვთქვი, ჩახველებას უფრო რომ ჰგავდა. ამან ყურადღებიანი კონტროლიორის კონცენტრაცია დაარღვია. მან შემომხედა და მე იძულებული ვიყავი თავის შესანიღბავად რამდენჯერმე ნამდვილად ჩამეხველებინა და მისთვის მეგობრულად გამეღიმა (ეს, ალბათ, საკმაოდ სულელურად გამოჩნდა), რის შემდეგაც კონტროლიორი კვლავ თავის საქმიანობას მიუბრუნდა.

ამჯერად მას ხელში ეჭირა მწვანე პასპორტი, რომელიც, ალბათ, იმ თვალდახუჭული კაცის იყო ქალის გვერდით რომ იჯდა და, ნიკაპს მაღლა სწევდა რადგან, ქალი პერანგის საყელოს უსწორებდა. ვერ გამიგია, რისთვის ჭირდებათ ქალებს ასეთი "მზრუნველი" ფესტი ანდა რატომ ატარებენ ბოლმე კაცები ქალების ჩანთას. თუმცა მესმოდა, როგორ არ მესმოდა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის ხალისი არ მქონდა. გარდა ამისა, ჩემი ყურადღება ქალის მკვეთრმა მოძრაობამ მიიქცია, რომელმაც ერთმანეთზე გადადებული ფეხები გაასწორა და კმაყოფილმა ხელები კალთაში ჩაიხყო. მისი მთლიანი ფიგურა ახლა სრულიად უმნიშვნელო გახდა, რადგან მე უკვე აღმოვაჩინე ის რასაც მთელი ჩემი არსებით ვეძებდი. ეს იყო მისი მუხლები, ძვლიანი მუხლის თავები, რომელზედაც მუქი შავი წინდები აქა-იქ ჩრდილებივით ფერმკრთალდებოდნენ და წინა ფეხებზე დაბჯენილ საიდუმლოს შესასვლელის დამცველ რომელიც უცხო ცხოველის ორ დახრილ თავს მოგაგონებდათ. ძალიან სასიამოვნო სუნი მოდიოდა მისგან, ინტენსიური და მიმზიდველი, თუმცა მისი მუქი ლურჯი, მკაცრი არსება დისტანციასა და კრძალვას ითხოვდა.

ვხედავდი ამ შესასვლელს და ვგრძნობდი, რომ მიუხედავად უცხო ცხოველის მუქარაინი გათვგნობისა, რალაც მაინც არსებობდა, რისი საშუალებითაც უბრალო კოლმეიდუმლო და ამძესასველში მდგნეაქ იყო რალაც თამაშის მსგავსი და ამ ამბავმა ჯოტბაგმასლისა, მაგრამ მთლიანად ამ გრძნობას რომ მივცემოდე მაინც არ გამოიდიოდა. ამის მიზეზი მეორე შესაძლებლობის ქვეცნობიერი იმედი იყო, რომელიც უჩვეულო ხმამ გამოიღვიძა.

"- რალაც თქვენს ვიზას ვერ ვპოულობ", - თქვა კონტროლიორმა და მარცხენა ხელი, რომელშიც მწვანე პასპორტი ეჭირა, ოდნავ ასწია. ამ ნუთში მხოლოდ მისი სახის ქვედა ნაწილი და ლურჯი ქუდი ჩანდა. მისი თვალები და ცხვირი პასპორტით იყო ფარული. იგი გამოიყურებოდა როგორც მოლაპარაკე პასპორტი, როგორც თავისთავად მოლაპარაკე სახე კანონისა, მიმიკის, სილბილის გარეშე, ყალბი და გახვეებული.

"- სულ ბოლოში უნდა იყოს", - ნაიგრძელა ქალმა კისერი, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, სად იყო ეს "ბოლოში" და თან თავის ხელჩანთას დასწვდა. მან ჩანთიდან საჩვენებელ და შუა თითს შორის გაჩრილი სიგარეტი ამოიღო და რალაცის ძებნას შეუდგა.

უნებლიედ ჯიბიდან სანთებულა ამოვიღე, მისი სიგარეტიანი ხელის წინ დავიჭირე და ავანთე, რაზედაც ქალს რბილი და მორიდებული "ოპ" აღმოხდა. იგი სანთებელისაკენ დაიხარა, ღრმად შეისუნთქა და უკან გადახრისას ოდნავ თავის დაკვირვით მაღლობა გადამიხადა, თანაც თვალები ნელა დააფახურა. მერე შესუნთქული ბოლი სიამოვნებით გამოუშვა, ისე რომ ბოლის ნაკადი ჩემსა და კონტროლიორს შორის, რომელიც ახლა მის მეუღლეს მიშტერებოდა, გაიშალა და ზოგიერთ ადგილას გამჭვირვალე კედლად გადაიქცა. ახლა მხოლოდ ქალის მარცხენა ნაწილი მოჩანდა, თავის გარეშე, მხრ-ჩოლავი სიგარეტი თ ხელში.



"- იცით რა, - მიმართა მან "კედლის" მეორე მხარეს კონტროლიორს, - ჩემი მეუღლე 21\30 სთ-ზე წეგება ხოლმე, რადგან ის ყოველთვის დროზე უნდა იყოს ადგილზე. ახლა, მაგალითად... ისევ ათს სამი წუთი აქლია, თუ იმას არ მივაქცევთ ყურადღებას, რომ..."

ქალი სიცილით განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმოდა, რადგან აღნიშნული დრო ძალიან მეუცხოვა. როგორც ყოველთვის, მატარებელი განრიგის მიხედვით 21\45 ადგილზე ჩადიოდა. ახლა კი უკვე 21\57 იყო. ნუთუ გავცდი ჩემს გაჩერებას? ეს გამორიცხებულია... რა, უკვე გადავცდით საზღვარს? ალბათ, მატარებელი ცოტა აგვიანებს. მაგრამ, რატომ არაფერს აცხადებენ?

სწორედ ამ დროს, როცა ქალის მავჯის საათზე დრო უნდა დამეზუსტებინა, მისი ხელი აინია და "კედელს" მიღმა გაქრა. ისევ წამოვიდა კვამლის ნაკადი მეორე მხრიდან და ხერეღში, რომელიც ჰაერის ნაკადმა წარმოშვა "კედელზე", ქალის სახის წინ, მავჯის საათი დავინახე. საათის თავზე მხოლოდ ქალის მოციმციმე თვალებს ვხედავდი (ხერეღიდან ქალმაც დამინახა). ციფერბლატი 20\57 აჩვენებდა და ეს დრო, თითქოს გადაიდებულად ქალის თვალებში ირეკლებოდა.

"- ეს რა უბედურებაა!" - გავიფიქრე და თავს ძალა დავატანე დრო კიდევ გადამესინჯა. ერთ ხანს უნდა მომეცადა, რადგან "კედელი" ისევ შესქელებულიყო და არაფერი ჩანდა. ახლა ისევ იმ ხერეღს ველოდებოდი. მოულოდნელად საათიანი ხელი კედლიდან გამოვიდა და ამკარად დავინახე, რომ 21,58 სთ. იყო.

ჩემს გაურკვეველობაში ხელი საათის ქანქარად მეჩვენებოდა, რომელიც აქეთ-იქით ქანაობდა. ამაზე კედლის საათი გამახსენდა, სოფელში რომ გვექონდა, ბებიამჩემთან. ეს მშვენიერი საგანი სასტუმრო ოთახში ეკიდა, სადაც მე მეძინა ხოლმე პატარაობისას, როცა არდადეგების დროს

ბებიასთან ვიყავი. ძილის წინ საათის ნიკნიკს ავყვებოდი ხოლმე და დაახლოებით სამოცდაათამდე ვითვლიდი. მერე კი აღარც ნიკნიკი მესმოდა, ციფერბლიც ირეოდნენ და ვიძინებდი. დღეობით ისევ საათის წნაწილები მხატვრობდა, როცა ან რვაჯერ დუნდას შემოპარავდა თვალს ვაეახებოდი და საათს მეხედავდი, ჩემი საწოლის პიდაპირს კონილის თავზე პატარავო

შკივით კედელზე რომ ეკიდა. მისი ციფერბლატი დიდ თვალად მეჩვენებოდა, ხოლო საათის ქვედა ნაწილს გადებულ პირს გამსგავსებდი, რომელშიც ქანქარა, როგორც გრძელი ენა, გამოუთქმელ დაღლილობას გამოხატავდა და აქეთ-იქეთ მოძრაობდა. მექანიკურად აედევნებოდნენ ხოლმე ჩემი თვალები ქანქარას. თავიდან მსიამოვნებდა, მაგრამ მერე და მერე, რალაც შიშისა და სიხარულის შერეული გრძნობა მომიცავდა ხოლმე. ხშირად სწორედ ამ დროს ვაისმოდა ბებიამჩემის ხმა: - დემი! ძვირფასო, გაიღვიძე უკვე? - ეს ყოველთვის მშველოდა, მინდოდა მეყვირა, "კი"-მეთქი, მაგრამ რომ ვიცოდი, მარტო აღარ ვიყავი, ისევ "ტილოთი" მინდოდა დაეკავებოდი და თვალს ვხუჭავდი; თავს ვიკატუნებდი, ვითომ მეძინა. ბებისა ნახი კოცნა შუბლზე პომადისფერი სინითლით ქათქათა "ტილოზე" გადადიოდა და უნებლიედ ამოვილულულულებდი: - ჰო, ბები, ჰო, ცოტა ხანი კიდევ რა. - ამის გაგონებაზე ბებია კიდევ დააჭდობდა "ტილოს" თავის ტუჩებს და "კარგი, კარგი გენაცვალეს" ძახილით, ოთახიდან გადიოდა. მაშინვე ვცდილობდი ისევ ქანქარას ავყოლოდი, მაგრამ აღარ გამოდიოდა, რადგან "ტილოზე" ორჯერ აღბეჭდილი ტუჩები ხელს მიშლიდა. სხვათა შორის, ეს "ტილო" ახლა ჩემი სანერი მაგიდის თავზე ჰკიდია, როგორც უნივერსიტეტის დამთავრების საჩუქარი ბებიამჩემისაგან. როცა მკითხა რა გარეუქო, მის წინ 70x50 ზომის ტილო დავიჭირე და ორჯერ ვაკოცინე.

ახლა ქალის ხელს ამ საათის ქანქარას ვადარებდი, თვალს არ ვაშორებდი და მაშინდელი შერეული გრძნობა ისევ ნამოტივტივდა. მაგრამ, როცა ხელი ისევ გრაციოზულად მოძრავი კედლის მიღმა გაუჩინარდა და აღარ გამოჩენილა, ყველაფერი შეიცვალა.

ეს ნამი შვავდა პაუზას "ტიკსა" და "ტაკს" შორის, ელიფსური ფორმის სივრცეში, სადაც ახლა ვილაც კაცი შემოვიდა:

"- შენ კიდევ აქა ხარ?... მე ხომ გითხარი, შეგიძლია ადგე და კუპე დასტოვო-მეთქი. ვერ გაიგონე, შა?" - მითხრა.

"- კი მაგრამ, როგორ... რატომ?" - მივუღე მე.

"რომელია ახლა მაგ ორიდან, "როგორ" თუ "რატომ"? თუმცა პასუხი რომ არ გქონდეს, ამ ნაწილს შენთვის არ გადადებდი", - მან ქალის მარცხენა ნაწილზე მიმითითა და მერე ზემოდან დააჯდა ისე, რომ ჩემს წინ ახლა ადამიანის მთლიანი ფიგურა იჯდა, ნახევრად ფორთოხლისფერი და ნახევრად ლილისფერი, შავი პატარა წინწკლებით.

"- საიმოვნებით ძვრება კაცი სხვა ადამიანის როლში, - განაგრძო მან. - და როცა საქმე საკუთარს ეხება, მაშინ აღარ იცის, რა უნდა ქნას".

"- რას გულისხმობ?" - ვკითხე მე.

"- აი, შუბლს რომ გაგიხვრიტავ ახლა, მერე მიხვდები, რასაც ვგულისხმობ. თუმცა, შენც ეგ არ გინდა! მაგრამ შენ ხომ უკვე აქ აღარ ხარ", - თქვა მან დამცინავად და ჩემკენ გადმოიხარა. მე შუბლზე რაღაც ცივი ვიგრძენი.

"- ბოლოს და ბოლოს ვინ ოხერი ხართ?" - აღმომხდა მე და სახეში შეეხედე: რაღაც საოცრად ნაცნობი მომჩვენა მისი სახე, მაგრამ ვერ გავიხსენე, ვინ უნდა ყოფილიყო.

"- მე ვარ უეჭვიანესი რესტავრატორი. შენგან განსხვავებით, ნაწილებს ვაერთებ სტრუქტურის მიხედვით. უპირველეს ყოვლისა კი, მე "თქვენ" კი არა, ყოველთვის "შენ" ვარ..." დუნ-და, დუნ-და," - დაიყვინძა

და ქალის ხელი ისევ გამოჩნდა, მერე მისი მთელი ფიგურა და მერე მისი ქმარი, რომელიც ზუსტად ისევე იჯდა, როგორც წინათ, მაგრამ ახლა არაჩვეულებრივად შვავდა მე.

ჩანდა, კონტროლიორს კაცის პასპორტის შემოწმება დაეწყო, ახლა იდგა ფეხებზე ჩაჩხული და ისევ თავის ჩემოდანში ძევექებოდა ხანდახან, სწორებს ქვემოთნ გამომხედავდა ხოლმე და ეშმაკურად გამიღიმებდა, თითქოს ყველაფერი იცოდა, რასაც ახლა მე განვიცდიდი. საერთოდ, კუპეში მსხდომნი შეფიცულებად მეჩვენებოდნენ. მათ რაღაც იცოდნენ და აუხსნელი მიზეზის გამო არ მავგონებდნენ. - ვითომ იცინა, რომ პასპორტი არ მაქვს? - გაეფიქრე მე, - თუ უკვე შემამოწმეს? რატომაც არა? ეს კაცი რომ გამოიღვიძებს, იგივეს პკითხავს თავის ცოლს. პრინციპში, ეს კაცი აქ კი არ არის, არამედ, როგორც მისმა მეუღლემ თქვა, თავის, ასე ვთქვათ, იმუნურ დროში იმყოფება...

ამ მომენტში ქალსა და კონტროლიორს შორის საუბარი გამახსენდა და რეგისტრირებული დიალოგი ზუსტად აღდგა ჩემს მეხსიერებაში.

ჩემი მცდელობა, ძალა მომეკრიბა და არსებულ სიტუაციაში გავრკვეულიყავი, ნელ-ნელა ჩაინავლა. მე ვიმყოფებოდი იმ კუპეში და იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც არ არსებობდნენ. ძნელი იყო ამის დაჯერება, მაგრამ როცა უკვე ინგლისელ რეჟისორ, მისტერ ჯორჯ ჰიუსტონთან, ემიგრანტებზე ფანტასტიური დოკუმენტური ფილმი რომ გადაიღო, ნარმადგინეს, მაშინ ამ ფაქტის უარყოფის ცნობიერი მცდელობის ყველანაირი კვალი გაქრა. მისტერ ჰიუსტონს ხელი ჩამოვართვი და შევეცადე მთელი ჩემი მისდამი სიმპათია გამომეხატა, ოდნავ მოვიხარე და მარჯვენას მარცხენა ხელიც მივაშველე.

პრინციპში, იგი სწორედ ასეთი ნარმომედგინა, როგორც ახლა ჩემს წინ იდგა: ტიპიური ნორდითი, თხელკიდურებიანი და მალალი. გრძელი

სახე ჰქონდა, რომელზედაც სახასიათო ყბის ძვლები და სწორი ცხვირი, ისედაც ცოცხალ თვალებს მკვეთრსა და გამჭოლ მზერას ანიჭებდა. მხოლოდ ოდნავ უფრო შავფერი კოსტუმი და შავი ფეხსაცმელი ზუსტად ესმებოდა იმ ფერსა და ტონს, რომელსაც მისი მოკლედ შეჭრილი და უკან გადავარცხნილი თმა ერქმედი კიდე უსვამდა ხაზს.

"- ღმერთო ჩემო, რა მსგავსებაა! თქვენ ზუსტად მასავით გამოიყურებით, - ნამოიძახა მისის პიუსტონმა, და ხელი გამოიმინოდა. - სწორედ თქვენი ხნის იყო, როცა გავიცანი. რა საოცარია?" - მიუბრუნდა იგი თავის მუღულეს, რომელიც გვერდიდან მაკვირდებოდა.

"- ნამდვილად, ნამდვილად, მაგრამ, ვფიქრობ, ეს უკეთესი ვერსიაა. ასეც უნდა იყოს, გენი განუწყვეტელი იხვეწება თაობებში და თავისი ინდივიდუალობის ნიშნად ყოველთვის სათანადო ფორმას ირჩევს. მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით... დალილი ჩანხარ ჩემო მეგობარო, უმჯობესი იქნებოდა ცოტა დაგესვენა და მერე ჩაიზე ჩამოსულიყავი. ამასობაში სხვებიც მოვლენ", - თქვა მან და მაშინვე იმ კაცს მიუბრუნდა, შემოსასვლელთან რომ იდგა: "- დაგლას! აჩვენეთ ბატონს ოთახი." - შემდეგ პატარა ბიჭისაკენ დაიხარა, რომელიც მასტანსაცმელზე ექაჩებოდა: "- პო, შენ რას იტყვი, ჩემო ძვირფასო, უნდა დაისვენოს?" - ჰკითხა მან და პატარა ხელში აიყვანა: "- ეს ჩვენი ბენიამინია, ჩვენი პატარა ბენი" - დაუმატა მან. ბავშვმა თავი მიატრიალა და მისტერ პიუსტონის თავს უკან ჩარგო, ისე, რომ მხოლოდ მისი ბურღლუნი მესმოდა: "- პო, ეგ ისედაც ადრე მოვიდა". - ამაზე ყველამ ჩაიცინა და ბავშვმა კეფაზე კოცნაც დაიმსახურა.

დაგლასი უკვე ჩემ ნინ იდგა - მუქლურჯ უნიფორმაში გამონყობილი - და მიყურებდა. უცნაურად გამოიყურებოდა. მის სახეზე ძლივს თუ შეამჩნევდი რამეს, გარდა ბურქულვაშისა, რომელსაც იგი განუწყვეტელი ქვედა

ტუნით ექაჩებოდა, და სქელი ნარბეზისა, რომელიც თვალებს თითქმის უფარავდა. ეს, საიუქლიანად ვაპარსული სახისა და მელოტის ფონზე, რომელიც ნათურის შუქს ირეკლავდა, სამი წუთისთვის იყო, როცა ისინი ჩინეთს ასაღებლად დაიხარჯნარეკლი სახეში მომხვდა. მე შევკრთი და უკან დავიხიე. მან ჩანხარ ყელზე ჩამოიკიდა, შეტრიალდა და კიბაზე დაეჭია. მაშინ ვყვიე ისე, რომ არაფერი მითქვამს და დაგლასი მხედველობის არიდან არ გამიშვია. ის ხან აუჩქარებდა ფეხს, ხან შეანელებდა, ზოგჯერ გარბოდა კიდეც, შორიდან მოიხედავდა, დამიცდიდა და როცა მიუახლოვდებოდი, ისევ გარბოდა.

კიბეს ბოლო არ უჩანდა. ძალიან დალილი ვიყავი და გადავწყვიტე ნელი ნაბიჯით მევლო, თან სურათები დამეთვალეირებინა, ყოველ ნაბიჯზე რომ მხედებოდა.

ეს იყო უძველესი, ფერგადასული სურათები, უმეტესად პორტრეტები, რომლებიც ჩემთვის უცხო იყო, მაგრამ, როცა ვაკვირდებოდი, უცნაურ სიახლოვევას შევიგრძნობდი. შიგადაშიგ ცნობილი პიროვნებების სურათებიც გამოერეოდა, რომელთა შესახებ მხოლოდ თუ გამეგონა ან ნამეკითხა რამე და კრძალვა და მონინება გამჩენია. ახლა კი ამ დისტანციის ნატამალსაც ვერ ვამჩნევდი. პირიქით, რასაც ახლა ვგრძნობდი, ეს იყო რაღაც გამოუთქმელი სიახლოვე, რომელიც ერთდროულად სამიშიც იყო და გამამხნევებელიც ამ სიჩუმეში, შორეული ფეხის ხმის ექო რომ არღვევდა მხოლოდ.

უცებ ჩემი ყურადღება ერთმა სურამამ მიიპყრო, რომლის მინაც ნითლად ჯვარედინად იყო გადახაზული, ისე რომ X-ის ცენტრი სურათზე აღებჭყლილი პიროვნების ზედ სახეზე მოდიოდა. ცოტა ხანს შევჩერდი და დავაკვირდი. აღმოჩნდა, რომ ეს საფრანგეთის მეფე, ფილიპე IV იყო, ფილიპე ლამაზად წოდებული. მეცნაურა. ამ სურათმა მონასტრის რაინდების ის-

ტორია გამახსენა, რომელთა ორდენს საფრანგეთში ამ მეფემ თავის დროზე მუსრი გააელო. მერე მოლაპარაკე თავის ლეგენდაზე დავიწყე ფიქრი და შეშინებული გავშორდი სურათს.

ფიქრში ჩაკარგულმა გზა განვაგრძე: "- იქნებ მისტერ ჰიუსტონი?... ჰო, შეიძლება, მაგრამ ბაბუაჩემი არ ყოფილა, ნამდვილად არ ყოფილა" ვირწმუნებდი თავს და ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი ბნელ დერეფანში, სადაც საიდუმლოებით მოცულ შესასვლელებს მკრთალი შუქი ანათებდა. ბაბუაჩემის სახელი ყოველგვარი ისტების, იზმებისა და საიდუმლო საზოგადოებებისაგან განცალკევებით მინდოდა მქონოდა. და ნამდვილად ვიცოდი, რომ ასეთი იყო ის, კაცი არანორმალური ნების ძალით, რომელიც უსამიწელესმა რეჟიმმაც ვერ დააჩოქა. ოთხი დღის განმავლობაში (ოთხი დღის განმავლობაში) მარგანეციან ტომარაში იჯდა გემზე და ასე გაიქცა სამშობლოდან. მოკლე ხანში ის პარიზის საპატიო მოქალაქე გახდა და მერე ირანში გადავიდა, სათავეში ჩაუდგა კინომრენველობას, რომელიც მალე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახდა ქვეყანაში და მოგვიანებით ყველა მსგავსი დანესებულება შეიერთა...ყოჩაღ, შე ტალიკო ბიჭო! როგორ შესძელი ასე ჩუმად, მიზანდასახულად და ყოველგვარი ამქვეყნიური დახმარების გარეშე ბედისთვის გადაგესწრო?! მარტო იყავი, მარტო ლოცვასთან ერთად, რომელიც სოფლის პატარა ეკლესიამ საგზლად გაგატანა...

უნდა გავჩერებულიყავი, რადგან ვილაცამ, ბოლო შესასვლელს რომ ჩავუარე, ხელი დამიქნია. უკან დავბრუნდი, მარჯვნივ მკრთალად განათებულ, გრძელ დერეფანში შევუხევი და იმისკენ გავემურე, ვინც ხელს მიქნევდა. კედლები მოხატული იყო თუ ფიზიკური რუკებით მოფენილი, ძნელად გაირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში, წინ ნასვლა ჭირდა. ნელ-ნელა, ხან აღმა ავდიოდი, ხან თავქვე ვეშვებოდი, მერე რალაც რუხი, მშრალი მიწის ზედა-

პირი ამოიპართა. ევებერთელა მზარე ბიუფსკრულის უმონკლო ნახებებით მოჩანდა მარცხნივ და მარჯვნივ, წინ და უკან და უნდა გადამელახა. იმას, ვინც ხელს მიქნევდა, თვალს არ ვაშორებდი უკანსკრულ მომენტამდე, თორცა უკვე დარეგნეს ბოლოში რალაც კარის წინ აღმოვჩნდი. სიქა ვაცლილი, მთლად ქვიშიანი და მტკრიანი იქ ბრავინი იყო. მთლიან წიშა ჩანთა იდო ოდნავ გამოღებული კარის წინ. "- ალბათ, ეს უნდა იყოს ის ოთახი, რომლის ჩვენებაც ამ უცნაურ დაგლასს უნდოდა ჩემთვის", - გავიფიქრე და ჩანთა ავიღე, რკინის კარი ფრთხილად შევაღე და მუქ ნაცრისფერ ოთახში შევედი. ოთახი ცარიელი იყო, მხოლოდ ერთი საკიდი იდგა შუაში, რომელზეც სხვადასხვა ტანსაცმელი ეკიდა. მათ შორის მუქნითელ ხავერდის მოსასხამს და შავ ნახევარწილას გამოარჩევდით. ბევრი ფიქრის გარეშე დავიწყე რაიმეს ძებნა, რასაც ამ მშვენიერი მოსასხამის ქვეშ ჩავიცვამდი. მალე ერთი მუქი შარვალი და კუპრივით შავი პერანგი აღმოვაჩინე, რომელიც მიუხედავად თხელი ქსოვილისა, რალაც მძიმედ მომჩვენა, მაგრამ გარეგნულად სწორედ ჩემს წარმოდგენას მიესადაგებოდა და გვერდზე გადავდე.

ის იყო ჩაცმა უნდა დამენყო, უცბად ისეთი საშინელი ჯახანი გაიქცა, რაც ხელში მეჭირა ყველაფერი ძირს დაეყარე და თითებით ყურები დავიგმანე. "- ეს რა იყო?" - გავიფიქრე და მექანიკურად, კარისაკენ მივტრიალდი. კარი მიხურულიყო. მინდოდა შემემომნებინა, გავალებდი თუ არა, და მისკენ გავემართე. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. განერვიულებული ავყვირდი, თან რკინის მუშტებს უცებ ჩემი ჩრდილი შევნიშნე იატაკზე; შემოვტრიალდი და ზემოთ ავიხედე, საიდანაც შუქი მოდიოდა. მერე ჩემი თავი შევათვალიერე და აღმოვაჩინე, რომ შიშველი ვიყავი. მინდოდა სასწრაფოდ ჩამეცვა და საკიდრისკენ

გავემართე. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კი ისევ გაეჩერდი, რადგან შევამჩნიე, რომ სინათლე მომყვებოდა, ისევ ზემოთ ავიხედე, სინათლის წყაროსაკენ, რომელიც ჩემზე იყო დაფიქსირებული და მერე ისევ ჩემს ჩრდილს შევხედე: ოდნავ ნაგრძელე-ბულიყო, მოღრეცილი თავით ჩემს გვერდით იწვა იატაკზე. ამ მდგომარეობაში კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. აშკარა იყო, რომ სინათლე დამდეგდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საითაც გავიხედავდი, სინათლეს იქით მიდიოდა. შუქის დისკო ბრუნავდა, კუთხიდან კუთხეში გადადიოდა მანამ, სანამ სხვა კარს აღმოვაჩინდი, რომლის თავზეც ეწერა: "CARPE DIEM!"\* კარს ვეცი, მაგრამ გამახსენდა, რომ შიშველი ვიყავი და შუქის თანხლებით ისევ საკიდს მივაშურე. სასწრაფოდ ჩავიცვი, მუქი წითელი მოსასხამი მხრებზე მოვისხი, ნიღაბიც გავიკეთე, ჩანთა ავიღე და კარის სახელური ჩამოვნიე.

"- აასე, ახლა თქვენი ჯერია. თქვენი პასპორტი თუ შეიძლება!" - მომმართა კონტროლიორმა, თავისი ბლოკნოტი ცარიელ გვერდზე გადაშალა და უტყვი სახით მომაცქერდა.

"- Carpe diem!" - ვუმტკიცებდი მე.

"- რა ბრძანეთ?" - მკითხა დაბნეულმა.

"- Carpe diem!" - ერთხელ კიდევ გავიმოხრე და შევატყვე, მრისხანები-საგან როგორ წამომმენტო სახე. მაგრამ მკვდარივით ვიყავი და არ ვიცოდი, კონტროლიორი როგორ მომეცილებინა თავიდან.

"- იცით რა... არ ვიცი, თქვენ რას გულისხმობთ... და თუ ხუმრობთ, მე სულ არ მეხუმრება; კეთილი ინებუთ და მაჩვენეთ თქვენი პასპორტი." - თქვა ჯიუტმა კონტროლიორმა და რაღაც ნერვიულად აიჭნია ხელი; აქეთ-იქით ტრიალებდა, შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან კარისკენ დაიხია, თითქოს გასვლა და პანიკის ატეხვა უნდოდა.

"- აი, მუბლს რომ გავიხედავდი, მერე მიხვდები რასაც ვგულისხმობ, შე..."

- ვიღრიალე მე და შემართული იარაღის ჩახმახს, რომელიც ჩემდა გასაოცრად ხელში მეჭირა, თითო გამოოკარი.

გასროლის წამად ზღუდის ყველაძა-

იმ შესაძლებლობას გადავარბა-

მხოლოდ ვაზის სურითა იდგა და კვა-

მლის ღრუბლებში კონტროლიორის

გაღმტრიალესეულს. გაოცებულთა-

ლებილა ჩანდა. მის თვალებში სიკვდი-

ლისწინა შიში ჩამდგარიყო, შიში, რო-

მელიც სხვა ადამიანებმა განიცადეს,

მან ის მხოლოდ თეორიულად იცოდა,

ახლა კი თავადაც უნდოდა განეცადა,

თითქოს ამით საკუთარი უსაშინლესი

და ყოვლისშემძლე შიშის გაჩერებას

შესძლებდა. მის თვალებში ხარბი მო-

ლოდინი, ხილვის დაუკმაყოფილებე-

ლი სურვილი ჩანდა; თვალებში, რო-

მელიც ახლა აფახურდნენ, თითქოს

რალაცას ადასტურებენო, რალაცას,

რომელიც ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ

აუცილებლად მოვიდოდა. მერე ჩაი-

კეცა, იმ სკამზე, სადაც მძინარე კაცი

იჯდა, რომელიც ახლა ფხიზლობდა,

ჩემკენ გამოწვდილი ხელებით აღფრ-

თოვანებით ტაშის უკრავდა და ბრაფო-

ბრაფოს გაიტახოდა. მერე ბევრი სახე

აირია ერთმანეთში. ისინი ყვიროდნენ

და რალაცას არკვევდნენ, ინტენსიუ-

რად სუნთქავდნენ და, თქვენ წარმო-

იდგინეთ, ტიროდნენ კიდევ.

მე უკვე აღარაფერი მესმოდა და ვე-

ლარაფერს ვხედავდი კვამლის ღრუბ-

ლების გარდა, რომლებიც კუპის კარის

ღრიჭოსაკენ ზანტად მიიწევდა.

კარი გამოვალე თუ არა, მაშინვე

კვამლი გამოვარდა და მერე, როცა

ხედი დაინმინდა, უკვე პატარა ოთა-

ხში ვიდექი. ეს იყო ჩვეულებრივი სა-

სტუმრო ოთახი, ყველაფრით განყო-

ბილი, პირველ რიგში კი - ვებერთე-

ლა საწოლით. ეს ახლა ყველაზე მნი-

შვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან

ისეთი დაღლილი ვიყავი, ფეხზე

ძლივს ვიდექი. ჩანთა ძირს დავავადე

\*იხელთე დღე (გამოიყენე სიცოცხლის ყოველი წუთი)

და სანოლზე დავეშე, რომელიც მართლაც ისე რბილი აღმოჩნდა, რომ ძალიან მალე ჩამეძინა, მშვიდად და მსუბუქად, სიზმრის გარეშე.

რომ გამომეღვიძა, სწრაფად აუდექი, თავი მოვიწესრიგე, ჩანთა ავიღე და იქით გავეშურე, სადაც მისტერ ჰუსტონი მელოდებოდა. "ჩაი ახლა მართლა კარგი იქნება, - ვფიქრობდი გზაში, - და, რაც მთავარია, ჩვენ ბევრი გვაქვს სალაპარაკო. დამწყობისათვის ბევრი რამის გაგება და სწავლა შეიძლება მისგან. ამას ისიც ემატება, რომ ბაბუაჩემის კარგი მეგობარია. ამ მეგობრობას აზრთა და შეხედულებათა განსხვავება სულაც არ უშლის ხელს. ერთი სხვაა და მეორე სხვა. ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი ძალიან საინტერესოა და მიხარია, მასთან რომ უნდა ვისაუბრო. ჰმ, პატარა ბენიამინი, რა ეშმაკია... ვნახოთ, რა იქნება."

უკვე იმ ოთახის კარის წინ ვიდექი, სადაც მელოდებოდნენ. სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ფეხის ხმის შორეული ექო ისმოდა. მივყურადე და ვიფიქრე, რომ ეს ხმა ოთახიდან გამოდიოდა. სახელური გამოვნიე და როცა კარი ჩემს უკან მივხურე, უცებ გამაყრუებელი ხმები გაისმა, რომლებიც "ბრაავო! ბრაავო!" ყვიროდნენ. ოდნავ განათებულ სივრცეში ხალხმრავალ პუბლიკას ვხედავდი, რომელიც მე მიყურებდა და ტაშის ცემით, ბრაავოს ძახილს აგრძელებდა. მერე მისტერ ჰუსტონი მოვიდა ჩემთან, მთლად თეთრ ტანისამოსში გამონყობილი. ნახევარნიღაბი მოიხსნა და მომესალმა, თან ოდნავ დაიხარა და ხელი პუბლიკისაკენ გაიშვირა:

"კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჩემო მეგობარო, მოგესალმები ყველას სახელით!"

"- მიიღეთ ჩემი სალამიც," - აღმოვთქვი დაბნეულმა და უსიამოვნო პაუზის შემდეგ გადაცმულ არსებებს შევერიე, რომელნიც უმეტესად ღია ფერის ტანისამოსში იყვნენ გამონყობილნი და ნახევარნიღბების მიღმა იმალებოდნენ. ისინი მიღიმო-

დნენ, მესალმებოდნენ, ხელს მიქნევდნენ და მხარზე მიტყაპუნებდნენ. ერთმა შამპანურის ჭიქაც კი მომანოდა და ჩვენ სპონტანურად გამარჯვების დავდევეთ. ეს ყოველივე ძველი ვარსკვლავი აქტივობების რიგი განწყობილებით და მეც თავს ძალიან ვარჯად ვგრძნობდი.

"ჩაპუნი - ნამოვიყვრე მე, როცა ბენიამინმა გვერდით ჩამოიწია. ერთ ნუთს მოიცა. აბა ნახე, რა მაქვს შენთვის." - ჩანთა გავხსენი და ჯერ სათამაშო მატარებელი ამოვიღე ვაგონ-ვაგონ და მერე ადამიანის პატარა ფიგურები. ბენიამინს ძალიან გაუხარდა და მაშინვე სათამაშოს აწყობას შეუდგა მაგიდაზე, სადაც ჭიქები და რამდენიმე ბოთლი წითელი ღვინო ელაგა. ჩვენ ეს ყველაფერი გვერდით მივწინეთ და ბავშვი მთლიანად სათამაშოში ჩაეფლო.

მატარებელი უკვე აწყობილი იყო და ახლა პატარა ფიგურებს ვანანილებდით. "აი ასე, - ასწავლი ბენიმ ერთი ფიგურა, - ეს მძლოლია - თქვა მან და ფიგურა სულ პირველ ვაგონში შესვა. "- ასე! ახლა, კაცმა რომ თქვას, გამცილებელი უნდა ვიპოვოთ, - განაგრძობდა ის, მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი, რადგან, მისტერ ჰუსტონი გამომელაპარაკა და მას მივუბრუნდი. "- მე მინდა სახელდახელოდ ჩემი სტუმარი წარმოგიდგინოთ, მეტისმეტად კულტივირებული სული, ისეთი, რომ მოკლე საუბარშიც კი შეიცნობთ მის სპეციფიკას და დააფასებთ მას", - თქვა მან და რამდენიმე წამში გავგმორდა.

ჩემ წინ იდგა არსება, რომელსაც ორფერა კაბა ეცვა. ერთი ნაწილი ფორთოხლის ფერი იყო, მეორე კი ლილისფერი, შავი წინკლებით. მან თავი დამიკრა, ხელი ჩამომართვა და თქვა: "- მოხარულნი ვართ თქვენი გაცნობისა."

"-მეც ასევე," - მივუგე მე და ჩემი ჭიქის აღება დავაპირე მისაჭახუნებლად. როცა ისევ მოვტრიალდი, ახლა მისის ჰუსტონი იდგა ჩემ წინ:

"გავგიმარჯოს, ჩემო ძვირფასო, - თქვა მან და ოდნავ მოსვა. - ოჰ! რა მშ-

ვენეერია," - დაიხარა იგი ბენიამინი-საკენ, ისე რომ ჩემთვის რამის თქმა არ დაუცლია.

მატარა მთლად მოხიბლული იყო სათამაშოთი. მატარებელს ხელით აგორავებდა ჭიქებს შორის და მთელი ხმით ორთქლმავალს ბაძავდა. მერე გააჩერა და საყვირის ხმა ამოუშვა.

"- მგონი კიდევ ვილაც მოვიდა, წინ რალაც ახმაურდა ხალხი," - თქვა მისის ჰუსტონმა და ნამოიმართა.

"- ჰო, ჰო, - გაჰყვიროდა ბენიამინი. - ის არის, ის, გამცილებელი, მისი გულისთვის გავაჩერე სწორედ." - მან კიდევ დააყვირა საყვირი და მეორე ხელით ფიგურა ჩვენსკენ, მაგიდის კიდემდე მოაჩოჩა.

"- აბა, მამ შენი გამცილებლისა იყოს," - თქვა მისის ჰუსტონმა და თავისი ჭიქა ფიგურას შეახო.

ბენიამინმა თავის მხრივ ფიგურა ზევით ასწია და ჯერ მისის ჰუსტონის ჭიქას შეახო და მერე ჩემსას.

"- ახალ სტუმარს გაუმარჯოს," - ვუთხარი მისის ჰუსტონს და მიუჭახუნე. - გაუმარჯოს, - გაიმეორა მან და ისევ მოსვა. შემდეგ ორივენი სხეებისაკენ ვავეშურეთ, რომელნიც ისევ ხმამაღლა ყვიროდნენ და ტაშს უკრავდნენ.

ჯგულითი იყო და მოძრაობა ჭირდა. ზოგჯერ სხვადასხვა თავები ჭრიდა მზერას და ზოგჯერ კი ვინმე ისე მომეკრობოდა, რომ იძულებული ვიყავი, უკან დამეხია: მისის ჰუსტონი უკვე აღარ იყო ჩემ გვერდით; იგი ტალღამ წინ გაიყოლა. მეც ვცდილობდი წინ მდგომთათვის როგორმე გვერდი ამევლო და აქეთ-იქით ვანყებოდე.

უკნიდან მზრებზე უცებ ორი ძლიერი ხელი ვიგრძენი, რომლებმაც გამაჩერეს. შევდექი, მობრუნება მიწოდოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს კედელზე სინათლის წრე გაჩნდა და ჩე-

მი მზერა გააშუშა. მერე სრე ჩვენგან მარჯვნივ გაიწია, მერე მალლა და მერე ჩვენ მოგვენათა. "- არ გაინძრე, თორემ შიშით გული გაუსკდება," - ჩამჩურჩულა ხმამ უკნიდან. მე გმ სმას დავემორჩილე და ვიძინე, რომ ჯერ ყველაფერი ღია ყვითელი გახვია და თანდათან კეთილმე ვადამი ხარდა, უფრო უღობაშდე დაე რომ მხოლოდ სინათლის წრის კონტურს ვხედავდი.

მერე შევამჩნიე, წრის მიღმა ღია კარში როგორ გაილაღა რამდენიმე ფიგურა. წრე სწრაფად დაცურდა მათი მიმართულებით, მაგრამ ისინი მყისვე შეჩერდნენ და წრეც დამშვიდდა ცოტა ხნით.

ჩვენ კედელ-კედელ მივდიოდით, მალლა-მალლა, ჭერამდე და ერთ კუთხეში შევჩერდით, ფანჯრისაგან ოდნავ მოშორებით. უცებ ვილაცამ, რომელიც სინათლის წრის გვერდით იდგა, ფანჯარას ჭიქა ესროლა და გაისუსა. სინათლის წრე ჩამსხვრეულ ფანჯარას მიასკდა და... მოულოდნელად ფანჯრიდან გადავარდა.

"- ამას მაინც ნულა დაინახავ," - ჩამჩურჩულა ხმამ და მერე ძლიერმა, ეგებერთელა ხელმა დაფარა ჩემი სახე.

თითებსა და თითებზე შორის ჭუჭრუტანებიდან ჩანდა განათებული, თეთრი ფიგურები, რომლებიც სასაფლაოზე გავლით, მახლობელი ტყისკენ მიიჩქაროდნენ სინათლის წრის თანხლებით, რომელიც იმავდროულად საფლავის წარწერებს, როგორც ფილმის ტიტრებს, ისე ანათებდა:

რევისორი მისტერ ჰუსტონი  
მისის ჰუსტონი  
ბენიამინი  
ორფერა კაბიანი ფიგურა  
გამცილებელი  
ბაბუა /მვილიშვილი დემიანი/  
დასასრული

ულისა

80-17 აპრილი

„ითაქა“

თარგმანი და კომენტარი  
ნიკოპოლისაშვილისა

ქართული  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

რა პარალელური გეზი აირჩიეს ბლუმმა და სტივენმა უკან დაბრუნებისას?

ერთად დაიძრნენ ნორმალური მოსეირნე ნაბიჯით ბერისფორდ პლეისიდან და გზა განაგრძეს ამ თანამიმდევრობით ქვედა და შუა გარდინერ სტრიტით და მაუნტჯოის სკვერით, დასაკლეთისაკენ: შემდეგ, შენელებული ნაბიჯით, ორივემ გარდინერ პლეისის ვაკლით ტემპლ სტრიტის კუთხემდე, შეცდომით, მარცხენა მხარე დაიჭირა: შემდეგ შენელებული ნაბიჯით, შეჩერებებით, თანდათან მარჯვნივ დაიწიეს ტემპლ სტრიტით პარდუოკ პლეისამდე, გზას განაგრძობდნენ, ესოდენ განსხვავებულნი, დინჯი მოსეირნე ნაპიჯით. წმ. გიორგის ეკლესიის პირდაპირ მოედანი გადაკვეთეს, რადგან ყოველი წრის ქორდა იმ რკალზე მოკლეა, რომელიც მას ეყრდნობა.

რაზე მსჯელობდა გზად მიმავალი დუემპირატი?

მუიკაზე, ლიტერატურაზე, ირლანდიაზე, დუბლინზე, პარიზზე, მეგობრობაზე, ქალზე, პროსტიტუციაზე, დიეტაზე, გაზით განათების ანდა რკალური თუ ელექტრული ნათების შევსებების შესახებ პარაკულიოტროპული ხეების ზრდაზე, ნაგვის ვეკლასათვის ზელმისაწვდომ ურნებზე, რომელთა გათლიკურ გულესიაზე, სამღველოების დაუქორწინებლობაზე, ირლანდიელ ერზე, იეზუიტურ განათლებაზე, სხვადასხვა პროფესიაზე, მედიცინის სწავლებაზე, განვილილ დროზე, წინაშაბათობის ვერაგულ ვაფლენაზე, სტივენის გულყრაზე.

აღმოაჩინა თუ არა ბლუმმა ურთიერთ-დამაანლოველებელი ფაქტორები მათ მსგავს და განსხვავებულ რეაქციებს შორის ვარე-მოს აღქმასთან დაკავშირებით?

ორთავე მგრძნობიერი იყო მხატვრული შთაბეჭდილებებისადმი, უმაღლესი მუსიკალურის, ვიდრე პლასტიკურისა ან ფერწერის. ორივე ცხოვრების კონტინენტალურ წესს ამჟღავნებდა კუნძულისეულს, ატლანტიკის აქეთა მხარეს იქითასას. ოჯახური აღზრდა-განათლების შედეგად, ორივეს მეშვეობით ერთგვარული მიდრეკილება პეტროლოქსული წინააღმდეგობებისადმი, რაც იმაში ელნიღებოდა, რომ უარყოფდნენ ბევრ ოთოლოქსულ რელიგიურ, კრონულ, სოციალურ და ეთიკურ დოქტრინას. ორივე აღიარებდა პეტროლსეკსუალური მაგნეტიზმის მონაცვალეობითი ხასიათის მასტიმულირებელ და გამომათავიანებელ ვაფლენას.

გაანდათ თუ არა რაიმე საკითხზე ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება?

სტივენი ღიად არ ეთანხმებოდა ბლუმის შეხედულებებს დიეტურ და მოქალაქობრივ თვითსრულქმნაზე, ხოლო ბლუმმა უზმოდ არ ეთანხმებოდა სტივენის შეხედულებებს ადამიანის სულის მარადიულ განმტკიცებაზე ლიტერატურაში. ბლუმმა შინაგანად მხარს უჭერდა სტივენის მიერ შემოთავაზებულ შესწორებას, რომლის თანახმადაც ანაქრონიზმად უნდა მიჩნეულიყო ირლანდიელი ერის დროიღების რწმენიდან ქრისტიანობაში მოქცევის — რაიც განახორციელა პეტრიკმა



კალპორნუსის ძემ, რომელიც იყო ძე პოტიტუსისა, ოდისუსის ძისა, რომელიც პაპმა სელესტინე პირველმა ირლანდიას მიავლინა წელსა 432-სა, ლირის მეფობაში — თარიღად დაახლოებით 260 წლის გამოცხადება, ანდა კორმაკ მაკარტის მეფობასთან დაკავშირება (266 ჩვ.წ. აღით), რომელიც სლეტიში საჰმლის არანსწორი გადავლადისაგან გაიგუდა და რესწინერიში დაკრძალეს.<sup>2</sup> გულყრას, რასაც ბლუმმა ხსნიდა კუჭის სისუსტით და ზოგიერთი ქიმიური მინარევის განსხვავებული გაზავებულობის ხარისხითა და აღკობოლური სიმაგრის შემოქმედებით და რომელიც გართულდა გონებრივი დაძაბულობისა და მოღუწებულ მღვდმარეობაში სწრაფი ბრუნვითი მოძრაობის შედეგად, სტივენი მიაწერდა დილის ღრუბლის ხელახალ გამოჩენას (ორივე რომ უთვალთვალებდა ორი სხვაგვარად წერტილდანი, სენდიკოვიდიანი და დუბლინიანი), რომელიც თავდაპირველად ქალის ხელისგულზე დიდი არ იყო.<sup>3</sup>

იყო თუ არა ისეთი რამ, რაზეც ერთი და იგივე და ამასთან უარყოფითი შეზღუდულება გააჩნდა?

გაზის ან ელექტრო განათების გავლენა ახლომდებარე პარაკელსოტროპულ ხეებზე.

უმსჯელია თუ არა ადრე ბლუმს მსგავს საკითხებზე დამსუფილი გასეირნების დროს?

1884 წელს ოვეინ გოულდბერგთან და სხილ ტორნბულთან დამის ქალაქის მაგისტრატებზე ლონგუდ ავენიუსა და ლინონარდის კუთხეს შორის და ლინონარდის კუთხესა და სინჯის ქუჩას შორის და სინჯის ქუჩასა და ბლუმფილდ ავენიუს შორის. 1885 წელს პერსი ეჯონთან ხალამოობით კრამლინში, ვიბრალტარის ვილასა და ბლუმფილდ პაუნს შორის კელელს მიგრნობილი, აპერკროსის ბარონის მამულში. 1886 წელს ზოგჯერ შემთხვევით გაცნობილ ხალხთან და შესაძლებელ მუშტრებთან, კარის ზღურბლებზე, მისაღებებში, საგარეუბნო რკინიგზის მესამე კლასის ვაგონებში. 1888 წელს ხშირად მაიორ

ბრაიან ტუილისთან და მის ქალიშვილ მისს მერიონ ტუილისთან ერთად ან ცალ-ცალკე მეთიუ დილინის რაუნდტაუნის სახლის სასტუმრო ოთახში. ერთხელ 1892 წელს და ქრისტეატი 1893-ში ჯულოუს (ჯულოუს) მასტანსკისთან ორივეჯერ მისი (ბლუმის) სასტუმრო ოთახში დასავლეთ ლონდონში სტრეიტზე.

რა აზრი გაუჩნდა ბლუმს თარიღთა უსისტემო მწკრივთან დაკავშირებით 1884, 1883, 1886, 1888, 1892, 1893, 1904, სანამ დანიშნულ ადგილს მიღწევდნენ?

მან გაიფიქრა, რომ ინდივიდუალური განვითარებისა და გამოცდილების პროგრესულ გაფართოებას რეგრესულად სდევდა თან პიროვნებათშორისი ურთიერთობის საპირისპირო სფეროს შეზღუდვა.

და მაინც როგორ?

არარსებობიდან არსებობაში ის მოვიდა ბევრთან და აღქმულ იქნა როგორც ერთი მათგანი; არსებობაში არსებული ის იყო ყოველთან როგორც ყოველი ყოველთან; არსებობიდან არარსებობაში გარდასული ის გახდებოდა ყველას მიერ აღარ აღქმული.

რა მოიძოქმედა ბლუმმა მათი დანიშნულების ადგილას მისელისას?

ეკლზ სტრეიტის შვიდი ნომრის თანაბარგანსხვავებულ კენტ ნომრებიდან მეოთხის კიბეზე მან მექანიკურად ჩაიფიხელი შარვლის უკანა ჯიბეში გასაღების ამოსაღებად.

იქ დახვდა?

დახვდა იმ შარვლის აღნიშნულ ჯიბეში, რომელიც წინა დღეს ეცვა.

რატომ შეაწუხა ამან ორმაგად?

იმიტომ რომ დაავიწყდა და იმიტომ რომ ახსოვდა რომ ვაახსენა თავის თავს არ დამავიწყდეს.

რა ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდებოდა განზრახულის საწინააღმდეგოდ (შესაძამისად) და წინდაუხედავად უგასაღებოდ დარჩენილი წვეილი?

შესვლა თუ არ შესვლა. დაკავუნება თუ არ დაკავუნება.

ბლუმის გადაწყვეტილება?

ტაქტიკური მანევრი. ჯუჯა კელზე შედგა, გალაკიანზე აბობლდა, ქედი ჩამოიფხატა, რკინის მესერზე ორ წერტილს მოეკიდა, ნელ-ნელა ჩაუშვა ეზოში სხეული თავის ხუთი ფუტისა და ცხრანახევარი დიუმის სიგრძეზე, იხე რომ მოკირწყლულ მიწამდე ორი ფუტი და ათი დიუმია რჩებოდა და მერე მისცა თავის სხეულს საშუალება თავისუფლად ემობრავა, შეუშვა რა ხელი მესერს და მოკუნტული მიწასთან შეხებისთვის მოემზადა.

ჩაეარდა?

საკეთარი სხეულის ცნობილ წონასთან შესადარისად, რაც უდრიდა თერთმეტ სტონუნსა და ოთხ გირკანტას ინგლისური ზომა-წონის სისტემის მიხედვით, რაც დადასტურებული იყო პერიოდული დამოუკიდებელი თვითწონისათვის განკუთვნილი გრადუირებული სასწორით პროვიზორის, ფრანსის ფროედმანის აფთაქში, 19 ჩრდილო ფრედერიკის ქუჩა, ამაღლების გახულ დღესასწაულზე, კერძოდ, მაისის მეთორმეტე დღესა ნაკიანი ათას ცხრას ოთხ წელს ქრისტიანული წელთაღრიცხვით (ებრაული წელთაღრიცხვით ხუთი ათას ექვსას სამოცდაოთხში, მუსულმანური წელთაღრიცხვით ათას სამას ოცდაორში), ოქროს რიცხვი 5, ეპაკტა 13, მზის ციკლი 9, საკვირაო კოდით 8, რომაული ინდიქტი 2, იულიანური პერიოდი 6617, 8 IV.<sup>4</sup>

საღსალამათი თუ ადგა დაცემის შემდეგ?

მას შემდეგ რაც წონასწორობა აღდგინა, უვნებელი წამოდგა, თუმცა ჩამო-

ვარდნისას შერყევა განიცადა, გარეთა კარის რაზმა გასწია, რუსთვისაც ძაღვის გამოყენება დასჭირდა მის თავისუფლად მოძრაე ფრეფიტაზე და პერკეტზე მის სფერულ წერტილში, წვალებით შიღწია სამხარეულში საოდაფის საუკუნაოს გაქლითაო, სახენიო ანთო ანთო "ლუცოფერი", საკეტის შეტრიალებით გახსნა გათი, რეგულირების სპეუალენით მღმერა ალი ზომიერამდე შეამცირა და ბილოს პორტატული სანთელიც აანთო.

ხურათების რა წყვეტილი თანამიმდევრობა აღიქვა სტივენმა ამასობაში?

მესერს მიყრდნობილმა სამხარეულის გამჭვირვალე მინიდან აღიქვა კაცი, რომელიც დაკავებული იყო გაზის 14-სანთლიანი ალის რეგულირებით, კაცი, რომელიც ერთსანთლიანი სიძლიერის სანთელს ანთებდა, კაცი, რომელიც სათითაოდ იხდიდა თავის ორ ფეხსაცმელს, კაცი, რომელიც სამხარეულადან სანთლით ხელში გავიდა.

კვლავ თუ გამოჩნდა ეს კაცი სხვაგან?

ოთხი წუთის შემდეგ მისი სანთლის ციმციმი შესახელელი კარის ნახევრად გამჭვირვალე, ნახევრად მრგვალ მარაოსებრ სარკმელში გამოჩნდა. შესახელელი კარი შენელებულად შეტრიალდა თავის ანჯამებზე, შესახელელის გახსნილ სიერცეში კვლავ გამოჩნდა კაცი, უქულო და სანთლით ხელში.

დაჰყვა თუ არა სტივენს მის მიერ მიცემულ ნიშანს?

დაიხ, ფრთხილად შევიდა, მიეხმარა მიეხურა და ძეწკვით ჩაერაზა კარი<sup>5</sup> და ფეხაკრეფით გაჰყვა დერეფანში კაცის ზურგს და ნაჭრის ფოტლებსა და ანთებულ სანთელს, ჩაუარა კარის განათებულ ღეროს ხელმარცხნივ და ფრთხილად ჩაჰყვა კიბის მიხვეულ ხუთზე მეტ საფეხურს ბლუმის სახლის სამხარეულში.

რა მოიძოქმედა ბლუმმა?

ჩააქრო სანთელი მისი აღის ძლიერი შეხერხით, შეზღონვისმაგვარი ფიჭვის ორი სკამი მისწია ბუხართან, ერთი სტივენი-სათვის, ზურგით ფანჯარასთან, რომელიც ეზოსკან გადიოდა, მეორე თავისთვის, თუკი ამის საჭიროება განჩნდებოდა, ცალ მუხლზე დაეშვა, ბუხრის ცხაურაზე აკოკოლაჟა ჯვარედინად დაწყოილი ფისიანი ნაფოტები, სხვადასხვა ფერის ქაღალდის ნაფლეოები და უსწორმასწორო მრავალკუთხა ემბრამის ნახშირი, ტონა ოცდაერთი შილნიჭი "ფლაურ და მაკ-დონალდის" საწყობიდან, დ'ოლიერ სტრიტი 14, სამ გამოწეულ ადგილას ერთი ღერი "ლუციფერის" ასანთით მოუკიდა, რითაც გამომანთავისუფლა საწყვეში არსებული პოტენციური ენერჯია იმით, რომ საშუალება მისცა მის ნახშირბადსა და წყალბადს თავისუფლად შეერთებოდა კაერის ეანგბადს.

რა მსგავს ხილვებზე ფიქრობდა სტივენი?

სხვაგან სხვა დროს სხეებზე, რომლებიც ცალ მუხლზე ან ორივეზე დამდგარნი ცეცხლს უნთებდნენ მას: ძმაი მიკლზე იესოს საზოგადოების კოლეჯის სამკურნალოში კლონოუზ ვუდში, სელინ-ზში, კიდდეირის საგრაფოში: მამამისზე, საიმონ დედალოსზე მისი პირველი დუბლინური საცხოვრებლის მოუწყობელ ოთანში, ნომერ ცამეტში ფიცგიბონ სტიტზე: თავის ნათლია მისს კეიტ მორკანზე, მისი მომაკვდავი დის ჯულია მორკანის სახლში, აშერ აილანდ 15-ში: თავის დეიდა ხარაზე, რიჩი (რიჩარდ) გულდინგის ცოლზე, მათი ნაქირავეები ბინის სამზარეულოში, კლენბრასელ სტრიტი 62: დედამის მერიზე, საიმონ დედალოსის ცოლზე, ნომერ თორმეტი სახლის სამზარეულოში, ჩრდილო რიჩმონდ სტრიტზე წმინდა ფრანსის ქსავიერის დღესასწაულის დღიას 1898 წელს: მამა ბატზე, დეკანზე, საუნივერსიტეტო კოლეჯის ფიზიკის აუდიტორიაში, ჩრდილო სტივენ გრინის 16: თავის და, დილიზე (დელიაზე) მათი მამის სახლში კაბრაში.<sup>6</sup>

რა დაინახა სტივენმა, როცა ბუხრიდან ერთი იარღის სიმძლევზე აღმართა მზერა საპირისპირო კედლის მიმართულებით?

სწორედ განლაგებულ ხანძარიანი ფარის სუთა სკამის ქვეშა ბუხრის დაგზე ნიშში იმ კაუჭს შორის ირიბად გამოუკლი თოპი, რომელზეც ოთხი მცირე სომის კვადრატული ტხერს სოფი აკოლაჟა კიდული, დაკეცილი და დაშკარებული ოთხკუთხედების რიგი და ქალის ვრძელყელიანი ფილიპერსის ნაცრისფერი წინდის წყვილი, როგორც ჩვეულებრივ კიდა ხოლმე, სამი ვერტიკალური, ხარეცხის ხის სამაგრით, ორი აქტი-იქიდან და ერთიც შუაში, შეხების წერტილში.

რა დაინახა ბლუმმა ქურაზე?

მარჯვენა, მომცრო კერძის შესათობზე, ლურჯი ემალის ქვაბი, მარცხენაზე (მოზრდილზე) შავი რკინის ჩაიდან.

რა გააკეთა ბლუმმა ქურასთან?

გადადგა ქვაბი მარცხენა შესათობზე, აიღო რკინის ჩაიდან და სამზარეულოს ბაკანთან მიიტანა იმ განზრახვით, რომ გაეხსნა ოჩანი და წყალი წამოსულიყო.

წამოვიდა?

დაახ. უიკლოუ საგრაფოს რაუნდუედის 2400 მილიონი გალონის ტეკადობის წყალსაცავიდან, ერთ და ორ-მილიან მიწისქვეშა ფილტრებიანი აკვადუკის გამოვლით, რომლის სამროქტო ღირებულება იყო 5 ვირჯანქა სტერლინიგი გრძივი იარღი და რომელიც გადიოდა დარგლზე, რთოდაუნზე, დაუნზისა და კელოუჰილის ველებზე სტილიორგანის 26 აკრიანი წყალსაცავისაკენ 22 ინგლისური მილის მანძილზე და იქიდან დამხმარე სალუქების სისტემაზე, 250 ფუტის სიმაღლის სხვაობით ქალაქის საზღვრამდე ჯუსტის ხიდთან და ზემო დიზონ სტრიტთან, თუქცა ზაფხულის ხანგრძლივი გვაღვის და 12-ნახევარი მილიონი გალონის

ყოველდღიური მოხმარების შედეგად წყლის დონემ გადასაშვები კაშხალის ზღვარზე ქვემოთ დაიწია, რა მიზეზითაც ოლქის ინსპექტორმა და ინჟინერმა ბნმა სპენსერ პარტიმ, მუნიციპალიტეტის სპეციალისტმა, წყალსადენის სამმართველოს მითითებით აკრძალა ქალაქის წყლის მარაგის მოხმარება გარდა ოჯახური საჭიროებისათვის (იქმნებოდა რა, 1896 წლისა არ იყოს, აუცილებლობა დიდი და ხამუფო არხების სასმელად უკარგისი წყლის გამოყენებისა), განსაკუთრებით იმის გამო, რომ სამხრეთ დუბლინის უპოვართა თავშესაფარი, მიუხედავად ერთ უპოვარზე დღეში 15 გალონის ლიმიტისა, რაც აღინიშნებოდა ექვსდღიანი წყალშზომით, მხოლოდ იქნა 20000 გალონის ლიმიტს ზემოთ დღე-ღამურ მოხმარებაში, რაც დაადასტურა კორპორაციის იურადიულმა აგენტმა ბნმა რეზუმებულმა იგნეიშუს რაისმა, და რითაც დიდად იზარალა დანარჩენმა მოსახლეობამ, ჯანმრთელმა და გადასახადის თადარიგთანაა გადამხდლებმა.

რა ხიბლადა ბლუმს წყალში, წყლის-ტრეიდალს, წყლისხაბაას, მერწყელს, როცა ქერას მიუბრუნდა?

მისი უნივერსალურობა: მისი დემოკრატიული თანასწორობა და ერთგულება თავისი ბუნებისადმი; საკუთარი დონისადმი დტოლვა: მისი ოკეანთა უსაზღვროება რუკაზე მერკატორის პროექციაში? მისი განუზომელი სიღრმე წყნარი ოკეანის ზუნდამის დრმულში, რომელიც 8000 საენს აღემატება: მისი ტალღებისა და ზედაპირისეული ნაწილაკების დაუღალავი მოძრაობა, ჯერჯერით რომ მოინახულებენ მის ნაპირებს: მისი ნაწილების დამოუკიდებლობა: ზღვის მდგომარეობის ცვალებადობა: მისი ჰიდროსტატიკური უძრავობა შტილის დროს: მისი ჰიდროკინეტიკური ამობურცეები მოქცევისა და გაზაფხულის წყალდიდობის დროს: მისი სიმშვიდე დამანგრეველი შემოტევის შემდეგ: მისი სტერილურობა არქტიკისა და ანტარქტიდის პოლარულ ყინულებში: მისი მნიშვნელობა კლიმატისა და ვაჭრობისათვის: მისი პროპორციული სიჭარბე

დედამიწაზე სმელუთთან შედარებით, რაც 3 1-ზეა: მისი უცილობელი ფართობული ბატონობა თვის სუბეკვატორიალური ტროპიკის სამხრეთით: მისი საწყისი აუზის მულტიტექტონიკული სტრუქტურა: მისი წამლარეოლოგიური ფსქეთი: მისი უნარი გახსნას და ხსნადის მდგომარეობაში შეიხრობს ყოველი ხსნადი ნაწილიერბა, მხოლოდნაირი ტანა უბიერფასისი ლითონი: მათვლით: მის მიერ ნახვევარკუნძულებისა და კუნძულების ულამობელი წალეკვა, მის მიერ კომოთეტური კუნძულების, ნახვევარკუნძულებისა და დაბჯდარი კონცხების წარმოქმნა: მისი ალუვიური დანალექები: მისი წონა, მოცულობა და სიმკვრივე: მისი უშფოთველობა ლაგუნებსა და მარჯნის ატოლებში, მაღალმთიან ტბებში: მის ფერთა გრადაცია ტროპიკულ, ზომიერ და ცივ სარტრებში: მისი სატრანსპორტო განშტოებათა ქსელი ტბებზე, რომლებიც კონტინენტალურ წყლებზე, რომლებიც თავისი შენაკადებითა და ტრანსლოკანური დინებებით ეკვატორის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გოლფსტრიმს ერწყმან: მისი სიმშაგე ცუნამისა და ტაიფუნის დროს, არტეზიანულ კუბში, ამოფრქვევისას, თქმში, მორეში, წყალდიდობისას, მდინარის ნაპირებიდან გადმოსულისას, წყალგანაყარზე, გვიზერებში, ჩანჩქერებზე, მორევეებში, წარღვნისას, ღვართქაფში: მისი უზარმაზარი ამორიზონტალური სიძრუდე: მისი წყაროების იდუმალება და ფარული ტენიანობა, რომელიც მხოლოდ წყალმომიებელი და ჰიდრომეტრიკული ხელსაწყოების მეშვეობით, მაგალითად ეშტაუნის კედლის ნახვერეტის მახლობლად მდებარე ჭა, პაერის ტენიანობა, ნამის დისტრიაცია: მისი შემადგენლობის სიმარტივე, ორი ნაწილი წყალბადი ერთ ნაწილ ფანგადზე: მისი სამკურნალო თვისებები: მისი ამომგლები ძალა მკედარი ზღვის წყლებში: ყველგან შდწვევის მისი შეუპოვარი თვისება ნაკალულებში, ხრამებში, მოშლილ კაშხალებში, ხომალდის კორპუსების ნაპრალუბში: მისი გამოყენება გასასუფთავებლად, წყურვილის მოსაკლავად, ციცხლის ჩასაქრობად, მცენარეების მოხარწყავად: მისი სრულყოფილება, როგორც პარადიემისა და პირველსახისა: მისი

გარდაქნა ორთქლად, ნისლად, ღრუბლად, წვიმად, ნამად, თოვლად, ხეტყვად: მისი ძალა მძლავრ პიდრანტებში: მისი სხვადასხვაგვარი ფორმა ტბებში, ზღვის უბებში, ყურეებში, სრუტეებში, მდინარის კლაკნილებში, ტოტებში, უბებში, და გუნებში, არქიპელაგებსა და ფიორდებში; მისი სიმყარე მყინვარებში, აიზბერგებში, მოდრეიფე ყინულებში: მისი მორჩილი მზაობა აამოქმედოს წყლის ნიქტლები ტურბინები, გენერატორები, ელექტროსადგურები, მათეორეზები, სათრიმლო და საპენტი სახელოსნოების მანქანები: მისი ვარგისიანობა არხებსა და მდინარეებზე, თუკი სანაოსნო არიან, მცურავ და სარემონტო დოკებში: მისი დაუოკებელი მიმოქცევის და ვარდნის სიმაღლეთა დიდი სხვაობისას გამოიწვილი ფარული პოტენცია: მისი წყალქვეშა ფაუნა და ფლორა (ანაკუსტიკური და ფოტოფიზიური), რაც არსებითად თუ არა, რიცხოვობიად მაინც შეესატყვისება დედამიწის მთელ ბინადართ: მისი ყველგან მსუფუეობა, რაკილა ადამიანის ორგანიზმის 90 პროცენტს შეადგენს: მისი ანაორთქლის გამზრწნელი მოქმედება ჭაობებში, დამპალ ყვაილებში წყალში და ვაუმდინარ ტბორებში გალულ მთვარის შუქზე.

მას შემდეგ რაც ხანახვეროდ გავსებული ჩაიდანა გაღვივებულ ნახშირზე დადგა, რაღად მიუბრუნდა ონკანს, რომლიდანაც კვლავ მოდიოდა წყალი?

ხელები რომ დაებანა უკვე ნაწილობრივ ნახშირი ლიმნის სურნელოვანი, ჯერ კიდევ ზედ მიგრული ქაღალდიანი საპნით (ცამეტი საათის უკან ნაყიდი ოთხ პენად, რომელიც ჯერაც არ გადაეხადა), გრილი, მარადუცვლელ მარადცვალებადი წყლით და გაუმრალა სახე და ხელები ხის მბრუნავ საკიდზე გადაკიდული წითელქაბაშემოვლებული ვრძელი ხაში პირსახოცი.

რა მოიმიზეზა სტივენმა ბლუმის წინადადებაზე უარის სათქმელად?

რომ ის მიდროფობია, ვერ იტანს ცივ წყალთან შეხებას ვერც ნაწილობრივი

დაბანის დროს და ვერც მთლიანად შიგ ჩაწოლისას (უკანასკნელად აბაზანა მიიღო გასული წლის ოქტომბრის თვეში), არ უყვარს ის ნივთიერებანი, რომელიც წყალს ავონებს, როგორცაა მინა და ბროლი, არც წყალწყალა პსრები უყვარს და არც ენაწკლიანობა.

რამ შეუშალი ხელი ბლუმს მიეცა სტივენისთვის სივინა და ბლოღად ტიკასთან დაკავშირებული რჩევები, რასაც დაურთავდა რეკომენდაციას თავის წინასწარი დასველების და კუნთების შეკუმშვის შესახებ სახეზე და კისერზე, მკერდზე და ეპიგასტრიკულ არეში უცარი შემსაპუნება ზღვაში თუ მდინარეში ბანაობისას, რადგან სიცივისადმი ადამიანის ანატომიის ყველაზე მგრძობობარე ნაწილებია კეფა, მუცელი, ტერფები და ფეხისხეულები?

წყლის სტიქიის შეუთავსებლობამ გენიოსის უსისტემო ორიგინალობასთან.

კიდევ რა დიდაქტიკური რჩევებისაგან შეიკავა მან თავი?

დიეტურისაგან: ღორში, ვირთვეზაში და კარაქში პრეტენიისა და კალორიების შემცველობასთან დაკავშირებით, ბლოოს დასახელებულში პირველის არ არსებობისა და პირველად ნახსენებში უკანასკნელის სიჭარბის გამო.

სტუმრის თვისებათაგან რომელი ეჭვანა მასპინძელს დომინანტური?

თვითდარწმუნებულობა, თვითგანიაკვებისა და თვითმოწესრიგების თანაბარი და ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები.

რა ფენომენმა იწინა თავი ცეცხლის ზემოქმედებისას ჭურჭელში მოთავსებულ სითხეზე?

დუღილის ფენომენმა, სამზარეულოსა და ბუზრის საკამპურს შორის მუდმივი ზეამავალი ნაკადის წყალობით გაღვივებული საწვაიდან სიცხვეულე გადაეცა ბი-

ტუმური ნახშირის პოლიედალურ მასას, რომელიც დაბრესილი მინერალური ფორმით შეიცავდა პრეისტორიული ტყეების გაქვავებულ ფოთლოვან საფარს, რომლის ზრდისუნარიანობა, თავის მხრივ, განპირობებული იყო მზით, სითბოს პირველადი (სხივური) წყაროთი, რომელიც გადმოეცემოდა ფეკლგან მსუფვეი შუქმემცველი თბოამტარი ეთერის მეშვეობით. სითბო (კონვექტირებული), ამგვარი წნევის შედეგად, წარმოშობილი მიძრავობის სახეობა, მუდმივად და თანდათან მატებით მიეწოდებოდა სითხეს ჭურჭელში თავისი წყაროდან გამოსხივებული უსწორმასწორო, გაუკრიალებელი მუქი ლითონის ზედაპირის მეშვეობით, ნაწილობრივ არეკლილი, ნაწილობრივ შთანთქმული, ნაწილობრივ გადაეცემული, და ტემპერატურას თანდათან წყლის ნორმალურიდან დელიდის წერტილამდე აყავს, ამასთან, ტემპერატურის მატება შეიძლება გამოიხატოს როგორც 72 თერმული ერთეულის ზარევა 1 გირვანქა წყლის გასაცხელებლად 50-იდან 212 გრადუსამდე ფარენჰეიტით.

რამ აუწყვა ტემპერატურის აღნიშნული აწევა?

წყლის ორთქლის ორმაგმა ნაძვლისებურმა ამოფრქვევამ ჩაიდნის ზეფის ქვემოდან ერთდროულად ორივე მხარეს.

რა პირადი მიზნით შეეძლო ბლუმს გამოეყენებინა ამ გზით დელიდამდე მიყვანილი წყალი?

გასაპარსად.

რა უპირატესობა გააჩნია დამით პარსვას?

შედარებით რბილი წვერი; შედარებით რბილი ფუნჯი, თუკი შეგნებულად იყო დატოვებული ხანის გაციებულ ჭაფში გაპარსვიდან გაპარსვამდე; შედარებით რბილი კანი თუ შემთხვევით შეხედებით ნაცნობ მანდილოსნებს განმარტოვებულ ადგილას უჩვეულოდ გვიან: შშვიდი ფიჭვი განვილილ დღეზე; მეტი სისუფთავის განცდა

უფრო შშვიდი ძილის შეძვევადევიებო-სას, იმ დროს, როდესაც დილის ხმაურს, წინათგრძნობები და დაბრთლებები, მერყევის პიღონების გრუხ-ში, ფოსტალიონის ორჯერადი დაკაცუნება, ვახთი, წაკითხული და შედამოხედ წაკითხული უთით და მძვე ადვილის გასახეისა და შედამოხედ გასახეის დროს და ანაზლად ეოდა მასზე, რომ თუცა პრედიკს იხილ იცი მის პარსვისას ანტრეპაიცილ საღუნე კრილობის ზომაზე მოჭრილი სწორი მხრიდან ნერწყვით დაასველე და დაიდე თუკი დაგეძაროთა.

რატომ იყო, რომ უსინათლობა ნაკლებ აწუხებდა ვიდრე ხმაური?

შეხების სანდო გრძნობის გამო მის მტკიცე მამაკაცურ ქალურ პასიურ აქტიურ ზელში.

რა უნარი გააჩნდა მას (მის ზელს), მაგრამ, ამავე დროს, რა უკუქმედებითი გავლენით?

ქირურგიული ოპერაციის გაკეთების უნარი მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სისხლის დაღერას ერიდებოდა, მაშინაც კი როდესაც მიზანი ამართლებს საშუალებას და ერჩინა, მათი ბუნებრივი თანმიმდევრობით, კელიოთერაპია, ფსიქოფიზიოთერაპია და ოსტეოპათიური ქირურგია.

რა ეწყო სამზარეულოს კარადის, რომელიც ბლუმმა გამოხსნა, ქვედა, შუა და ზედა თაროზე, თვალსაჩინო ადგილას?

ქვედა თაროზე ხუთი კერტიკალური მომცრო თეფში, ექვსი პორიზონტალური მომცრო ლამაჰი, რომელზეც დაპირქვავებული ფინჯნები ეწყო, ულვაშებიანებისთვის მოსახერხებელი ფინჯანი, გადაუპირქვავებული, და კრაუნ დარბის ფინჯანი, ოთხი თეთრი, ოქროით მოვარაფებული სირჩა კერცხისათვის, ზამშის გახსნილი საფულე, რომელშიც მოჩანდა მონეტები, უმთავრესად სიღენძის, და პატარა ფიალა არომატიზირებული (იის)

კანფეტებით. შუა თაროზე გატეხილი სირინა, რომელშიც პილპილი ვყარა, კასრისებრი სამარილე სუფრის მარილით, ოთხი ერთმანეთზე მიწებებული შავი ზეთისხილი გაზეთილ ქაღალდში, პაპტიტის ფარიელი კოლოფი, ოვალული დაწნული კალათა, გოფირებული ქაღალდით გაწყობილი და ერთი ჯერზის ვიშოპ მსხლით, უილიამ ვილბი და კომპანიის სამკურნალო თეთრი პორტეინის ნახევრად ცარიელი ბოთლი ნახევრად გამოხეული მოვარდისფრო-ნარინჯისფერ ქაღალდის ზელსაზოცში, ეპის უნაღვეო კაკოს ერთი შეკერა, დაჭობუნულ ფოლგაში გახვეული ხუთი უნცია ენ ლინჩის მალაღზარისხოვანი ჩაი, გირვანქა 2 შილინგი, ცილინდრული თუნუქელა კრისტალიზირებული შაქრის ნატეხებით, ხაზეის ორი თავი, ერთი უფრო დიდი, ესპანური, მთლიანი, მეორე მომცრო, ირლანდიური, ორად გაჭრილი და ამის გამო უფრო სუნიანიც და დიდი ზედაპირისაც, სარძვევე "ირლანდიური სანიმუშო რძის ფერმის" ნაღებით, თიხის ფაიფერი ქილა პინტა და მეოთხედი გაზავებული და აჭრილი რძით, რომელიც სითბოში წყლად, მომჟეაო შრატად და სანახევროდმედღებულ ხაჭოდ ქვეულიყო, რაც, თუ დაეჯამებთ და გამოვაკლებთ ბ-ნი ბლუმისა და ქ-ნი ფლემინგის საუზმის ხარჯს, შეადგენდა თავდაპირველი შეკვეთის მოცულობის ერთ იმპერიულ პინტას, ორი კბილი ნიორი, ნახევარი პენი, მომცრო თეფში ახალი ანტრეკოტის პატარა ნაჭრით. ზედა თაროზე (ცარიელი) ქილების პატარეა, სხვადასხვა ზომისა და წარმომავლობის.

რამ მიიპყრო მისი ყურადღება კარადაზე დაფენილ პატარა სუფრაზე?

ტოტალიზატორის ორი განხული ბილეთის ოთხმა მრავალკუთხა ფრაგმენტმა ნომრებით 8 87, 88 6.

რა მოვონებებმა დაამწყურბრა დროებით მისი შუბლი?

მოვონებებმა დამთხვევებზე, მონაგონზე უფრო გასაოცარ სიმართლეზე, რომელი-

თაც უწინასწარმეტყველიათ ოქროს თაისის პენდიკაპის რეზულტატი, რომლის ოფიციალური და საბოლოო შედეგი მან "ივინგ ტელეგრაფის" სადამოს ვარდისფერ გამოშვებაში წაფიქრებ, შეკრების თემატაფერში", პატარის სივლიან.

მაღ მიიღო მან წინა მინონებში ამ რეზულტატის შესახებ, მოხალღნოლიცა თუ უკვე მიღწეულის?

ბერნარდ კირნანის პატენტთან დაწესებულებაში, მცირე ბრიტენ სტრიტის 8, 9 და 10: დევიდ ბირნის პატენტთან დაწესებულებაში, დიუკ სტრიტის 14: ქვედა ოკონელის ქუჩაზე გრემ ლემონის სახლის წინ, როცა კუმტმა ახალგაზრდა კაცმა მიამჩნა "მოწოდება" (შემდგომში გადაადგებული), რომელიც იუწყებოდა ელიაზე, ტაძრის აღმდგენელზე სიონში: ლინკოლნ პლესზე უ.უ.სუინისა და კომპანიის (შეზღ. პასუხ.) აუთიაქის გასასვლელში, როცა ფრედერიკ მ. (ბენტამ) ლაიონზმა სასწრაფოდ და რამდენჯერმე ითხოვა, გადაშალა და დააბრუნა, აღნიშნული თანმიმდევრობით, "ფრიმანზ ჯორნალ" და "ნემენალ პრეს", რომლის გადაგდებასაც აპირებდა (შემდგომში გადაადგებული), განაგრძო გზა-თურქული აბანოების აღმოსავლური შენობის მიმართულებით, ლენსტერ სტრიტი 11, ზეშთაგონებით გაბრწყინებული სახით, ხელთ მარულის საიდუმლო ეპერა, წინასწარმეტყველურ ენაზე დასტამბული.

რა შემამსუბუქებელმა მოსაზრებებმა გაანელეს მისი გულის დაწვეება?

განმარტებების სიმწელემ, რამეთუ ნებისმიერი მოვლენის მნიშვნელობა, მისი აღსრულების შედეგად, ისევე განსხვავებულად შედგენდება, როგორც ელექტრონის განმუხტვა შედგენდება აკუსტიკური რეკონსტრირებისას; აგრეთვე მცდარი გაგების შემთხვევაში ფაქტორი ზარალის ზუსტმა შეპირისპირებამ სწორი გაგების შემთხვევაში დაშეგული შესაძლო დაუდევრობების გამო ნანახ ზარალთან.

მისი განწყობა?

რისკზე არ წასულა, იმედი არ ჰქონია, იმედი არ გასცრუებია, კმაყოფილი იყო.

რითი იყო კმაყოფილი?

იმით, რომ რეალური ზარალი არ გავსულია. იმით, რომ რეალური მოგება მისი სხვებს. ნათლად წარმართა.<sup>3</sup>

როგორ უმზადებდა ბლუმი ტაბლას წარმართს?

ეპისის უნაღვეო კაკაოს ორი-ორი ხავზე კოეზი, სულ ოთხი, ორ ფინჯანში ჩაყარა და შემდეგ კოლოფზე დაბეჭდილი მოხმარების ინსტრუქციის თანახმად, მას შემდეგ რაც საკმაოდ გამოსცა ფერი, ყოველ ფინჯანს დაუმატა რეკომენდირებული ინგრედიენტები რეკომენდაციის თანახმად და რეკომენდირებული ოდენობით.

სტუმართმოყვარეობის რა ზეჯეროვანი ნიშნები გამოავლინა მასპინძელმა სტუმრის მიმართ?

უარი თქვა სიმპოზიარქის<sup>4</sup> უფლებებზე ესარგებლა უღვამუბიანებისთვის მოსახერხებელი ფინჯნით, რომელიც კრაუნ დარბის ფაიფურის იმიტაციას წარმოადგენდა და ნარეკარი იყო მისი ერთადერთი ქალიშვილის მილისენტის (მილის) მერ, ისეთივე ფინჯანი დაიდგა, როგორც სტუმარს შესთავაზა და დიდი გამოწკილისის სახით სტუმარს და, თუმცა ნაკლები დოზით, საკუთარ თავსაც, ჩვეულებრივ მისი ცოლის, მერიონისათვის (მოლისათვის) განკუთვნილი, სქელი ნაღები მიართვა.

ალიქა და დაფასა სტუმარმა სტუმართმოყვარეობის ეს გამოვლინებანი?

მისი ყურადღება ამაზე მასპინძელმა მიაპყრო ზუმრობის კილოთი და მან კი სწრიოზულად მიიღო და ასე ზუმრობასწრიოზულ დუმილში მიირთმევდნენ ეპისის ფართო მოხმარების პროდუქტს, მაცოცხლებელ კაკაოს.

იყო თუ არა სტუმართმოყვარეობის ისეთი ნიშნები, რომელზეც მან გაიფიქრა მაგრამ არ გამოამჟღავნა, რადგან სხვისთვის და თავისთვის, უამბავლ შეხვედრებისათვის შემოინახა, რთგორც დამაგვირგვინებელი აკორდი?

ნახევრო დიუმის სიკრძის განივლი ადვილის ამოკეშვა სტუმრის მიჯაკის მარჯვენა მხარეს. ქალის ოთხი ცხვირსახოციდან ერთ-ერთის მიერთება საჩუქრად, რაცა დადასტურებული იქნება, თუკი იქნება, ამ უკანასკნელის საკადრისი მდგომარეობა.

რომელი უფრო სწრაფად სვამდა?

ბლუმი, რადგან ათი წამი სასტარტო უპირატესობა გააჩნდა და თავისი კოეზის ჩაზნექილი პირიდან, რომლის სახელუროთ უწვევტილვ გადაეცემოდა სითბოს ნაკადი, სამ კოეზისპირს წრუპავდა თავისი ოპონენტის ერთის საპირისპიროდ, ექვსს ორის, ცხრას სამის.

გონების როგორი ვაფა ახლდა მის განმეორებით მოქმედებას?

რაკი, დაკვირვების შედეგად, თუმც კი მცდარად, დასაკენა, რომ მისი მღუმარე კომპანიონი გულში მწერლობას მიეცა, მან გაიფიქრა იმ სიტუბოებაზე, რაც უმაღტკეუს სასწავლებელ ლიტერატურას ახლავს, ვიდრე თავშესაქცევს, რაც თავად არაერთხელ განეცადა, როდესაც შექსპირის თხზულებებისთვის მიუმართავს წარმოსახულ თუ რეალურ ცხოვრებაში წამოჭრილი რთული პრობლემის გადასაჭრელად.

თუ მონახა მათი გადაჭრის გზა?

ზოგიერთი კლასიკური ადვილის, განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით, გულმოღვინე წაითხვისა და არაერთგზის გადაკითხვისა და მიუხედავად, ტექსტიდან გამოჰქონდა მარტოოდენ ნაწილობრივი რწმენა, ხოლო პასუხები ყოველთვის როდი მოიცავენენ ყველა პუნქტს.



რა სტროფებით მოაგრდებოდა მისი, პოტენციური პოეტის მიერ, 11 წლის ასაკში 1877 წელს კონკურსისათვის შექმნილი პირველი ლექსი, რომელზეც სამი პრემია გაიცემოდა — 10 შილინგი, 5 შილინგი და 2 შილინგი და 6 პენი და რომელიც გამოაცხადა ყოველკვირეულმა გაზეთმა "სამფურამ"?

იმედი მაქვს, რომ ამ ლექსის ავტორს თქვენ მოუძებნით ფეროვან ადგილს, რომ დამიყურით ტკივილი ჩემი, და თუ სიკეთე ასეთი ჰქმნით, მაშინ, ვეთაყვა, დაურთეთ "თქვენი" ამ ლექსებს წერს-თქო  
"ლეოპოლდ ბლუმი".

აღმაინა თუ არა ოთხი გამყოფი ძალი მასსა და მის დროებით სტუმარს შორის?

სახელი და გვარი, ასაკი, ეროვნება, რწმენა.

როგორ ანაგრამებს ადგენდა ის ახალგაზრდობაში თავისი სახელიდან?

ლეოპოლდ ბლუმი  
ელპოლდობოული  
მელდოპოლუბლი  
ბოლოლპედულმი  
ლოლი ბუმლო, დემ.

თავისი სახელის კინობით ფორმაზე შეთხზული როგორი აკროსტიქი ვაუჯხანა მან (კინეტიკურმა პოეტმა<sup>10</sup>) მისს მერიონ (მოლი) ტუიდის 1888 წლის 14 თებერვალს?

პოეტებს ხშირად უძღვრიათ მწყობრი რითმებით, ოდეს მუსიკა ლუთაბერივი ცას მისწედეს უნდა, ლამის ამ გულის ხიშს შევხოს ნაზი თითები და თვით ღვიზოზე და პანგებზე უკეთ თქვას უნდა ის, რომ სამყაროც და შენც ჩემი იქნები მუდამ.

რამ შეუშალა მას ხელი დაემთავრებინა საკვირბოროტო სიმღერა (მუსიკარ. გ. გონსტონისა) წიოსულის მოველენებზე ან მათ მნიშვნელობაზე თანამედროვეობისათვის სახიოწოდებო "ბრაიან ბორუს" რამ დაბრუნებულყო და შეეხდა ჩვენი ბებერი დედა მისაქის, მაიკლ განის გეიტის აკატრის მოიკრის მიერ რავეთალო, სამხრეთ კინგ სტრიტი 46, 47, 48, 49, რომელიც მეტესტ ადამისის კვლის სურათში უნდა ჩართოთ, დიდი საშობაო (1893 წლის 30 იანვარი) წარმოდგენის "სინდბადი ზღაოსანი" მეორე დადგამში (პირველი დადგმა გკუთხოდა რ. შელტონს, 1892 წლის 26 დეკემბერი, ტექსტის ავტორი გინილიფ უიტერი, მხატვარ-დეკორატორი ჯორჯ ა. ეკესონი და სესილ პიკი, კოსტუმები ქან და მისს უელენისა ქან მაიკლ განის პირადი ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფი ექვი ნუარი, კლოუნადის დამდგმელი ტომას ოტო), პრიმადონა ნელი ბუვერისტიის მონაწილეობით?

უპირველეს ყოვლისა, იმპერიული და ადგილობრივი მნიშვნელობის მოველენებს შორის მერყეობამ, დედოფალ ვიქტორიას აღმასის იუბილეს მოლოდინმა (დაბ. 1820, გამეფდა 1837) და შემდგომ ახალი მუნიციპალური თევზის ბაზრის გახსნამ: მეორეც, რადიკალურად განწყობილი წრეების მხრიდან მათი სამეფო უდიდებულესობის, იორკის პრინცივისა და მისი მუედლის (რეალურად არსებულის) და მისი უდიდებულესობის მეფე ბრაიან ბორუს (წარმოსახეთის) ეიზიტების მიმართ ოპოზიციურმა განწყობილებამ: მესამეც, კონფლიქტი პროფესიულ ეტიკეტსა და პროფესიულ მეტოქეობას შორის დიდი მიუზიკ პოლისა ბერგ ქუეიზე და სამეფო თეატრის ჰოკინზ სტრიტზე ამასწინანდელ მშენებლობასთან დაკავშირებით: მეოთხეც, ურადღების გამფანტკველი გარემოება, რისი მიზეზიც იყო სიმპათია ნელი ბუვერისტიის რაინტკლექტუალური, არაპოლიტიკური, არასაკვირბოროტო გარეგნობის მიმართ და საყოველთაო აღფრთოვანება ნელი ბუვერისტიის მიერ არაინტელექტუალური, არაპოლიტიკური, არასაკვირბოროტო თეორიი საცვლებების

გამომზერებით, როცა კი ისინი ეცვა (წელი ბუერისტს): მეხუთეც, შესაფერი-სი მუსიკისა და იუმორისტული მინიმ-ნებების შერჩევის სირთულე კრებულიდან "ანკლოტების წიგნი ველასათის" (1000 გვერდი და ყოველი მათგანი სიცილის წყარო): მეექვსეც, რითმები, კომოფონიური და კაკაფონიური, დაკავშირებული ახალი ლორდ მერის დენიელ ტელონის, ახალი მთავარი შერიფის ტომას პაილისა და ახალი მთავარი პროკურორის, დანბარ პლანკეტ ბარტონის სახელებთან.

რა თანაფარდობა იყო მათ ასაკთა შორის?

16 წლის წინათ 1888-ში, როდესაც ბლუმი სტივენის ახლანდელი ასაკისა იყო, სტივენი ექვსი წლისა იყო. 16 წლის შემდეგ 1920 წელს, როცა სტივენი ბლუმის ახლანდელი ასაკისა იქნება, ბლუმი 54 წლის გახდება. 1936 წელს, როცა ბლუმი 70 წლის იქნება, ხოლო სტივენი 54 წლისა, მათი ასაკი, რომელთა თავდა-პირველი თანაფარდობა იყო 16 0-ზე, ახლა უკვე შეეფარდება: 17-ნახევარი 13-ნახევარს, პროპორცია თანდათანობით გაიზრდება ხოლო უტოლობა შემცირდე-ბა მომავალი წლების ნებისმიერი რიცხ-ვის მომატებასთან ერთად, რადგან 1883 წელს არსებული პროპორცია უცვლელი რომ დარჩენილიყო, თუ დავუშვებთ კიდევ რომ ეს შესაძლებელია, მაშინ 1904 წელს, როცა სტივენი 22 წლის იყო, ბლუმი 374 წლის იქნებოდა, ხოლო 1920 წელს, როცა სტივენს 38 შეუსრულდებოდა, როგორც ახლა ბლუმს, ბლუმი იქნებოდა 646 წლისა, იმ დროს როდესაც 1952-ში, როცა სტივენი წარღვნისშემდგომ მაქსიმალურ 70 წლის ასაკს მიაღწევდა, ბლუმი უკვე 1190 წელს იქნებოდა ამ ქვეყანად და 714 წელს დაბადებული, მაქსიმალურ წარღვნამდელ ასაკს 221 წლით გადააჭარბებდა, მათუსალასის 969 წელს, და თუ სტივენიც ასევე გააგრ-ძელებდა ცხოვრებას ამ ასაკამდე ახ. წ. 3072 წლამდე, მაშინ ბლუმს უნდა ეცოცხ-ლა 83300 წელი და უნდა დაბადებუ-ლიყო 81396 წელს ქრისტეს შობამდე.

რა მოვლენებს შეეძლო გაეუქმებინა ეს გამოთვლები?

ორივეს ან ერთ-ერთის არსებობის შეწყვეტა ანაღ წელთაღრიცხვასზე წმ კალენდარზე გადასვლა სამკარბს მოსაზრბ და აქედან გამომდინარე, ადამიანთა მოდამბის დადუკბ, ვარდაცუვბ, თუცც კი გაუთუალ-დსწინბწელი.

რამდენი წინა შეხვედრა აღსატურებ-და მათ არსებობისწინა ნაცნობობას?

ორი. პირველი მეთუ დილონის იასამ-ნის ბაღში, ვილა მედინა, კიმიჯ როუდ, რაუნდტაუნი, 1887 წელს, სტივენის დე-დის თანდასწრებით, როდესაც სტივენი 5 წლის იყო და ხელის ჩამორთმევაზე გა-ჯიუტდა, მეორე ბრესლინის ოტელის კაფ-ეში ერთ წვიმიან კვირა დღეს 1892 წლის იანვარში, სტივენის მამისა და პაპის ბმბის თანდასწრებით, როდესაც სტივენს კიდევ ხუთი წელი მოემატა.

დათანხმდა თუ არა მაშინ ბლუმი ჯერ შვილის და მერე მამბის განმეორებით მი-პატიეებაზე სადილად?

მაღწან დიდი მადლობით, მადლიერებ-ის გრძნობით აღსავსემ, დიდად დავაღე-ბულმა, გულწრფელი მადლიერებითა და სინანულით, უარი განაცხადა.

აღმონდა თუ არა ამ მოვლენებზე საუბრისას მათი დამაკავშირებელი რაიმე მესამე რგოლი?

ქ-ნი როორდანი (დანტე), საკუთარი სახსრების მქონე ქერივი, სტივენის მშობლების სახლში ცხოვრობდა 1888 წლის 1 სექტემბრიდან 1891 წლის 29 დეკემბრამდე, აგრეთვე 1892, 1893 და 1894 წლებში ერთხანს უცხოვრია სიტი არმზ ოტელში, რომლის მფლობელი იყო ელიზაბეთ ო'დაული, პრამა სტრიტ 54, სადაც 1893 და 1894 წლებში ხანგამომ-ვებით ბლუმის ინფორმატორი იყო, რომელ-იც იმავე ოტელში ცხოვრობდა და იმზა-ნად კლერკად მუშაობდა ჯოუზეფ კაფ-

თან, სმოთვილდის 5 ნომერში და საეაქრო გარიგებების ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა იქვე ახლოს დებლინის წრიულ მარშრუტზე განლაგებულ საქონლის ბაზარზე.

რამე განსაკუთრებული საქველმოქმედო რამ თუ მოიძოქმედა ქალბატონსოვინ?

ზოგჯერ ზაფხულის თბილ საღამოს გაასვირნებდა ხოლმე უხუსურ, არსებობის დამოუკიდებელი თუმცა კი შეზღუდული სახსრების მქონე ქვრივს, ნელა მოძრავი თვლებიანი ხეიბრის სავარძელ-ურკით, ჩრდილო წრიულის კუთხემდე, ბ-ნ გვეინ ღლოს კონტორის პირდაპირ, სადაც ის ცოტას დააზანებდა ხოლმე და ცალღინ-ზიანი ხაველე ღურბინდით აკვირდებოდა უცნობ მოქალაქეებს ტრამვაში, დაბერილ პნევმატურ საბურავებიან ველისმედეებზე, ეტლებში, ტანდემებზე, საკუთარ და დაქირავებულ ითხადგილიან ლანდოებში, დოკარტებში, ორთვალებში, პონშებულ პატარა ეტლებში, ქალაქსა და ფენიქს პარკს შორის რომ მიმოდიოდნენ.

რატომ შეეძლო მას მაშინ ასე აუღელვებლად აეტანა ეს ურვა?

იმიტომ რომ ყმაწვილკაცობაში ხშირად მჯდარა და ფერად ამობურცულ ვიტრატის იქიდან უთვალთვალვდა საუელ გზაზე ორთვალებისა და ოთხთვალეების, ორფეხა და ოთხფეხა მოხიარულეების, ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის უწყვეტი ნაკადისათვის, ნელა, ჩქარა, ზომიერად, წრიულად, წრიულად და წრიულად შეკუთვლილი სფეროს წრიულად მბრუნავ ზედაპირზე.

როგორი შესაძინევი განსხვავებული მოვინებები დარჩათ ორივეს მის შესახებ, აგერ უკვე რვა წლის წინათ გარდაცვლილზე?

უფროსს, მისი ბეზიკის სათამაშო ბანქო და კოჭები, მისი სკაიტერიერი, მისი სავარაუდო სიმდიდრე, დაბნეულობის შემოტყვეები და დაწყებითი კატარალური სიყრუე; უფრო ახალგაზრდას, მისი რაფისის ზეთის პატარა ლამაა უცოდველი

მუცლადღების ქანდაკების წინ, მისი მწეანე და წაბლისფერი ვილები ჩარლზ სტიუარტ პარნელის საპატივეცმულოდ და მისი თხელი ქაღალდის ზელსახოცები მარჯვ დეცისათვის.

ხომ არ შემორჩა მას გაახალგაზრდაებისთანავე სწავლებანი, რაც კიდევ უფრო სსუკეული წინდა უმტრისი ამსაგანსიღმა განდობილი მოვინებების გამო?

ოთახის ვარჯიშები, რასაც ადრე დროგამოშვებით ასრულებდა, მერე კი მიაგლო, იუჯინ სენდლოს ბროშურაში "ფიზიკური ძალა და როგორ შეიძლება მისი განმტკიცება", რომელიც რეკომენდირებული იყო საკუთრივ მჯდომარე საქმიანობით დაკავებული მამაკაცი კომერსანტებისათვის და უნდა შესრულებულიყო ხარკის წინ გონებრივი ძალების სრული მობილიზირებით ისეონაირად, რომ ჩართული ყოფილიყო კუნთების სხვადასხვა ჯგუფები რითაც თანდათან მიიღწეოდა სასიამოვნო სიმკვრივე და კიდევ უფრო სასიამოვნო მოდუნება და ახალგაზრდული სიმარჯვის უსიამოვნესი აღორძინება.

რამე განსაკუთრებული სიმარჯვე თუ ახასიათებდა ახალგაზრდობაში?

თუმცე შტანგის აწევა მის ძალას აღმატებოდა, ხოლო სრული ამოტრიალება ტურნიკზე კი მის სიმამაცეს, მაინც სკოლაში სწავლისას მან თავი გამოიჩინა იმით, რომ შეეძლო ორძელზე მყარი და ხანგრძლივი კუთხე დაეკვირა არაჩვეულებრივად განვითარებული მუცლის კუნთების წყალობით.

რომელიმეს ღიად თუ გადაუკრავს სიტვეა მათს ეროვნულ განსხვავებაზე?

არცერთს.

როგორი იყო, თუ ამას ორმხრივი ურთიერთობის ელემენტარულ ფორმამდე დავიყვანთ, ბლუმის ფიქრები სტივენის ფიქრებზე ბლუმის შესახებ და სტივენის ფიქრები ბლუმის ფიქრებზე სტივენის შესახებ?

ის ფიქრობდა რომ ის ფიქრობდა რომ ის იყო ებრაელი იმ დროს როდესაც მან იცოდა რომ იმან იცოდა რომ მან იცოდა რომ არ იყო.

როგორი იყო, მიწუმათების გარეშე, მათი გენიალუგა?

ბლუმი, ერთადერთი დაბადებული მამრი ტრანსპარენტული შემკვიდრე რულოლე ენაგისა (შემდგომში რულოლე ბლუმისა) სომბათქვიდან, ვარნა, ბუდაპეშტი, მილანი, ლინდონი და ღუბლინი, და ელენ პიგინზისა, ჯულიუს პიგინზის შორე კალიშვილის (დაბადებული კაროლი) და ფანი პიგინზისა (კალიშვილობაში კევარტი). სტივენი, სიკვიდის გადარჩენილი უფროსი მამრი, ერთარსებული შემკვიდრე კორკელი და ღუბლინელი საიმონ დედალოსისა და რინარდ და ქრისტინა გულდინგის (კალიშვილობაში გრიერი) ასულ შერისა.

ბლუმი და სტივენი მონათლულები თუ იყვნენ და როდის და სახულიერო თუ საერო პირის მიერ?

ბლუმი (სამჯერ) ღირსი ბნი ვილმერ ჯონსტონის მიერ კუმის წმინდა ნიკოლოზის ქალაქგარეთ ეკლესიაში, მარტოდ, ჯეიმზ ო'კონორის, ფილიპ ვალივანისა და ჯეიმზ ფიცპეტრიკის მიერ, ერთობლივად, წყალსადენის სვეტის ქვეშ სოფელ სორდზში და ღირსი ჩარლზ მელონის მიერ სამი წმინდანის ეკლესიაში, რეთგარში. სტივენი (ერთხელ) ღირსი ჩარლზ მელონის მიერ, მარტოდ, სამი წმინდანის ეკლესიაში, რეთგარში.

მსვავსებას თუ ხედავდნენ მათ მიერ მიღებულ განათლებებში?

სტივენი რომ ბლუმის ადგილას წარმოვიდგინოთ, სტუმი თანმიმდევრულად დაამთავრებდა ბერუნხანას სკოლასა და საშუალო სკოლას, ბლუმი რომ წარმოვიდგინოთ სტივენის ადგილას, ბლივენი თანმიმდევრულად დაამთავრებდა სკოლის უმცროს მოსამზადებელ, საშუალო და უფროს კლასებს, ჩააბარებდა შესასველ

გამოცდებს, დაამთავრებდა პირველ და შორე კურსებს პოსტინტანული განხრით და მიიღებდა სამეფო უნივერსიტეტის ხელოვნების ბაკალავრის ხარისხს.

როგორ შეიკვთა ბლუმს თავი და კრთქა რომ მან ცხოვრების უნივერსიტეტი გაიბრა?

თავისი მერყევი დაურწმუნებლობის გამო იმაში მას ეს უკვე ნათქვამი ჰქონდა თუ არა სტივენისათვის ან სტივენს მისთვის.

რომელ ორ ტემპერამენტს განეკუთვნებოდნენ ისინი ინდივიდუალურად?

მეცნიერულს. ხელოვნებისულს.

რა არგუმენტები მოიშველია ბლუმმა იმის დასასაბუთებლად, რომ ის უმელ გამოენებითი მეცნიერებისკენ იყო მიდრეკილი ვიდრე წმინდა აკადემიურისაკენ?

ზოგიერთი შესაძლებელი გამოგონება, რაიც მოუახრებია მონელების გასაადვილებლად უნდავად წამოწოლილსა თუ გულალმა გამოიტლს და აღტკინება იმაზე ფიქრით თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმ გამოგონებებს, რომლებიც ახლა ჩვეულებრივ რამდ არის-მინეული, მაგრამ თავის დროს კი რევოლუციურად ითვლებოდა, როგორცაა აერონავტიკური პარაშუტი, რეფლექტორული ტელესკოპი, სპირალური კორპსადრობი, ინგლისური ქინძისთავი, მინერალური წყლის სიფონი, არხის რაბი ჯალამბარითა და საეკეტით, შემწოვი ტუმბო.

ეს გამოგონებები უმთავრესად საბავშვო ბაღის გასაუმჯობებელი პროექტისთვის ხომ არ იყო გამიზნული?

ღიახ, რითაც მოძველებურად ჩათვლებოდა სათამაშო დამბანები, წყალში საცურაო გასაბერი ბუშტები, აზარტული თამაშები, საბავშვო შურდულები. მათ შორის იყო აგრეთვე ზოლიაქოს თორმეტი ვარსკვლავის მანქნებელი ასტრონომიული კალეიდოსკოპი.

ოპები, ვერძიდან თევზამდე, მინიატურული მუქნიკური პლანეტარიუმები, არითმეტიკული ფელატინის კანფეტები, გეომეტრიული, ხოლოგიურიან ერთად, ნამცხვრები, სათამაშო ბურთი-გლობუსები, სხედასხვა ეპოქის კოსტუმებიანი თოჯინები.

კიდევ რა შთაგონებდა თავის განზრახვებში?

ფერად მარქსისა და ჩარლზ აჯეიმზის ფინანსური წარმატება, პირველი თავისი ერთპენიანი ბაზრობით სამხრეთ ჯორჯ სტრიტ 42-ში, ხოლო მეორე თავისი ნანახევარი პენიანი მალაზიით და მოდური საქონლით ვაჭრობითა და ცვილის ფიგურების გამოყენით პენრი სტრიტის 30 ნომერში, შესვლა 2 პენი, ბავშვებისათვის 1 პენი; და რეკლამის თანამედროვე ხელოვნების აქამდე გამოუყენებელი შესაძლებლობანი, თუ მოვახერხებთ მათ დაყვანას სამასლიან მონოიდეურ სიმბოლოებამდე, ვერტიკალურად მაქსიმალური აღქმისათვის (მომასწავებლად), პორიზონტალურად მაქსიმალური კითხვადობისთვის (გასამიფრავად) და მაგნეტური უნარი ძალით მიიპყროს ყურადღება, რათა დააინტერესოს, დაარწმუნოს, გადააწყვეტინოს.

როგორიცაა?

კ. II. კაინოუ. II შილინგი. შარვალი. კლიტის სახლი. ელიგ ზანდერ ჯ. კლიტი.

როგორი არ უნდა იყოს?

შეხვედეთ ამ გრძელ სანთელს. გამოიანგარიშეთ რამდენ ხანში დაიწვეება და თქვენ უფასოდ მიიღებთ 1 წვეთლ ჩვენს შესანიშნავ, ბუნებრივი ტყაყის ფეხსაცმელს, გარანტირებულია 1 სანთლის ძალის პრიალი. მისამართი: ბარკლი და კუი, ტოლბოტ სტრიატი 18.

ბაცილმსპობი (მწერების საწინააღმდეგო ფეხნელი).

კარგზეკარგი (ფეხსაცმლის კრემი).

იხიკახეცე (კომბინირებული ორპირიანი ჯიბის დანა კორპსადრობით, ფრჩხილის საჭრელი და ჩიბუხის მილაკის საწმენდით).

როგორი არ უნდა იყოს არასოდეს?

ოჯაბი რა თეჯაბია ხორცი თუ არ აქვს მუდამ?

სასუფეველი ვისაც სურს.

პლამტრის კანსერვიც უნდა.

ჯორჯ ჰლამეტრის მიერ წარმოებულ, ფულონი, მერკანტი ქაეი 23, ქაღებში დაფასობებული ოთხ-თხის უნციად, და მოთავსებული მინიველი გოგონევი ნაქუტის მიერ, პარლ, წვერ., როტონდა უორდ, პარდუიკ სტრიატი 19, ნეკროლოგებისა და წლისთავეების ქვეშით. ეტიკეტს აწერია გვარი პლამტრი. პლამტრი ხორცის ქოთანში, რევისტრირებული საეაჭრო ნიშანი. ერთდეთ ნაყალბევეს. პიტმოტი. ტრამპლი. მაუტპეტი. პლამტრუ.

რომელი ასატანი მაგალითის მოტანა გადაწყვიტა რათა სტივენს დასკვნა გამოეტანა, რომ ორიგინალობა, თუმც თავისთავად ბევრის მომტანი, მუდამ თავის გატანას არ გულისხმობდა?

თავისი საკუთარი კარგად მოფიქრებული მაგრამ უარყოფილი პროექტი ილუმინირებული სარეკლამო ეტლი, რომელშიც საპალნე ცხენები იქნებოდნენ შებმულნი და რომელშიც რაღაცის წერაში გართული კოპწიად ჩაცმული გოგონები ისხდებოდნენ.

შედეგად რა წარმოსახვითი სურათი მოგვარა ამან სტივენს?

განმარტოვებული ოტელი უღელტეხილზე მთებში. შემოდგომა. ბინდბუნდი. მოგიზიგზე ბუხარი. ბნელ კუთხეში ახალგაზრდა კაცი ზის. შემოდის ახალგაზრდა ქალი. აღუღებელი მარტოა. ქალი ჯდება. მიდის ფანჯარასთან. დგას. ჯდება. ბინდბუნდი. ქალი ჩაფიქრდა. განმარტოვებული ოტელის ქალაღზე იწყებს წერას. ფიქრობს. წერს. ამოიხრებს. თვლების ვრუხუნი და ფლოკების თქარა-თქერი. ქალი სწრაფად გადის გარეთ. ახალგაზრდა კაცი თავისი ბნელი კუთხიდან დგება. ხელს სტაცებს კულ ფურცელს. ცეცხლთან მიატქს. ბინდბუნდი. კითხულობს. მარტოა.

რას?

დახრილი, სწორი, უკან გადახრილი ასობით: ოტელი "ქინზი", ოტელი "ქინზი", ოტელი "ქინზი", ოტელი "ქინზი"...

შედეგად რა წარმოსახეთი სურათი მოგვარა ამან ბლუმს?

ოტელი "ქინზი", ენისი, კლერის საგრაფო სადაც გარდაიცვალა რუდოლფ ბლუმე (რუდოლფ ვირაგი) 1886 წლის 27 ივნისის საღამოს, ზუსტი საათი დაუდგენელი, ტილჭირის (აკონიტის) გადაჭარბებული დოზის შედეგად, რომელიც ანტიგერარალგიური მალამოს სახით თავად გამოეყენებინა და რომელიც შედეგებოდა ორი ნაწილი აკონიტის მალამოსა და ერთი ნაწილი ქლოროფორმის მალამოსაგან (მის მიერ შექმნილი 1886 წლის 27 ივნისის დღის 10 საათსა და 20 წუთზე ფრანსის დნების აუთიქში, ენისი, ჩერნ სტრიტი 17), მას შებდეგ რაც, თუმც არა ამას შედეგად, 1886 წლის 27 ივნისის ნაშუადღევს, 3 საათსა და 15 წუთზე შეიძინა ახალი და ერთობ ჰქვინი ჩალის ქელი (მას შებდეგ რაც, თუმც არა ამის შედეგად, ნახსენებ დროსა და ადგილს შემოსხენებული საწამლაი შეიძინა) ჯეიმზ კალინის ტანსაცმლის მაღაზიაში, ენისი, მენ სტრიტი 4.

ეს ომონიზა ვითარებაში ჩახედულობას, თუ შემთხვევითობას თუ ინტუიციას მიაწერა?

შემთხვევითობას.

აღწერა თუ არა სურათი ვერბალურად ისე, რომ მის სტუმარს ნათლად წარმოედგინა?

მას ერჩია თავად დაენახა სტუმრის სახე და მისი სიტყვებისთვის მოესმინა, რის წყალობითაც პოტენციალური თხრობა იქნა რეალიზებული ხოლო კინეტიკური ტემპერამენტი განმუხტული.

მან მხოლოდ მეორე დამთხვევა შეამჩნია მეორე სცენაში, რომელიც მოუთხრეს

და რომელსაც მოხრობელმა დაატყა "პლესტინის ხედი ფიხვას მიღს წვერიდან ანუ იგავი ქლაივზე"?

იგი, წინა სურათთან და ღანაწინებთან ერთად, რომლებიც არ იყო მოთხრობილი, მტკრამ იგულისხმებდნენ რიგორც ასეთნი და აგრეთვე სხვადასხვა თემაზე შექმნილი თსწულიობითან ამ ტექსტის საწინააღმდეგეთან ერთად (მაგ. "სემი სეკარული გმირი", ან "დახანება დროის პარიაა"), რომლებიც სწავლის პერიოდში დაწერა, მისი აზრით, თავის თავში შეიცავდა პირად ფაქტორთან ერთად გარკვეული ფინანსიური, სოციალური, პირადი და სექსუალური წარმატების შესაძლებლობას, თუნდ სპეციალურად შეკრებილი და შერჩეული (ასპროცენტრანი ღირსების მქონე) ხანძრუო პედაგოგიური ტექსტები, გამოსადეგი მოსამზადებელი და დაბალი კლასების მოსწავლეთათვის, ანდა ბეჭდური სახით, ფილიპ ბიუფუას ან დოქტორ დიკოს ან პებლონის "ცისფერი ეტიუდების" გამოცდილების მიხედვით, გარანტირებული ტირაჟითა და ფინანსიური ბაღანსით გამოცემული ანდა ზეპირი სახით მოთხრობილი, რიგორც ინტელექტუალური სტიმული კეთილად განწყობილი მსმენელებისა, რომელთაც შეეძლოთ უსიტყვოდ დაეფასებინათ კარგი მოთხრობა და გულდაჯერებით ეწინასწარმეტყველათ მისი წარმატება თანდათან გაზრდილი დამკვეთს პერიოდში, რომელიც მოსდევდა ზაუხულის ბუნინობას, რაც უკვე სამ დღეში დადგება, სახელდობრ სამშაბოს, 21 ივნისის (წმ ელიოზ კონზაგას დღე), მზის ამოსვლა დღის 3.33, ჩასვლა საღამოს 8.29.

რომელი ოჯახური პრობლემა აწუხებდა ისევე ხშირად, თუ არა მეტად, ეიდრე სხვა?

ერთი შეეაქციოთ ჩვენი ცოლები.

რა პიპოთეტური და ორიგინალური გადაწყვეტა გააჩნდა?

საღონური თამაშობანი (დომინო, კუთხობანა, ბანქო, ლოტო, გამოცანები, შა-

რადები, შამი, ჭადრაკი ან ნარდი); ქარვა, ქმსვა ან ქსოვა, უქონელი ბავშვების შემოსვის პოლიციის ვეიდის ქვეშ მყოფი საზოგადოებისათვის: მუსიკალური დუეტები, მანდოლინა და გიტარა, ფორტეპიანო და ფლეიტა, გიტარა და ფორტეპიანო; იურიდიული დოკუმენტების გადაწერა ან კონვერტებზე მისამართების წერა; კვირაში ორჯერ გასართობი დაწესებულებების მონახულება: კომერციული საქმიანობა, როგორცაა რძის ნაწარმისა ან თუთუნის მოკრძალებული და მყუდრო დუქნის დიასახლისობა, სადაც ის მომხიბლავად მბრძანებლობს და სადაც მას სიამოვნებით ემორჩილებიან: ეროტიკული ალგზნების ფარული დაკმაყოფილება მამაკაცთა ოფიციალურად სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ საროსკიპოებში; რეგულარული თუმც არა ზშირი, ზშირად რეგულარულად შეწყვეტილი, ვიზიტები, მეზობლად მცხოვრებ უშვიკლო რეპუტაციის მქონე მანდილოსნებთან, რეგულარული მეთვალყურეობითა და საპასუხო ვიზიტებით; საღამოს განმანათლებლური კურსები სავანგებოდ გამიზნული განათლების რაც შეიძლება საამოდ და ძალდაუტანებლად მიხედვად.

მისი ცოლის გონებრივი განვითარების დეფიციტის რომელმაც გამოვლინებებმა განაწყო ის უკანასკნელად ნახსენები (მეცხრე) გადაწყვეტილებებისადმი?

მოცალებობის ფაშ მას არაერთხელ გაუესია ქაღალდის ფურცელი ნიშნებითა და იეროვლიყებით, რომლებიც მისი მტკიცებით ბერძნული და ირლანდიური და ებრაული ასოები იყო. ის გამოდმებით, დროის სხვადასხვა ინტერვალებით, კითხულობდა კანადის ქალაქ კვებეკის მართლწერას. ის ცუდად ერკვეოდა შიდა პოლიტიკურ ვითარებაში, ასევე გარეშე ძალთა თანაფარობაში. ვადასახადების ანგარიშისას ის ზშირად მიმართავდა თითებს. ლაკონიური ეპისტოლარული თხზულების დასრულების შემდეგ მას ენკაუსტიკურ საღებავში ჩარჩებოდა ხოლმე კალიგრაფიის იარაღი, რომელიც ორვალენტოვანი რკინისა და სპილენ-

ძის ხელფატიცა და წინგოს მელნის ზემოქმედებას განიცდიდა. უცხოური წარმოშობის უცნაურ პოლისილატურ სიტყვებს ის განმარტავდა მათი ელერალობისა ან შედარა-აბლოციის თხედვით, ანდა ისეც და ასეც: მეტემფიქოზი (გადაძეტებული ალგზნება) ან ახოზიმი (მეკლი ადოქიმი ჟერსონი).

რითი ზნებოდა მისი ინტელექტის ყალბ ბალანსში ადამიანების, ადგილებისა და საგნების შესახებ არსებულ ასეურ და ამდაგვარ მსჯელობათა დეფიციტის კომპენსირება?

ყველა გამაწონასწორებელი მოწყობილობის პერპენდიკულარული მხრების კონსტრუქციით, მოგენებითი პარალელიზმით დადასტურებული. ერთი ადამიანის შესახებ მისი გამჭრიახი მსჯელობის, როგორც საპრინიეს, გამოცდილებით დადასტურებული.

როგორ ცდილობდა იგი ამ შედარებითი უეციობის მღვთმარების აღმოუზვრას?

სხვადასხვანაირად. თვალშისაცემ ადგილას გარკვეულ გვერდზე გადაშლილი გარკვეული წიგნის დატოვებით: მინიმუმები ახსნით, რაც მასში დაფარულ ცოდნას ვარაუდობდა: მისი თანდასწრებით რომელიმე იქ არ მყოფის უეციობის გაკილვით.

რა წარმატებას მიაღწია მან პირდაპირი დამოდერებით?

ყველაფერს ვერ იკებდა, მხოლოდ ნაწილობრივ, ინტერესით უსმენდა, განცვიფრებით სწავლობდა, ბეჯითად იმეორებდა, დღის გაჭირვებით იმახსოვრებდა, იოლად ივიწყებდა, ხელმეორედ იხსენებდა კრძალვით, ხელმეორედ იმეორებდა შეცდომით.

რომელი სისტემა აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური?

არაპირდაპირი ჩაგონება პირადი ინტერესების გათვალისწინებით.

მაგალითი?

იმას არ უყვარდა ქოლგით წვიმაში, მას კი მოსწონდა ჭელი ქოლგით, იმას არ უყვარდა ახალი შლაპით წვიმაში, მას კი მოსწონდა ჭელი ახალი შლაპით, მან იყიდა ახალი შლაპა წვიმისათვის, იმან ახალი შლაპა დაიხურა და ქოლგით გავიდა წვიმაში.

მისი სტუმრის იგავში მინიშნებული ანალოგიით, "დიდებულთა ეგვიპტური" დატყვევების შემდგომ რომელ მაგალითებზე მიუთითა?

უხენაესი ჭეშმარიტების სამი მაძიებლის, ეგვიპტელი მოსეს, მოსე მაიმონიდეს, "გზააბნეულთა მკვლევის" ავტორის, და მოსე მენდელსონის, იმდენად გამოჩენილთა, რომ მოსეს (ეგვიპტელი) შემდეგ მოსემდე (მენდელსონი) არეინ გამოჩენილა მოსეს (მაიმონიდე) დარი.

რა განაცხადა, გარკვეული შესწორების სახით, ბლუმმა ჭეშმარიტების მეოთხე მაძიებლის, არისტოტელედ წოდებულის და სტივენის მიერ ნახსენების მიმართ?

რომ ხსენებული მაძიებელი იყო მოწაფე კინზე ფილოსოფოსი რაბინისა, რომლის გვარი უცნობია.

იყენენ თუ არა ნახსენები სხვა ანაკრიფული სახელოვანი ტენი კანონისა და შეიღნი რჩეული და განდევნილი მოღვმისა?

ფელიქს ბართოლდი მენდელსონი (კომპოზიტორი), ბარუხ სპინოზა (ფილოსოფოსი), მენდოზა (მოკრივე), ფერდინანდ ლასელი (რეფორმატორი და დუელანტი).

რომელი პოეტური ნაწარმოები იქნა ციტირებული სტუმრის მიერ მასპინძლისთვის და მასპინძლის მიერ სტუმრისათვის ძველ ებრაულ და ძველ ირლანდურ ენებზე ხმის სათანადო მოდულაციითა და ტექსტის თარგმნით?

სტივენის მიერ: suil, suil, suil arun, sui go siocair agus suil go cumh (იარ, იარ, იარ შენი გზით, იარ მშვიდობით, იარ ფრთხილად).<sup>11</sup>

ბლუმმა მიერ: kieloch, haranon rakat-jich ni baad zamatejch (კითხვითა ლუბანი ბროწყულისა ღაწვები შენი შესს პირბადის ქვეშ).

როგორ ხდებოდა ორი ენის განსხვავებული ბგერითი სიმბოლოების გრაფიკული გამოხატვა ზეპირი შედარების გარდა?


ერთმანეთის გვერდით თვალსაჩინოდ წარდგინებით. დაბალი ლიტერატურული ღირებულების მქონე წიგნის "ცოდეთა საამუნის" (რომელიც ბლუმმა შეაშველა და გარკვეული მანიპულაციების შედეგად მოახერხა, რომ მისი ფაა შეხებაში მოსულიყო მაგდის ზედაპირთან) ბოლოს წინა სუფთა გვერდზე, სტივენმა ფანქრით (რომელიც თავად შეაშველა) მიაწერა ირლანდიური ასოები გ, პ, დ, მ, მათი მარტივი და სახეცვლილი ბგერებით, ხოლო ბლუმმა თავის მხრივ ჩამოწერა ებრაული ასოები ვიმელ, ალუ, დალუ და (მემ-ის უქონლობის გამო სანაცვლოდ) ყოფ, თან განმარტა მათი არითმეტიკული მნიშვნელობები როგორც რიცხობითი და რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა, სახელდობრ 3, 1, 4 და 100.

გაანდათ თუ არა ორივეს თითოეული ამ ენის, მკვდრისა და აღორძინებულის, თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა?

თეორიული, ზოგიერთი შემთხვევითი გრამატიკული წესისა და სინტაქსის შეზღუდული ცოდნით და პრაქტიკულად სიტყვიერი მარაგის გარეშე.

შეხების რა წერტილები გაანდათ ამ ორ ენას და იმ ხალხს, რომლებიც მათზე ლაპარაკობდნენ?

ზახისმიერი ბგერების არსებობა, დიაკრიტიკული ფშვინვიერობა, ჩართული და დამხმარე ასოები ორივე ენაში: მათი სიმძველე, რამეთუ ორივეს ასწავლიდნენ





შინყარის ქვეყანაში წარდნიდან 242 წლის შემდეგ ნოს შოამომავლის, ისრაელის მამამთავრისა და ირლანდიის მამამთავრების — ჰებერისა და ჰერემონის — ფინიუს ფარზაჰის მიერ დაარსებულ სემინარიაში<sup>12</sup>; მათი ბრძელოგიური, გენიალოგიური, სოგოგრაფიული, ეგზეგეტიკური, პომბლეტიკური, ტომონომასტიკური, ისტიორიული და რელიგიური ლიტერატურები, მათ შორის რაბინებისა და ირანდიელი ანაქორეტების ნაწერები, თორა, თალმუდი (მიშნა და გემარა), მასორი, ხუთთავი, წაბლა ძროხის წიგნი, ბალიმოტის წიგნი, პოუტის გვირგვინი, კელხის წიგნი<sup>13</sup>; მათი განფანტვა, დევნა, გადარჩენა და აღორძინება; მათი ხინაგოგური და ეკლესიური წესჩვეულების იზოლირება გეტოში (წმ. მარიაშის საბატო) და საერო სახლში (ადამისა და ევას სამიკოტნი); მათი ეროვნული შესამოსელების აკრძალვა სისხლის სამართლის კოდექსებში და ბრძანებებში ებრაელთა ჩაცმულობის შესახებ; დავითის მეფობის აღდგენა სიონის ქანაანში და ირლანდიური პოლიტიკური ავტონომია ან მისთვის უფლებების მინიჭება.<sup>14</sup>

რომელი კიშნი წაიმდგრა ნაწილობრივ ბლუმმა ამ ერთობლივი, ეთნიკურად აუსრულელების ასრულების ჭვრეტისას?

Kolod balejwaw primah Nefesch, jehudi, homijah.<sup>15</sup>

რატომ შეწყდა ვალობა ჯმ პირველი ორტაქების შემდეგ?

მემოტეკნიკის არასრულყოფილების გამო.

რთი აანახლაურა მგალობელმა ეს არასრულყოფილება?

ზოგადი შინაარსის თავისუფალი გადმოცემით.

რომელი საგნის გამოკლევამ გააერთიანა მათი საზიარო ფიქრები?

განურტელი გამარტივება, რომელიც შეინიშნებოდა ევკატეტი ეპიგრაფიკული იეროგლიფებიდან მოყოლებული ბერძნულ და ლათინურ ანბანბამდე და თანამედროვე სტენოგრაფიისა და ტელეგრაფი კლასიფიკაცია ლერსინულ (სმატურ) და ფემის (კელტურ) სოლისებრ ნაწერში.

შესრულა თუ არ სტუმარს მამაინის ლის თხოება?

ორმაგად, ზელი მოაწერა ირლანდიული და ლათინური ასოებით.

როგორი იყო სტივენის სმენითი შვრძებები?

გულში ჩამწელომ უძველეს მამაკაცურ უცნობ პანგში მას წარსულის გამოძახილი მოესმა.

როგორი იყო ბლუმის ხილვითი შვრძებები?

მკვირცხლი ჭაბუკის ნაცნობ ფორმაში მან მომავლის მინიშნება დაინახა.

როგორი იყო სტივენისა და ბლუმის მიერ ფარული პიროვნებების გააზრებული კვაზიერთობლივი კვაზიალქა?

სტივენის ვიზუალური: სამების ტრადიციული სახე აღწერილი იოანე დამასკელის, ლენტულე რომანუსის და ეპიფანე მონაქუსის (ქვიროსელის) მიერ, როგორც დეიკოდერმიული სესკვიპედალური დეირომუქი თმით.<sup>16</sup>

ბლუმის სმენითი: კატასტროფის ექსტაზის მოძასწავებელი ხმა.


რა მომავალი კარიერა იყო შესაძლებელი ბლუმისათვის წარსულში და ვისი მაგალითით?

ეკლესიაში — კათოლიკურში, ანგლიკანურში ანდა ნონკომფორმისტულში; მაგალითები: მადალდორსი ჯონ კონში, იეზ. სახ., ღირსი ტ.სელმონი, სამების კოლე-

ჯის რექტორი, დოქტორი ელიგზანდერ ჯ. დიუი. სახამართლოში — ინგლისურ-სა ან ირლანდიულში: მაგალითები: სიმორ ბუში, სამეფო ვეჭილი, რუფუს აიხეკსი, საეფო ვეჭილი. სცენაზე — თან-


ამედროვე ან შექსპირულ რეპერტუარებში: მაგალითები: ჩარლზ ლინდემი, ბრწყინვალე კომიკოსი, ოსმონდ ტირელი (1901), შექსპირული როლების შემსრულებელი

გავრცელება იქნება



მე-17 ეპიზოდი კატეხიზმის ფორმითაა დაწერილი და მას ხშირად ბლუმის განვილი დღის "ლიტურგიას" უწოდებენ. მასში ასევე მრავალი პარაფრაზი დაიძებნება "ოდისეის" XVII - XXIII წიგნებთან, სადაც მოთხრობილია ოდისეისა და ტელემაკეს სხვადასხვა გზებით შინ, თიაკაში დაბრუნება, ოდისეის "ბრძოლის ტაქტიკა" პენელოპეს ხელისმძივნეებებთან, და ა.შ.

1. პარასკევი კვირის დღეა შორის ველაზე უიღბლო დღედ ითვლება ევროპულ ქრისტიანობაში.
2. ირლანდიაში ქრისტიანობის შემოქმედანად წმ. პეტრიკა მიჩნეული, ხოლო პირველ მონათლულ მუფედ კორმაკ მაკარტი (254-277).
3. შდრ.: 3 მეფეთა 18:42-44.
4. მინიშნება აღდგომის თარიღის დადგენის რთულ სისტემაზე, რომელიც საეკლესიო მინიშნეებზე შემოყვება, რათა ქრისტიანული აღდგომა არ დამთხვეოდა ებრაულ კალენდრს. მასეთის ბოლოს ჯოისის უხუსტობაა, უნდა იყოს 6 IV ანუ 1904 წ.
5. შდრ.: ტელემაკე ოდისეეს ემბარება დღის ხელისმძივნეელთა ჩარახვაში — "თიაკის" ეპიზოდის მრავალთაგან ერთ-ერთი პომპროსისეული აღუზა.
6. მრავალი მინიშნება "ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტის" პერსონაჟებსა და რეალურ ადამიანებს.
7. შერკატორი (იგივე გერპარდ კრემერი, 1512-1594) — ფლანდრიელი გეოგრაფისა და მათემატიკოსის რუკაზე პოლარული რეგიონები მეტად გადიდებული იყო, რითაც გაიზარდა წყლის საფარის რეალური თანაფარდობა ხმელეთთან.
8. შდრ.: ესაია 49:6.
9. ანუ სიმპოზიუმის პრეზიდენტის, უფროსის ან გამგებლის უფლებით.
10. ისევე "ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტის" მინიშნება; სტივანი თავს "სტატისკურ პოეტად" მიიხსენიდა.
11. ირლანდიური ბალადის პირველი ორი ბჭარი; იქვე შდრ.: ქუბ 4:3.
12. "ფაქტი" ჯეფრი კიტინგის (1570-1644) მიერ შეკრებილი ირლანდიური ლეგენდების წიგნიდან.
13. "მასორი" ანუ მასორეტული ტექსტი — ბიბლიური ენისა და შინაარსის აღწერა (VI-IX საუკ.); ჩამოთვლილი ოთხივე წიგნი წარმოადგენს ირლანდიური ლიტერატურის ცნობილ ანთოლოგიებს (VIII-XII საუკ.).
14. მინიშნება ერთის შრივ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ებრაელთა დევნაზე, რაც კანონმდებლობითაც გამოიხატებოდა. შორეს შრივ გათლიციზმის დევნა ირლანდიაში ინგლისელთა მიერ; ასევე მინიშნება თიადორ პერცელის წიგნის გამოცემაზე 1896 წელს, საიდანაც იწყება ებრაელთა თვითმკვნიების ახალი ეტაპი.
15. (ებრ.) მიახლ.: "იუდეას სული მძღავრი და დაუდგრომელია" — სტროფები 1890-იან წლებში შექმნილი ჰიონისტური მოძრაობის კიშისა "იმედი", რომელიც დღეს ისრაელის ეროვნული კიშია.
16. სტივენის მიერ ჩამოთვლილი ორი რეალური პირველწეარო (იოანე დამასკელი, 700-754 წწ.; ელიფანე მონაქუსი, 315-403 წწ.; შესამე უიქტორი ფიგურაა) არ ახასიათებს სამებას ამ ტერმინებით (იგულისხმება ფერმერთაღი, საზე-თეთარი); დენისიუფერი ან დენიომუქი პომპროსის ველაზე ხშირი ეპითეტია.



თაბაჯ ჭილაკა

## საქართველოს

## გენერალის

1967 წელს, მოსკოვის "ლიტგაზეტას" თხოვნით, დავნერე პატარა ესე პუშკინზე - "შეიდი მიხაკი ობელი-სკთან". იმ სტატიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, მაშინ ჩემივე ზერელე შთაბეჭდილებების ტყვეობაში ვიყავი. როგორც ჩანს, ოფიციალური მიერ ბრინჯაოსა და მარმარილოსგან შექმნილი პოეტის ხატი უნებურადაც კი აუცხოვებდა მას ჩემთვის - იმ ქვეყნის წარმომადგენლისთვის, სადაც ასე გულმხურვალედ მიიღეს და სადაც ბევრი რამ შეუმჩნეველი და გაუგებარი დარჩა მისთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის. შეიძლება ითქვას, გოგირდის აბანოს ორთქლში ნამდვილი საქართველო ვერც კი შეამჩნია. მხოლოდ შემდეგ, საკმაოდ დიდი ხნის მერე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ პოეზიამ მაინც გაიმარჯვა პოლიტიკაზე, როცა მან ერთადერთ ფრაზაში, მოცარტისეული სიცხადითა და ძალით შესძლო, მოექცია იმდროინდელი საქართველოს ჭეშმარიტი მდგომარეობის სიმბოლური სახე - საქართველოს მთებზე ღამის ბინდი ჩამონოლილაო. რასაკვირველია, დასაშვებად მიმაჩნია, რომ ეს იყო გენიალური, თუმცა იმპულსური აკორდი, ელვა, ქვეცნობიერი ინტუიტიური ბიძგი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ სიმართლისკენ ყოველგვარ ლტოლვას ინტუიცია არ უდევს საფუძვლად? თანდათანობით ჩემს წარმოდგენაში შეერთდა ყველა ჩემთვის მთავარი და მნიშვნელოვანი თვისება მისი შემოქმედებისა - სიტაბუკე, უბრალოება და სიმამაცე. ამასთანავე, მის სიტაბუკეს აღვიქვამდი, როგორც მისივე შემოქმედების საყრდენ მელოდიას,

ხოლო უბრალოებას, ასე რომ ამხრენებს ყვლაფერს, რაც ნამდვილად დიადია და რასაც ძველი ქართველი პიმნოგრაფები "მიულნეველს" უწოდებდნენ, როგორც მდიდრულ საჩუქარს. რაც შეეხება სიმამაცეს, შეიძლება ითქვას, სწორედ ეს თვისება მისი ნიჭიერებისა, ჩემი აზრით, ხსნის და განსაზღვრავს პოეტის შემოქმედებით ძალისხმევას, ამასთანავე, აღნიშნავს კიდევ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების სინქრონულობასა და მთლიანობას.

სიტაბუკე, უბრალოება და სიმამაცე სწორედ ის ელემენტებია პოეტური ალქიმისა, სიტყვიერ სასწაულებს რომ წარმოქმნიან, და რომელთა წარმოდგენა მხოლოდ ფრაზად, თუნდაც, მეტაფორად, არა მარტო უხერხულია, არამედ უსამართლოც, რამდენადაც ეს სინამდვილის ცოცხალი ნაფლეთია. როგორც გოგოლი იტყოდა - რალაც ცოცხალს სტაცებს ცხოვრებას...


როდესაც მარინა ცვეტაევას ფურცელზე კალმით ორი სიტყვა გამოჰყავდა - "ჩემი პუშკინი", ალბათ, სრულიად გაუთვითცნობიერებლად, რაც ამ შემთხვევაში ლოგიკურადაც გვეჩვენება, მთელი არსებით ითქვიფებოდა ისეთი წარმოდგენების ნათელ სიღრმეებში, როგორიცაა "მშობელი", "სახლი", "სამშობლო" და ამასთანავე კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა იმ დიდებულ გენეტიკურ ერთობას, რომელიც ხალხად იწოდება. ეს კი ალბათ უჩნდა პოეტთან ნათესაობის ნათელსა და სასიხარულო გრძნობას. სხვა ენობრივი სამყაროდან მოსულ, სხვა კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილი მკითხველისთვის, როგო-

რიც, თუნდაც, მე ვარ, ასეთი ბედნიერი წუთები ცნობილია, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავისი ეროვნული პოეტების, სიტყვისა და გრძნობის თავისი სასწაულმოქმედების წყალობით, რომელთა სიდიადესაც ისიც ახასიათებს, რომ თვალს გვიხელს, ჩვენს მზერას წარმართავს იმ ღვთაებრივ შუქთან შესახვედრად, საერთო ცაზე რომ ირეკლება და ერთნაირად ეკუთვნის ყველას, ვისაც უნდა და შეუძლია მისი დანახვა. ასე რომ, გარდა მინიერი ერთობისა, არსებობს ციური ნათესაობაც, შექმნილი სხვადასხვა ხალხის დიდი პოეტების მიერ.

როდესაც ასეთ პოეტ-წინასწარმეტყველებზე ფიქრობ, გეუფლება მოულოდნელი, მე ვიტყვოდი - უცნაური აზრი, რომ პოეზია, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სახეობასთან შედარებით და, რასაკვირველია, არასპეციფიკური მნიშვნელობით, ყველაზე ახლოს დგას მედიცინასთან და არაფერი საერთო არ გააჩნია პედაგოგიკასთან, საითკენაც ასეთი მონდომებითა და სიჯიუტით ეზიდებიან მას განათლების დეპარტამენტის "ბურლაკები" და არა მხოლოდ ისინი. პოეზიის მედიცინასთან შედარება, წმინდა პოეზიის მიმართ ასეთი ერეტიკული აზრის არსებობა, უკვე თავისთავად ცხადყოფს ზემოთ ნახსენები პოეტების გრანდიოზულობას. დიახ, პოეზია კი არ ასწავლის, არამედ კურნავს და, კაცმა რომ თქვას, არც შეუძლია იყოს ცხოვრების მასწავლებელი იმ მარტივი და დიადი მიზეზის გამო, რომ თვითონ წარმოადგენს ცხოვრებას, გვევლინება ცხოვრებაზე უფრო ცხოვრები-

სეულ ფენომენად, როგორც ერთმა ცნობილმა ლიტერატორმა თქვა. პოეზია არ ცდილობს გარდაგვექმნას იმაზე უკეთესად, ვიდრე სინამდვილეში ვართ. ის გვამზადებს ადამიანობასთან ზიარებისთვის, დიადისულოერი ოპერაციისათვის, რასაც ოცნების ტრინსპლანტაციაც შეიძლება გუხოდოდ. პოეზია ებრაელების, ბლოკის სიტყვით "ადამიანი აქციოს ადამიანად", რათა ყველა მოაზროვნე არსებამ მიაღწიოს იმ. "საიდუმლო თავისუფლებას", რომლისკენაც ქეშმარიტი მონოდება უბიძგებს. დანარჩენი უკვე თავად ადამიანზე დამოკიდებული...

აი, დღეს ისევ ვიხსენებ პოეტს, რომელმაც საქართველოსთვის ტრაგიკულ დღეებში ღირსეულად დაიჭირა ენ. ცეცხლით გამოცდა, ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით. საქმე ის არის, რომ პოეტის ძეგლს აგებულს მოქალაქეთა შეწირულობით თბილისის მთავარ მოედანზე მე-19 საუკუნის ბოლოს, როყო ტყვიაც კი არ მოხვედრია, ტალახის წვეთიც კი არ შეხებია ქუჩის ბრძოლების ეპიცენტრში მდგარს, როცა მის გარშემო სახლები ინვოდა და გრუზუნით პირქვე ემზობოდა იმათი ძეგლები, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ნებისმიერ პოეტზე ძლევა-მოსილება დ გვეჩვენებოდა. უნდა ითქვას, რომ პოეტებს შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა, ოღონდ... სიკვდილის შემდეგ. ის ფაქტიც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ომის დამანგრეველი სიბრძავეც კი უმწეო აღმოჩნდა ჩემი ხალხის მაღალი ადამიანური ტრადიციებისა და კულტურის წინაშე...




# კრიტიკა, კუბლიცისტიკა

ელიშაბათი ხოშთარია-ბროსე,  
აკთიანდოილ მინთიუაზუვილი

## საქართველოს საზღვრები

ივანე ჯავახიშვილის წიგნის  
"საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული"  
ტფილისი, 1919 წ." შექმნის პერიოდი და მნიშვნელობა



პირველი მსოფლიო ომი ოთხნობიანი გამძვინვარებული ბრძოლების შემდეგ 1918 წლის ნოემბერში ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვებით დამთავრდა.

ომის ევროპაში მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც მთელი რიგი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნით დაგვირგვინდა. ეს სახელმწიფოები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისა და მისწრაფოდნენ, ოფიციალური საერთაშორისო ალიანსებისათვის რომ მიეღწიათ. ამ მხრივ გამოწვევის არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დადგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, რადგან მეზობელ ქვეყნებს პრეტენზიები გააჩნდათ საქართველოს ისტორიული საზღვრების მიმართ.

მეფის თვითმწყობელობამ ამიერკავკასიაში ვახანტორების შემდეგ შემოიღო მხარის ადმინისტრაციული დაყოფა გუბერნიებად და მახრებად, რამაც აქ ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნულ-ტერიტორიული საზღვრების მოშლა გამოიწვია. ცარიზმის ასიმილაციური პოლიტიკა, რომელიც "გათიშე და იბატონეს" პრინციპს ეფუძნებოდა, გათიშულობის ხელოვნური გაღრმავებისა და იყო მიმართული, რაც ცარიზმს საშუალებას აძლევდა მოხერხებულად მანეჟირების გზით "არბიტრის" როლი ეთამაშა ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობებში.

განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებისა და ლორეს რაიონის გამო. სომხეთის მთავრობა ხელოვნურად ტერიტორიებს არ სცნობდა საქართველოს შემადგენლობაში. ამას მოჰყვა ნოტების გაცვალა. საქართველოს მთავრობამ შესთავაზა სადავო საკითხის განხილვა

ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის კონფერენციაზე, მაგრამ სომხეთის მხარემ უარი განაცხადა. ეს უკანასკნელი არც ორმხრივ შეხვედრაზე დათანხმდა.

ამ პერიოდში ამიერკავკასიაში საგარეო პოლიტიკური კონიექტურა შეიცვალა. გერმანიისა და თურქეთის დამარცხების შემდეგ მათ ნაცვლად ინგლისელები მოვიდნენ. ამით უნდოდნენ ესარგებლათ დაშნაკებს და საომარი გზით გადაეწყვიტათ საზღვრების საკითხი. ამაში მათ ანტანტის იმედი ჰქონდათ, რადგან საქართველოს მთავრობამ "სახელი გაიტება" ანტანტის ქვეყნების თვალში ადრე გერმანიის მოწვევითა და მასთან მჭიდრო ურთიერთობით.

როგორც ამიერკავკასიის მთავრობის გეგმები სომხეთის მიმართ ამ პერიოდში? უალრესად მშვიდობიანი. ამაზე მეტყველებს საქართველოს მთავრობის ხელმოწერა 1918 წლის 21 ნოემბრის საიდუმლო ოქმი, სადაც განიხილებოდა საქართველოს დელეგაციის მოქმედების საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. ოქმში, კერძოდ, ვკითხულობთ: "სომხეთთან დაახლოვება ჩვენთვის საჭიროა მეტად: თუ, ჩვენ, ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარ არსებობას; და ეს გარემოება, გარდა ამისა, ევროპაშიაც ცუდ მთაბეჭდილებას მოახდენს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ორი, სომხეთის - ოსმალეთისა და რუსეთის - შეერთება. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, საოსმალეთო სომხეთისა და გადაიხაროს სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა. - ჩვენ ამ მიზნით იმავით უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვის პირით. თუ ასე ნავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოახვედრება საქართველოს, - და ადვილად გადაწყდება სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა." მაგრამ, მოუხედავად საქართველოს მთავრობის ამკარად გამომავალი სამშვიდობო პოლიტიკისა, 1918 წლის 9 დეკემბერს ბორჩალოს მაზრა-

\*წინგი ბიბლიოგრაფიულ იხვითობას წარმოადგენს. იგი ხელმოწერვდ გამოსცა და ბოლოსიტყვაობა დაურთო დურამიხან ცინცაძემ.

ში სომხურმა ჯარებმა შეტევა დაიწყეს. მობი-  
ლიზაციის ჩატარებისა და ჯარების გადაჯგუ-  
ფების შემდეგ, ქართველები კონტრშეტევაზე  
გადავიდნენ. სომხეთის ჯარებმა დაიხიეს. 25  
დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. ბო-  
რჩალოს მახრამში ნეიტრალური ზონა შეიქმნა.  
საბოლოოდ საზღვრების საკითხი პარიზის სა-  
მშვიდობო კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა.

საქართველოს მთავრობის 21 ნოემბრის სხ-  
დომაზე უნდა დამტკიცებულიყო პარიზის  
კონფერენციაზე გასაცავნი დელეგაციის შე-  
მადგენლობა. დელეგაციის მეთაურად დაინი-  
შნა ნ. ჩხეიძე (სოციალ-დემოკრატი, პარლამენტის თავმჯდომარე). გარდა ამისა,  
დაისვა საკითხი კონფერენციაზე საქმის  
მცოდნე პირები და სპეციალისტები  
გატეზავნათ, რათა მათი დახმარებით  
გარკვეულიყო იქ ნაშოჭრილი საზღვრების  
საკითხი. კანდიდატურათა შორის იყო დიდი  
ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.  
როგორც დელეგაციის მეთაური ნ. ჩხეიძე აღ-  
ნიშნავდა, იყო მეორე კანდიდატურაცა - ბ.ნი პა-  
ველ ინგოროვება, მაგრამ, მისი აზრით, ეს უკა-  
ნასკნელი ვერ გასწევდა ჯავახიშვილობას და  
თუ იგი (ივ.ჯავახიშვილი) წავიდოდა, პირგორო-  
ყვას წასვლა აღარ იქნებოდა საჭირო. დელეგა-  
ციის ერთ-ერთი წევრი გ.რცხილაძეც დაიწე-  
ბით დამტკიცებდა, რომ ივ.ჯავახიშვილის მონა-  
წილეობა აუცილებელი იყო: "ბევრი ისეთი მა-  
სალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს  
მოეპოვება და თუ მოვიხიბდა მემორანდუმების  
წერა - ისტორიულად და ეთნოგრაფიულად და-  
საბუთებული, ვინ მოგვანების მასალებს, თუ ბ-  
ნი ჯავახიშვილი არ იქნება დელეგაციაში, იმ პი-  
რებიდან, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ,  
ჯავახიშვილისა და ოდიშელიძის მონაწილეობა  
აუცილებლად საჭიროა. ჯავახიშვილი უარს  
ამბობს უნივერსიტეტის საქმედების გამო, მა-  
გრამ თუ დიდბანს არ უნდა იქ დარჩენა, ცოტა  
ხნით მაინც ნამოვიდეს".<sup>1</sup>

გადაწყდა წერილობით მიემართათ ივ.ჯა-  
ვახიშვილისათვის, რათა იგი აუცილებლად  
დათანმშებულყოფი წასვლაზე.

ივ.ჯავახიშვილი დათანხმდა მონაწილეობა  
მიეღო პარიზის კონფერენციის მუშაობაში და  
აქტიურად ჩაერთო მთავრობის სამუხაფისში. 4  
დეკემბერს სხდომაზე მან აღნიშნა, რომ აუცი-

ლებელიყო საქართველოს პოლიტიკების ისტო-  
რიულ-ეთნოგრაფიული ასპექტების დასაბუ-  
თება. იგი, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას  
ამახვილებდა სამხრეთ საზღვარზე (ბორჩალო-  
ახალციხე-ახალქალაქის მახრამზე). სომხებთან  
ურთიერთობის საკითხზე დაკრებულ სამუხა-  
ფისო საუბარებში უპირატესად უკუთხოვდა,  
მან თქვა, რომ "ოსმალები ძლიერ ფრთხილად  
იქცევიან ხიზინი ენებზე მხოლოდ სარბინთე-  
ბრიე მხარეს ამის წინააღმდეგ ბრძოლა გავე-  
ადგინდება, თუ რაიმე საიდუმლო მოღვაწეობა-  
კება არ არსებობს ინტელისსა და ოსმალების შო-  
რის. ამის საბუთები არის, რადგანაც ვერ ოს-  
მალები არ მიდიან დაყურობილა ადგილებიდან.  
მთავრობის პირველ კრებაზე ჩვენ დავაყენეთ  
საკითხი - ანვეს თუ არა დელეგაციას ვალად,  
რომ პასუხი გავცეთ, თუ ამ ადგილების შესა-  
ზებ იქნება საკითხი დაეკრებულნი. მე მაქვს ამის  
შესახებ საიდუმლო საბუთები - ოსმალების მო-  
სახლეობისა და სხვა. რაც შეეხება სომხებს, მათ  
მოთხოვნილებათა საბუთიანობას - ეს სხვადა-  
სხვაგვარია, არის ეთნოგრაფიული მოსახრება-  
ნი, ეკონომიური და დასახლებული ისტორიუ-  
ლაც, მაგ. ძეგლები".<sup>2</sup> ივ.ჯავახიშვილი შეეხო  
სომხეთა პრეტენზიებს და განმარტა, თუ რა სა-  
ბუთები ჰქონდა მათ სანაინაღმდეგოდ.

სამშუბაროდ, პარიზის კონფერენციაზე სა-  
ქართველოს საკითხმა სათანადო ადგილი ვერ  
ჰპოვა. ივ.ჯავახიშვილმა თავის დაკვირვებებს  
და მასალებს საქართველოს საზღვრების შესა-  
ხებ თავი მოუყარა ერთ ნივანად - "საქართველოს  
საზღვრის ისტორიულად და თანამედროვე  
თვალსაზრისით", რომელიც გამოქვეყნდა თბი-  
ლისში 1919 წ. ბოლოსიტყვაობაში კი მიწერი-  
ლია: "ზათუმი-კონსტანტინოპოლი, 1919 წ. იან-  
ვარი-მარტი".<sup>3</sup> ჩანს, მასალების მომზადება მი-  
ესადაგებოდა კონფერენციას. მართალია,  
ივ.ჯავახიშვილი პარიზში არ წასულა, მაგრამ მისი  
მონაწილეობით საქართველოს დელეგაციის  
სახელით შედგენილი მემორანდუმი, რომე-  
ლშიც ქვეყნის ისტორიისა და საზღვრების სა-  
კითხებზე არის შესული, კონფერენციას 1919  
წლის მარტში წარედგინა.

ნაშრომის შესავალში ივ.ჯავახიშვილი გან-  
მარტავს მის საგანს და მიზანს, იგი წერს: "საუ-  
კუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმ-  
წიფოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის

1. საქართველოს დელეგაციამ პარიზის კონფერენციაზე 1919 წლის 14 მარტს წარმოადგინა ივ.ჯავახიშვილის მონაწილეობით შედგენილი მემორანდუმი, სადაც მოცემული იყო პოლიტიკური მოთხოვნები და საზღვრები. იხ. საქართველოს ოკუპაცია და დაქტიური ანექსია. შემადგენელი ა.მენთეშაშვილი, თბ., 1990. იხ. გვ. 54-62 (რუსულ ენაზე).  
2. ამენტუშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, "მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1992, გვ. 164.  
3. იქვე, გვ. 173  
4. ნაწამდებარე წერილი ჩვენ ვისარგებლეთ ნივთს ახალი გამოცემით: ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვაობა დაურთო დურმიშთან ცინცაძემ, თბ., 1996 წ.

სამზღერებს არა ერთხელ გასცილება და ძლიერების ხანაში, მე-9 მე-13 საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-12 საუკუნეში, დაეთი აღმამენებლისა და თამარ მეფის დროს, საქართველოს მთელი ამიერი კავკასიაც კი ეკუთვნოდა. ქვემოთყვანილ მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღერები, ისე, როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიკური მოვლების წყალობით ჩამოყალიბდა" (გვ. 3). ე. ი. მეცნიერის აზრით, ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული "მჭიდროდ შემოფარგლული სამზღერები" გულისხმობს "ტომობრივ მოსახლეობის სამზღერებს", ანუ ისტორიულად ქართველთა განსახლების ფარგლებს.

ნაშრომის მიზანდასახულობას რაც შეეხება, ივ.ჯავახიშვილი ამას შემდეგნაირად აყალიბებს: "წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქართველოს სამზღერებს არკვევს ისტორიულადაც, - თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღერებს ქართველი ერის საუკუნეთა განმავლობაში, - და თანამედროვე ცნობებისა და აწინდელი პირობებისა მიხედვით, - თუ რა-ნაირად შემოხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღერები ამჟამად, რომ საქართველოს სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქნას" (იქვე).

ამრიგად, ნაშრომს აქვს არა მარტო მეცნიერული, არამედ წმინდა პოლიტიკური დანიშნულებაც - დაიცვას ქართველი ერის ინტერესები თუ უფლებები საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე. ეს კი იმ პირობებში მეტად აქტუალური იყო, რადგან რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად დღის წესრიგში იდგა ამიერკავკასიის ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მათი სახელმწიფო საზღვრების დადგენის საკითხი, მითუმეტეს, რომ ამ საზღვრებზე დაეცა იყო ატეხილი და ძალის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი.

ბოლოსიტყვაობაში ივ.ჯავახიშვილი იმასაც მიუთითებს, რომ "სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღერებს უჭირავს. საქართველოს სამზღერების საბოლოო მიზანდასახულობის გაშროკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს" (გვ. 42).

საქართველოს საზღვრების მიმოხილვას ივ.ჯავახიშვილი იწყებს ჩრდილო-დასავლელ-

თიდან. ნაშრომის პირველი თავის პირველ პარაგრაფში იგი არკვევს აფხაზთა და მათთან ნათესაობაში მყოფ ფრქვთა განსახლების ფარგლებს. მეცნიერი წერს: "შინცდამანინც ცხადია, რომ დობაზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საკერქაფიო სახელმწიფო რედაქსა ჰინდინაჲს, მაგრამ საკუთრება აღსაყვების წრდილოეთის სამხლვარი ბიჭვინტის მონასტრის წრდილოეთით მკუბარქობდა (ი. ქართველი ერის ისტ., მე-2, 315). ხოლო ამის შემდგომც კვე აღსაყვით ტომი ფრქვთისა ინსაყალი ინყობდა" (გვ. 4). აფხაზ-ფრქვთა ტერიტორიას ივ.ჯავახიშვილი საკმაოდ ჩრდილოეთით, მდ. ყუბანის შესართავთან და კავკასიის ქედის წვერამდე გულისხმობდა.

ქვემოთ ივ.ჯავახიშვილი აზუსტებს აფხაზთა განსახლებას XVIII ს. დასასრულისათვის: "ტომობრივი მოსახლეობის მხრივ მე-18 ს-ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იყოფოდა: ერთი ბზიფის ხეობა, რომელიც შეიცავდა მდ. ზზიფის ქვემო ნაწილსა და აღმოსავლეთით გუდაუთამდე, მეორე გუდაუთასა და მდ. კოდორის შუა საკუთრივ აფხაზეთა სათემო იყო. მესამე, აფშილეთი, მდ. კოდორსა და ლალიძგას შუა მდებარეობდა. მეოთხე სამურზაყანო, რომელიმაც მოსახლეობა მეგრული იყო და ესხლაც არის, მხოლოდ აფხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული აქვთ, მოთავსებული იყო ლალიძგასა და ენგურს შორის შავი ზღვის ნაპირსა და მებუთეს, ნებელდას მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილ ეკავა" (გვ. 5).

ე. ი. ივ.ჯავახიშვილის თანახმად, მიუხედავად აფხაზური მოსახლეობის თემებად დანაწილებისა, რომელთა შორისაც "საკუთრივ აფხაზეთა სათემო" გამოიყოფოდა, მათი სერთო სალაპარკო ენა აფხაზური იყო, ვარდა სამურზაყანოს, რომლის მოსახლეობა მეგრული იყო და მეგრულად ლაპარაკობდა, თუმცა "აფხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული" ჰქონდა.

მიუხედავად პერიოდშიც (XIX ს.) ივ.ჯავახიშვილი აფხაზებს განიხილავს, როგორც თვითმყოფად მოსახლეობას, რომელიც გამჭირვარებულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის ხელისუფლებას მზარის კოლონიზაციისას. აფხაზეთის სამთავროს იმპერიასთან შეერთებისა და მთავრის უფლებათა ჩამორთმევითან დაკავშირებით ივ.ჯავახიშვილი წერს: "აფხაზები უბრძოლველად არ შემრიგებებიან დამოკიდებლობის მოსპობას და 1866 წ. აფხაზეთში აჯანყება დაიწყო" (გვ. 5).

ივ.ჯავახიშვილი ენება რუსეთის პოლიტიკის შედეგად აფხაზეთა თურქეთში მასობრივ გადასახლებას, აქაური ტერტორიის დაცარიელებას და დასძენს: "ამის შემდგომ რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი

ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრა, განსაკუთრებით კი ქართველთა საწინააღმდეგოდ ანარმობდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შექმნა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს კი, - განსაკუთრებით მოზღვრებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდნენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც" (გვ. 5-6). ამის შემდეგ ივ.ჯავახიშვილს მოჰყავს 1916 წ. აღწერის ("კავკასიის კალენდრიდან") მონაცემები აფხაზეთის (სოხუმისა და სოჭის ოლქებში) მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. ივ.ჯავახიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ "რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და სახალმწიფო მოღვაწეობის და მოუხედავად" - ადგილობრივი მოსახლეობა ვერ კიდევ პროცენტულად დიდად ქართველთა მოსულეებს.

აფხაზეთ-ჯიქეთის სასაზღვრო ხაზის განხილვის შემდეგ ივ.ჯავახიშვილი გადადის "ჩრდილოეთის ხაზზე" და საგანგებოდ ჩერდება დვალეთის საკითხზე. იგი წერს: "საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი აფხაზეთის შემადგომ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარი უღელტეხილის მარადოვლოვანს ქედს რაჭის სამხრეთამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭა და მისი სამხრურის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე" (გვ. 6).

შემდეგ ვკითხულობთ: "დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითულს, ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო" (იქვე). ქვემოთ მცენიერი ასაბუთებს ისტორიულად დვალეთის საქართველოსადმი კუთნილებას (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრით), აღნიშნავს, რომ "შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა" და ამ რეგიონის საქართველოსთან მჭიდრო კავშირის ხაზგასწორებას დასძენს: "უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელია, რომ წინააღმდეგობარობა კვლავ აღდგენილი იქნას: რუსეთის მთავრობის მეცდომამ შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს. მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხობის მთას (აღი ხობ) და ახოტის მთას (არხონ) შუა გაივ-

ლება" (გვ. 7-8).

შემდეგ ივ.ჯავახიშვილი იტყობს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს ტრაპიზის რაიონში. აქ იგი ეყრდნობა ვახუშტის იმ ცნობას, სადაც საუბარია მეფე მირიანის მიერ დარიალში სენაგროს აგებას ("შუაბა კანი და ქმნა სინაგრე ნაპარტა და ოსეთათვის, რათა უმისოთ ვერლარა ვადიდნეს") - ქვემოთ მოხსენიდა "სახალვეე მეფეთა: ოდის გაილაშქრიან ოსეთად მუნ დადგინა".

ივ.ჯავახიშვილი ასე ეწინააღმდეგება: "ეს ესაუფრო უნდა იყოს, სადაც ეწია სად. ლარსია. ამაზე უფრო ჩრდილოეთით კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი "ნასახლევი მეფეთა", რომელიც დაახლოვებით ებლანდელს "ჯერახოვსკოეს" მიდამოებში უნდა ყოფილიყო..." და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვარი ამ ადგილის წინ დაახლოვებით ვჯარეხითგან ერთი ვერსით სამხრეთით მიდიოდა" (გვ. 9).

ამით ივ.ჯავახიშვილი ამთავრებს საუბარს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე. მის თანახმად, ეს საზღვარი ძირითადად კავკასიონის მთავარ ქედს მოჰყვებოდა, გარდა ზოგიერთი იმ ადგილისა, სადაც საქართველოს ტერიტორია უფრო ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა.

როგორც ვხევდავით, ივ.ჯავახიშვილის თანახმად, ოსეთი ერთმნიშვნელოვნად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და არავითარ "სამხრეთ ოსეთზე" აქლპარაკი არ არის, თუმც ასეთი ცნება უკვე არსებობდა რუსულ ოფიციალურ ნომენკლატურაშიც და ქართულ ლიტერატურაშიც (ი.გოგებაშვილის "ბუნების კარი" და სხვა). პოლიტიკური თვალსაზრისით 1919 წლისათვის ეს საკითხი არ იდგა და მხოლოდ ბოლშევიკური აგრესიის შემდეგ იჩინათავი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოსური სეპარატისტების გაღვივების შედეგმა, რასაც 1922 წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა მოჰყვა.

წიგნის მეორე თავში ივ.ჯავახიშვილი მიმოიხილავს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებს (იგულისხმება პერეთი), მესამე თავში კი კერძოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო ხაზს პერეთის იმ მონაკვეთს, რომელიც მოიცავდა ქიზიყსა და ყარაიას. ავტორი შემდეგნაირად მოხაზავს ამ საზღვრებს: "საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს პერეთი ეწოდებოდა... საქართველოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან აგრცელდება ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გაავლენას დაღესტანზე და შაქზე". შემდეგ კი ავტორი ეხება მხარის სტ-



რატიგულ მნიშვნელობასაც: "ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს, საქართველოს ამ ნაწილსაც ბედა მრავალჯერ მიაციენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა". ამ მხარის ისტორიულ ბედ-იღბალზე გვიან შუასაუკუნეებში ივ.ჯავახიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: "შეტადრე მე-17 საუკუნითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტნელთა შემოსევის და დაშენების გამოძაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობას დასწევად დაუნყო და ქართველთა მოსახლეობა შემცირდა. ეს კუთხე სამ ერთულად გიოიყო, ერთს დაერქვა "აღის სასულთნო", მეორეს "ელისენი", მესამეს "ქარი". უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა" (გვ. 10). ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს: "როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ. საქართველოს დასოუკიდებლობა მოსპო და შეიერთა, ქარი და ბელაქანის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებენ, ანუ საინგილო, როგორც ქართველთა ეძახიან, ამ დროს არ დაუწყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. დაიღო საინგილომ ხარკი და მორჩილება განაცხადა, საბოლოოდ კი 1830 წ. იყო შემოერთებული" (გვ. 11). ივ.ჯავახიშვილს მოაქვს დემოგრაფიული მონაცემებიც ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა შესახებ. კერძოდ, 1916 წლისათვის აქ 76 ათასი მცხოვრებიდან 19 ათასი იყო ქართველი, 45 ათასი დეკი, ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები შუადგენდნენ 12 ათასს (იქვე).

ნიგნის მე-4 თავი დათმობილი აქვს საქართველოს სამხრეთ საზღვარს, რომელიც შემოფარგლავდა ქვემო ქართლს და იყო "გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის". ვინაიდან ეს საზღვარი ისტორიულად მეტად ცვალებადი იყო, ივ.ჯავახიშვილი აკეთებს საკმაოდ ვრცელ ექსკურსს წარსულში, რომელშიც ლაპარაკია ქვემო ქართლის ანუ ძველი გუგარეთის ხან ქართველთა და ხან სომხეთა ხელში გადასვლის შესახებ. ნიგნის დანეროს დროისათვის ქვემო ქართლის საკითხის (ისევე, როგორც მომდევნო თავში განხილული ჯავახეთისა) აქტუალობის გამო ივ.ჯავახიშვილი დანერობებით აბუქებს ამ მხარეთა ისტორიულ წარსულს, უძველესი დროიდანვე. 1 პარაგრაფში მოცემულ ისტორიულ მიმოხილვაში იგი ეხება ბრძოლას ამ ტერიტორიის საზღვრის გამო მე-2 ს. ქ. წ. - მე-11 ს.ქ.წ. მე-2 პარაგრაფში იგი განიხილავს "ქვემო ქართლის ვითარებას და მნიშვნელობას მე-11 - მე-12 საუკუნეებში", მე-3 პარაგრაფში მსჯელობაა "საქართველოზე, ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობაზე და მიმხიდველობაზე სომხეთათვის" (აქ განხილულია ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში მაჰმადიან სახელმწიფოთა წყალობით დანაწერებული სომხების დამოკიდებულება

საქართველოსადმი, რომელშიც "საშუალება მისცა სომხებს თავისი დიპლომატიური არსებობა შეენარჩუნებინა". მე-4 პარაგრაფში ვახუშტის შუილი "ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოსათვის და სამხრეთი სამზღვრები მე-16-18 საუკუნეებში" ანუ ზავასძინი არის აღნიშნული, რომ ამ დროს "ქვემო ქართლს ანუ ლორე-ტაშირ-სომხეთს საქართველოსათვის კარგე მტრისაგან თავდაცვის დროს უცრესი მნიშვნელობა შექნა და იგი მინიჭდა ლორესადროს და სომხებს და მტრისათვის ქართველოს გარემე მტრების და კერძოდ, მაჰმადის უშირველესი საზრუნავი ქვეყნის დასაპყრობად ამ მხარის ხელში ჩაგდება იყო, რაც უკანასკნელმა მოახერხა კიდეც. თუმცა, როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს: "ერეკლე მეფის დროსაც, თუნდა 1783 წ., როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვემო-ქართლი, ანუ სომხეთი-ლორე-ფაშაკ-ბორჩალო საქართველოს უცნალობელ საკუთრებას შეადგენდა და კვლავინდებურად სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენ მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერეკლის (ფაშაკის) მთები ითვლებოდნენ" (გვ. 22). მე-5 პარაგრაფში აღნიშნულია "ქვემო ქართლის უაღრესი ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის", ხოლო პარაგრაფები მე-6 და მე-7 ეძღვნება ამ მხარის დემოგრაფიის საკითხებს. მეცნიერი ხაზს უსვამს იმას, რომ აღნიშნულ მხარეში მტრის ზმირი თავდასხმების გამო "მოსახლეობა აქ მრავალჯერ დახარალებულა და არა ერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდეც", ხოლო მეორეს მხრივ ხედავდა დაცარილებული ადგილის სომხეთიდან დევნილი მოსახლეობის მიერ დაკავება: "აუტანელი მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პოლიტიკური დევნისაგან, სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა, მაშაშაპულს მიზანყალს სტოვებდა და სხვა, უფრო მყუდრო ქვეყანაში და სახელმწიფოში ეძებდა თავშესაფარს". კერძოდ, "დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდნენ, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც თავიანთთვის თავშესაფარს". გარდა იმისა, რომ "საქართველოში არასოდეს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა", აქედან, ხელსაყრელი პირობების შექმნისას, ისინი თავიანთ სამშობლოში უფრო ადვილად დაბრუნდებოდნენ. "სრულიად ბუნებრივია, - აღნიშნავს ივ.ჯავახიშვილი, - რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა" - ე.ი. "სწორედ ქვემო ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერეკლის მთები ეკრა - ე.წ. სომხეთში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან" (გვ. 25).

“მგვრამ - განაგრძობს ავტორი, - არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შემორჩენილა აქ დიდხანს. თურქების შემოსევის დროიდან მოყოლებული, მე-18 ს-ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა”. ამ დროისათვის სომხური მოსახლეობა არამც თუ ამ რაიონში, არამედ საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზეც, ძალზე შემცირებული იყო და მისი მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა.

მე-7 პარაგრაფში ივ.ჯავახიშვილი საგანგებოდ ეხება “სომხეთა გადმოსახლების განსაკუთრებულ ხასიათს მე-18 - მე-19 ს-ში”. იგი წერს: “ერეკლე მეფის დროს სომხეთა საქართველოში შემოხიზნვის ხასიათი... თვალსაჩინოდ იცვლება: თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ აქონდა, მე-18 საუკუნის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო. თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიხედნენ იყვნენ ხოლმე, ამიერიდან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდნენ და მათის დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმის გაკეთებას”. “სომხები კრამაგს კავშირს იჭერდნენ: - ერთის მხრით, საქართველოსთან, მეფე ერეკლე მე-2 ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დენილინი, და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდნენ, იმავე დროს, მეორე მხრით კი, - იღუპილ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე...” (გვ. 26). კერძოდ, რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატის დადების შემდეგ სომხეთა ეპისკოპოსები, მელიქები და სხვა წარჩინებულები უკვე უშუალოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ლაშობდნენ, თანაც საქართველოში დაკავებული ტერიტორიების ჩათვლით. ამის თაობაზე ივ.ჯავახიშვილი წერს: “უეჭველია, ეს უკვე სრულებითი შეუნყარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს მინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მინა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრებდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა სულს” (გვ. 27). ოფიციალურად კი რუსეთის ხელისუფლება საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს საქართველოს საკეთილდღეოდ

ცდილობდა. “ამის წყალობით - წერს ივ.ჯავახიშვილი, - სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ ნადილს მიაღწიეს, სომხებმა მინა მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთი გაბატონების ურჩვეულნი წამამკლავი მინა ტარიჩიუსი კუთხე შეიქმნა და ასახლა ისინი უფრო თქლავთ, ზოგისიღნაღი” (გვ. 28).

რაც შეეხება ქვემო ქართლს, ენ. სომეხისა და ლორეს, რომელიც უკვე კიდევ უკვე მხოლოდ დრეკობდა ევსომხების დასახლ. 1827-1829 წლებში, როდესაც აქ 40 ათასამდე სული შემოიხიზნა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან და, ერევნის გუბერნიის გარდა, ბორჩალოს მაზრაში დასახლდა. “მხოლოდ ამ დროიდან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომხეთა მოსახლეობა”, - დასძენს ივ.ჯავახიშვილი (იქვე).

ნიკენის დანერის დროისათვის ქვემო ქართლზე (ბორჩალოს მაზრაზე) სომხეთა პრეტენზიების გამო ივ.ჯავახიშვილი მე-4 თავის ბოლო მე-8 პარაგრაფში საჭიროდ მიიჩნევს საგანგებოდ განიხილოს “ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით”. აქ ავტორი ერთგვარად აფამებს წინა პარაგრაფში მოტანილ მასალას და ასკვნის: “ამგვარად, ორი გარემოებაა სრულებით ცხადი: ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენნი სომხები იმ სომხეთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც საქართველოს ამ კუთხის სომხეთა მიერ ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებეთა შორის გაჩნდნენ, არც იმ სომხეთა მემკვიდრეები არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამოშვებით სახლებოდნენ (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალჯ ზისი შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), - მეორეც ის, რომ სომხ მცხოვრებთა უხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის სამხლევარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით მათი უცხოეთითგან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი” (გვ. 28).

ივ.ჯავახიშვილს მოჰყავს 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები იმის საჩვენებლად, რომ მიუხედავად რევოლუციური სომხური მოსახლეობის ზრდისათვის ხელოვნური ხელშეწყობისა, აქ იგი მაინც უმრავლესობას არ ქმნიდა: 128 ათასიდან ისინი მხოლოდ 48 ათასს შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ივ.ჯავახიშვილის თქმით, “საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა ამჟამადაც სომხეთა იერიშით და

ომით დაიწყო ისევ საქართველოს სამხრეთ სამხლერზე მდებარე ქვეყნის ქვემო ქართლის, ანუ... ბორჩალოს მაზრის დასაპრობად" (გვ. 29).

ქვემოთ ივ.ჯავახიშვილი ასახულებს იმას, რომ ადრე, რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში, ქვემო ქართლის დასახლებას სომხური მოსახლეობით არ შეეძლო პოლიტიკური მნიშვნელობა მისცემოდა და ეს იყო "ზნობილოდდამხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების მოვლენა", რომელიც "ვერას გზით... მწყლის სახელმწიფოებრივი სამხლერების შემცველ გარემოებად ვერ ჩაითვლებოდა..." "მით უმეტეს, რომ სომხეთა სამშობლოთგან აყრა და საქართველოში გადმოსახლება მათი ოსმალებისა და სპარსეთის მიერ დევნის შედეგი იყო და, ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილდღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ" (გვ. 29). ეს, ცხადია ორივე ხალხისათვის - სომხეთისა და ქართველთათვისაც საუკეთესო პერსპექტივა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას შეხრულება არ ენერა... პირიქით, კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის დროს, 1913-1914 წლებში, დადგა საკითხი ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფისა და გუმბრთან (ალექსანდროპოლის) შეერთების შესახებ ალექსანდროპოლის გუბერნიის შესაქმნელად. ეს პროექტი იმდენად უაზრო და ეკონომიკურადაც გაუმართლებელი იყო, ბორჩალოს მაზრის თბილისთან უმჭიდროესი კავშირის გამო, რომ მას დასტური ხელისუფლების მიერ გამოყოფილმა კომისიამაც ვერ მისცა და იგი განუხორციელებული დარჩა. ამ მხრივ ანალოგიური სიტუაცია შექმნა ზემო ქართლშიც ანუ მესხეთში, რახედაც წიგნის მომდევნო მე-5 თავშია მოთხრობილი.

მე-5 თავს ეწოდება "სამხრეთ-დასავლეთი სამხლერაი. მესხეთი ანუ ზემო ქართლი". ივ.ჯავახიშვილი ასახულებს მესხეთის შემადგენელ თემებს. ესენი იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. მეცნიერი აქვე (პარ. 1) განსაზღვრავს ამ თემთა მდებარეობას: "აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთსა და ქვემო-ქართლს შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთსაც ეკუთვნოდა" (გვ. 31). ქვემოთ (პარ. 2) ივ.ჯავახიშვილი საუბრობს ტაო-ისპირის უძველესი მოსახლეობის შესახებ, რომელიც ქართველი ტომები, ლაზები შეადგენდნენ. შემდგომ ტაო სომხების ხელში გადადის და აქ შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობა ჩნდება, რომელიც შემდგომ მწლებადობის და ებიდემიის შედეგად თითქმის მთლიანად ამოწყდა, ხოლო II საუკუნეში აქ კვლავ ქართლ-

ლი მოსახლეობა ჩნდება. მე-3 პარაგრაფში მოცემულია "მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედ-იღბალი მე-13-18 ს. და მისი გამაჰმადიანება" ავტორი იწყებს ამ კუთხის ისტორიით ალბუღულ ხანებში და შემდეგ წერს: "ზემო ქართლ ანუ მესხეთი საქმე-გაგაგებითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთურის კავთს და სამთავროს შეადგენდა. მე-13 სსს მთლიანად ზემო ქართლს მთავრისგან განგებული იქნებოდა ბორჩალოს მაზრისგან ტაოს კართვლად და კარნუქალაქამდეს აღწევდა" (გვ. 32-33).

ივ.ჯავახიშვილი ქვემოთ ამ მხარის ოსმალთა მიერ დაპყრობასა და ამის შედეგებზე საუბრობს: "საუკუნეთა განმავლობაში ოსმალთა დაუცხრომელი სიმეფრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლაშობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროვებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის ქრებოდა და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა... მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მთელ მე-18 და მე-19 საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა... ოსმალებმა სამცხის მფლობელნი "ახალციხის ფაშად" გაზადეს, მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობით კუთვნილებად დატოვეს. ამ საშუალებით ოსმალებმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვეტა და მთლად შეანთქა" (გვ. 33).

მომდევნო, მე-4 პარაგრაფში განხილულია "უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის მე-18 ს." ეკრძოდ, აღნიშნულია საქართველოს მეფეთა (თეიმურაზ II, ერეკლე II) ცდები დაემტკიცებინათ თავიანთი უფლებები მესხეთზე (ახალციხის საფაშოზე), როგორც ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილზე და ზრუნვა ამ მხარის დაბრუნებაზე (მაგალითად, 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთ მუხლში სწორედ ეს აზრი იყო ჩადებული). და მართლაც, როგორც მე-5 პარაგრაფშია მოთხრობილი რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად 1828 წ. ახალციხის საფაშოს ჯერ ნაწილი იქნა შემოერთებული, ხოლო 1878 წ. დანარჩენი ნაწილიც. შემოერთებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ჯერ ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, ხოლო შემდგომში ბათუმის ოლქიც... "მთელ ამ კუთხეში განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ", - წერს ივ.ჯავახიშვილი (გვ. 35). ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ 1828 წლიდან ხდება ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა უპირატესად ჯავახეთიდან (ახალქალაქის მაზრა) და ნაწილობრივ სამცხიდან (ახალციხის მაზრა). ამ

ფაქტზე მითითების შემდეგ ივ.ჯავახიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: "ამავე დროს, ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფარპოეზოები, იქაური სომხობა გამოძრვოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000-ზე მეტი ოსმელი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემოთ მოყვანილი რიცხვიდან 30 000-მედ სომეხი დასახლებული იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში" (გვ. 35). იმასთან ერთად, რომ ქართული მოსახლეობა ამ შემოერთებულ მაზრეში საგრძნობლად შემცირდა, ივ.ჯავახიშვილის თანახმად: "ეროვნული შედგენილობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომეხები შეადგენდნენ და ქართველ მამამდიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი ეჭირათ" (გვ. 35). აქ ივ.ჯავახიშვილი ეყრდნობა რუსი მოხელის ივანენკოს ნაშრომს). ივ.ჯავახიშვილი ასევე წერს: "ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნის სომეხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში".

მე-5 თავის ბოლო სამი პარაგრაფი ეხება ჯავახეთის გამო სომხეთისა და საქართველოს შორის აღმოცენებულ ინციდენტს, რომელიც ომიც კი გადაიზარდა. ავტორი აქ, კერძოდ, განიხილავს შემდეგ საკითხებს: პარ. 6 - "სომეხთა წამოდაგება ჯავახეთის სომეხთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული", პარ. 7 - "ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიკური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც" და პარ. 8 - "როგორც უნდა შეეხებოდნენ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას".

რასი მდგომარეობადა სომეხთა პრეტენზიების არსი? ივ.ჯავახიშვილი ამაზე შემდეგს მასულობს: "სომეხმა დაიგინყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველესი დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხებში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისა და მიუხედავად, მაინც ახალქალაქის მაზრაც სომეხთის მიწა-წყლად გამოაცხადეს" (აქ მითითებულია ა.შახატუნიაშვილის ნიგნი - "ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული გადაწყვეტილება" - რუსულ ენაზე). სომეხთა მიზანი იყო ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან, ანუ აღმოსავლეთ საქართველოსაგან გამოყოფა და დანარჩენ სომეხურ მაზ-

რებთან შეერთება და ამ გზით ერთი მთლიანი სომეხური საეროობო თვითმმართველი ოლქის შექმნა. ამის გასაძლიერებლად, როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს, "სომეხებმა საბოლოო ესპეციფიკაციას, ვითომ ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრას ეკონომიკურად ტოლადის გუბერნიასთან კიარა, გუმბრთონ (ალექსანდროპოლისთან) ყოფილიყოს დაქვემორებული" (გვ. 35-36). ასეთი ნიშანდანი წამოყენებული იქნა 1913 წელს, როდესაც რუსის ნაცვლად ვორონცოვ-დაშკოვი იმყოფებოდა. უკანასკნელმა, ისევე როგორც ქვემო ქართლთან დაკავშირებით წამოჭრილ ანალოგიურ შემთხვევაში, გამოჰყო მოხელეთაგან შემდგარი კომისია, მაგრამ ამჯერად კომისიამ ვერ დაასახუთა ჯავახეთის აღმოსავლეთ საქართველოსთან კავშირის უქონლობა და გუმბრთან (ალექსანდროპოლისთან) შეერთების უპირატესობა. თვით ივ.ჯავახიშვილი, როგორც აღინიშნა, საგანგებო პარაგრაფს უძღვნის სწორედ ჯავახეთის უმჭიდროეს ეკონომიკურ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან და შოაქეს არა ერთი დამამტკიცებელი საამისო არგუმენტი.

რაც შეეხება იმას, რუ როგორც ესახება ივ.ჯავახიშვილს ჯავახეთის პრობლემის გადაწყვეტა, ამის შესახებ არაორაზროვნად აცხადებს: "სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველთაგან შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარც ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზვნისა და თავშეფარებისთვის. რა წამს სომეხთათვის ამოღობიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, - და ეხლა რომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, - ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს. იქითგან კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. მუ-19 საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში გადასახლებულს ქართველს მამადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპულ მიწაზე დასახლება. მაგრამ მათი ადგილი დაქვრივი იყო". ივ.ჯავახიშვილის აზრით, "ეხლა, რაკ სომეხები თავიანი წინანდელ ქვეყანაში, სომეხთში წავლენ, მათ ამპრტილიანობა აღდგენილი იქნება და ორჯერს თავისი მამა-პაპული კერა დაუბრუნდება" (გვ. 40).

როგორც ვედავთ, ივ.ჯავახიშვილი იმედოვნებდა, რომ ახალ პირობებში ანტიანტის ქვეყნების ზ.ქნოლით, მოხერხდებოდა თურქეთის მიერ ნატაცებულ სომეხურ მიწებზე ძველი, სომხურ, მოსახლეობის დაბრუნება და, სამაგიეროდ, თურქეთში გახიზნულ ქართველთა მამა-პაპულ ადგილებში ჩამოსახლება, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ენერა და სომეხთის მესვეურებმა ომით სცა-

დეს საქართველოს ხარჯზე ჩრდილოეთით გაფართოვებინათ თავისი საზღვრები. მათი ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ ამით მაშინ საკითხი არ მოხსნილა და საქართველოს მთავრობა მის გადაწყვეტას საერთაშორისო მოლაპარაკებათა დონეზე იმედოვნებდა.

ნიგნის მე-6 თავში ივ.ჯავახიშვილი ეხება - "საქართველოს სამზღერის უკიდურეს საზღვრეთ-დასავლეთ ხაზს", რომელიც გ. კოსტომოვს კოლა-არტაანს, ტაო-თორთუმ-ის ქარს (პარ. 1) და ლაზისტანს (პარ. 2).

ივ.ჯავახიშვილი წერს: "ესლანდელი ყარსის გუბერნიის არტაანის და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანის და ტაოს ჩრდილოეთის ნაწილს უდრიდნენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ მე-18 საუკუნითგან მოყოლებული, არტაანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ მამამიდიანებს ქართული ენა დაიწყებული აქვთ" (გვ. 40). ქვემოთ ავტორს მოაქვს 1889 წლის დემოგრაფიული მონაცემები და აღნიშნავს, რომ არტაანის ოლქს 65763 მცხოვრებინ და ოლთისის ოლქს 31519 მცხოვრებინ და, სომეხი იყო პირველში მხოლოდ 1923 და მეორეში 3130. მიუხედავად ამისა, როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, თუ კი ადრე სომხეთის მესვეურებიც ცნობდნენ მოსახლეობის ასეთ თანაფარდობას და პრეტენზიაც არ ჰქონდათ ამ ტერიტორიაზე, 1919 წელს მათ უკვე სურვილი გამოთქვეს არტაანის და ოლთისის ოლქების სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევისა, რაც "მათ არც ისტორიულად და არც სომხეთთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნოდათ" (გვ. 40). ქვემოთ, ივ.ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ "ოსმალეთის საზღვრებში დარჩენილი ხესხეთის, ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის მეხობაში მთელი მცხოვრებნი 1400 სული მთლიანად გამამადაიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დაიწყებული აქვთ. იბპირში კი - პარსალის, ხევეკის, გუდახვეის და ქორჭინის ხეობებში - ყველგან ქართველი მამამიდიანები ცხოვრობდნენ და ქართულად ლაპარაკობდნენ" (გვ. 41).

ლაზისტანისადმი მიძღვნილ პარაგრაფში ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ "ქართველთა მოსახლეობის უკიდურესი საზღვრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება". ქვემოთ ავტორს დემოგრაფიული მონაცემები მოაქვს, რომელთა თანახმად XIX ს. ბნ-იან წლებში ლაზთა რაოდენობა რამდენიმე ასასათასს აღემატებოდა, ხოლო 1919 წლისათვის ლაზური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯა-

ყით განისაზღვრებოდა, რომ იმდენად ლაზისტანის სანჯაყიც ენოებოდა. აქი შედგებოდა რიზეს და ათიხას ოლქებისგან. პირველში ხალხს დედაენა უკვე დაიწყებული ჰქონდათ მეორეში კი მცხოვრებნი დედაენა ისევ ჭანური ანუ ლაზური იყო. ათიხას ოლქს 178 სოფელი, 539 სოფელი (ხეშმინის ოლქი) 12778 სული (ხეშმინები) გათურქებული იმხრობი იყვნენ.

ქვემოთ, ივ.ჯავახიშვილი რუსეთის ვენ. შტაბის საბოლოო განოცხვების ვენ. ხევეკიაში კითხვებს: "ოც მძანთა იმპერიის საბოლოო სადგომბელოეთის ეთნოგრაფიული და სამხედრო-პოლიტიკური მიმხილვა.", ს.პ., 1912 წ. (რუსულ ენაზე) საფუძველზე მიუთითებს, რომ ლაზების რაოდენობა 200 ათასამდე აღაირიცხებოდა. მათმა უმრავლესობამ რუსეთის ჯარის მიერ ლაზისტანის დაკავების შემდეგ დატოვა საცხოვრებელი და თურქეთის ჯარს გაჰყვა. ადგილზე კი სულ 35 ათასი ლაზი იყო დარჩენილი. ოსები ყოფიძის მოხელეებით კი, ათიხას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა ათასამდე უნდა ყოფილიყო (გვ. 41).

ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ "ლაზთა ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა შეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ, ისიც მხოლოდ აღწერის საშუალებით" (იქვე). ყარსის გუბერნიისა და ლაზისტანის საზღვრებსა და დემოგრაფიის საკითხზე ივ.ჯავახიშვილი, ჩანს, ესოდენ დაწვრილებით იმტომ მწერდება, რომ მაშინ წყდებოდა ამ ტერიტორიის ბედ-იღბალი საერთაშორისო მასშტაბითაც და, კერძოდ, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებათა გზით. ცხადია, აქ საქართველოსაც ჰქონდათ თავისი ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილება ესოდენ შორეულ ფარგლებში ვერ მოხერხდა და აღნიშნული ტერიტორია თურქებს შერჩათ.

ბოლოსიტყვაობაში ივ.ჯავახიშვილი აჯამებს წიგნი მოტანის მსჯელობას: "ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს, უეჭველია, ნათლად დაანახებდა, თუ რა საზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოცებით იცავდა მათ წინა ერის საუკუნეთა განმავლობაში. ამ საზღვრებში მოქცეული მინაყალი და მოსახლეობა მთლიან ერთულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ქორხობის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიკურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია" (გვ. 42). მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ივ.ჯავახიშვილი რეალისტურად არ უყურებდა მდგომარეობას და, მაინც დამაინჯო, მოიხიოდა საქართველოს ყველა ისტორიული საზღვრის აღდგენას. იგი გარკვეული დათმობის მომხრეა და ამასთან დაკავშირებით

შემდეგს აღნიშნავს: "ისტორიული და საერთაშორისო საქართველოს ძალით, საქართველოს სწორედ ის საზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უფლებად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს" (იქვე).

როგორც თავშივე ითქვა, ივ.ჯავახიშვილი საქართველოს საზღვრების დადგენის საქმეში მოითხოვდა საკითხისადმი სახელმწიფოებრივი თავალსაზრისით მიდგომას და არა მხოლოდ იმის დაცვას, რაც ეთნოგრაფიული თავალსაზრისით მოსახლეობის ეროვნული შედგენილობით წარმოდგინებულია. საქმისაა, რომ სწორედ ასეთი მიდგომით მოითხოვდნენ საქართველოს სამხრეთ საზღვრების დადგენას სომხეთის შესვეურნი მაშინ, როდესაც ივ.ჯავახიშვილის შენიშვნით, თვითონ თავიანთ მოთხოვნებში ხელმძღვანელობდნენ არა ეთნოგრაფიული პრინციპით, არამედ სწორედ სახელმწიფოებრივი, უკეთ ისტორიული მიდგომით, რომელიც ხშირად რეალობასაც სცილდება და მხოლოდ საკუთარ ნებასერვილს ეყარება. ამასთან დაკავშირებით, ივ.ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ სომხეთის შესვეურნი იმდენად ფართო ვეგმებს სახავდნენ, რომ თავდაპირველად შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე დიდი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები იყო "შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათუმისა და ტრაპიზონ-სინოპის შემცველი", ხოლო, კერძოდ, საქართველოს მიმართ მათ პრეტენზიებზე მეტყველებდა "სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომელშიც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული". ეს რომ მართლ აბსტრაქტული სურვილები არ იყო, ამის დამადასტურებელია თვით საქართველოსთან ომის დაწყება, რომელმაც, ივ.ჯავახიშვილის თქმით, ქართველობას გარკვეული სამსახურიც კი გაუწია გამოფხიზლების თავალსაზრისით.

ბოლოსიტყვაობაში, ივ.ჯავახიშვილი წერს: "სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარემე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონ-

დეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იქოს. ამიტომაც არის, რომ ქართველი ერის შეგნებულს წაწილს, მის მოთავეებსა და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიან თავიანთი სახელმწიფოს საზღვრების მოზაზღვრობას სამყუდრო თავალსაზრისითაც არ შეეფიქრონ" (გვ. 43). ეს სიტყვებიც თავში, ველისაშობდა ამ საზღვრების დაცვას და თათმობაზე წასვლას მხოლოდ "ქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს თათმობა ზაგონობ ზიანს არ მიადეებს". ივ.ჯავახიშვილი ასეთ კონკრეტულ შემთხვევებსაც ითვალისწინებს: "მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყალის მაგიერ კაშკა-ჩაი დაიდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრის ხაზად - კი ისტორიულის მაგიერ დებუდას მდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად კი ისტორიულის ერევნის (ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსამზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქნება, სომხეთის ზღვიდე და საზღვრად ერევნის მთები" (გვ. 43).

ივ.ჯავახიშვილის მიერ მოხაზული ეს საზღვრები აღმოსავლეთით და სამხრეთით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვდა. მაგრამ პოსტსაბჭოურ პერიოდში მინაც თავს იჩენს ზოგიერთი გაუგებრობა. ამდენად, ივ.ჯავახიშვილის წამოშობს საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ ამ თავალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისტორიის გაკვეთილები დღეს განსაკუთრებით არის გასათვალისწინებელი, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები და კონფლიქტები. მეტად ნიშანდობლივია ივ.ჯავახიშვილის სიტყვები, რომელნიც დღეს დადურძივით გაისმის: "ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომალბობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა, თავისი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოზაზღვრობას ჯეროვანი ყურადღება მიუქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილმზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათსაც გადაარჩენს" (გვ. 43).

“როგორც პოეზიის ორი შაირი...”

# მარკოვსკი გიგულიძე

პოეზია ერთი მხაზიდან თეატრია. რიცა ამ მარადიულ ტაძარში შედინარ თანამედროვეობთან და მომავალ თაობებთან სასაუბროდ, მართო საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს. შენს არსებაში შენს ყმული დრამატურგიც, რეჟისორიცა და შემსრულებელიც. აქ გამარჯვების სიხარულსა და დამარცხების სიმწარეს ვერაუხს ვაუყოფ - ყველაფერი შენია. არაფერ შეგვევლება იმ ჯვარის ზიფაში, რომელიც თვითონ უნდა აიტანო საკუთარ გოლგოთაზე. რაც უფრო ეკლიანია შენი გზა და რაც უფრო კეთილმოხილად იქცევი ამ გზაზე, მით უფრო მეტი ფასი ედება შენს მიერ დატოვებულ განძს.

მიკოლა ბაჭანი ერთი იმთავანია, ვინც პოეზიის ნათელ ტაძარში დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრების მიჯნაზე გამოჩნდა. მას ნილად ვერგ ბედაურზე ჯდომაც და ძირს დანარცხებაც, ლანძღვა-გინებაცა და მქუხარე ოვაციაც. საბოლოოდ იგი დამკვიდრდა არა მარტო როგორც უკრაინული ლექსის დიდოსტატი, არამედ როგორც ქართველ პოეტთა ბრწყინვალე მთარგმნელიც. ჯერ კიდევ ათიანი წლების დამდეგს ბაჭანის მშობლიურ უმანში დაბნაკებულ სტაფორპოლის პოლკში სახაზრობდა თურმე ერთი ახალგაზრდა ქართველი, სახელად არტემი. სწორედ მან მოუთხრო პირველად პატარა მიკოლას შორეულ და ნარმტაც მხარეზე, ნაუკითხა “ვეფხისტყაოსნის” პირველი სტროფები. ყმანილის სულელ ჩაგდებულის ამ მცირე მარცვლიდან კი აღმოცენდა და გაიზარდა შემდეგ საქართველოსა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი სიყვარულის ფესვმეგარი ხე.

მიეღო ამ წარმოდგენაში მონაწილეობა. უნდა ეთამაშათ თვითონ მთარგმნელებს, ილია ჭავჭავაძეს და ივანე მაჩაბელს, მამია გურიელს, დაკით ერისთავს, ნინო ორბელიანისას და სხვებს. მეფე ლიონის როლი შესთავაზა ილია ჭავჭავაძემ მამაჩემს, მისწერა წერილი ქვიშხეთს და თავისი თარგმანიც გაუგზავნა.

დებიტრი ყიფიანის წერილი ილია ჭავჭავაძეს: "უქვირფასესო ჩემო კოლეგა, კნიაზო ილია გრიგოლის ძეგ. თქვენ რომ 20 ამ თვეს ლიონის როლი შემომამძღოეთ... გადავკითხე შრომა გაგინევიათ დიდი, ნიჭი გინმარიათ შესანიშნავი, ერთი შეცდომაა მხოლოდ, ერთად ერთი - კილო შექსპირის თხზულებებში, რომელიც კარგა ძეგლია, - ლექსებიც ბევრი იპოვებ დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარ ხმა-რობენ, მაგრამ კილო არის სასაუბრო... თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოს ვაპყობინებო. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი - ეს ყოველად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არსად ულაპარაკნიათ, არც სადმე ლაპარაკობენ..

თუ მაინცა და მაინც გნებავთ, რომ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვთარგმნო, ჩემებურად მარტო ეს როლი.

30 ოქტომბერი. 1879. სოფ. ქვიშხეთი.<sup>66</sup>

მთარგმნელებს ამაზე უარი შემოუთვლიათ. ჩვენი თვის მთავარი ისაა, რომ ასზე მეტი წლის წინათ დებიტრი ყიფიანის მიერ საესეებით გაცნობიერებული იყო დრამატურგიული სიტყვის თავისებურება. უფრო ადრე, გიორგი ერისთავის თეატრში მოღვაწეობის, საკუთარ ტერმინსაც კი ხმარობდნენ - პიესის ენას დაკუნთვლად ლაპარაკს უწოდებდნენ. განასაინტერესო არაა, რომ გაიელის მთელი საუკუნე და ჩვენი დროის რუსი დრამატურგი იური ოლეად დანერგა: "ვეცდები პიესაში გამოვიყენო ჩვეულებრივი ადამიანური მეტყველება - დაფლეთილი, ენაბორძიკა მეტყველება, ელვისებრი ნახტომებით ერთი თემიდან მეორეზე."<sup>67</sup>

დაკუნთვლილი, დაფლეთილი ანუ ხსარტი, მოქნილი, მეორე ადამიანზე ზემოქმედების სურვილით დატვირთული იმისთვის, რომ არსებულ ენით ვითარება თავის სასარგებლოდ წარმართოს. ამიტომაც იგი ემოციური, ქმედითი - "დრამაში მოქმედებთა სურათია, რომელშიც მაყურებელი ხედავს მოქმედ პირთა ბრძოლას იმ დაბრკოლებასთან, რომელიც მათ ხელს უშლის სანადილის მიღწევაში. მაგალითად, გული-სთქმა ებრძვის, მოვალეობას, სურვილს ხეობას და სხვა". ეს დიდი ქართველი მსახიობისა და მოღვაწის ვალერიან გუნიას ნათქვამია.

დრამატურგიული სიტყვა უნდა იყოს ახმანებული მოქმედება. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს ყველა სახის მოქმედების ნიშნები. პირველ ყოვლისა, ის უნდა ავლენდეს გარკვეულ მნიშვნელობას, რომელიც შელედდება მაშინ, როცა სიტყვა გამოხატავს იმას, რაც ახლა ხდება მის წარმოთქმელში, რასაც ის განიცდის.

ბრძოლის სურული, ცხადია, განპირობე-

ზულია იმ მოვლენით, რომელიც შექრა ადამიანი, შეეხო მისთვის ნიშნებელივით - განწინა, ვისთვის რა არის ბუნებრივი, მოუთმენელი და ამის გამო მოქმედების გამოწვევა. სწორედ აქაა ემოციური სიტყვის საფუძველი. დარადგან ეს ყოველივე მის სულში ხდება, ზედამორსე ნარტიციუტულ მასშიერ წარმოთქმულ სიტყვათა მძლეს უნაწიგინედოთ და იქ მიზალელო ძრავა" ათიციცნოთ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადვილია. განაპრვილით რომ შევწა დასხვის ნათქვამსაც კეს როგორც ამეარა, ისე ეთარელო ზრმა აზრი, რომელიც ან ჯერ არ ითქმის, ან საერთოდ არ ითქმის. სწორედ ეს გაუმხელელი ფიქრი აძლევს ნონას იმას, რაც წარმოითქმის, ქვეტექსტად იწოდება, გამოსტვივის ინტონაციამ, სხეულის პლასტიკაში, მზერაში და უჩვეულო ძალით ხილულს ხდის ფარულს. იმის გამო, რომ ქმედით სიტყვა მრავალნიარად ზემოქმედობს - ის მოქმედებს ჩვენ გონებაზეც და ჩვენ გრძობებზეც, განწინა, ვინ, რისთვის და როგორ მოქმედებს სიტყვით.

დრამატურგიული სიტყვა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ ის მუდამ ეკუთვნის ერთ რომელსავე გარკვეულ პიროვნებას. მამასადამე, ის მუდამ შესატყვისი უნდა იყოს ამ პიროვნებისა. მოქმედ პირთა მეტყველება დამახასიათებელი უნდა იყოს მისი წინასათვის და პიროვნებისათვის. ყოველი მათგანის მხატვრული სახე შექმნილია სათქმელ სიტყვითავე გარკვეული რაოდენობით. სიტყვათა ეს გჯგფი, ავტორისეული ჩარევის გარეშე ვეცნობს პერსონაჟს. საინტერესოდ ნერს ამის შესახებ გამოჩენილი ქართველი მსახიობი და რეჟისორი ვალერიან შალიკაშვილი:

"გაითვალისწინეთ დრამატურგის სულიერი მდგომარეობა, რომელზეც ერთს თვითონ ლაპარაკობს და ათს ხვას ალაპარაკებს. რომელიც არარისგან ჰქმნის ზორციელ ადამიანებს, ათასგვარ ჩვეულებებს, განსაკუთრებულ თვისებებს, პირებს ცხოვრებიდან, ერთმანეთში ურუეს და როგორც მოქანდაკე, ნაქერ-ნაჭერ აკრავს, ამენებს, აყალიბებს სხეულს, აძლევს სახეს ადამიანისას, მერე ჩაბერავს სულს და თავისებურს ენით ალაპარაკებს. თვითული ამ დედობრივის ტანჯვით შექმნილი ტიპი ავტორის ღვიძლი შეიღია, მისი ზორცის ნაგლეჯი, სულის ნაწილი. მათთან ერთად იგი იტანება, სტირის, იცინის, ნეტარებს, ბრაზობს. ეს არის თვით სული ავტორისა, მისი შეხედულება ცხოვრებაზე... თუ პიესის დადგმა გვინდა, ჯერ ისე უნდა შევისწავლოთ იგი, რომ ჩვენც ის ვიგრძნოთ, რასაც თვით ავტორი ჰგრძნობდა მაშინ, როდესაც ჰქმნიდა. მისი თვალთ შეხედვით იდეას... ჯერ უნდა შევიყვარდეთ ავტორი, რომ შევძლოთ მისი იდეის განხორციელება."<sup>68</sup>

თუ დრამატურგის ხელით მხოლოდ მოქმედ პირთა მიერ წარმოთქმული სალაპარაკო სიტყვაა, მაშინ ეს სიტყვა უნდა იტყვევს ყველაფერს, რაც ავტორისეული ჩარევით თან

ახლავს პროზაული თხზულებების გმირს მიერ წარმოთქმულ სიტყვას. პროზაიკოსს შეუძლია გვაუწყოს, თუ რატომ წარმოთქვა გმირმა ეს სიტყვა, რა ფარული განზრახვით, რანაირი ინტონაციით და ა.შ. ამას თუით დრამატურგებიც აღიარებენ. ა. ოსტროვსკი წერს:

„დრამატურგის მთავარი საქმეა იმის ჩვენება, თუ რომელი ფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე აღმოცენდა ესა თუ ის მოვლენა, რატომ სწორედ ამნაირად და არა სხვაგვარ აღიარებენ რეჟისორებიც:

ვლ. ნემიროვიჩი-დანჩენკო: \*ოსტროვსკი მსახიობურად გრძნობს (თეატრალურ რეზონანსში) გმირის მხატვრულ სახეს ხმოვანებაში, მის ტემპერამენტში, სიტყვაში, რიტმში, განსაკუთრებით სცენური ვითარების თავისებურებაში.“<sup>11</sup>

თუმცა, პროზაშიც გვხვდება ზოგჯერ წმინდა დრამატურგიული სიტყვა. ასეთია დიალოგი გადასახლებიდან დაბრუნებულ დედას და თემურს შორის ნოდარ დუმბაძის რომანში „შინაინ ლამე“. უმოკლესია იგი. მხოლოდ ოთხი სიტყვასგან შედგება:

- გამარჯობა, თემურ.
- გამარჯობათ, ქალბატონო.“

ეს ოთხი სიტყვა საესტეტიკო საქმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას სულისშემძვრელი ხატი ქემპირატად ტრაგიკულია: შეიღმა ვერ იცნო დედა, რადგან უდანაშაულოდ დაპატიმრებული წლებმა სრულიად შეცვალეს. ვაუცხოვებული შეიღის ზრდილობიანი პასუხი საშინელი ტკივილია დედასთვის. შეიქმნა უახლოესი კავშირის დარღვევის მხატვრული სახე. ამისთვის საკმარისი შეიძლება იყოს ერთმანეთისთვის ნათქვამი ორ-ორი სიტყვა, თუ ეს სიტყვები იტყვს იმას, რაც მათ მიღმა ამოსატყვისო. აქ კი რამდენია ამოსაცნობი ეს ერთი ბუნ დიალოგი მოიცავს იმას, რაც დრამატურგიული დიალოგის უმთავრესი ნიშანდობლობაა - დედა-შვილის ოთხი სიტყვა დიდი შინაინსათა აღსავსე. მათში ნათლად გამოიჭევიას ამ ადამიანთა ურთიანეთისადმი ინტერესი, იგრძნობა როგორი ყურადღებით უსმენენ ისინი ერთმანეთს. მოსმენა კი იმას ნიშნავს, რომ ამ წუთებში ორივე ცდილობს ჩასწავდეს მის გასაგონად თქმულ მხოლოდ ორ სიტყვას, რომელიც ბერის, ძალიან ბევრ უთქმელს იტყვს.

ძალიან საინტერესოა ჩვენი დროის გამოჩენილი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მოსაზრებანი თ. დოსტოევსკის პროზასთან დაკავშირებით:

„მე შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ თ. დოსტოევსკის სახით საქმე მაქვს გენიალურ მსახიობთან. განმაცვიფრა ზოგიერთმა ბიოგრაფიულმა დეტალმა. მაგალითად, იმან, რომ მის თურმე უყვარდა როგორც საკუთარი, ისე სხვათა ნაწარმოებების ხმამაღლა კითხვა. ყველა მის მიერ შეთხზულ გმირს ქმედებაში წარმოადგენდა. მგონი უფრო მეტად ეამაყებოდა მხატვრული კითხვის თავისი უნარი, ვიდრე მწერ-

ლური, ლიტერატურული ქაერება. შესაძლოა, ეს ილუზია იყო, მაგრამ ფაქტია, რომ საკუთარი სულით მისთვის ვერც თუნიცის ცოცხალი „გაიამაბება“ ამ სულის გასცხება სხვადასხვა აღამიანთათვის და სხვადასხვა ხმით ალაპოაკეის მცდელობა სასრულბსს აღუყვდა ამ დოსტოევსკის საკუთარ თავში და საერთოდ რუსი ეროვნების ადამიანშიც აღმოეჩინათ, რის აღმოცენაც მსკრამბსს მუქელთ. „ნით აღმოჩენილი შემდეგ თუითრომწმწმ იყო შექანალი.“

დრამატურგიული ნაწარმოები თხზულება, მხატვრული ქმნილება, ხელოვნების ნიმუში. მაშასადამე, სექტაკლის საძირკველი დაბვენილი ქართული სიტყვაა. ეს სიტყვა სცენაზე სხვა ხელოვნების - მსახიობის მიერაა ახმინებელი. ის მწერლის სიტყვას ავსებს საკუთარი ნაფიტრანგრძობითა და წარმთქვამს ათასნაირი ინტონაციით შეფერავებული საამო ხმით. ხმას ხომ თვით ბუნებამ მიანიჭა იმის ძალა, რომ გამობატოს ყოველნაირი შინაარსი, განცდის ყოველნაირი ელფერი, დრამატრში და კომში იმ უთვალავი სიტყვებისა, რომელთა წარმოთქმაც მოუხდება იმდენ განსხვავებულ წარმდებგნაში, რამდენშიც ვილაცას განასახიერებს. ვინ მოთელის გრძობაბათა იმ ნოუანსებს, ხმა რომ ამოიტანს მსახიობის სცენური გმირის სულიდან იმისთვის, რომ მაყურებელი სცენაზე მიმდინარე ცხოვრების დინებაში ჩაითროს! ამავე დროს ის იმყოფება მხატვრის მიერ საგანგებოდ შეთხზულ გარემოში, რომელიც საგანგებოდაა განათებული. ზოგჯერ მუსიკაც ახლავს თან და მისი სხეულის პლასტიკით რეჟისორის მიზანსცენის ნახატაც მეტყველებს. შეიძლება, რომ ამნაირად ახმინებელი სიტყვა ძლიერ შემოქმედარ იყოს? ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში ილია ქაეჭავაძეს, როდესაც წერდა:

„ჩვენ სხვებსავეთ მარტო ესთეტიკური გრძნობის დასამტებარად არ მოვდივართ თეატრში. ჩვენ მოვდივართ იქ, სხვათა შორის, საზოგადოების მანახავად და გვიდა გვიკონოთ ცოცხალი სიტყვა, რომელსაც შევძლოს ქუეც ასაზრდოოს და გულაც... ჩვენში დიდებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისათვის სკოლას.“<sup>12</sup>

ამ სკოლაში სწავლება დახვენილი ქართულით მიმდინარეობს. ამიტომაც სათეატრო ხელოვნებაზე ასე ბევრთად დაფიქრებული დიდი მწერალი მას პირდაპირ აკისრებს წმინდა ქართულის გადარჩენისა და შეწარჩუნების ვალდებულებას:

„ჩვენ სცენას ორ ღვანის ვსთხოვთ. პირველი - რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ქუისა და გულის განმანათლებელი და მწერონელი, და მეორე - სცენა უნდა იქნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფუნზე უნდა ნამოფდეს მთელის თავის მშვენიერბითა და სიმდიდრით.“<sup>13</sup>

ილია ოქრომქედლიშვილისადმი მიწერილ პირად წერილშიც იგივეს წერს: „ხომ იცა, თეა-

ტრი რა დიდი რამ არის ჩვენი სთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშანწყალი ჩვენ არა გვაქვს-რა. ეს ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმარისია, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხეც ბევრი სიკეთე მოსდევს.”<sup>14</sup>

იგივეს ეკითხულობთ აკაკი წერეთელი: წი: “მხოლოდ ერთად ერთი ასპარეზი დაგვრჩენია - თეატრი, საიდანაც შეგვიძლია გავიღონოთ ჩვენი დედა-ენა. ის ენა, რომელზედაც მოსკოვბეა რუსთაველი, მბრძანებლობდნენ თანამოებნი, რომელზედაც ჰქადაგებდნენ წინოები და რომელზედაც სიმდაბლით ღმერთს ადიდებდნენ ქეთევანები და მათი მსგავსები. ჩვენ ამ თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ ანმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი.”<sup>15</sup>

სწორედ ეს შესაძლებლობა - წარსულის, ანმყო და მომავლის სცენაზე წმინდა ქართული სიტყვის ძალით წარმოჩენა - იყო იმის საფუძველი, რომ ერის მამას ეს სიტყვები ეთქვა 1881 წელს მისივე ზრუნვით აღორძინებული ქართული თეატრის შესახებ:

“ჩვენი თეატრი ჩვენი ეროვნების საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნს ბედზე გულაცრუებული და გულგრილი არ არის.”<sup>16</sup>

საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ. ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები დღესაც მოწოდებად გაისმის. ის შეახსენებს ქართულ თეატრს მის სამამულიშვილო დანიშნულებას - ყოველდღიურ მიანიდოს მაყურებელს ყოველგვარი ზედმეტობისაგან განწმენდილი, მშვენიერი ქართული დრამატურული სიტყვა, რადგან იგია საბირველი სათეატრო სანახაობისა. ამ სიტყვამ პოულობს გამოსავალი ყველაფერი, რაც ხდება იმ ადამიანთა სულებში ჰიქსებსა და სპექტაკლებში რომ ცხოვრობენ. მათ მეტყველებს ჩანს ადამიანი, მისი ხასიათი, ბზროვნების მისი უნარი და დამოკიდებულება ადამიანებისადმი, რადგან სიტყვა ცხოვრებაშიც, პიესაშიც და სპექტაკლშიც ადამიანიდან ადამიანისკენ მიემართება. პიროვნებასა და ნისეულ მეტყველებას შორის ხომ განუყოფელი კავშირია. ამიტომ ყველაფერი შეიძლება აიხაზოს პიესაშიც და სპექტაკლშიც, ნებისმიერი მასშტაბის ცხოვრებისეული მოვლენა, თუკი ეს მოვლენა მათში მოქმედ ადამიანთა სულებშია ასახული.

რადგან დრამატურგი პიესას თავისი დროის თეატრისათვის წერს, ამ ნაწარმოების საშუალებით ისიც შეიძლება შევტყუოთ, თუ რა სახის სადადგმო საშუალებები ჰქონდა ხელთ იმ დროის თეატრს. ასე მაგალითად, გ. ავალიშვილის თეატრისთვის დავით ჩოლოყაშვილმა ფრანგულიდან ჟან რასინის “ჟულიანა” გადმოაკეთა. ძალიან საინტერესოა ის დარჩენები, რომლებსაც იძლევა დ. ჩოლოყაშვილი ამ ჰიქსის სცენურ განხორციელებასთან დაკავშირებით. მით უფრო,

რომ ფრანსის რემარკეტი შეიძლება ითქვას, საერთოდ არა აქვს, ენაზეთ, რეგორია დ. ჩოლოყაშვილის დარგებანი  
“გამოცხადება.

თეატრი წარმოადგენს მინდორზედ სამსხვერპლოსა. კალხაზე დუმილით ილოცვამს და აქტებს. რომ ტრეკ ექვთოვდა ქუჩისათვის, კაცებს სახით, ღრუბლით მოცა და გულშემოყრილ ვალხაზე ესტეხება და ისეც კლვითა და უქილით ათმოდებდა - და უარნა დაითარება სა-ღარავი - სევა მუხალავი

თეატრი წარმოადგენს ხელის კიდზედ დახმულს ხომალდს... ხომალდზე კაიავს. კარავში აღამეწმონ წიგნსა პეჭქდავს...

გამოცხადება დ. მოქმედება ე.

საკრავი მოჰყვება კერასა სანამ ფარდას ასწევდნენ. აღამეწმონ ტახტზედა დგას... ტახტზედ სტოლი დაფარებული, სტოლზედ გვირგვინი და ხმალი ახილვისათვის ვერცხლის სინით... ახილ დროშებს დაანახებებს, ჯარი ჩემტს მისცემს, დროშები დაეშობიან, ბარაბანი ჰობოდას ჰსცემს სანამ აღამეწმონ ანიშნებნ, ბარაბანი დადგება, დროშებს ამართავენ.”<sup>17</sup>

ეს ამონაწერი ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწოდებს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოადგენდა დ. ჩოლოყაშვილს მისი დროის თეატრის, XVIII საუკუნის პოლო ნლებს ქართული თეატრის სპექტაკლი. ირკვევა, რომ მისთვის ცნობილი ელვისი და ქუჩილის ეფექტის გამოყენება. რომ უკვე არსებობს სპექტაკლის მუსიკალური გავორების ცდა (საკრავისა და დოლის ხმოვანებას მოიხსენიებს). რომ სცენაზე დგას ავეჯი (სკამი, ტახტი, მაგიდა), საკმარეკიზიტეც (გვირგვინი, ხმალი, ვერცხლის სინი, დროშები). დ. ჩოლოყაშვილი იმისაც გვაუწყებს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ სცენაზე მსახიობებმა (აღამეწმონ წიგნსა პეჭქდავს, არკავს სკამზედ სინიანა, აქა-იქ საღდათები ჰყრიან)...

თავისთავად იბადება კითხვა - რაც ჩვენ დ. ჩოლოყაშვილის რემარკაში ნაკითხვით, იყო განხორციელებული იმ დროის ქართული თეატრის სცენაზე, თუ მხოლოდ სურვილი იყო გადამოქმედებისა? განა არ იცოდა დ. ჩოლოყაშვილმა რის შემძლე იყო ის თეატრი, ვისთვისაც გადმოაკეთა მან ფრანგი კლასიციონტის ნაწარმოები? - ამ გიორგი ავალიშვილის თეატრს შესწევდა ძალა დ. ჩოლოყაშვილის დარჩენებთან განხორციელებებისა, ამ მისი დარიგებები მონოდება იყო მხოლოდ. ორივე შემთხვევაში ეპოქის თეატრალური მისწრაფებანი ნათელია. ქართული თეატრის ისტორიისთვის ეს ძალზე ყურადსაღები ინფორმაცია დრამატურგმა მოგვანოდა.

რადგან დრამატურგი პიესას თავისი დროის თეატრისთვის წერს, მისი ნაწარმოების საშუალებით ისიც შეიძლება შევტყუოთ, თუ რა სახის სადადგმო საშუალებები ჰქონდა ხელთ იმ დროის თეატრს. დიდ რეჟისორ ვს. მეიე-

რომოდეს მიაჩნდა, რომ ზოგჯერ ახალ სცენურ გამოშახებულობას თეატრისგან დრამატურგი მოითხოვს. ნიმუშად ასახელებს ა. პუშკინის "ზორის გოდუნოვის" საფინალი რემარკას - "ხალხი დუმს". ეს ორი სიტყვა ხალხმრავლობას ნიშნავს. შეითვალს ამ ხალხმრავლობას საკუთარი წარმოსახვა დაანახვეს, მაყურებელმა კი ის სცენაზე უნდა დაინახოს - რამდენი ადამიანი? რამდენი ქალი? რამდენი მამაკაცი? ვინ დგას? ვინ ზის? სად? რა აცვია ყოველ მათგანს და ა.შ. და ა.შ. ხალხმრავალ ეპიზოდს მაორგანიზებელი ესაჭიროება, რეჟისორი. ა. პუშკინის დროს თეატრში ასეთი ხელოვანი ჯერ არ არსებობდა. ამიტომ ამბობდა ეს. მიუერმოლდი - ა. პუშკინის დრამა მომავლის თეატრიაო.

მოუხედავად დრამატურგიისადმი სათეატრო ხელოვნების მუდმივი ინტერესისა, ლიტერატურის ამ ურთულესი სახეობის ყველა საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია. ეს იმიტაცაა გან-

პირობებულო, რომ დროთა განმავლობაში დრამატურგული ფორმებიც იცვლება. ამიტომ რომ იცვლება ცხოვრებაზე ადამიანთა თელასაზრისი, ქვეყნის საზოგადოებრივი სუბიკა, შეხედულება ხელოვნებაზე და თვით დიდ ხელოვანთა შემოქმედებითი თაოსებობები. დრამატურგული ხელოვნების ესტატოს წინარმოებებში დროის ლიტერატურულ-თეატრალური თითხმსწრაფეებითაა წოდმე დაღდასმული.

ამაზე, დროს არსებობს დრამატურგული ხელოვნების რაობის მომცველი ქსოვადესეკან-წინებითი დროთა ცვლადობა არ მოცილიდებენ. მართლაც, არ მოიძებნება ქუმარიტად დრამატურგული ქწილეება, სადაც ცხოვრების სურათები მოქმედ პირთა ცოცხალ ქმედებაში არ მიმდინარეობდეს და ეს ცხოვრება სცენაზე სათქმელად შეთხზული სიტყვებისაგან არ შედგებოდეს.

### შენიშვნები

1. გაზ. "ივერია". 1890. № 269. ახალი დრამების გამო
2. Б. Шой. О драме и театре. "Иностранная литература". 1963. с. 584
3. "Литературная газета". 1972. 5 июля
4. Сб. Памяти Комиссаржевской. С.П.Б. 1911. с. 408
5. ი. ქაეჭავაძე. ახალი დრამების გამო. თხზ. ტ. 4. 1986. გვ. 167.
6. კ. ყიფიანი, მოგონებები, წერილები. "ლიტერატურა და ხელოვნება". 1964. გვ. 25-27.
7. Ю. Олени. Повести и рассказы. "Художественная литература". 1965. с. 404.
8. ვ. შალიკაშვილი. წერილები, მოგონებანი. "ხელოვნება". 1962. გვ. 82-83.
9. Сб. Островский о театре. "Искусство". 1947. с. 165.
10. Вл. Немирович-Данченко. Рецензии, очерки. ВТО. 1980. с.312.
11. М. Мамардашвили. Время и пространство театральности. журн. "Театр". 1989 № 4
12. "ივერია". 1881. №2.
13. ი. ქაეჭავაძე. თხზ. ტ. 5. გვ. 40-41.
14. ი. ქაეჭავაძე. თხზ. ტ. 10. 1961. გვ. 97.
15. გაზ. "დროება". 1880. № 208.
16. ი. ქაეჭავაძე. თხზ. ტ. 2. 1946. გვ. 486
17. ეფილენია. ტრალედია. მათის მეფობის დიდებულების, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქვევლად; ეპოხასა მეფობისა მისისა საბ, (52) ნელსა შ-დ მაცხოვრისა წ-ნისა - ჩლევ (1795), თთვესა მარტსა - გ.  
თქმული მდივანბეგის თავადის დავით ჩოლოყაშვილისაგან ქალქსა ტფილისს იხ. მიხ. აბრამიშვილის ნიგვში "ძველი ქართული თეატრი". გამოცმ. "მეცნიერება საქართველოში." 1925

# გიორგი შარვაშიძის თეატრალური შხაყულება

## საქართველო

გიორგი შარვაშიძის თეატრალური შეხედულებების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს იმ ფაქტს, რომ 1919 წლის 19-იან წლებში ილია ჭავჭავაძის "ივერიამი" თბილისის ქართული თეატრის სპექტაკლების შესახებ ხშირად აღეშინებოდა სტატიებს. საბჭოთა პერიოდში თამარ მჭავარიანის მიერ მოკლულ იქნა, რომ ფსევდონიმებს ამოფარებული იყო გიორგი შარვაშიძე, რომელსაც მეფის რუსეთის მთავრობამ აფხაზეთში ცხოვრება აუკრძალა და ფსევდონიმის შინაარსიც სწორედ აქედან მომდინარეობს - "გარდახვენილი", "გარდამოხვენილი", "გარდანახვენი".

თავის რეცენზიებში გიორგი შარვაშიძე დავით ერისთავის, ავქსენტი ცვაკარელის, გეტრე უმიკაშვილის, კოტე მესხის, ვალერიან გუნისას, ანტონ ჩეხოვის დრამატურგიის, ივანე მაჩაბლის, დიმიტრი ფიფაინის, კოტე მესხის, კოტე ყიფიანის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნისას თარგმანებისა და ლადო ალექსი-მესხიძის, ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნისას, მაკო საფაროვა-აბაშიძის, კოტე ყიფიანის, ელისაბედ ჩერქეზოვილის სამსახიობო ხელოვნების გაანალიზების საფუძველზე იძლევა სათვალავო ხელოვნების არსისა და საზოგადოებრივი დანიშნულების მისეულ გაგებას. ამდენად ამ რეცენზიებში ზოგად ესთეტიკურ ნააზრევსაც ვხვდებით.

ამ პერიოდში, რაკი ხელოვნებას და, კერძოდ, სათეატრო ხელოვნებას, უსადენ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს უკანასკნელი "უტყუარო ეროვნული სარკეა", რადგან თეატრი "ერთადერთი ადგილია, სადაც ქართული საზოგადოება თავს იყრის და საიდანაც ქართული ენა ისმის", "ამიტომ თეატრი კაცმა ყოველმხრივ უნდა განსაჯოს", "ეკითხულობთ იმ დროის პრესის ფურცლებზე".

ამ დროის პრესის ფურცლებზე გვხვდება რიგი მოთხოვნებისა სათეატრო ხელოვნების მიმართ, გამომდინარე ამ უკანასკნელის სპეციფიკიდან.

თეატრის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი დრამატურგია, რომელიც ცხოვრებას უნდა ნაწარმოებავდეს მალალმხატვრულად, სცენის კანონების ცოდნით, ამასთანავე ის "სამომბლო ნიდავგზე უნდა იყოს დამუშავებული" (ი. ჭავჭავაძე). ამგვარად დაწერილი პიესები პირდაპირ თეატრში არ უნდა მიდიოდეს, ის უფრო დრამატულმა უმიტეტმა უნდა განიხილოს, შემდეგ ამ პიესაზე უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი, აზრი სპეციალისტებისა, ისინი უნდა "ნა-

უკეთესოდ სცენისა დალიტერატურის წარმოდგენილი" და თუ ნაერთო მიზნობას დაიძინებოდა, ნაილედ მონიშნავდაც. შედეგით გაველენას იქონიებს თვით დრამატურგის ჩამოყალიბებაზე, ნაწარმოების დახვეწაზე, მაყურებლის აღზრდაზე. სცენაზე განხორციელებულ პიესაში დრამატურგი ერთხელ კიდევ დაინახავს პიესის დადებითსა და უარყოფით მხარეებს.<sup>3</sup>

გიორგი შარვაშიძე, ისევე როგორც იმდროინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, სათეატრო ხელოვნებისაგან მოითხოვს მალალმხატვრულ ეროვნულ დრამატურგიას, რომელიც სცენის კანონების მიხედვით ასახული უნდა იყოს თანამედროვეობის მტკიცეული საკითხები: "დრამა ერთმანეთზე გადახმული პანია სცენების კონა როდია ათასგვარის ფერუმარილით, სიმღერით, ზურნით, მუსიკით, ქიფით, ცეკვათაშაშით, სიტყვების ნარმოთქმითა და დასასრულ დაბამის დატრიალებით შულამა ხეხული. დრამატურგი უნდა აღწერდეს "ნამდვილ სურათს ჩვენი ცხოვრებისა".<sup>4</sup> ატორის ბეერი მოქმედნი (მოქმედი პირნი - ე. ხ.) დიდი ნიჭითა და ხელოვნებით უნდა მოქმედეს დაბასიათულები. გ. შარვაშიძის მიხედვით, დრამატურგი უნდა აზროვნებდეს მხატვრული სახეებით. სახეს უნდა ახასიათებდეს "თვითმოქმედთა მდგომარეობიდან მომდინარეობა". "თვითმოქმედთა მდგომარეობიდან მომდინარეობა" დღევანდელი თეატრმცოდნეობით ტერმინოლოგიით ნიშნავს "შინაგან მოქმედებას" მხატვრული სახიდან ( ჩვენ ვხმარობთ რუსული თეატრის რეფორმატორის კონსტანტინე სტანისლავსკის ტერმინს, რომლის სისტემა შემდგომში საფუძვლად დაედო საბჭოთა თეატრებს. 1893 წელს კი სათეატრო ხელოვნებაში ტერმინები არ არსებობდა). პიესაში ის უარყოფს "გაცეთილი სიტყვებისა და ფრაზების" გამოყენებას, "გაზეიადებულ დიალოგებს", გადატვირთვას დეტალებითა და ვრძელი მონოლოგებით. მონოლოგი "ადგილს და გარემოს უნდა შეფერავდეს"; "საოხუნჯო დრამაში დიდის სიფრთხილით უნდა იყოს შეტანილი, რაც ნაკლები იქნება, მით უკეთესია"; ერთი სიტყვით, დრამატურგია "მასლაათისაგან" (ლაპარაკისაგან - ე. ხ.) კი არ უნდა შედგებოდეს, არამედ "მოქმედებისა და მოძრაობისაგან" (იგულისხმება შინაგანი მოქმედება და მისგან გამომწვეული ფიზიკური მდგომარეობა).

გ. შარვაშიძე კომედიის შესახებაც იზიარებს იმ აზრს, რომ ის გარეგან იაფფასიან ეფექტებზე არ უნდა იყოს აგებული: აქაც, რო-

გორც დრამაში, მთავარია კონფლიქტი, რაც თვით საქმის ვითარებდან უნდა მომდინარეობდეს და არა "მოქმედთა უცნაური და უნიადაგო ხასიათიდან". უნიადაგო ხასიათი დევნავდალ უნაზე ნიშნავს სქემატურ მხატვრულ სახეს. გ. შარვაშიძის აზრით, "უნიადაგო ხასიათების" პიესა დიდხანს ვერ იცოცხლებს; ასეთივე ბედი ეწვევა ყველა თარგმნილ პიესასაც, თუ ეროვნულ ნიადაგს არ დაეყმნო და დაცული არ იქნა სინამდვილე ენისა. პიესაში ახალი და აქტუალური თემაა საჭირო და არა გაცვეთილი, "ათჯერ გადაღებული". ცალკეული ნაწილები, ეპიზოდები დალაგებული და ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყვნენ "მწყობრად, თანმიმდევრულად", რათა მთლიანი მხატვრული ნაწარმოები გამოვიდეს; ამასთანავე პიესას "ლაზათი და მარილი უნდა ჰქონდეს" გემოვნებით უნდა იყოს დაწერილი, მისთვის მთავარია არა ტექსტი, არამედ "მდგომარეობები" (სიტუაციები - ე. ბ.), პიესა კუნთიკტებზე უნდა იყოს აგებული, "ნასკვი" (ყვანძი - ე. ბ.) უნდა იხლართებოდეს (მოქმედების განვითარება, კულმინაცია - ე. ბ.) და ვახსნავ (კვანძის ვახსნა - ე. ბ.) ხელოვნურად (ორგანულად - ე. ბ.) უნდა ხდებოდეს. ამასთანავე, პიესაში არ უნდა იყოს "წმინდა დადებითი" და "წმინდა უარყოფითი" ტიპები, რადგან "ადამიანის ბუნება საოცარია, ის თავისში მრავალ თვისებას ათავსებს". თმეცა ზ. შარვაშიძე მოითხოვს დრამატურგებისაგან "ეროვნულ ნიადაგს", მაგრამ ამასთანავე ხაზს უსვამს, რომ პიესა "ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ სხვა ერშიც თავისად მიიღოს". მაშასადამე, პიესა უნდა იწერებოდეს მალაქმხატვრულად და ამ მალაქმხატვრულ ნაწარმოებში იდეა უნდა მოქმედებს არა მარტო ერთ გმირს (მაშინ ამგვარად იწერება და პიესები), არამედ "მთელი დრამატისში ცოტათი თუ ბევრად თითქმის ყველა მოქმედით უნდა ჰქონდეს განაწილებული!" გ. შარვაშიძე მომხრეა ნაწარმოების იდეის ანსაზღვრად მოტიანისა. ამ პუნქტში ის უარღვსად ორიგინალურია (უნდა ითქვას, რომ ეს იდეა შემდგომ, მისგან დამოუკიდებლად, პრაქტიკულად რუსულ დრამატურგიაში განახორციელა ანტონ ჩეხოვმა, ქართულ დრამატურგიაში კი დაეთით ჯედიამვილიძე).

როგორც იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან ვგებულობთ, რეპერტუარის პრობლემა მაშინაც ძალიან მწვავედ იდგა ქართული თეატრის წინაშე. განურჩევლად იდეებოდა ფრედლანირი ხარისხის პიესა და აი, ამ საქმის მოსაწესრიგებლად ქართული საზოგადოებრიობა დრამატული კომიტეტისაგან მოითხოვს, რომ "შეკრიბოს ის 140 ორიგინალური პიესა, რომლებიც დღემდე ქართულ სცენაზე დადგმულან, მაგრამ ჯერაც არ დაბეჭდილან და დაბეჭდოს".<sup>5</sup> ამავე აზრისაა გიორგი შარვაშიძეც. გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე ის ამბობს: "უზარისხო პიესებს თეატრი არ უნდა დგამდეს".

ცნობილია, რომ იმდროინდელ ქართულ


თეატრში ხშირად გადმოაქართულდებდნენ ხოლმე უცხოურ პიესებს. "პიესის გადმოქართულება მხოლოდ მოქმედ პიესა გვარების შეცვლა როდია". "გადმოკეთებული პიესა სატიროა, მაგრამ ისეთი, რომელსაც საერთო აქვს ერთულ ცხოვეტებასთან და ერას თავისტურებასთან". საზოგადოება მოითხოვს რომ ვააცხოზო გადმოკეთებული პიესის ორიგინალიც. უცხოულ კლასიკოსთა ორგანილის გაცემების მოთხიდან იმით იყო გამოწვეული, რომ უფრო დრამატისხაველთაგან ტურფვის სტელი მისი მიმართულება, თავისებურებანი და ის ეპოქა, რომელსაც ის ასახავს. რაც შეეხება თარგმნილი პიესების ავტორებს, მათგან მოითხოვენ, რომ პიესაში "ქართულობა უნდა მოსხადეს" და რომ "მთარგმნელისათვის საჭიროა ევრეთხოვებული დრამატული ძარღვი".<sup>7</sup>

გიორგი შარვაშიძე პიესების გადმოქართულებისა და თარგმანის შესახებ ილია ქაჭკაჭაძისა და მონინავე ქართული საზოგადოებრიობის პოზიციაზე დგას. ის თვლის, რომ სატიროა ასეთი რიგის პიესებში თანამედროვე ტექნიკული საკითხები იყოს გაშუქებული და ყველაზე უფრო უნდა იდეაზე დამყნილი: "უაატრში ისეთი ავტორების პიესები უნდა დაიდგას, რომლებიც ცდილობენ პიესაში ახსნან და გამოარკვიონ რომელიმე ძნელი საკითხი, რომელიც ცხოვრების ქირ-პორტის შვადგანს და რომლის გვერდის ახვევაც დიდად ძნელია". და იქვე განაგრძობს: "ქართულს ნიადაგზე დაძალად გადმონაყოფიერებული პიესა როგორღაც სრულად ვერ გამოხატავს ქართულთა ცხოვრებას".

კრიტიკოსსაც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა ქართული საზოგადოებრიობა: კრიტიკოსი თეატრის ისეთი თეორეტიკოსი უნდა იყოს, შემოქმედებით უნარით დაჯილდოებული, რომელიც ხელოვნების თეორიის ცოდნას ეროვნულ დრამატურგიაზე გააგრძელებს და შესძლებს ჯერაც განუხილველი პიესის აუკანონობის მეცნიერულ დასაბუთებას.

გიორგი შარვაშიძის აზრით, კრიტიკოსი ობიექტური უნდა იყოს, მისი მიზანია აღნიშნოს სპექტაკლის კარგიც და ნაკლებიც. ნიჭით დაჯილდოებულ მსახიობებს "სასარგებლო არტიტებს" ეძახის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მან უესტად გამოხატა ქართული სცენის დიდოსტატის ვასო აბაშიძის თეატრის თავისებურება: "შევის არტიტებს კომედის თამაში უფრო ეტერტებათ, ვიდრე დრამებისა". საინტერესოა, რომ ეს აზრი ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული იყო 1894-95 წლებამდეც, ე. ა. მაშამდე, ვიდრე მეორე დიდოსტატის ლადო მესხიშვილის რევიურა არ წარმოიჩინა, რომელიც დრამებსა და ტრაგედიებს დგამდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ლადო მესხიშვილის თეატრის ჩამოყალიბების დროს გ. შარვაშიძის რეცენზიებს პრესის ფურცლებზე უკვე ვეღარ ვხვდებით.

შემდეგი მთავარი კომპონენტი თეატრისა არის მსახიობი. მსახიობის მიმართაც გარკვე-



ული მოთხოვნები არსებობდა ამ ეპოქაში, სახელდობრ: "ვერავითარი კრიტიკოსი ვერ წარმოადგენს, ვერ განვცემარტავს დრამატულ ნაწარმოებს ისე, როგორც არტისტი".<sup>6</sup> მაგრამ მსახიობად გაბდომა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც უნარი აქვს სცენაზე სხვადა ქცევისა, მზერის სახის წარმოდგენისა: "სცენა საკუთრებელი უნდა იყოს ხელოვნებისა, სადაც შევსება შეუძლია მარტოოდენ განწმენდილთ". თავიანთი თანამედროვე მსახიობისაგან მოთხოვენ როლის მეცნიერულ შესწავლას, განსაკუთრებით კლასიკურ პიესებში", ემოციების გამობატვას გარეგნული სიძუნით და სისადავით, უშუალობას, სცენურ სიმართლეს, ბუნებრიობას სცენის კანონებისა და ზომიერების დაცვით. მაგრამ თუ მსახიობი სუსტ პიესაში თამაშობს, "მაშინ უფრო მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება როლის მიმართ", რადგან "ცუდი პიესის გაკეთება შეუძლია კარგ მსახიობს".<sup>7</sup> ამავე აზრს იცავს და აღწერს გ. შარვაშიძე: "მსახიობი სცენაზე არ უნდა ლაპარაკობდეს, უნდა თამაშობდეს. მსახიობის "თამაშობა" გ. შარვაშიძის მიხედვით ის არის, რომ მსახიობი უნდა ამოდოოდეს დრამატურგის მიერ დაწერილი მსატრულო საზიფან, მაშასადამე, "თამაშობდეს" - ნიშნავს მოქმედებას. ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, "როლიდან თამაშად მოქმედებდეს", ყოველი ახალი როლის დამუშავებისას ძიებაში უნდა იყოს. "მსახიობის ყოველი ნაბიჯი და მოძრაობა სცენაზე აწონილი უნდა იყოს და ნათქვამი აზრის შესაფერისი". თუ მსახიობი კარგი როლი მისცია, "მაშინ არტისტებს ფართე მოედანი აქვთ თავისი უფარი გამოაჩინონ", თუმცა კარგი მსახიობი ისეთ როლსაც, "ალაგ-ალაგ მალაშინი რომ აკლია", კარგად თამაშობს. მსახიობი კარგ როლს ითამაშებს თუ სქემატურს, ყოველთვის მოძრაობასა და მოქმედებას უნდა იყოს, რადგან "სცენაზე თამაშის ცოდნა და ხერხი ხშირად ხანგრძლივს ართამაშობით ბლავდება და ჟანგდება".

გ. შარვაშიძე მსახიობის ეთიკასაც ეხება და მოითხოვს, რომ "მსახიობი თავის როლს ყოველთვის კარგად და უტყუარად უნდა ასრულებდეს" (ე.ი. დატვირთით თამაშობდეს). გიორგი შარვაშიძე როლის ზერულ თამაშს "ვითომდას" ეძახის ("ვითომდა შელონებული", "ვითომდა ელდანიკარგი") და ნაცვლად ამისა, როლის ღრმა გაგებას მოითხოვს.

სცენაზე ზომიერებაც აქვს ეტყობელია: "თამაში მსახიობმა არ უნდა გადააშლავს". გარდა გარდასახვის უნარისა, აქტიორს უნდა ჰქონდეს კარგი გარეგნობა და ხმა, კარგად უნდა მღეროდეს და მკაფიოდ მეტყველებდეს: "ეს თვისებანი ღირსება მსახიობისა". როლიში მოქმედების დროს მსახიობს უნდა ეტყობოდეს "გრძნობა". გამაოდის, რომ გიორგი შარვაშიძე განიცდის სკოლის მომხრე და არა წარმოსახვისა, რაკი "გრძნობით" თამაშს მოითხოვს და არა "წარმოდგინებას". ამდენად, გ.

შარვაშიძე სათვარტო ხელოვნებაში რეალისტური მიმართულების მომხრეა. "გრძნობით თამაში" და "განცდა" მატარა როლსატვირთება: "პანი როლებს შემსრულებლებმა კარგად უნდა იცოდნენ თავ თავისი როლები" და ისიც ეტყობელია "განცხებით" (ე.ი., მსახიობის და სკაფულეთი უნდა იქნეს ნათესობები, თორემ მსატრული სახე, როლი, სიცოცხლის მოკლებულად გამოვა წმასათეს უნდა ქცეოდეს თავისი როლსა, რასაც იმ "სცენაზე რეგანად თვლის დაქრის სეზონს". "თიგანად თვის საქურად დიდი სიკეთეა არტისტისათვის". მსახიობმა უნდა შესძლოს ნებისმიერი ტიპის შექმნა, თუნდაც მის მონაცემს არ შეესაბამებოდეს. ასე, მაგალითად, კომიკს უნდა შეეძლოს "დრამატისმით სახეე როლის თამაში, ამით ნამდვილად დაამტკიცებს, რომ ნიჭი ყოველსავე დაბრკოლების გადამლახავი ძალაა, თუმცა, რასაკვირველია, სასურველია თავის როლებში უნახოთ. თუ სრულადია გარდასახული, გ. შარვაშიძე ასეთ ფაქტს, "როლის მშვენიერი აღსრულებას" ეძახის, "საუცხოო ადგილებს" კი იმ სცენებს, სადაც ემოციებით, "ძლიერი გრძნობები". თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც "მსახიობი ქეიი, მაგრამ, არც არას ნაახვლეს და არც არას აკეთებს. ასეთი მსახიობი მას ქების ღირსად არ მიაჩნია, პირიქით, ზოგჯერ გაბეულად ურჩებს დაინების სცენას თავი. ამასთანავე, მსახიობისათვის დიდოსტატობად მიაჩნია "მდუმარება" (პაუზა), მაგრამ ისეთი "მდუმარება", რომელიც მაცურებელზე მოქმედებს. მაგალითად, ერთგან ასე ამბობს: "დაბნულს მდუმარება", რაც იმას ნიშნავს, რომ მსახიობმა ლაპარაკით კი არ გამოხატა დაბნულობა, არამედ ისეთი მდუმარებით (ფსიქოლოგიური პაუზით), რაც "მაცურებლის ცრემლის გვრის, მის გულს ინადირებს". მსახიობის დიდ გამარჯვებად მას მიაჩნია ისეთი მდგომარეობა, როდესაც უარყოფითი ტიპის თამაშისას აქტიორული შესრულებით "მოინადირებს" მაცურებლის გულს. ისე უნდა თამაშობდეს, რომ მაცურებელს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდეს.

იმ დროს დრამატული თეატრის მსახიობის უპირველეს გამომსახველ საშუალებად მიჩნეული იყო სასცენო მეტყველება. აქტიორს ადარებდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომლის ხმა და ინტონაცია მოქნილი, ელასტიური და აზრიანი უნდა ყოფილიყო, რომ მსმენელზე და მაცურებელზე დიდი ეთეტკური ზემოქმედება მოეხდინა. იმ დროს ქართული სასცენო მეტყველების მიმართ მეტად სათუთ დამოკიდებულებას იჩენდენ, რაზეც ცხადად მეტყველებს პრესა. რეცენზენტები ხშირად შენიშნავდნენ ქართული ეილოს დარღვევას, ანდა ქება-დიფებით მოიხსენიებდნენ ყველას, ვინც იცავდა ქართულ მეტყველებას, განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული იმ თარგმნილი პიესების მიმართ, რომლებიც სცენაზე იდგმებოდა და რომელთა უმეტესობა მა-

შინ დაუნუნებელი იყო, "ისინი პირდაპირ არი-  
ან თარგმნილები, ხოლო თარგმანი  
ქართულობა უნდა მოსწანიდესო" და გაზეთი  
"იურია" მკაცრად მოითხოვდა ქართული  
დრამატული კომიტეტისაგან, რომ სცენაზე  
ნარმოდგენილი პიესებისათვის, ორიგინალუ-  
რი იქნებოდა ის თუ თარგმნილი, სპეციალუ-  
რად შეერჩიათ საქმის მცოდნე ადამიანი, რო-  
მელიც "ქართულ ენას გააშალაშინებდა". სცენა-  
ზე ნარმოთქმული ტექსტის სიზუსტის და-  
ცვის მოითხოვდა არა მარტო პრესა, არამედ  
ქართველი საზოგადოებრიობაც. დრამატურ-  
სტვის სტილი დაცული უნდა ყოფილიყო. ავტო-  
რის სტილს მაშინ არ იცავდნენ პეტერბურგის  
თეატრებშიც კი, მაშინც დალსკის გა-  
სტროლებს დროს ქუთაისში, საშუალოდ,  
სწორედ ასეთი რამ მოხდა.

იმ დროს ქართველი მოწინავე საზოგადო-  
ებრიობა ბრძოლას უტყუებდა სცენაზე დრო-  
მოქმული დიაკნური საუბრის კილოს, თუ ამ-  
ღერებულ სტილს, რაც ადრე დამკვიდრებელი  
იყო კლასიკურ პიესებში და შემდეგაც დიდხანს  
გრძელდებოდა. სასცენო მეტყველებისაგან  
მოითხოვდნენ: აზრის მკვეთრად გადმოცემას  
ლიტერატურულ გარკვევით, მკაფიოდ, გრძნობით  
ნარმოთქმას, გამომსახველ, მაგრამ ბუნებრივ  
ინტონაციებს, დარბაისილურ ქართულ საუბარ-  
ში ენის კანონების დაცვას და ზომიერებას.  
მსახიობი უნდა ამოსულიყო დრამატურგისე-  
ული მეტყველებიდან. ამავე დროს რეცენზენ-  
ტების მსახიობისაგან მოითხოვდნენ დამუშა-  
ვებულ, თავისუფალ, სცენურ ხმას და მეტყვე-  
ლების ტექნიკას. ქემშარიტი ქართული მეტყ-  
ველების პრობლემა ისე მკაცრად იდგა, რომ  
არა მარტო დრამატულ თეატრებში, არამედ  
მომღერალთა გუნდისაგანაც კი მოთხოვდნენ  
"ქართულ ხმებს" და "ქართულ ნარმო-  
თქმებს".<sup>11</sup>

გიორგი შარვაშიძე სწორი მეტყველების  
საქმეში დიდ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ  
თესსაც და მსახიობებსაც.

ლექსის ოსტატურის ნარმოთქმა, გარდა  
მხატვრულობისა, თავისთავად გულისხმობს  
მეტყველების ტექნიკას. საგარეულოა, რომ მას  
როგორც ორატორსა და კარგ მკითხველს მა-  
სორთაც უკონდა მეტყველების ტექნიკა (სწო-  
რი ნარმოთქმა, ბგერების მკაფიობა, დაყენე-  
ბული სუნთქვა, თავისუფალი ხმა) და რაკი მე-  
ტყველების ტექნიკა ყველა ერისათვის ერთია,  
ცხადია, რომ მას ამა თუ იმ ენაზე საუბრის  
დროს ყოველივე თავისთავად გადაჰქონდა,  
ამიტომაც საუბარი ყველა ენაზე კულტურუ-  
ლად, ლამაზად გამოსდოდა.

თეატრალურად მიი მოთხოვნები კი ასეთი  
იყო: დრამატურგის ტექსტს მსახიობი სწორად  
უნდა დაუფლებოდა, დაცული უნდა ყოფილი-  
ყო მისი სტილი არა მარტო ორიგინალურ პიე-  
სებში, არამედ თარგმანშიც: "უამისოდ სცენა-  
დიდან ხშირად უცნაური ლაპარაკი მოისმის,  
რაც ადამიანს უკმაყოფილების გრძნობას უბა-

დებს და ესთეტიკურ სიამოვნებას უშხამავს".  
მისი აზრით, მსახიობი უნდა გულობდეს მეტყ-  
ველების ტექნიკას. "როლის მკაფიოდ და კარგად  
ნაკითხვა (სწორი ნარმოთქმა - ე. ხ.) ღირსებაა  
მოთამაშებლის". "მოთამაშე ნიშნავს გარდა-  
საზღვრებელს, როლის კაფიოდ და კარგად  
ნაკითხვა კი გარდასაზღვრებელი ტექნიკისა  
მხატვრული სახიდან გამომდინარე მეტყველე-  
ბის იმ მომენტზე მიიღობსწორი ტექნიკის  
რეგულარობისა და არა რომელიმე კუთხუ-  
რითი კავისა: არ ცოცხთ რა მსხუთითთა  
ვის ლაპარაკს ამ დრამაში აზრის კილოს აძ-  
ლევდა". გიორგი შარვაშიძის აზრით, დრამა-  
ტურგის მიერ შექმნილი მხატვრული სახე ძი-  
რითადი ამოსავალი უნდა იყოს მსახიობის მე-  
ტყველებისთვისაც: "დამუდარი, დალაგებული  
და ბრძნული მასლათი" ყოველთვის როლს არ  
მიესადაგებდა; თუ საჭიროა "როლისათვის უსი-  
ცოცხლო, უგრძნობი ლაპარაკი, ხმა მსახიობის  
გულიდან ამგვარად უნდა ამოდიოდეს". მაშ,  
მხატვრული სახიდან მეტყველება "ზოგჯერ  
ერთ ფერს მოითხოვს, მაგრამ მაინც "გულიდან  
უნდა ამოდიოდეს", შესაბამისი ემოციები  
ახლდეს, ასე რომ სიტყვა "მომქმედი და მოძ-  
რავი" უნდა იყოს. განწყობის, ემოციის გარე-  
შე ტექსტის ნარმოთქმას გიორგი შარვაშიძე  
"ლაპარაკს" ეძახის, "ლაპარაკი ცარიელი სი-  
ტყვებია უაზროდ თქმული, სცენაზე სიტყვას  
უნდა უკონდა აგრეთვე ქვეტექსტი და მისა-  
მართი "სიმწყობრე და პარპონა" და სპექტაკ-  
ლებში თვითოეული მხატვრული სახის ინტო-  
ნაცია, ხმა, ერთმანეთთან შერწყმული უნდა  
იყოს.

რეჟისორის საკითხი იმდროინდელ პრესაში  
ამგვარად ირჩეოდა: რეჟისორი განათლებული  
უნდა იყოს, აგრეთვე უნდა უკონდეს ცხოვრების  
სათანადო ღრმს ცოდნა, უნარი თეატრში შემო-  
ქმედებით გარემოს შექმნისა. იმისათვის, რომ  
მსახიობი ამოქმედოს სწორ მოცემულ პირო-  
ბებში, რეჟისორმა უნდა იბრძოდოს თეატრში ან-  
სამბლის ჩამოყალიბებისათვის და შეაგნებოს  
მსახიობს, რომ "არ არსებობს დიდი და მატარა  
როლები". ეს გ. შარვაშიძის ენაზე ნიშნავს: "მა-  
ნია როლებსაც დამუშავება უნდა". უნდა მიუ-  
თითოთ ერთ ნიუანსზეც: ვასო აბაშიძე რეჟი-  
სორს "გამართავებულს" ეძახის, ლადე მესხი-  
შვილი - "მწვრთნელს", გიორგი შარვაშიძე კი  
"მომმართველს". რეჟისორის ესაჭიროება ფანტა-  
ზია, ხასიათის სწორი გახსნა. ამიტომ მსახიობი  
"მოქმედებთა მდგომარეობიდან (მოცემული  
სიტუაციიდან) უნდა ამოქმედოს." "კარგის არის,  
რომ კომიზში სიტყვები კი არ იხატებოდეს, არა-  
მედ მოქმედებთა მდგომარეობით უნდა იყოს  
შექმნილი". როგორც მსახიობის მოქმედება ხდე-  
ბა დამაჯერებელი, ისეთივე დამაჯერებელი  
უნდა გახდეს მასის, ხალხის მოქმედება. რეჟი-  
სორმა არც შინაარსი უნდა ანაცვალოს ეფე-  
ქტებს, ერთი სიტყვით, რეჟისორმა ყველა ელე-  
მენტს უნდა "შეაკონინოს", "გააშალაშინოს",  
სპექტაკლი ანსამბლური გახადოს.



რაც შეეხება თეატრში მხატვრის როლს, უნდა ითქვას, რომ მას დიდად ამცირებდა ერთი გარემოება: იმ დროს სტიანდარტული დეკორაციები ნუსად იყო შემოღებული, კინაიდან "არ არსებობდა საშუალება თვითთული პიესის, მისი სტილის და მასში ასახული დროის მიხედვით მხატვრული გაფორმებისათვის".<sup>12</sup> გიორგი შარვაშიძე თეატრისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე გულისტკივილით წერს: "ქართულ თეატრში ხშირად სხვადასხვა პიესებს ერთ დანადგარში თამაშობენ უსახსრობის გამო, რუსული წარმოდგენები კი მშვენივრად არის ხოლმე მოწყობილი". "ქართული წარმოდგენების დროს თითქოს განგებ სულ ერთსა და იმავეს, ძველსა და გახუნებულ ავეჯს სდგამენ". სპექტაკლის მხატვრულად გაფორმებას გ. შარვაშიძე აუცილებლად თვლის, "არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ გარეგნობასა და განწყობილობას სცენისას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოდგენის სისრულისა და მოქმედების უნაკლებლობისათვის". ის მხატვარს უყენებს მოთხოვნას, რომ სპექტაკლი ემოციის შესაფერისად გააფორმოს. სპექტაკლი სანახაობრივად "უნდა იყოს სასაიუმოვნო საყურებელ-სასმენი", ემოქიას უნდა გამოხატავდეს მსახიობის ჩაცმულობაც და გრიმაც: "გრიმის სასცენო ხელოვნებაში თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს და მისი თერაპიული ყოველად შეუძლებელია".

თეატრის საყურადღებო ფაქტორი არის მაყურებელი. სპექტაკლი მხოლოდ მაყურებ-

ლის თანდასწრებით იქმნება: "ყოველწლიური ხელოვნება და განსაკუთრებით სცენური ხელოვნება, მათი წარმტყობა და აფეთქება საზოგადოების თანამგრძნობლობაზე დამოკიდებულია".<sup>13</sup> ამიტომ, აქვე წერდაც ა. შრიტ, ქართული საზოგადოება შირისუფლოდუნდა იყოს ჩვენი საზოგადოება: "კეთისა".<sup>14</sup>

გ. შარვაშიძე თეატრის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მანერეთის თვლის (ქართულ დარბაზს უწოდებდა) უნდა იქნეს "სპექტაკლიდან გამომდინარე მსყურებელს, მსყურებელს უნდა შეეძლოს სკამებს". დიდ ყურადღებას აქცევს სპექტაკლის მსვლელობის დროს მაყურებლის ქცევის ეთიკურ მხარესაც: "ყოველად მიუღებელია მაყურებელთა დარბაზში ადგომა ან გასვლა-გამოსვლა". "კომედია მაყურებლის გულს იწაფის და გულშითავან კავშირს პერის", ხოლო, "დრამის წარმოდგენის დროს სათეატრო დარბაზი სადღესასწაულო სახეს ღებულობს".

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გ. შარვაშიძე, ისევე როგორც მონიხაე ქართველი საზოგადოებრიობა, თეატრის ყველა კომპონენტს ერთ მთლიანობაში განიხილავს (პიესა, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მაყურებელი), კარგ სპექტაკლში მსახიობს მოაქვს შინაგანი მოქმედებით პიესის იდეა, რასაც ეხმარება რეჟისორი და მხატვარი, მაყურებელი კი თეატრიდან ღებულობს ესთეტიკურ სიამოვნებას.

გ. შარვაშიძის თეატრალურ ნააზრევს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

## შენიშვნები

1. გაზ. "ივერია", 1895, № 62, 260.
2. გაზ. "ცნობის ფურცელი", 1901, № 1366. კ. ა. (უსველონიმი - ე. ხ.) "იანიხარი ისტორიული დრამა 3 მოქმედებად და 7 სურათად დ. ნახუტრიშვილისა.
3. გულისაშვილი ი., ღია წერილი დრამატული საზოგადოების გამგეობას. - გაზ. "ივერია", 1896, № 20. დრამის თეორიის შესახებ სპეციალურად იხილეთ გ. ლომიძის ნიგნში: დრამის თეორია მე-19 ს. ქართულ მხატვრულ კრიტიკასა და ესთეტიკურ ნააზრევში. თბილისი, მეცნიერება, 1985
4. ციტატები მოხმობილია გ. შარვაშიძის რეცენზიებიდან. იხ. ეჭყეშია ხარაძის ნიგნი "გიორგი შარვაშიძე და თეატრი", თბილისი, აფხაზეთის მეცნიერ-პედაგოგთა ასოციაცია "აპოგეა", 1997 წ., გვ. 29-50.
5. გაზ. "კვალი", 1895, № 6.
6. ქაქავაძე ი., თხზ. სრული კრებული, ტ. 3, თბილისი, 1958, გვ. 125.
7. გაზ. "ცნობის ფურცელი", 1897, № 337.
8. გაზ. "ცნობის ფურცელი", 1897, № 337.
9. გაზ. "კვალი", 1893, № 50.
10. გაზ. "კვალი", 5, № 44.
11. გაზ. "ცნობის ფურცელი", 1903, № 2227.
12. გერსამია ს., ქუთაისის თეატრი. 1947, გვ. 47.
13. დადიანი ნ., სიტყვა, თქმული თავ. ნ.ტ. დადიანის მიერ ქ. ქუთაისის თეატრის გახსნაზე 1896 წ. 31 მარტს, საქართველოს კალენდარი, 1897.
14. ა. წერეთელი თეატრის შესახებ, თბილისი, ხელოვნება, 1955, გვ. 151.

მასობრივი ხელოვნების ანტიკონსერვატიული ბუნების შესახებ

- რატომაა, რომ ტექნიკაში ღმერთებად ქცეულნი, ჩვენ ეშმანი ვართ მორალურად? რატომაა, რომ ჩვენ ინტელექტუალური ზეკაცნი და ესთეტიკური თვალსაზრისით დეგენერატები ვართ ერთდროულად? - ასე სვამს კითხვას თანამედროვე დასავლეთის ერთი ცნობილი თეორეტიკოსი (ლ. მამფორდი).<sup>1</sup> საკითხის ამგვარი დასმა მეტყველებს მასობრივ ღირებულებით დეზორიენტირებაზე, რომლის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ტექნიციური ტენდენციასთან ერთად დასავლეთის ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი - მასობრივი კულტურა გვევლინება და რომელიც ვასდანტარტებულნი, ე.წ. "ერთგანზომილებიანი ადამიანის" მაორგანიზებელია; მასობრივი ხელოვნება ამ კულტურის ნაწილია. მასობრივი კულტურა - სტანდარტიზებული საქონელი ბაზრისათვის" - (ა. კუპარკინი) სულიერ ღირებულებათა კომპლექსია, რომელიც შეესატყვისება მასობრივ მომხმარებელთა გემოვნებასა და განსაზღვრულ დონეს. ამასთან, ამგვარი კულტურისა და კერძოდ, ხელოვნებისადმი მოთხოვნილება ხელოვნურადაა დანერგილი და ჩვეულებად ქცეული. ამ სტატიაში მხოლოდ კინოს შევხებით და ისიც ზოგადად. ერთი შეხედვით ჟანრობრივად მრავალფეროვანი - მელოდრამა, დეტექტივი, განგსტერულ-კოვბოური, ჯაშუშური, მუსიკალურ-ბიოგრაფიული, შავი ფილმი, საშინელებათა ფილმი, გასართობ-კოსტუმირებული, ფანტასტიკური, რელიგიური, სამხედრო, მითოლოგიურ-ბიბლიური, პორნოგრაფიული, ეროტიული და სხვა - იგი იდუარ და მხატვრულ პრიმიტივიზმს ავლენს, აგრეთვე საგანთა და მოვლენათა გა-

ყალბებას; ნერვავს ოცნებებსა და ილუზიებს ღმერთის თავისებურ მოქმედებას. ესაა ძირითადად შედროისტურ-კონსერვატიული, ბუნებით კოსმოპოლიტური მითოლოგია ბედნიერებისა ყალბი ეგზოტიკითა და რომანტიკით, რომელშიც მდაბიური ოცნებებია სუბლიმირებული. მასობრივი ხელოვნება არაიშვიათად ავანგარდსაც შბაძავს. ამასთან ამ კინოსთვის ნიშანდობლივია ინდივიდუალიზმ-ეგოცენტრიზმის, ძალადობის, მრისხანებისა და სადიზმის კულტის, ინსტინქტთა განდიდების, ზეკაცობის, სექსუალურ აღვირახსნილობათა და ანომალიათა პოპულარიზება, მასში მკვეთრადაა გამოვლენილი პესიმისტური მსოფლმხედველობით განპირობებულ ფსევდოოპტიმიზმი და ფსევდოპოზიტივიზმი, რაც უმთავრესად სოციალურ პრობლემათა ილუზიურ გადაწყვეტაში მჟღავნდება. ამასთანავე, ეს ყოველივე (ძალადობა, მრისხანება, სექსი, საშინელებანი) ნარმოდგება, როგორც გართობის საგანი, განსაკუთრებით ძალადობისა და მრისხანების კულტი, აგრეთვე პათოლოგიისა და ქაოსის პოპულარიზება, რაც ნერვავს ადამიანის უგრძობლობას, ემოციური ექოს ქრობას, ჩახშობას, უსულობას. ადამიანის ღირებულებით დეზორიენტირებაზე გათვლილ ამგვარ "ხელოვნებას" შორსნასული მიზნები აქვს: ინსტინქტებზე, ქვეცნობიერზე ზემოქმედებით რომ აქრობს (არ აძლევს აღმოცენების ან განვითარების საშუალებას) სპეციფიკურ-ადამიანურ, საზრისისეულ რეფლექსიას, და აუქმებს ადამიანს, როგორც კულტურის სუბიექტს, ფაქტობრივად, მას კულტურის გარეთ, კულტურის გარეშე სტოვეს. ადამიანის ამგვარი ფსიქოპროგრამი-

რება ანუ მანიპულირება მისი ცნობიერებისა, იოლად სამართავ ობიექტს ქმნის. მას შეიძლება ეწოდოს რობოტი, ზომბი, მანქურთი, რომლის მიმართებაც ადამიანისა და გარესამყაროსადმი და საბოლოო ანგარიშით, სიცოცხლისადმი, კულტურის სუბიექტის პოზიციის საპირისპიროა. ამ აზრით, ფსევდოხელოვნება დღევანდელნიშებულა და მადეჰუმანიზებული; იგი ინვეეს ადამიანის სოციალური აქტიურობის გაუქმებას, სოციალურისაგან მის განრიდებას, როდესაც იგი კულტურის სუბიექტის ნაცვლად ადამიან-მომხარებლად ყალიბდება, თანაც, დაშოშმინებულია. "ესაა რღოზორული საშუალება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს გადალახოს დისფუნქციობა, შეასუსტოს ნერვიული ძვრები, აიცილოს სოციალური ნევროზები და ა.შ. ამკარაა იმის მსგავსი ფუნქცია, რასაც ნარკოტიკები ასრულებენ".<sup>2</sup> სწორედ ყოველივე ამის გამო ვუნოდებთ მას ყალბ, ფსევდოხელოვნებას. როგორც ცნობილია, პრაქტიკულ-ისტორიული გამოცდილება ავლენს ესთეტიკური ფენომენის უწყვეტ კავშირს საზრისიულ რეფლექსიასთან, მის ეთიკურ მიმართულებასთან, ადამიანის სიცოცხლის საზრისთან - ჰუმანიზმთან. "ესთეტიკური საწყისი განუყოფლადაა დაკავშირებული ზნეობრივ და იდეალურ საწყისთან" (დ. მ. კაბალევსკი). ფსევდოხელოვნებისათვის მიუღებელია ზნეობრივი მოთხოვნილება-საფუძველი ადამიანისა, როგორც კულტურის სუბიექტისა, მისი არსების მაკონსტიტუირებისა, რომელსაც საერთოდ ხელოვნება აღძრავს. ამ აზრით, ფსევდოხელოვნება ავლენს ნიჰილისტურ მიმართებას ესთეტიკური და ეთიკური ღირებულებებისადმი - ანტიესთეტიკურ და ანტიჰუმანურ ხასიათს. ცნობილი მწერლის, კობო აბეს ფანტასტიკურ ნაწარმოებში "ტოტალოსკოპი" მოცემულია თანამედროვე დასავლეთის მასკულტის (ფილმის შექმნა-

დემონსტრირების მაგალითზე) ნეგატიურ ტენდენციითა მკაცრი მზილება. 3 სციენტისტურ-ტექნიციტურ ცივილიზაციის (როცა მიკანიერობათა მილნეეები უმაღლეს ღირებულებად განიხილება და უმთავრესი ხდება ფიზიკური კომფორტის კულტი), კულტურის სინთაზადეგერტენდენციები მომავალზე პრევიციული.

მოცულობითი კინოსგან განსხვავებით, აქ ეკრანი მაყურებლის შიგნით წარმოიქმნება და მაყურებელი სიუჟეტის მიხედვით მთავარი მონაწილის ადექვატურობას იძენს. ტოტალოსკოპური ფილმის სცენარზე გამართულ კონკურსში გამარჯვებული ერთ-ერთი სცენარის განხილვით მწერალი გვიჩვენებს მასობრივი ხელოვნებისათვის ნიშანდობლივს - ესაა გარკვეული, დანერგილი, ჩვევად ქცეული მოთხოვნილების გააქტიურების, მანიპულირებელი ადრესატის სრული გასულელების (ემოც. კვალ.) მცდელობა. კომისია საკონკურსო სცენარს განიხილავს, სრულიად ბანალურსა და მდარეს, მაგრამ იგი კომისიის წევრთა მძაფრ აღტაცებას ინვეეს, რადგან ეფექტურად მიაჩნია მაყურებელ-მასმათვის. ამ სცენარის მონაწილეა მანვილი კაცი, რომელსაც პატარა კუძულის საგანძურის რუკა აქვს და ბედის საძიებლად მიდის, ღირსეულად აღწევს თავს შეფერხებას - ისტორიული ურჩხულის ძოგაბას სახით წარმოდგენილს; ბოლოს საგანძურს პოულობს. ამ მანვილს ლამაზი გოგონა გაუმიჯნურდება, რომელიც სცენარის მეორე ვარიანტში მალულად მიჰყვება ზღვაზე, რისთვისაც მისგან საყვედურს იმსახურებს, მაგრამ სწორედ ეს სუსტი გოგონა ეხმარება ახალგაზრდას, სწორედ იგი აღმოაჩენს ძოგაბას სუსტ მხარეს - მას ყნოსვა არა აქვს - ისინი ფიტულით "უმაჰინდლებიან" ურჩხულს. დაბოლოს, გამარჯვებულები, მდიდრები და ბედნიერნი ბედს ერთმანეთს უკავშირებენ. ხელოვანის ირონია აქ მთელი სიმძაფრით მჟღავ-

ნდება: "კომისიის წევრებს სიცილისა-  
გან მუცლები ეტკინათ, ამკარად აღი-  
არეს, რომ ეს ყველაზე სულელური  
ამბავი იყო, რაც კი ოდესმე სმენიათ,  
მაგრამ ისიც დასძინეს, რომ სწორედ  
ეს დააკმაყოფილებდა ხალხის გემო-  
ვნებას." 4 და აი, რადმენიმე შესწორე-  
ბისა და დაზუსტების შემდეგ პროექტი  
დაამტკიცეს; მაგალითად, გადა-  
წყვიტეს, რომ ის ყმაწვილი ახალგა-  
ზრდა მეცნიერი ყოფილიყო, ხოლო  
გოგონა, რაც შეიძლება, სექსუალუ-  
რი. კინოს ფსიქოლოგიის სპეციალი-  
სტმა გამოთქვა აზრი, რომ მთავარი  
მოქმედი პირი ამ ფილმში სწორედ  
ურჩხული უნდა იყოსო - ურჩხული, -  
ერთხმად წამოიყვირა კომისიის ყვე-  
ლა წევრმა. - ძოგაბა მთავარი მოქმე-  
დი პირი!... ეს ხომ ეპოქალური იდეაა!  
ეს ხომ განსაცვიფრებელი რამ არის!  
გენიალური აზრია... 5 დიახ, მაყურე-  
ბელს ურჩხულის სწორედ ის გაუგო-  
ნარი მხეცობა იზიდავს, ხალხს სწო-  
რედ ურჩხულის სისასტიკე, მძვინვა-  
რება მოსწონდა... 6 ისევე, როგორც  
ულმობელ ომებზე შექმნილი ფილმე-  
ბი მათი არაადამიანურობით, სწორედ  
ამიტომ, თვით ძველ, ჩვეულებრივ  
ფილმებშიაც კი ცდილობდნენ სწო-  
რედ ურჩხული გამოეყვანათ მთავარ  
მოქმედ პირად. რა თქმა უნდა, ვიდრე  
ეკრანი მაყურებლისგან დამოუკიდე-  
ბლად, ცალკე არსებობდა, ურჩხულის  
შეგრძნებათა გადმოცემა ადამიანში  
შეუძლებელი იყო, ჩემი აზრით, მხო-  
ლოდ ამიტომ იყვნენ იძულებულნი მა-  
შინდელი პროდიუსერები, ურჩხუ-  
ლზე ადამიანის გამარჯვების იდეა  
გაეტარებინათ, - 3ო, მაგრამ, აი, რა  
ვუყუთ სიყვარულს? - ჩუმი ხმით წა-  
რმოთქვა კომისიის ერთმა წევრმა. -  
გამოდის, რომ ფილმიდან გამოვარ-  
დება. - სულაც არა! ძოგაბას თავის ძე  
ურჩხულს გაეუჩინთ და ყველაფერი  
რიგზე იქნება, სიყვარული პირველქ-  
მნილი სახით, უზმარმაზარი სიყვა-  
რული, განა შესანიშნავი არ არის? -  
ნამდვილად შესანიშნავია! უზარმაზა-  
რი სიყვარული, განა შესანიშნავი არ

არის? - ნამდვილად შესანიშნავია!  
უზარმაზარი სიყვარული? კომისიის  
წევრები ჭიხვინებდნენ და თან თვა-  
ლებზე მოქდვარ გრძობებს ჩნებ-  
ნდნენ. ასეთი სიხარულით დამა-  
ვრდა პირველი საცდელი სცენარის  
განხილვა. 7 სწორედ ნამდვილი ცალკე  
ხელოვნებით, ფსიქოდ, სულელებმა  
ფიქციის, მძაფრ მოძალტვას აქვს ად-  
გილი ჩვენში უკანასკნელ ხანებში. მი-  
სი ამგვარი პოპულარიზება კი მძიმე  
სიმპტომებზე მეტყველებს, კერძოდ,  
ნიჰილიზმის - მაღალ ღირებულება-  
თა არ ცნობას, ან ნიჰილიზმის  
დანერგვის შესატყვის სიტუაციაზე.  
მხედველობაში მაქვს სერიოზული სა-  
ფრთხე, რომელიც ფსევდოხელოვნე-  
ბის - ლიტერატურის, მუსიკის (ესტ-  
რადა), კინოს, ტელევიზიის (სატელე-  
ვიზიო ფილმები) სახით ფუნქციობს,  
აგრეთვე მასობრივი ვიდეოსალონი-  
ზირება, ვიდეოთეკები და პორნოპრე-  
სა. განსაკუთრებით კი, კინო და ვიდე-  
ოფილმები. გაუთავებელი ტელევი-  
ზიის ფილმები, საშინელებათა და სხვაგვა-  
რი ფილმებიც, რომლებიც შეუნიღბა-  
ვად ენევიან ილუზიათა, აგრესიის,  
უხამსობის, ეროტიკისა და სექსოპა-  
თოლოგიის პროპაგანდას, განსაკუთ-  
რებულ სიმძაფრეს იძენენ ზემოქმე-  
დების თვალსაზრისით ჩვენს ურთუ-  
ლეს სიტუაციაში - ინტელექტუალურ  
და ემოციურ დაჩლუნგებას (ზომბი-  
რების წყარო), ნევროზებს (მასობრი-  
ვი ხასიათი მიიღო ბავშვთა შორის ნე-  
ვროზებმა) და სხვ., საგრძობლად შე-  
იმჩნევა ბედნიერების მითოლოგიის  
უაღრესად მავნე, საშიში გავლენა,  
რაც უწინარეს ყოვლისა, ილუზიათა  
მოთხოვნის დაწინაურებაში ვლინ-  
დება. აქ შეიძლება გავიხსენოთ კარლ  
იასპერსის ცნობილი გამოწვევა:  
"საზოგადოებაში, რომელსაც იმედი  
არ გააჩნია, მუდამ ჩნდება ილუზიის  
მოთხოვნა".

ამ თვალსაზრისით საინტერესოა  
ედგარ მორენის თვალსაზრისი თანა-  
მედროვე დასავლეთელი ადამიანის  
შესახებ. მორენის მიხედვით, ადამიან-

ნი, რომელსაც არ ძალუძს დაიკმაყოფილოს პასუხისმგებლობის, შემოქმედების, შრომის სფეროებში საკუთარი თავისუფლების რეალიზება, იქითკენ მიისწრაფვის, საკუთარი სიცოცხლის სუბსტანცია პირადი ცხოვრების სფეროში რომ გადაიტანოს, რომ ძირითად პრობლემათა გადაწყვეტა ჰპოვოს დასვენებაში, მგობრულ და სასიყვარულო დამოკიდებულებაში, საკუთარი კეთილდღეობის გამჯობებაში. ამ აზრით, სასიყვარულო, სენტიმენტალური შინაარსი ფილმისა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნამყვანი მითი, მაგრამ... კინოს მითოლოგია აგრეთვე წარმოადგენს იდეოლოგიის, შეხედულებათა კომპლექსს, რომელიც ერთდროულად ასახავს და ჰფარავს თვითთულის პრობლემას. კინო გვთავაზობს ბედნიერების იდეოლოგიას... "კინო ავსებს და მხარს უჭერს თანამედროვე დასვენების შიგნით სინამდვილისაგან გაქცევის ზმანებებს. იგი ანიჭებს ფორმას კულტურული ცხოვრების მითებს და წარმართავს მათ, მაგრამ განსაკუთრებული მიმართულებით. კინოს გმირები არ წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების გმირებს. ...კერძო ცხოვრების ეს გმირები არიან კულტურის ანონიმები. "კულტურის" ამ ნიმუშებს გააჩნიათ იმის ტენდენცია, რომ დაიკავონ ოჯახის, საზოგადოების სახელის ადგილი, თვით ეროვნების ტრადიციული სახელისაც კი".<sup>8</sup> ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე, როცა მიუთითებდა თანამედროვე ინდუსტრიულ ცივილიზაციაში ფიქრისა და რეფლექსიისაგან თავის არიდების ტენდენციაზე, აღნიშნავდა, რომ ადამიანი პანიკურად უფრთხის საკუთარ თავთან მარტო დარჩენას, ამიტომ საქმიანი ფუსფუსიდან მორჩენილ დროს სხვადასხვა საშუალებით (ბანქო, დომინო, კროსვორდი, რებუსი, ფილატელია და ა.შ.), აგრეთვე ხელოვნურად გამოგონილი ცრუ საქმეებით უწყალოდ კლავს ხოლმე. "შესანიშნა-

ვი გამოთქმა ამ მართლაცდა, დანაშაულებრივი აქტის აღსანიშნავად "დროის მოკვლა". უარის თქმა ადამიანისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საზრისიკულ რეფლექსიაზე იწვევს ცხოვრების მოვლენათა ხვეული დინებისადმი კრიტიკული დისკანცინების უონორობას და ამ დინების ბრმა წყოლას. გადგეარობისა და პატარა როფისაკენ".<sup>9</sup> ფსევდოხელოვნებაც სწორედ დროს აკვლევინებს ადამიანს. ამრიგად, იგი, საკუთარი სიცოცხლის საზრისის უარმყოფელი, ფაქტობრივად, კულტურის მკვლელი ხდება და ამდენად თვითმკვლელი - ამაო ადამიანი (უაზრო, უსაზრისო სიცოცხლე ნივთიერებათა ცვლის დონეზე). ფსევდოხელოვნება, ისევე როგორც ყველგან, ჩვენშიაც ნერგავს პესიმიზმს, სკეპტიციზმს და ნიჰილიზმს. ფილმები და ვიდეოფილმები სექსზე, ძალადობაზე, ზმანელებზე და ა.შ. როგორიცაა სერიალთა უმეტესობა, მასობრივად ამახინჯებენ ადამიანთა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების და მოზარდთა ფსიქიკას, წარმოადგენენ ადამიანთა ნიველირების მძლავრ წყაროს, ახდენენ რა მათი ცნობიერებისა და ზნეობის დეფორმირებას. "საზოგადოებას შეზიზღებამდე მოყირჭდა უგემოვნობა და უხამსობა... უკვე ამდენი წელია იგუდება იგი უცეცხლო კვამლისაგან, დაიღალა კითხვით და კინოში მრავალფერადოვან სახეობათა ყურებისაგან; მობეზრდა კითხვა და ყურება იმისა, თუ როგორ აქცევენ გმირებად განგსტერებს, მკვლელებს, თაღლითებს, ჯაშუშებსა და მეძავეებს".<sup>10</sup>

- შენიშნავს ცნობილი ბერძენი მეცნიერი კ. ვარნალისი. "დავიღალე საშინელებათაგან" - აცხადებს მასობრივი ხელოვნებისგან აღშფოთებული უბრალო იაპონელიც.<sup>11</sup> იგი ხედავს, რომ ყოველივეს იქით წმინდა კომერციული ანგარიშია და "სწრაფვა იმისაკენ, რომ რაღაც მხატვრულობაში გაახვიონ ჰარმონიის ნგრევის იდეა". ამასთან, ადამიანთა ზომბირების, გა-

რობოტების ეს მძლავრი საშუალება, როგორც ითქვა, თავისი ანტიკულტურული ტენდენციებით უკიდურესად საშიშია. "ამგვარი ხელოვნება" არაიშვიათად წარმოდგება, როგორც "დამანგრეველი, დამლუპველი ძალა, რომელიც ემსახურება არა სინათლეს, არამედ სიბნელესა და სატანის ძალებს," 12 ის, რომ ტელევიზიით გადმოცემული ფსევდოხელოვნება 34%-ით ზრდის ბავშვებისა და მოზარდთა ტრავმირების რისკს (ესპანეთი, ხოსე უბერო ფერნანდესის გამოკვლევა), რა თქმა უნდა, საფრთხეზე მტყვევლებს, მაგრამ ამ ყურადღება არაა გამახვილებული უფრო დიდ საფრთხეზე - ესაა სულიერი ტრავმირების, ემოციური კასტრიების საფრთხე. ხომ ნათქვამია: "რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემისო". ამგვარი, ფსევდოხელოვნების შემოქმედების მძიმე, უმძიმესი შედეგები ჩვენთვის უთუოდ გაკვეთილი უნდა იყოს. 1969 წელს პოლივუდთან ახლოს ახალგაზრდების ბანდამ მსახიობი შერონ ტეიტი და მისი ოთხი სტუმარი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა. ამასთან, ბანდის წევრები უჭკუო ან გაუნათლებლები როდი იყვნენ. მათ შორის იყო ლვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი პატრიცია კერვინკელი, სკოლა-დამთავრებული ლინდა კასაბიანი, შესანიშნავი სპორტსმენი, სტუდენტი ჩარლზ უოტსონი, სკაუტთა რაზმის წევრი ლესლი ვან ხუტენი. ყველანი დაახლოებით 20 წლამდე. დიდად დამაფიქრებელია ის, რაც ბრენდა მაკკანმა სასამართლოს განუცხადა: "ეს თქვენ ვაგვხადეთ ასეთები, როგორც ვართ. ჩვენ აღგვზარდა თქვენმა ტელეხედეამ და კინომ, ჩვენ ვიზრდებოდით გადაცემებით: "კვამლი ლულიდან", "მოგზაურობა პისტოლეტით", "ფბზ", "ბრძოლაში"... ერთი სიტყვით, ჩვენ ისეთები ვაგვხადეთ, როგორც თქვენ ვაგვხადეთ". 13 მწერალი ვიქტორ კოროტიჩი ამერიკაში

ყოფნის ერთი ეპიზოდის გულისხმობით გახსენებისას აღწერს მოზარდთა არაადექვატურ რეაქციას კლემანის შამპუნდოვი ლემეს (ინგლის თუ არა "სარიზი") ჩვენებისას, რომელიც დოკუმენტურ კადრებითურთ მკურნებელს ფრანგი ბაღის ბუნებრივ სუბზე მოაღწრობდა. ეს იყო პარიზის სისის ისტორია. როცა ნამდვილი ტყვიით, ნამდვილ ომში გულგანგმირული ქალები და კაცები ძირს ეცემოდნენ, ყმანვილები სლოკინამდე იცინოდნენ. "მე ასე არ მომივიდოდა, სროლა სულ არ სცოდნია, ჰოდა, ღირსიცაა, რომ მოკვდეს", - ხითხითით გაჰყვიროდნენ ისინი. - მათთვის ეს სასაცილო იყო - სიცოცხლის გაქრობა (ზემთ უკვე ითქვა, რომ ფსევდოხელოვნებაში სიკვდილი, მოკვდინება, ძალადობა წარმოდგება, როგორც გასართობი). კოროტიჩს, რომელიც ამ ფაქტს სათანადო კომენტარს უკეთებს და ამტყუნებს უფროსებს, ვისაც ეს ევალებათ, რომ მათ არ ჩაუნერგეს თანაღმობა, სიყვარული ადამიანისა, სიცოცხლისა, მკვეთრი კონტრასტული მაგალითი მოაქვს - ინდიელთა ერთ-ერთ ტომს კინოგადამღები (რეჯისორი ბლომბერგი) ჯგუფი ეწვია. ადამიანები, რომელთაც ცხოვრებაში მაგნიტოფონი პირველად იხილეს, ტიროდნენ, როცა პეტპოვენის მეცხრე სიმფონია მოასმენინეს. 14 ამრიგად, ისევ და ისევ ლამაზაკია სულიერ კულტურაზე, ამ კულტურის და არა ცივილიზაციის რანგზე. ფანტასტიკის საბურველში გახვეული ამერიკის სინამდვილე პროგრესული მწერლის რეი ბრედბერის მკვეთრი კრიტიკის ობიექტია. მწერლის მწვავე ირონია ზენიტს აღწევს "ველდში", რომელშიაც ფანტასტიური საბავშვო ოთახი მოთავსებულია სახლში "ყველაფერი ბედნიერებისათვის". ოთახის კედლებზე - მომავლის ამ ტელევიზორში, სამგანზომილებიან ფერად ფილმად პროეცირდება ბავშვთა ნაფიქრალი და ნაოცნებარი; ფსიქოჩანანერის ეკრანზე პროეცი-

რებას თანყოფნის ეფექტი ახლავს. და აი, ბავშვები, ზღაპრულ არსებათა მავივრად ნატრობენ მხოლოდ ერთს - ლომებს ცხელი აფრიკული გადახრუკული პეიზაჟის ფონზე, რომლებიც მათ მშობლებს შეექცევიან. მინი ოცნებობენ გაცოცხლებულ და კედლიდან გადმოსულ ლომებზე. რა შემადრწუნებელი სურათია და ადამიანთა გაუცხოების რა დონეს ასახავს მწერალი! ამ ნაწარმოებს გაფრთხილების ხასიათი აქვს. 15 ესეც გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის, გაკვეთილი, მოცემული ამერიკელი ჰუმანისტისაგან. შემთხვევითი როდია, რომ ამ საუკუნის დიდი ადამიანები (შვაიცერი, სნოუ, კაპიცა, პენჩეი და სხვები) მიუთითებენ რადიკალურ ცვლილებათა საჭიროებაზე. - საზოგადოების სხვაგვარი, უკეთესი ორგანიზების აუცილებლობის თაობაზე. ხოლო გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემატიკაზე მომუშავე რომის კლუბის წევრები კი ადამიანის, როგორც სახეობის გადარჩენის საქმისათვის ხაზს უსვამენ აქცენტის გადატანის საჭიროებას რაოდენობრივიდან (სხეულეზრივი კომფორტის კულტი) თვისობრივზე, სიცოცხლის ხარისხზე. 16 პენჩეი ადამიანზე წერს: "ან იგი უნდა შეიცვალოს... ანდა, მას დედამიწიდან გაქრობა უნერია". პენჩეიც და სხვებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ ამ აზრით სულიერი კულტურის დეფიციტზე თანამედროვე კაცობრიობაში. ყოველივე აქ და ზემოთ ნათქვამიც ჩვენთვის გაკვეთილია და ეს გაკვეთილი, განსაკუთრებით მონარდი თაობისათვისაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ამ მხრივ, "ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს" (ჩ.სნოუ) ამ თვალსაზრისით, თვალი არ უნდა მოგვჭრან "ტექნიკის აზრით ღმერთებად ქცეულებმა" და არ უნდა დავივიწყოთ არც ტრადიციული და არც თანამედროვე მონაპოვარნი ეროვნული სულიერი კულტურის სფეროდან, აგრეთვე ჩაეარდნებიც, მეტადრე იმ ურთულეს სიტუაციაში,

როგორშიაც დღეს ვიმყოფებით. და ეს არა მხოლოდ შესაბამის სტრუქტურათა და ორგანოთა ვალია, არამედ ყოველი ჩვენგანისა, და კიდევ ერთი: კარმის ცნობილი დიაგნოსტიკოსი, ლზარევის თვალსაზრისით, აშშ-ში, მინიერზე მსაღიოდ მიჯაჭვულობის (სხეულეზრივი კომფორტის კულტი) გამო, აქ თითქმის ყოველ მეთორმეცხამეს ჯანსუღი დეგრეა აქვს - ეს კი თვითგანადგურების პროგრამაა - თავისი და შთამომავლობისა რაც უფრო მეტია მინიერზე მიჯაჭვულობა, მით უფრო ამალღებულია აგრესია. ამიტომ, ამერიკულ ხელოვნებას მოაქვს სულ უფრო მეტი ქვეცნობიერი აგრესია. 17 უმეტესობა ფილმებისა, რომლებშიაც სექსის, აგრესიის, საშინელებათა პოპულარიზებას აქვს ადგილი - სწორედ ამერიკულია. ასაკოვან ადამიანებთან ერთად მათ ჩვენში მოზარდი თაობა უყურებს (რა თქმა უნდა, არაერთი სხვა ქვეყნის ამგვარი "პროდუქციაც" შემოდის). ჩვენს წინაშეა ხელოვნების სუროგატები, ფიქციით კულტურის ხელყოფის მეფე, უაღრესად სახიფათო ფაქტი. ნიშანდობლივია, რომ თვით აშშ-ს კულტურის მოღვაწეთაგან არაერთი გამოხატავს პროტესტს მასობრივი ხელოვნების პოპულარიზების წინააღმდეგ. მოვუსმინოთ კვლავ ლაზარევს: "შემთხვევითი როდია, რომ აშშ-ში სოლიდური თანხები იხარჯება თავის ტვინის დააუადებათა მკურნალობისათვის". 18 მისივე აზრით, მხოლოდ ღმერთისკენ მიბრუნება იხსნის ამერიკას. ლაზარევი აღნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში დაიწყო ზრუნვა ხსნისათვის, რაც სულიერობისკენ ორიენტირებაში გამოიხატება, კერძოდ, გულმონყალების, უანგარო დახმარების აქტებში. ამგვარი აქტები ჩვენმა ქვეყანამაც იგრძნო და უმადურობა იქნებოდა ამისი აღუნიშვნელობა. "და იმისაგან, თუ რამდენად შესძლებს ეს ტენდენცია განაგრძოს და განავითაროს, ამაზეა დამოკიდებული შეერთებული შტატე-

ბის მომავალი”, - დასძენს ლაზარევი. ჩვენ კი, ჩვენს ურთულეს სიტუაციაში, საკუთარი რთული და მძიმე პრობლემები გვაქვს.

ფსევდოხელოვნების ზემოქმედების საინინალმდეგოდ, გარდა სხვადასხვა ფაქტორებისა (შესატყვის საზოგადოებრივ სტრუქტურათა რეაქცია და სანქციები და სხვ.), უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი ხელოვნების განვითარება-პოპულარიზებას და საერთოდ, ზრუნავს სულიერი კულტურის ზრდისათვის, რადგან როგორც სავსებით მართებულია შენიშნავს იგივე ლაზარევი, “ნებისმიერი ხალხისათვის კეთილისმყოფელ პირობათა შექმნა ყველა პროცესთა პუმანიზებისათვის, დანახარჯები ხელოვნებაზე, სულიერ ღირებულებათა განვითარებაზე - ეს მისი შთამომავალთა გადარჩენის საკითხია”.

და მაინც, პოეტის მახეილ თვალს არ გამოჰპარვია მასობრივი ხელოვნების მოძალების საფრთხე. ამ აზრით, მისი სამართლიანი ირონია, რომელიც ჩვენი ხელოვნების პასიურობის კრიტიკასაც ისახავს მიზნად, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო იდეალთა მხარეზეა: “გადაივინყა გიტარა და სერე-

ნადა (და თბილისი გამოტყე-სერი-ალდა). არც მთვრალია, არც ფხიზლებში წერია და (გამოტყერდა, გამოტყელესერიალდა) ვერ ამარცხებს ახლა ქაჯეთს (გეფხას-სამსელიანი) სიძუდილის სერიალებს (სიყვარულის სერიალი) (ე-ჯეჯახხაჟე). სწორედ ამიტომ ხსენებული ფსევდოხელოვნების სწორი შეფასება აუცილებელი და გადაუდებელ ანტიკონსერვატიულია.

დაბოლოს, შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

1) ნეგატიურ ტენდენციათა (საზრისეული რეფლექსიის გაქრობა, ანტიპუმანიზმი, პესიმიზმი, ნიჰილიზმი, ფსევდოპტიმიზმი და სხვ.) გამო მასობრივი ხელოვნება ადამიანის ღირებულებითი დეზორიენტაციების მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

2) თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციის კონკრეტულ-ისტორიული პრაქტიკა კორელაციას ავლენს მასობრივი ხელოვნების ზემოქმედებასა და ანტისოციალურ ქმედებათა შორის.

3) ადამიან-ზემოქმედის ნაცვლად ადამიან-მომხმარებლის ორგანიზებით მასობრივი ხელოვნება უაღრესად სახიფათო - ანტიკულტურულ არსს ამჟღავნებს.

#### ლიტერატურის სია

1. Z. Mamford - Kunst und Technik, stuttgart, 1959, s. 11
2. Kulture for millions, Priston, 1961.
3. კობო-აბე - გამწინვარების IV პერიოდი. ტოტალისკომი, თბ., 1976, გვ. 240 და შემდეგ
4. იქვე, გვ. 240
5. იქვე, გვ. 241
6. იქვე
7. იქვე
8. Кукаркин, “Массовая культура и ее апологеты” в. кн. “Буржуазная эстетика сегодня” М, 1970, стр. 316
9. ზ. კაკაბაძე - ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1976, გვ. 129
10. К. Варналис - Псевдореализм в кн. К. Варналис - Эстетика - Критика, М, 1961, стр. 279
11. В. Касис - Япония без ретуши, М, 1975, стр. 80-81
12. მახსურაძის სტატია გაზეთში “ეს საინტერესოა” # 11 (55), 1997, გვ. 6
13. ციტ. Р. Соболев-Тонкий, мир чувств, Панорама, №7, М, 1975, стр. 12
14. В. Коротич - Не стреляйте в пианиста, М, 1970, стр. 55-56
15. Фантастика Рея Бредбери, - “4510 по Фаренгейту”, “Марсианские хроники”, М, 1963
16. Печей А. - Человеческие качества, М, 1970, стр. 215
17. С. Н. Лазарев - Диагностика кармы, в. кн. Чистая карма, С-Петербург, 1995, стр. 16
18. იქვე
19. გაზეთი “ლიტერატურული საქართველო” 2-9 ოქტ. 1998 წ.



## ალგაჩნატიკი უნაქი ბიბლიკოსი

აი, დღეს რო კაცი ღარიბი იქნება, არა მხოლოდ ისე და ისე - იკინოდნენ სსრკ-ს ბოლო ათწლეულების ჩვენი ე.წ. "გადმონაშთები", თუ "ანტიპოდები" და - რას ერჩი, სახელმწიფოს პარაეს, შენ ხომ არაო - დაახლოებით ასეთი იყო თავად ამ ღარიბი კაცის რეაქცია ამაზე. იგულისხმებოდა, ცხადია, რომ სახელმწიფო არ იყო შენი და - ქურდის ქურდი ცხონდაო - ეს თვალსაზრისი შურისძიების გასაგებ, მაგრამ არცთუ მთლად კეთილშობილურ სურვილითან ერთად, რაღაც გარდაუვალ ცვლილებათა ბუნდოვან იმედსაც იტყვდა. დასტურ ვიცოდით უკვე, რომ "სიტყვა" ქურდმა უარყოფითი დაპატივებულა, რაც უარესი, მით უკეთესიო - ვამბობდით და, ღმერთმანი, აღარ ეთქმოდა უკვე ამას სხვაგვარად მოაზროვნებოდა. იმ ავბედითი ცხრა აპრილის დილას კი მართლა ერთნაირად ვაზროვნებდით უკვე ყველა. ერთსულოვნება გვეცონა ეს. უკაცრული პასუხია და - "ჩემი სჯობსო" - აი, ამ ერთნაირი აზრით "ფუცილობლობდით" უკვე ყველა - ერთი, თუ ბერი და მხოლოდ გარდაუვალი განსაცდელის პირისპირ მდგარი აბოლონდით ერთსულოვნა სულ რამდენიმე, ქეშმარიტად დიადი, წუთით... სულს გვიფორიაქებდა და უსახლერო იმედებს გვისახავდა გულში ერთნაირად მოაზროვნეთა თავგანწირული ძაბვით: სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! ... ჯოს! ... ჯოს! ... ჯოს!

მაშინ აბა, ვის გაახსენდებოდა, ან ვინ ვაიხსენებდა ამ სიბრძნეს, რაც ამბროს ბირსის "სატანის ლექსიკონში" ყოფილა თურმე დანიგნული - "გარენარტა უკანასკნელი თავშესაფარი პატრიოტიზმიო". მაშინ არა, მაგრამ ახლა, როცა "უარესი" ვერა და ვეღარ ბადებს "უკეთესს" იმედს, ამ შფოთიანი, მშერ-მწყურებელი და უსახლა-კარო სტაბილიზაციის პირობებში, წამდაუნუმ გვახსენებენ ამას მავანნი ერთობ საინტერესო პერიფრაზით - პატრიოტიზმი ხელმოცარულთა უკანასკნელი თავშესაფარიო - და ყველამ, ვისაც უნდა, როგორმე ხელი მოიპართოს ამ ხელმოცარულ ქვეყანაში, უკვე იცის, რომ სირცხვილია პატრიოტიზმა და საერთოდ არა ვართ კარგი ხალხი ქართველები.

ვილაცას ძალიან უნდა, როგორც ჩანს, დავგარნშუნის, რომ ის ორი რამ, რაც ათადან და ბაბადან ყველაზე დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა, ახლა დემოკრატიის დაუნერვლი კანონებით არის დაცული და ამავე კანონების თანახმად სწორედ პატრიოტიზმა ყველაზე დიდი

სირცხვილია. ვერაში მტკიცნი პასუხს კი ამ დროს, რომელიმე შემთხვევით იქ მოხვედრილმა ხელმოცარულმა ხელმომართულთა ასეთ საუბარსაც შეიძლება მოპკრას ყური - არ ნაიღეს ტვინი ამ თავიანთი საქართველოთი, დიდი-დიდი ათ ოჯახს ეყოს, მეტს არაო. ყოფნაზე თუ მიდგა საქმე, ათს კი არა, შეიძლება ორ ოჯახსაც არ ეყოს მალე ეს ჩვენი საქართველო, მერე - ერთს და ბოლოს - არც იმას.

არ ეყოფოდით, ცხადია, და უეჭველად საყოველთაო ხელისშეკრების ტამს უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, მაგრამ ერთი თხილის გული, მოგვხსენებთ, მაინც ცხრა ძმამ გაყო. "თუ ეყოთ" - ვინც ამას იკითხავს, აი, ის არის სწორედ ის ნეკა თითი, რომელიც იმიტომ იყო ყოველთვის ყველაზე პატარა, რომ - "მოვიპართოთ" - თქვა, ახლა კი ისეა გაზრდილი და დავაქაცებელი, ავ თვალს არ დაენახებია.

მიგვითითეს და მივხედით, დინების სანინალმდევროდ ცურვა რომ ყოველად უპერსპექტივო საქმე იყო. ახლა დინებას მიეყვებით და "ბურჯუაზის მოკრძალებული ხილი" პირდაპირ ზღვებდა და ოკეანებისაკენ მიგვაცნებდა. მშობლიური ნაპირებისაკენ ერთი გამოხედვაც კი, თუნდაც საფრანგეთიდან, დიდად სამარცხვინო საქმედ მიიჩნევა, ორი და შეტვ გამოხედვა ხომ, მეტადრე ხელმოცარულთა მხრიდან, უკვე ამკარად "ფაშისტური ცნობიერების გამოვლინებაა". ფონის ძიებაზე ფიქრი, უნდა ვიცულისხმოთ, ალბათ, რომ დიდ პოლიტიკურ უგუნურებად ჩამოერთმევა როგორც ხელისუფლებას, ასევე მის ოპოზიციასაც - რა, მარტო ქართველები ხო არა ვართ, არა, მართლა და მართლა, უანგარონი ამ ქვეყანაზე?

სამოქალაქო საზოგადოებაზე ჩვენში ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ და ბევრ შემთხვევაში, მე პირადად, ამისი სანინალმდევრო არაფერი შექცეს, მაგრამ შიგადაშიგ ზოგიერთები ისეთ დახვეწილ "ახალ ქართულს" გამოუჩვენებენ ხოლმე, რომ სახტად ვრჩები, რადგან არ შესმის კარგად, რისი თქმა უნდათ.

ქართველები ათადან და ბაბადან სოფელს ვეძებდით მთელ ქვეყანას, მოგვიანებით დაიხსურა ჩვენში ეს ტერმინი - "მოქალაქე", რაც ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას უნდა გულისხმობდეს თითქოს - არიან მოქალაქეები და არიან ემიგრანტები, ანუ ზოვა ქვეყნების მოქალაქენი. საფრანგეთის მოქალაქე, მაგალითად, ყველა ფრანგია, მიუხედავად იმისა, თუ სად არის და რომელია მისი ისტორიული

სამშობლო. ასე ეს თურქეთშიც - თურქები არიან, მაგალითად, დღეს თურქეთის საზღვრებში მოქცეულ, თავიანთ ისტორიულ მინანქალზე მცხოვრები ქართველებიც. საქართველოს მოქალაქეც, ამ ლოგიკით, თითქოს ყველა ქართველი უნდა იყოს, მაგრამ არ არის ასე და როგორ უნდა იყოს, ამას გაჭირდა რატომღაც ვერ, თუ არ გვეუბნებიან.

იშირა მაშედოვს ააშენებს ღმერთი - პირდაპირ და გულახდილად გვეუბნება ყველაფერს, რასაც ფიქრობს: "ერთი შეხედვით თითქოს სამოქალაქო სახელმწიფოს ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხები და პიროვნების ეროვნულობის პრობლემა არც უნდა ანუხებდეს, რადეთუ სახელმწიფო, რომელიც თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს ძირითად ტენდენციებს აღიარებს და ცდილობს ცივილიზებული მოდელი მიიღოს, ადამიანებს განიხილავს როგორც მოქალაქეებს და თავის შირივ პიროვნებაც მასთან მოქალაქეობრივ მიმართებაშია, ეროვნულობა კი სოციალური მოვლენაა და არა სახელმწიფო".

სსრკ-ში ჩვე ყველანი, რა თქმა უნდა, საბჭოთა მოქალაქეები ვიყავით, მაგრამ - "ეროვნულობა სოციალური მოვლენაა" - ეს დღემდე არცაა უთქვამს ჩვენთვის, პირიქით, "ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური" საზოგადოება ვართო, გვეუბნებოდნენ. აი, ამ "სოციალისტურმა შინაარსმა", ვიდრე ჭირს მოგვკამდა, ეროვნული უმცირესობები აქცია "სოციალურ მოვლენად" შეტანაკლებად ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, ახალი შინაარსი კი, თურმე ნუ იტყვიოთ, მკვიდრი ერის ეროვნულ უმცირესობებთან, ვითარცა "სოციალურ მოვლენასთან", გათანაბრებდას და, ესე იგი, იმ საბჭოური "ეროვნული ფორმის" დასაბამივლასაც მოითხოვს ახლა იმისათვის, რომ "ცივილიზებული მოდელი მოვირგოთ".

სიტყვა "უცხო" "ცივლების" ანტონიმია ქართულში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველობა, მოგვხსენებათ, ყოველთვის საუცხოოდ იყო განწყობილი და ასეა ეს დღესაც. ხომ ცხადია, რომ ეს განწყობა ყოველგვარ აზრს კარგავს და ყოველად შეუძლებელია იმის გარეშე, რასაც ჩიტიც კი გამუდმებით ჩაგვძახობდა ყურში - "ნუ გაათათრდები", ანუ ეროვნულობის სოციალურ მოვლენად ნუ მიიჩნევო. სხვაფრივ ამა, რა იყო ცუდი გაათათრებამი? გაათათრებოდი და უშაღვე ხელი მოგემართებოდა.

"ცივილიზებული მოდელისა" რა მოგახსენოთ, შედარებითაა ჯერჯერობით ყველაფერი, მაგრამ "თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს ძირითადი ტენდენციებიდან" თუ რომელიმე "ახალი მსოფლიოს ნესრიგის" დაშვარებას ცალკეულ ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებათა ძალისხმევების გაერთიანებითა და ამ გაერთიანებული მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების ეგიდით ვარაუდობს, მაშინ სრულიად ამკარაა, რომ ამგვარ ტენდენციას გამოედევნებულ ადამიანთა გულისნაადები და სულისკ-

ვეთება არსებობდა არაფერი განსხვავდება იმისაგან, რასაც გულისხმობდა ჩვენთვის ყველაისთვის კარგად ცნობილი ლოზუნგი - "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" ხსნის გზას ახლა ყველა ქვეყნის ხელმომართოლები სწიდავენ, როგორც ჩანს, იქ, სადაც მანამდე ქვეყნები იყვნენ, ხელმოცარულნი და დანაშაუნი და პროლეტარების ნაცვლად, ახლა "მეგნებულ" მოქალაქეებს მოუწოდებენ "ვერსადღოთ" - "ახალი აიპაიანი", როგორც ჩანს, დედამამისა ამ მეთქისდასე უნდა მოალოაქებებოთ უნდა გამოიძეროს. მიზანი და უპირველესი ამოცანა, როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ერთია - ეროვნული ცნობიერების მოშლა და გაცემტვერება, ერისაგან მისი "პროგრესული" ნაწილის გამოჩენვა, "გაახლება" და მერე სხვა "გაახლებულულებთან" ერთად შეერთება "სამოქალაქო სახელმწიფოებში". ლენინსაც უუჭველად ეს უქონდა გუენებაში, როცა ამბობდა - "ჩვენ უნდა გავიყოთ, რომ შევეერთდეთ".

სტალინი, რა თქმა უნდა, "ლენინი იყო დღეს" და მისი საქმის გამგრძელებელი, მაგრამ "ლენინის ანდერძი", როგორც ჩანს, ბოლომდე მართლა ვერ თუ არ შეასრულა - სსრკ, ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ მაინც "ფორმით ეროვნული" და ფორმით სუვერენული რესპუბლიკების კავშირად ჩამოყალიბდა და არა სოციალისტური შინაარსის აშშ-დ. ანტიკომუნისტური საფუძველი მაგანათავის, როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოებაა დღესდღეობით და არა ის ჯოჯოხეთი, რაც მან, ვითარცა ლენინის საქმის გამგრძელებელმა, დაათენა იმისათვის, რომ თავის "შესაძლებლის მაქსიმუმისათვის" მიედნია. ნიშნდობლივი არ არის განა, რომ დღეს სწორედ სტალინის სურათებს დააფრიალებენ ქუჩებში რუსი ხელმოცარულნი? აი, ეს "ეროვნული ფორმა" არ ეთმობათ არც რუსებს, თორემ იმათზე უკეთ ვინ უწყის ამ ქვეყანაზე, რომ სსრკ იმდენადვე იყო რუსეთის იმპერია, რამდენადაც საქართველო იყო საქართველო სსრკ-ში? ეროვნული არსებობის ფორმად რუსებს, სამუნებაროდ, დღესაც მხოლოდ იმპერია ესახებათ, როგორც იდეალი, ჩვენ - "ჩემი ხატია სამშობლო, სახატე შიელი ქვეყანა". აი, ამ სიბრტყეზე გვმტობენ ჩვენ დღეს რუსები და ამ სიბრტყეზე ვცდილობთ ჩვენც გაძალიანებას. მაგრამ ეს იმედი თუ ორივეს ერთნაირად გადაგვეწურა, მაშინ, ცხადია, ისეც სსრკ-ში დაბარუნების შესაძლებლობებზე დაეფიქრდებით ყველა. შეიძლება ასეც მოხდეს, სულაც არ იქნება ეს გასაკვირი, თუმცა ცხადია ისიც, რომ "ერთ ნყალში მორაქვევარ ვერაფერს შევა".

ხელმოცარულთა "შესაძლების მაქსიმუმი", ცხადია, დიქტატურაა ყოველთვის და ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ამისაგან, მაგრამ ყველაინარი დიქტატურა, ერთად აღებული, მონაგარი იქნება, ბაბილონის გოდოდლის მშენებლობაზე ფიქრი თუ არ ამოვიდოთ თავიდან ერთხელ და სამუდამოდ კაცობრიობის ხელმართულმა ნაწილმა.

ნებისმიერი სახელმწიფო, მით უმეტეს, იმპერია, რა თქმა უნდა, ძალადობრივ და ამ ძალადობის გადამკიდებელი ბაზილიონსაკენ მიდის, მაგრამ პირდაპირ ბაზილიონში თავის ამოყოფას ისევე ამ შუა გზაზე გაჩერება უფროს მინაც ყველა ერთ, სხვა გზა და სახიდებელი თუ არ გამოუჩნდება.

აი, სწორედ ამაზეა ლაპარაკი ქართული ზღაპრის ამ ერთი შეხედვით თითქოსდა მართლაც ყოველად პარადოქსულ ბოლოთქმაც - "ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ქალას ჩიტო" - ამ კვადრიყო, დიდ ქვაბში ვერ ეტყოდა, პატარაში არ კმარიყო". "დიდი ქვაბი" აბა, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ბაზილიონი? ჩიტო კი, მოგვსენებთ, თავისუფლების სიმბოლოა. აი, ეს ჩიტო, ანუ თავისუფლება კვდება სწორედ და ველარ ეტყევა იმ დიდ ქვაბში, საითკენაც მიისწრაფვის ზუსტად ისევე, როგორც ფარვანა ეტანება შუქს, ხოლო პატარაში, რა თქმა უნდა, რომ არასოდეს არ არის საკმარისი.

ასეა, ბავშვი სტუმრად ყოველთვის უფრო ატანს გემოს საჭმელს, ვიდრე საკუთარ სახლში. თავისუფალი ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, მოციქულის სხვაგან არის თავისუფალი, სხვა არის ყოველთვის სხვის ომში ბრძენი, რადგან ომი თავისთავად ყოველთვის სხვისი და აი, ამიტომ აღარ აქვს შენდობა შინაურ მღვდელს.

ახლა მწელი სათქმელია თითქოს, კარგი იყო თუ ცუდი, ერთი და ერთი რომ შეიქმნა თავის დროზე: თუ გაერთიანდნენ იმ გარემოებაში, რომ ღმერთმა მხოლოდ მამაკაცებად და დედაკაცებად გაგვიჩინა ადამიანები, "სახედ თვისად და ხატად ღმერთისა", მაშინ უნდა ვგულისხმობთ თითქოს, რომ ერთი და სხვა ვეწლადფორცი თავად ჩვენი მოგონილია და ამდენად ღმერთის უნებური ნაშინებდა გახლავთ, მაგრამ პირველი ერთი ხომ სწორედ "ღმერთის რჩეულია"? რჩეულია აბა ამიტომ ნებისმიერი ერის მთავარი და მთავარზე უმთავრესი თვისება, უამისოდ არ არსებობს ერი, ყველა ერს თავისი ფუნქცია და დანიშნულება აქვს ამ ქვეყანაზე. ზოგადად ეროვნულობის მთავარი და მთავარზე უმთავრესი ფუნქცია და დანიშნულება კი, როგორც ჩანს, მანაც ის არის, რომ არ დაუშვას ახალი ბაზილიონის გოდოლის მშენებლობა დედამიწაზე, არ დაუშვას საყოველთაო გაუტეხება კაცობრიობისა.

თავიდან, მოგვხსენებთა, არის ერთი ღმერთი და იყო ერთი ენა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ იმ ერთმა ენამ არ გაამართლა და იმ ერთმა ღმერთმა თავად აურიცა ადამიანებს ენები. ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა ბაზილიონის გოდოლის მშენებლობა ნაშინებეს და დაისაჯნენ ამის გამო, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებმა კი ერთი შექმნეს და იმ პირველი, "ღმერთის რჩეული" ერის ნაშენდურობით ყველამ თავისი "აღმქმული ქვეყანა" მოიძია და შემოიღობა სათავისოდ. ბოლოს და ბოლოს, უკვე მერამდენედ, კვლავ მოიძია და

შემოიღობა სათავისოდ ეს აღმქმული ქვეყანა" იმ პირველმა, "ღმერთის რჩეულმა" ერმაც. ყოველად შეუძლებელია, რომ უღრმეს თანაგრძობა არ იხვედეს ამ ერის გამომდებელი კირთებით აღსასესი თავდადასავალი ყოველად შეუძლებელია, რომ არ აღმოჩნდეს ადამიანი ეროვნული სიმტკიცით თავანებდნობით განმსჭვალული ყველა ადამიანს, ყველა, თავისი ერთად რჩეული ერის და მიკადად კაცობრიობას.

სწორედ ამ ერთ უნდა უმთავრესად კაცობრიობა იმ მოდელსაც, რომელიც ყველაზე ადამიანურად და ყველაზე გონიერულად ანესრიგებს მკვიდრი ერისა და ეროვნული უმცირესობის ურთიერთობებს. ებრაელებს არსად და არასდროს არ მოუთხოვიათ ტერიტორიული ავტონომია, კულტურულ ავტონომიას კი ყველგან ინარჩუნებდნენ და ყველგან მკვიდრი ერის სახელს ურთავდნენ ნინ თავისას. ყველაზე დიდი წარმატებით, როგორც ირკვევა, ეს მოდელი სწორედ საქართველოში განხორციელდა და ჩვენ დროში ამას, სხვათათვის ცოტა არ იყოს საკვირველი, "ქართულ-ებრაული ფენომენი" ეწოდება.

ასეა, ღმერთმა "ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიოთა" - "შსოფლიო ნესრიგი" ამ უთვალავ ფერთა ერთობას შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ და არავითარ შემთხვევაში - ერთფეროვნებას.

პოლიტიკა, სამშუხაროდ, ისეთი რამ არის, რომ სიმართლეს ბოლომდე ვერასოდეს ვერ იტყვი კაცი. ბოლომდე თუ ვერ იტყვი, ეს იგი, ნახევარი ამბობს, ნახევარი სიმართლე კი, უკეთეს შემთხვევაში, ნახევარი ტყუილია. აი, ამ ნახევარ-ნახევარი სათავისო სიმართლებებით ცდილობენ პატრიოსანი პოლიტიკოსები ეშმაკის მოტყუებას, ეშმაკი, ცხადია, არ ტყუვდება და ამ "კეთილი სურვილებით ჯოჯოხობისა გზები იკირწყლება" მინცივ.

ეშმაკის მოტყუება იმითომ არის შეუძლებელი, რომ ეშმაკობა სხვა არ არის რა, თუ არა ტყუილი. ტყუილს თუ ამბობ, ეშმაკის მსახური ხარ უკვე, რადგან მის საქმენს აკეთებ. სხვა მეტარც არც არაფერი უნდა შენგან ეშმაკს, დანარჩენი ყველაფერი თვითონ იცის.

ქრისტიანული მრწამსით, მაგალითად, ბოროტი საერთოდ არ არსებობს ამ ქვეყანაზე, ბოროტება კი სხვა არა არის რა, თუ არა "სიკეთისაგან მოკლება", მაგრამ აბა, ვის დააჯერებ დღეს ამას? არადა, სულ ოოლი ახახსენდია ეს ქარაგმა - ის, რაც საერთოდ არ არსებობს, რა თქმა უნდა ტყუილია, მაგრამ ტყუილი არსებობს, სამწუხაროდ, თავისთავად და იგი ყოველთვის ნაკლებდევანი სიმართლის შესამოსვლილია, ანუ ტყუილია, რომ ბოროტი ადამიანი არსებობს საერთოდ ამ ქვეყანაზე, ყველა ადამიანი ღმერთისაგან კეთილია, მაგრამ ტყუილი არის ბოროტება და აი, ეს ტყუილი, ვითარცა ნაკლებდევანი სიმართლის შესამოსვლი, არის სწორედ "სიკეთისაგან მოკლება". ქართვე-

ლებს არცა გვაქვს სხვა სიტყვა, მაგალითად, რუსული "ნიტროსტის" შესატყვისი, გარდა ემ-მაკობისა.

დასაყვეთში ინტელექტუალები საერთოდ არ ერევიან პოლიტიკაში, - სამაგალითოდ გვი-სახავენ ამას დღეს ჩვენი პოლიტიკაში გარეუ-ლები. ასე საბჭოთა დირექტორებმა იცოდნენ ლაპარაკი, - გენიოსები მე არა მჭირდება, აქ მკ-ვარ გენიოსი, თქვენ თქვენი საქმე უნდა აკე-თათო. დირექტორები რომ იყვნენ ყოველთვის და ყველაფერში გენიოსები, იმიტომ იყო კარ-გად ჩვენი საქმე. სწორედ ინტელექტუალმა ალბერტ აინშტაინმა დასვა პირველმა "ახლე-ბული აზროვნების" გარდაუღალი აუცილებე-ლობის საკითხი და რაც მისი პოლიტიკაში გა-ურველობით მივიგეთ, პოლიტიკოსმა გორბა-ჩოვმა დაგვანახა დღეს ყველას.

უჩარბობის ჩარბაო - არსებობდა აი, ამას ამ-ბობდა დემოკრატიის გამო, თუ არ ვცდები, ჩე-რჩილი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი, უქჭვე-ლად ყველაზე დიდი პოლიტიკოსი - დემოკრა-ტია კარგა იმდენად, რამდენადაც უკეთესი უჯრ არაფერი მოუგონია კაცობრიობასო. ალბერტ აინშტაინის ეს "ახლებური აზროვნე-ბა" ცალი ყურიდან შეუშვა და მეორეში გაატა-რა იმანაც, ასე გამოდის. ემმაკობაა ესეც და "სიკეთისაგან მოკლება", ამისი თქმა მინდა. რას იზამ, ასეა მოწყობილი ეს ცხოვრებაო, - ამას ერთი, კაცი რო იტყვის და შეეგუება, ეს იმ ერთი კაცის "სიკეთისაგან მოკლება" და ამით, ცხადია, ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ საით მი-დის ეს გზა, როგორც გზა, რომელი ტაძრისა-კენ?

მოგონებით, კაცობრიობას რაღა არ მოუგო-ნია იმისათვის, რომ "აკრძალული ხილის" ქაშა გაემართლებინა და ამ "აკრძალული ხილის" მო-მხმარებელთა უფლებების დაცვა უზრუნველე-ყო სამივემად ყველა დროში ცივილიზაციის გა-წვითარების დონის კვალობაზე. არც დემოკრა-ტიაა, მოგვხსენებათ, მთლად ახალი გამოწვაგო-ნი.

ცივილიზაცია, როგორც ადამიანური ყო-ფის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობე-სების მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზა ყველგან უქჭველად თვითმყოფადია მანამ, სანამ კულტურით არის ნახაზდებოდა და ამა თუ იმ ხალხისა და ქვე-ყნის კულტურის საზღვრებს არ სცილდება, ხოლო როგორც კი გასცილდება ამ საზღვრებს, უშუალოდ სხვა კულტურათა ანექსიას ახდენს და საკუთარი კულტურის დროშით სჩაბის ამას. ეს ამბავი დღესდღეობით უკვე იმდენად საყო-ველთაოა, რომ ველარც ვარჩევთ ერთს მეორე-საგან, ცივილიზაცია და კულტურა ერთიდაი-გივე გვგონია და არსებობდა სწორედ კულტუ-რაც ვამბობთ უარს, რადგან კაი ცხოვრება, რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირად გვინდა. ეგ არის, რომ ყველა ერთნაირად არა ვართ მზად ამ კარგი ცხოვრებისათვის.

ქართულშიც და ქართველურშიც არის ამი-

სი კვალი, მაგრამ ბევრმა ენამ დღემდე შემოი-ნახა ორი სიტყვა აი, ამ ნაწევალსახელის - "ჩვენს" - აღსანიშნავად, ერთი "ჩვენ" გული-სხმობს "ჩვენს" უთქვენოდ, მეორე კი უკვე თქ-ვენთანზე, ანუ თქვენთან ერთად, ერთმანეთე-რები ამას ექსკლუზივსა და "ინკლუზივს" ეთხიან. სამი უცხოთუფდგაფართომაგალითად, საღმერთ შემთხვევაში მარტო ორნი ვიქნე-ბით "ჩვენს" და მესამეს არ ვიგულისხმებთ, მე-ორე შემთხვევაში კი უკვე სამივე ერთად ვიქ-ნებით "ჩვენ". ჩვენა ვართ ყველა, - მე და თნ, ჩვენი ოჯახი, ჩვენი დედამამიველები, ჩვენი სა-ნათესაო, ჩვენი სამეზობლო, ჩვენი სამეგო-ბრო, ჩვენი სოფელი, ჩვენი ქალაქი, ჩვენი კუ-თხე, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კავკასია (მაგალი-თად, ჩვენს შემთხვევაში), ჩვენი ევროპა, ჩვე-ნი აზია, ჩვენი ევრაზია (ისეც, უწინარეს ყო-ველისა, ჩვენს შემთხვევაში და რუსების შემთხ-თვევაშიც, აგრეთვე უწინარეს ყოველისა. საქა-რთველო-რუსეთისა და უფრო ზოგადად - კა-ევკასია - რუსეთის მოკავშირეობის მისტკური საფუძველი, ჩემი რამა რწნენია, სწორედ ამ სიბრტყეზეა საჯარაუდებელი. მხოლოდ ამ სი-ბრტყეზეა შესაძლებელი და აუცილებელიც ჩვენი მოკავშირეობა მომიავალიც, და ბოლოს ჩვენი დედამინა და ჩვენი კაცობრიობა.

აი, ამ განსხვავების უფლებებუყოფა, რაც ამ ორ "ჩვენს" შორის არსებობს უკლებლიე ყველა საფეხურზე, პირდაპირი გზაა სიადომი-სა და გამოირისაკენ.

იქნება ყველას არ ვახსოვთ, ან არ მივიქ-ცევიათ ყურადღება, მაგრამ ბიბლიის მიზე-დვით ღმერთიც სწორედ "ჩვენს" არის და არა "მე". "გვმნეთ კაცი ხატებლისაებრი ჩვენისაო", "დაწაბა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩვენგანი-ო", - ამას ღმერთი ამბობს. აი, ეს ღვთაებრივი ჩვენობა ირლვევა სწორედ მაშინ, როდესაც ადამი და ევა "აკრძალულ ხილს" იგემებენ და ერთიმეორისა შერცხვობათ, ანუ თავიანთ სხ-ვადასხვაობასა და, ესე იგი, მეობას გაიცნობი-ერებენ. აი, ამის მერე ხდება ადამი "ერთი ჩვე-ნიანი". ეს არის პირველი აქტი თავისუფლები-სა და იგი, უწინარეს ყოველისა, ღმრთისაგან თავის უფლების დაცვას გულისხმობს. აი, ამ, "აკრძალულ ხილს" როცა შესჭამთ, თვალები აგვიხლებათ და იქნებთ "ვითარცა ღმერთი-ო" - ამ სიტყვებით აცდუნებს გველი დედაკაცს და სულაც არ არის შემთხვევითი ის გარემოე-ბა, რომ სწორედ აქ და სწორედ გველის პირით წარმოითქმება პირველად ღმერთის სახელი მრავალბოთ რიცხვით. ღმერთი, რა თქმა უნდა, "ჩვენს" არის, მაგრამ იგი ერთია და ერთადე-რთი, ანუ ყოველი "ჩვენს" მაშინ არის "ხატი ღმ-რთისა" და "სრული", ვითარცა ღმერთი, როდესაც ის ღმერთივით ერთია და განუყოფე-ლი. უკეთეს საყოფილია და თავად არის "ვითა-რცა ღმერთნი", იგი "ერთი ჩვენგანია" და ღმ-რთისაგან "თავის უფალი". ასე უნდა ვიგულო-სხმობთ ალბათ, რომ დღესაც ყველას, ვინც ამბობს - ღმერთი ჩემშიაო - აი, გველის ის და-

ნაპირები - "ვითარცა ღმერთობა" სწავლია და უარს ამბობს მის ხატად ყოფნაზე.

ძალაუფლება ყოველგვარ ხიბლს კარგავს მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, - ამბობდა პოლ ვალერი. გულზე ხელი დავიდოთ ყველამ, ბევრი გვეგულება ჩვენს გარეგარეგულში "თავის უფალი" "ერთი ჩვენგანი", ამ ხიბლს ტყვეობაში რომ არ იყოს?

ღმერთი ყოველთვის ჩვენშია და არა ჩვენში, რადგან "ღმერთი არს სიყვარული" და არა "თავის უფლება". აკრძალული ხილი იმიტომ არის აკრძალული, რომ მისი ქაშა დანაშაულია და მჭამელი დამნაშავე იქ, სადაც ყველა "ერთი ჩვენგანი" თავისი უფლებების დაცვას ლაშობს, უმონკალოდ ითვლება ფეხზე უფლება უკლებლივ ყველა საფეხურის ჩვენობისა.

ერთ ადამიანს, ცალკე აღებული, ანუ ჩვენს მიერ დღესდღეობით ესოდენ განდიდებულ "პიროვნებას", არავითარი უფლება არა აქვს და არ შეიძლება შკონდეს, უფლება იწყება მე და შენიღბი და ასე ჩვენობით, ვიდრე ზოგადად კაცობრიობამდე. ეს ჩვენი "ტკბილქართული" "ცამდე სიზართლევ", როგორც ჩანს, სწორედ ამ ჩვენობის უფლების განუზრდელი დაცვაა უკლებლივ ყველა საფეხურზე და არა რომელიმე, ცალკე აღებული პიროვნების, პიროვნული ოჯახის, პიროვნული ქვეყნის, პიროვნული სახელმწიფოს ინტერესებისა.

პოლ ვალერს აქვს ერთი ასეთი პატარა, ჩემი აზრით, ყოვლად ნინანარმეტყველური ლექსი:

**"ცალ-ცალკე მიზანს ვერ მივაღწევთ,  
შხოლოდ - ორ-ორნი,  
ოდეს ორ-ორნი გავიცნობთ ერთმანეთს,  
ერთმანეთს გაიცნობთ ყველა,  
ვევლს გვეყარება ერთმანეთი და  
ჩვენი ბაეშვები იცინებენ  
იმ შეაბნელ ლეკვინაზე, სადაც  
გულამოსკნით ტირის მარტოსული".**

აი, ამგვარ "ორობასა" და "ორ-ორობას" უკავშირდება, ჩემი აზრით, ქართული ენის, ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და საერთოდ ყოველდღე ქართულის გვერდისა. ქართული ტომარმნიკა და ჩვენი გვარ-სახელებიც დღემდე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამგვარ "ორობასა" და "ორ-ორობაზე", "ამერ-იმერისა" და "ორგვამგობის" გენეტიკურ ხსოვნასა და დღესდღეობით უკვე ყოველად "გადმონამოურ" ცნობიერებაზე მტყველებენ. სხვაგანაც მითქვამს და შეძლებისდაგვარად ვამოშიფრავს ეს, მაგრამ ჯერჯერობით, სამსუხაროდ, ვერ მივიქციე ჩვენი ენათმეცნიერებისა და სხვათა, სწავლულ კაცთა, ყურადღება - ქართული სიტყვების - "ღმერთი", "სიყვარული", "ჯვარი", "გიორგი", "ქართლი" და სხვა - ამოსავალი ყველაფერ სწორედ ეს "ორობა" და "ორის ერთობა" იკითხება.

თუ დაკვირვებისაბრთ - შე შეიქნებულყო - კაცი კაცს რო ეტყვის ჩვენში, ამას ყოვე-

ლთვის ხუმრობით ეუბნება. მე ვფიქრობ, ეს სიტყვა ამოსავალი მი გურულიზაციასაც უნდა გულისხმობდეს და იმიტომ. ის, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით თავის საკუთარ ჩვენობაში აღარ დაედასტურება სხვაგან მდებს და ამსხვავა ჩვენობისა უჩვენდება, დრო სჭირდება, რა თქმა უნდა, ამას და თი, ასეთი ადამიანი, როგორც ჩანს, "შეჩვენებული" მანამ, სანამ ამ თავისი ახალი ჩვენობის სრულყოფილებაში შეერმ ვახლებოდეს. სამჭოთა რესპუბლიკებში აი, ამგვარი "შეჩვენების" სწავლულადეთობატი რალიზაციის აუცილებლობა გამოირიცხა ყოველად კატეგორიულად და ეს "მონაპოვნი" ახლა ზოგიერთ ჩვენგანს იმას აფიქრებინებს, რომ ეროვნულობა საერთოდ და ზოგადად სოციალური მოვლენააო.

აღარაფერს ვამბობ კუთხურობაზე, კუთხურობა ხომ რა ხანია უკვე ყველამ ვალიარტი ჩვენს ყველაზე მთავარ ეროვნულ ნაკლად. არადა, კუთხურობა კი არ არის ჩვენი ეროვნული ნაკლი, ჩვენი ეროვნული ნაკლი "ვინაა მაგის" ფილოსოფია და ის გარემოება, რომ შეილება გვიტყვებს ჩვენც ზომამზე მეტად და ამ ბოლო დროს აღარც დედამამოშვილების სადღეგრძელო გვეყოფის ისასულიყო.

შეგარდნადემ მუღვს დედამამოშვილების სადღეგრძელო დაღვინა და გადაირია თურმე მუღვლი - ვიცინით ამაზე. აბა, რა არის აქ სახალილო, თუ დააღვინა და პირიქით - სატირალი არ არის განა, იმას თუ მართლა ვაუკვირდა ეს სადღეგრძელო?

გიორგი მაზნიამელიის მოგონებებში ვკითხულობთ: "შერეამიძემ მოპკრიბა 150 ცხენოსანი, დახედა სახალხო გვარდიის და შესთავაზა ეს 150 ცხენოსანი სახალხო გვარდიის გასაძლიერებლად, დაპირდა, რომ კიდევ მოპკრებს შემდეგში აფხაზ მეორეებს. ე-ჯუღღღღღ უკმეხად უარყო "თავადის" ეს დახმარება და უპასუხა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმდენად ძლიერია, აფხაზეთის ფეოდალების დახმარებას არ საჭიროებსო. ამგვარი მოპყრობის შემდეგ მეტად განაწყენებულმა შერეამიძემ ხმა არ ამოიღო, გააბრუნა ცხენი და ნავიდა თავის რაზმთან ერთად. ჯუღელის ეს უკმეხობა ძალიან ძვირი დაუჯდა შემდეგში საქართველოს. ამ შემთხვევის შემდეგ შერეამიძე მტერი შეიქმნა საქართველოს, აღარ დარჩა აფხაზეთში და საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა, რომელიც მაშინ ოსმალების ხელში იყო. ხოლო აფხაზეთში შედგა ჯგუფი შერეამიძის მომხრეებისა, რომელნიც არ იყვნენ კმაყოფილნი არათუ სახალხო გვარდიისა, არამედ საქართველოს მთავრობისაც. ამ ჯგუფს სათაური ჩაუდგა ტატამ მარშალი, რომელმაც ვანიზრახა საქართველოსაგან აფხაზეთის სრული ჩამოშორება".

ასეა, ყველა ადამიანი რომელიმე "ჩვენის" ნაწილია და ამ თავის ჩვენობას უნდა წარმოადგენდეს ღირსეულად ყველა თავის მომხრე ჩვენობაში (რისი გაკეთებაც მოინადინა შერ-

ვაშიძემ და მისმა რაზმმა), ყველა ჩვენობა თავის წინამორბედ ჩვენობას უნდა მიაგებდეს პატივს და მის უფლებას უნდა იცავდეს (რაც არ გააკეთა ვ. ჯუღელშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით), უამისოდ ყველა "ერთი ჩვენგანია", "თავის უფალი" და "უცხო" - ალბერ კამიუს "უცხო" -ზე მოგახსენებთ ამჯერად, ადამიანის ღამის საყოველთაო გაუცხოებაზე და გაითითო კაცებაზე ზოგადად კაცობრიობისა, უწინარეს ყოვლისა კი, დიდად სამწუხაროდ, სწორედ მისი ყველაზე უფრო ცივილიზებული ნაწილისა.

"რომელსა არა უფერადეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შერეწებულ იყოს - მარანათა" - (1 კორინთელთა - 16. 22.). სიტყვა "შერეწებულს" აქაც, ცხადია, წყულის მწიფელობით ვითოხულობით და "მარანათაც" ამიტომ წყევის ფორმულა გვეგონია. არადა, "მარანა თა", სიტყვა-სიტყვით - "მოვალს უფალიო" - ამას ნიშნავს. უფლის მოვლინების პირობაა ეს -უფალი მამინ მოვალს, თუ ყველა შერეწედებით, ანუ ერთ "ჩვენად" იქცევით მიუხედავად იმისა, გიყვართ თუ არა და ვნამთ თუ არა დღეს უფალი ჩვენი იესო ქრისტეო - აი, ამას გვეუბნებიან, მაგრამ არა გუფერა. ასე ხომ ამიტომ ქართული ტექსტით შეიძლება ამისი ახსნაო - ვიტყვით: "ყოველი საიდუმლო ამასა ენასა მინა არს დამარხულიო" - ვიტყვით ალბათ ამასაც, მაგრამ ჩვენ თვითონვე არ გვეყვარა არც ეს სასაცილოდ.

არადა, დაუკვირდით, ქუშმარიტება ზომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს ყველაფერზე და, ესე იგი, სამშობლოზეც მაღლა? ყველაფერზე მაღლა ქუშმარიტება მხოლოდ მამინ შეიძლება დადგეს, როდესაც ის ყოვლისმომცველია, ბოლო ის, რაც ყოვლისმომცველი არ არის, არც ქუშმარიტებაა და მარტოდენ სათავეს სიმაართლე, ანუ ნახევარი ტყუილი და "სიკეთისაგან მოკლება" გახლავთ. ნებისმიერი სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ასეთი სათავესი სიმაართლე, ნახევარი ტყუილი და სიკეთისაგან მოკლებაა და სწორედ ამიტომ უნდა იყოს იგი მუდამ მხოლოდ ერთიგული, ვიდრე არსებობს. ერთადერთი ალტერნატივა კი სახელმწიფოსი სწორედ ეს საყოველთაო ჩვენობაა.

"ნუ იყოფინ, რამეთუ ვითარმედ საჯოს უფალამ ქვეყანა", - ეს ხომ ყველა ენაზე ასეა ნათქვამი და ასე იკითხება, მაგრამ არც ამისი გავება გვინდა და საერთოდ არა გვცალია საამისოდ.

"მსოფლიო წესრიგი" მე და შენიდან ინყება, ოჯახიდან და ქვეყნიდან. მსოფლიო წესრიგის გარანტი მხოლოდ მსოფლიო კონსტიტუცია შეიძლება იყოს. გვაქვს ეს მსოფლიო კონსტიტუცია, ეს ღმრთივ ბოძებული უხეიარსი კანონი, ყველამ ზეპირად ვიცით, განსაცვიფრებლად მარტივად, მკაფიოდ და მოკლედ არის აქ ყველაფერი ნათქვამი, არცერთი სიტყვის დამატება არ უნდა და არც ვარაუკლება შეიძლება - "ათი მცნება" ქვია. არავითარი ალტერნატივა ამას არა აქვს და არ შეიძლება პე-

ნდეს, მაგრამ ვაი, რომ "არა ვიქნეთ, ცოდნა რას გვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა".

ამასობაში კი თავის საკუთარ ანტიჩვენობას ქმნის სწორედ ის, ვინც ათივე მცნებას ყოველგვების ნაბეჭე არღვევს და თავისი ამ კულტად გუკუდმართებული ჩვენობით უკუღმალე ყველა ღმრთივობებზე სწინობას უპირისპირდება. "კოზა ნოსტრა" - არცერთ ენაზე აღარა სჭირდება უკვე ამ მიტყვამ თარგნა, ყველამ ზეპირად ვიცით, რასაც ნიშნავს და ყველა წვენივრად უბედავთ იმისაც, რომ ჩვენაინ არის და გერსად ველარ ვერვით უკვე ამ ანტიჩვენობას.

არის ერთი ასეთი ფრანგული კინოფილმი - "არავისი ქალები". აი, ამ ჩვენობასა და ჩვენობებს მონყვეტილი არავისი ქალებისაგან და არავისი კაცებისაგან შედგება ეს "კოზა ნოსტრა" დღეს ყველა ქვეყანაში.

ინტეგრაცია, რა თქმა უნდა, აუცილებელია, საყოველთაო ჩვენობა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამას გულისხმობს, ნებისმიერი ჩვენობა უეჭველად საკუთარ წევში ჩაიხრჩობა უამისოდ და ეს ხდება დღეს მთელს მსოფლიოში, მაგრამ იქ, სადაც ამ ღმრთივობებზე ჩვენობასა და ჩვენობებს მონყვეტილი არავისი ადამიანები და ამ არავისი ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოებები ერვენებიან ერთიმეორეს, მოჩვენებების ალღუმი ინყება და აღარცერთი ღმრთივობებზეული ჩვენობა აღარ გვეყოფნის უკვე სასაცილოდ - დედამამას წინაპრებს ვეძახით და მორეულზე მორეულ წარსულში უბეჭვებთ ადგის, როგორც უიმედოდ ჩამორჩენილი, დედამამიშვილების სადღეგრძელოზე ვიცინით და იქვე ათასნაირ სამშობებს ვიგობით, თავის უფლებას ჩვენსას შემთხვევითი ადგილტერიითაც აღარ ვიზღუდავთ უკვე და სექსუალურ პარტნიორობას, ანუ ყოველ მუნიტელს სიძვასა და მრუშობას ვარქმევთ სიყვარულს, ნათესაობისა გვრცხვენია, სოფლეთობისა გვრცხვენია, კუთხურობისა გვრცხვენია, უოკუნულობისა გვრცხვენია, სასაფლაოებზეც მხოლოდ იმიტომ თუ დავიარებთ, რომ ერთიმეორეს მოვეჩვენოთ, აღარც "მარადიული მეგობრები" გვყავს და მარტოდენ "მარადიული ინტერესები" გვაშობრავებს იმ ქალაქში, რომელსაც ყველა სათავისოდ ვიგრებთ, გაელენის სფერობად ვყოფთ და მერე უშონყალოდ ვხოცავთ ერთმანეთს ამ გაელენის სფეროებისთვის, სხეში ვართ უკვე ყველა და, რაღა თქმა უნდა, რომ ბრძენიც ყოველთვის სხვა არის ამ თითქოსდა გაჩვენებურებულ სხვათა ომში. ინტელექტუალები, არიფები, გომები და სხვა უბირნი ("უბირი" გადაუბირებელს ნიშნავს ქართულად, იმას, ვისი მოხიბლვაც არ ხერხდება. "ბირება" სწორედ მოხიბლვის მნიშვნელობით არის მოტანილი ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში). უნებლოდ "ჩამშვიტები" არიან ყველანი და მათი პოლიტიკაში ვარევა ყოვლად დაუმეგებელია. აი, "ინტელიგენცია" და კონიუნქტურის

სხვა გადასჯილენი, კი ბატონო - ჩათრევას ვინც ჩაყოლას ამჯობინებს, ეს ხალხია მუდამ და ყოველთვის ჩვენი დასაყრდენი.

მოჩვენებების სამყაროში ვცხოვრობდითო, - წერდა მერაბ მამარდაშვილი სსრკ-ს გამოცხადია, მართალი იყო, მაგრამ მოჩვენებები თქვენ ახლა იმ "თავისუფალი სამყაროსი" იყოთხეთ, რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მკაფიოდ რომ იკვეთება ჩვენს თვალსაზრისში.

ეტრ" და "პარეტრ", - აი, ამ ორი ტრანსული სიტყვის თამაშშიც აისახება დღესდღეობით ამ არავისი ადამიანის პრობლემა, რასაც დასაბამი ომებისა და რევოლუციების გარდა, ინგლისის უმაღლესი საზოგადოების წიაღში აღმოცენებულმა "დენდიზმმა" დაუდო თავის დროზე. ის, რაც დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის ან უკვე შეუიარაღებელი თვალში დაუნახავ მიჯნაზე სახალისოდ გამოიყურებოდა, დღესდღეობით შეიძლება სახედისწერო აღმოჩნდეს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ დასავლური კულტურისათვის. თუკი რაიმე მეტყველებს ჩვენს ევროპეიდობაზე, უწინარეს ყოვლისა, ეს ამბავი ალბათ, რადგან ყველაზე თვალში საცემი მხასიათებელი დღესდღეობით, სამსურბროდ, სწორედ ეს არის ქართული მენტალიტეტისაც. ვგრძობ ნოდებულ "დაბურულ საზოგადოებაში" როგორც სსრკ იყო, ჩვენც დიდად სახალისოდ გვიჩანდა ეს ამბავი, მაგრამ იმ "თავისუფალ სივრცეში", საითკენაც ახლა მივისწრაფვით, უტყველად დიდ პრობლემებს შეგვიქმნის, როგორც ერს, რადგან "აკრძალული ხილი" ყველაზე უხვად ყველაზე დიდ ქალაქში მოდის ყოველთვის.

ყველა მარტოსული, რა თქმა უნდა, ქამაშაც ცოცხალია, მაგრამ, ამავე დროს, საშიშიც არის. ყველაზე უფრო ცოცხალი კი ის საზოგადოება და ის ცივილიზაციაა, რომელიც მარტოსულობის უფლებას აძლევს ადამიანს და დიდ ღირსებად მიაჩნია მისი ან უფლებების დაცვა.

"თავის უფალი" იმიტომ არის გიჟი, რომ მარტოა, ქორწილში თუ შევიდა - "ჩემს სახლს ესა სჯობიაო" - იტყვის, პატარძალთან დამაინინეთო, - შეიძლება ესეც მოითხოვოს და მე ძალიან მაინტერესებს, ვისი უფლება უნდა დაიცვას ყოველივე ამის შემხედვარე საზოგადოებამ, თავი რომ არ მოიქრას უნებლიედ დემოკრატიული მსოფლიოს თვალში?

სხვისი ქირი, ღობეს ჩიბირო, - ნათქვამია და ყველა თუ "სხვად" ვიქცევით, ამ ქირს ვინა მიიტანს გულთან?

ყანაო, რომელიც სხვაა, რა თქმა უნდა, ნაგართმევს ყველაფერს, რაც გაბადია, ვაჭარი, რომელიც სხვაა, მოგატყუებს, მათხოვარს, რომელიც სხვაა, შენ თვითონვე უნდა მისცე, რაც შეგიძლია, მაგრამ როცა ახლობელს ("შეგობარ სახელმწიფოებზე" არას გამბობ ამჯერად) ეხმარები, ისე უნდა დაეხმარო, რომ ფეხზე ნამოდგეს და მერე შენი დახმარებაც შეძლოს, თუ დავტარდა. ასააცივლია, მაგრამ სწორედ უანგარობაზე მოგახსენებთ.

დღეს ყველა ერთბაშად შეგვიჩიოთ - ემ, რას იხამ, ყველა ერთ დღეში ვართო. არა ვართ ყველა ერთ დღეში, მაგალითად ღმერთს, რომ აღარა ვართ, მაგრამ ხელმომართული თუ ხელმოკლული არ ამუღდება მხარსი, მტკიცდება მათე მართლა ერთდღერი აღმოჩნდეთ ისევე ერთბაშად ცნაბია, რავეს შეირწმუნა და იც, სადაც არაიან არავის არ აძლიერებს, ყველა სუსტდება.

შეკერ იხსნის სიკვდილს, მაგრამ სიკვდილს კი შეიძნობო - გვეუბნება "ვეფხისტყაოსნის" ავტორი. ისევე ამ მიმზა უნდა ავებისლოს თვალში - გიჟადვეთ მტერთი თქვენიწიო" - ამას "სიკვდილითა სიკვდილისა დამორტყუნელი შემოგვივალაადებს.

მტერი და, ამავე დროს, მოყვასი, რომელსაც ყველაზე ძალიან უჭირს, სწორედ ეს არავისი ადამიანია. მეტნაკლებად არავისი კი, სამწუხაროდ, ყველა ვართ უკვე დღესდღეობით. "ზარაკი ქამბოელი" ჯერ კიდევ შეიძლება ალბათ დაგვიკლან აქა-იქ ჩვენს თავდაპირველ ჩვენობებში, მაგრამ ამ "უძლებ შეილთაგან" რამდენი გავიგნებთ ზახს მამისეული სახლსაკენ? ისევე იმ ჩვენობებს უნდა შევეჩვენოთ, ეტყობა, ყველა, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ და რომელთაც ასე ვუოტად ვუბრისპირდებთ "თავის უფლების" ამ ყოვლად საარვისო და ღმერთს უნებური მოთხოვნით.

ძველთაძველი სიბრძნე, - რომელ ქვეყანაშიც მიხვალ, იმ ქვეყნის ქუდა უნდა დაიბურო, - დღეს უკვე აღარა ქრის, რადგან ცივილიზაციის განვითარების დღევანდელი დიონე მაქსიმალურად უზრუნველყოფს მის საყოველთაობას და სულ უფრო და უფრო ემსავლება ერთი ქვეყანა მეორეს გარეგნულად. ეს გარემოება ფრნიკურად მართლაც ძალიან აახლოებს ერთმანეთთან ადამიანებს, მაგრამ ამავე დროს ერთბაშად მართლაც სრულად განსხვავებული კულტურებისა და ამ კულტურების მატარებელი ადამიანების კულტურისწინების განსხვავებულ დონეთა უშამარებს დაპირისპირებას იწვევს, რაც, ბოლოს და ბოლოს, მეტნაკლებად საყოველთაო უკულტურობას შობს. გამოდის, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ყველა მონაპოვარი არსებითად აი, ამ ჩვენობასა და ჩვენობებს მონეტილი, "თავის უფალი", არავისა და, ესე იგი, უკულტურო ადამიანების ხელშია დღეს მეტნაკლებად ყველა ქვეყანაში.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნებათა შეფარებითობა არავითარ ექვს არ იწვევს. არც ის იწვევს ექვს, რომ არაფერს, რაც შედარებითია, საზღვარი არა აქვს. საზღვარი არა აქვს, ესე იგი, არც ამაღლებასა და არც დაცემას ადამიანისა - მჯობნის მჯობნი, მოგებსნებობა, არ იღვევა და ყველა ადამიანი სჯობია მასზე უარესს.

ადამიანის ამაღლებაცა და დაცემაც ერთნაირად იოლოზორულია, ესე იგი, ორივე და ამ შედარებითობის რეალური შედეგი ყოველთვის ადამიანის დაცემაა იმიტომ. ნუთია, ნუ-

თოსოფელი და სანუთრო, მოგვხსენებთ, ეს ცხოვრება, პრასი ხომ არა ხარ ადამიანი, მეორეჯერ რომ ამოვიყარო და ამიტომ, რასაც მოახვლება, ყველაფერი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის ვარემ შეგველად ის არის, როდესაც ამ მოსალოდნელი სასჯელი დიდად არ აღემატებოდეს სარგებელს. ყველაზე დიდი სათნება კი ასეთ ვითარებაში შეგველად ის არის, როდესაც ამ მოსალოდნელი სასჯელის საშიშროებასაც უგულვებლყოფ "თავის უფლების" გადასკიდვ და ამას - არც მეტი, არც ნაკლები - ღმრთის სიყვარულს უკავშირებ. აი, ასე "კვდება ღმერთი" და ადამიანი კარგავს იმ ერთადერთ ორიენტირს, რომელიც მის ამქვეყნიურ ცხოვრებას აძლევს აზრს.

ღმერთი ანუ აბსოლუტი ანუ ტუმარიტება და ანუ სიყვარული არის "ჩვენ". საყოველთაო ჩვენობის ლოგიკა კატეგორიულად გამორიცხავს იმას, რომ ერთი "ჩვენ" მეორეს ვერებოდეს, მეტოქეობად და პირველობად, უკლებლად ყველა "ჩვენ" ერთნაირად და განუხრელად მეორეობს, ანუ იმეორებს იმ ერთსა და ერთადერთ "ჩვენს", რომელმაც "სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაცაცად ქმნა იგი."

ჩვენი თანამედროვე ადამიანი, ცხადია, ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ იტყვის და აღარ იტყვის უკვე უარს ცივილიზაციის მონაპოვარზე, მაგრამ უნებლიედ შეიძლება დაჰკარგოს ყოველივე, თუ აი, ამ ორ "ჩვენს" შორის განსხვავება ვერ დაინახა უკლებლად ყველა საფეხურზე. ყველამ, უწინარეს ყოვლისა, თავის საერთო ჩვენობასა და, ესე იგი, კულტურას არ მიხედა და სასაცილოდ აიგდო ყველაფერი, რაც კაცობრიობას "მოუგონია" დემოკრატიაში და დემოკრატის ვარა.

თამაში ბავშვობაშია, რა თქმა უნდა, კარგია, ბუნებრივი და აუცილებელი, მაგრამ იქ, სადაც ბავშვობის ამ უზრუნველ ხანას ვეღარავინ ვეღარ ელვება, ეგრეთ ნოდებული "დიდი ბავშვები" სულ ახალ-ახალ თამაშებსა და თამაშის წესებს იგონებენ. სიკეთე ანუ კეთება აღარ არის რენტაბელური და "სიფუჭის" (ლოგიკურად სწორედ ეს, ჩემს მიერ აქ, ცოტა არ იყოს, ხელმოწერად ნაწარმოები, სიტყვა უნდა იყოს "სიკეთის" ანტიონიმი ქართულში. "ბოროტებისა" კი რა მოგახსენოთ, პირადად ჩემთვის, უცნობია ამ სიტყვის ეტიმოლოგია), ანუ გაფუჭება და, ესე იგი, ამაოდ ყოფის იმისა, რაც უკვე კეთილია, ანუ ვაკეთებული, მოაქვს მოგება. ჩნდება ახალ-ახალი პროფესიები, რომლებიც, არსებითად, ჩვენს კანში არდატევას ემსახურებიან და ვინრო სპეციალიზაციის გზით იხვეწება ჩვენი პროფესიონალიზმში, მაგალითად, გენურ ინჟინერიაში. არადა, გაიხედეთ, რა ხდება ამ დროს ამ ქვეყანაზე, - იარაღის ბიზნისი, ნარკობიზნისი, სექსუალისი, შეკეთებით მკვლელობის ბიზნისი... არ უნცი, რომელი რომელს უსწრებს მომგებიანობის თვა-

ლსაზრისით, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე შემოსავლიანი სწორედ ეს არის დღეს, ამაზე უცეს იგი, დღეს ყველაზე დიდი მითხოვნილება მთელ მსოფლიოში. განათუ გითხროთ ინჟინერის ნახსარება უნდა კიდევ ვიკითხოვას? როგორ ვიქნებით, რაში ვამაყდებებს ამ გენურ ინჟინერია ადამიანი ადამიანი?

"ხელოვნური სამთხვეობო" - ვერ კიდევ როდის სწორდებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფრანგი მთებში (სულ ვალერიის სიტყვებია), კრისტინული მორალის მონივრებით სწავლით ასპროცენტრანი ბურჟუა, ანუ "ნაღვ ქალაქელი" (დღევანდლებით ჩვენ ცოტა სხვა აზრსა ედებთ ამ სიტყვებში, მაგრამ ამოსავალი "ბურჟუა" სწორედ ქალაქელს ნიშნავს და სხვას არაფერს. ქალაქსა და ქალაქელობას უკავშირდება ამოსავალი თვად ეს სიტყვა - "ცივილიზაცია"), "სოფლიო მოქალაქე" და ხელმოცარული დენდი, სანაყლი მარტოსული მარლ ბოდადერი... რეგულაცია იმას არ დაკლებია, ნარკოტიკები და ათამაგი და მინც, ყოველივე, რასაც ის მოესწრო და რაც თავის "პირმოთენ მკითხველს" დაანახა, მართლა "ყვეილები" აღმოჩნდა მხოლოდ ბოროტებისა, ნაყოფს კი ჩვენ ვიპოვებდით, დღევანდელი კაცობრიობა, მეტწილად დაშახურებულად და მეტწილად უდანაშაულოდ.

ჩვენში ბევრი ვერ ხედავს ამას, ჯერჯერობით, რადგან ჩვენი "ამაოების ბაზარზე" ეს ნაყოფი მასიურად ახალა შემოდის.

სიკეთე, რა თქმა უნდა, არავითარ ცნობისმოყვარეობას არ იწვევს არასოდეს, რადგან ბუნებრივია და უფუჭვლად თანდაყოლილი. ჩვენს ცნობისმოყვარეობას, უწინარეს ყოვლისა, ყოველთვის სიკეთისაგან მოკლება და სიკეთისაგან მოკლებული ადამიანები აღვიძებენ. რაც უფრო მეტად არის ადამიანი მოკლებული სიკეთეს, მით უფრო საინტერესოა, მიმზიდველი, ნარმტაცი და რომანტიკული. იციან ეს ამერიკელმა და არა მარტო ამერიკელმა კინობიზნისმენებმა და ამ ლამაზ-ლამაზმა სექსმა და დახადობამ ნალექა უკვე ყველაფერი. "აკრძალული ხილის" საცთური თავისას შერება, ჩვენ კი ვერა და ვერ მოგვიხიერებია ზრდის დასრულება.

არახალა და ძველია და ძალიან ძველი ეს ამბავიც ამ ჩვენს ცოფილ დედაშიანზე - ჩვენი ამირანი იმტომ არის დღემდე მიჯაჭვული კავკასიონის კალთებს, რომ ვერა და ვერ მიმხედარა ღმერთთან დაჭიდების აბსურდულობას. ამირანი ებრძვის სწორედ გიორგისაც, იმ გიორგის, რომელიც არის "ღმერთი ჩვენი" (ივანე ჯავახიშვილი) და ვისი სახელიც გვექვია ჩვენ და ჩვენ ქვეყანას ყველა ენაზე.

ამაოება ეს ამაოთა და ყოველივე ამაო. "იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა", - აი, ამ რიტორიკული კითხვით იწყებს ქართველი მეზღაპრე თავის ზღაპარს და იმ "პარადოქსული" ბოლოქმით ამთავრებს, რაზედაც უკვე მოგახსენეთ ზემოთ.



ახლა ასე ამბობენ - იყო და არა იყო რა, დემოკრატიის უკეთესი რა იქნებოდაო - და ბოლო აღარ უჩანს ამ ზღაპრებს. ცხოვრების ნუსი კი არ არის, თამაშის ნუსია, როგორც ჩანს, ეს დემოკრატიაც და იმიტომ.

სულ ცოტა ხნის წინათ - "ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო" - ამას საბჭოთა მთავლიტი არ აჭაჭანებდა არსად არცერთ ბეჭდურ პროდუქციაში. ახლა ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, ესეც დაშვებულია, მაგრამ ზღაპარი თავად საქართველო გვეგონია უკვე ზოგიერთებს - "იყო და არა იყო რა" - ამას საქართველოზე ვფიქრობთ და ყოველ "ერთ ჩვენგანს" მისი რამელილაც ნაწილის პრივატიზაცია ეოცნებება გასხვისების უფლებით.

არადა, მართლა ზღაპარია საქართველო, - დღემდე შემოუღობავია და იმიტომ. "ქართლად ფრიადი ქვეყანაა შვირაცხების, სადაც ნირვაა ყოველი აღესრულების ქართულითა ენითაო", - ასე გვაქვს ჩვენ ეს დანიგნებული ძველთაგან. "ნოვია ყოველიო" - მიაცივით ამას ყურადღება. ჩვენი ქართლის ვარდა, მოგვისხენებათ, რომ არსებობს აგრეთვე მისტიკური მეორეც - "არიან ქართლი".

"საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო".

ესეც უჭველი პიშია საქართველოსი. ყველამ, ვინც ჩვენ ასე თუ ისე გვიცნობს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს განსაცვიფრებლად მარტვი და გულშიჩანვედომი სიმღერა იცის ჩვენი და კიდევ იმ, ეს სიტყვა "გენაცვალე". საყვარელი ადამიანის დაკარგული საფლავის ძიებაშია მიწყობი ქართველი კაცი და იმ, ეს "გენაცვალე" უჭველად მისი კულტურის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ქართველი ებრაელებს მტყველებდნენ ყოველი მეორე სიტყვა სწორედ ეს არის - "დაგენაცვლე".

ჩვენი ეროვნული რაობა, წარსულიცა და სამომავლო მისიაც, ყველაზე თვალსაჩინოდ ჩვენსავე, ყოვლად უნიკალურ პოლიფონიაშია უწინარეს ყოვლისა, გაცხადებულო - ყველა ხმა თავისას მიერეკება, მაგრამ არცერთი არ არის "თავის უფალი". მათ შორის, რაღა თქმა უნდა, არც ის, უჭველად ყველაზე ცელქი, კრიმანჭული.

თავის უფლების, თავის აგდებისა და თავაშვებულობის ამ ყოველად შედარებითი მზის გულზე "სიცივისაგან მოკლული კაცი გორავს" რა ხანია, საყოველთაო ჩვენობის ყოვლისომცველი მზე კი, ჯერჯერობით გორასაა მოფარებული და იმიტომ ველარ ვხედავთ დაკარგულ საფლავს იმ საყვარელი ადამიანისას, რომელიც შეუძლებელია, რომ არ აღდგეს და არ უფლებლად აღდგება, რა თქმა უნდა, ერთ მშვენიერ დღეს, ვითარცა ლაზარე. ყოველმა "მემ" მხოლოდ "შენობით" შეიძლება აღადგინოს საკმა, "შენობა კაცინელობააო", - განმარტავს იგი. შენობა აქვრება და, ესე იგი, ევოლუცია, შეობა - გადაშენება, ანუ ნებისმიერი

რევოლუცია და "პერესტროიკა" მე შენ მიყვარხარ" - აი, ამ შენობით ინება უპირველესი საფებურიც საყოველთაო ჩვენობისა. მართბთ არაფერი არ ინება არასოდეს და საერთოდ - ყოველი "მე" "ის" არის, "სხვა" და "უცხო" უამისოდ.

არა მივიდ დახსნად სჯულობა, რამედ აღსრულებად, - უწინარეს მოკლულობა, ამ სიტყვების დედააზრს ჩასწავდა უჭველად აღბერტ ვინმე. არა, როდესაც "ფარ მობითობის თეორიამ" ჩვენი, "ბუნებური ცვლილებების დატლობა ყოველად რეალური ცხადია მუხაძელელობა დაინახა და უმაღლე "ახლებური არზროვნების" გარდაუვლი აუცილებლობის გაცნობიერებისაკენ მოუწინდა ამიტომ კაცობრიობას.

აი, ამ "ახლებური აზროვნების" დეკლარაცია იყო უჭველად ყველაზე ფასეული მთელს "პერესტროიკაშიც", მაგრამ ინტელექტუალები, მოგხსენებათ, პოლიტიკაში არ ერევიან და იმიტომ საკმე საკმე არ მიდგა, ისე ძველებურად განვიტარდა მოვლენები - იმან, ვინც სამოცდაათი წლის მანძილზე კბილებით იცავდა თავისი რევოლუციის მონაპოვარს კონტრრევოლუციისაგან, ბოლოს და ბოლოს თავადვე განახორციელა ეს კონტრრევოლუციაც და უკეთესს, ცხადია, ვერას იქმოდა.

გიყვარდეთ მოსულნი, არ დაგავინყდეთ, რომ თქვენი თვითონაც მოსულენი ხართო, - ასე მოქმედრავდა მსოფ თავის ერს. იესომ კი უკვე "გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო" - მოუწინადა სრულიად კაცობრიობას. ერთი და იგივეა ეს არსებითად, მაგრამ აზროვნება აქ სრულიად ახლებური. ჭემპაროვლად, რომ "ახალი აღთქმა ძველშეა დამარბული, ძველი კი ახალშია გაცხადებული". მე შენ აბა, რანაირად უნდა მოგნათლოო - გაოცებულია იოანე. უნდა მომნათლოო - ეუბნება იესო - ამჟამად მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩვენ სიმართლის სამსახურიო.

ორიათასი წლის მანძილზე ეს "ახლებური აზროვნება", სამსუხაროდ, მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ზოგიერთმა ქრისტიანმა მეფემ და იმპერატორმა იმ ერთი და ერთადერთი "ჩვენის" ფუნქცია თავის თავზე აიღო, "ჩვენო" - თავისი საკითარი პიროვნების მოხსენების შეუდგა ამ ნაცვალსახელით და ძალით მოინდომა იმისი გაკეთება, რაც მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

ღვთის წინაშე რომ მართალი უნდა იყო ყოველთვის, ამაღ მოგახსენებთ, თორემ სათავისო ჭკუას რაც შეეხება, ეს ნამდვილად არ გვესწავლება ერთიმეორისაგან "თავის უფალ" ადამიანებს.

რა ჯობია - თავის უფლება, თავის აგდება და თავაშვებულობა, თუ თავმდაბლობა, თავდადება და თავდავინყება? ანგარშიანობა, თუ უანგარობა? სიძვა, თუ სიყვარული? ომი, თუ მშვიდობა? გალალებული ეპიკოლა, თუ ჯვარცმული ჭემპაროვლად ბამბაქონი, თუ ისეთი

ვითარება, როდესაც ყველა სოფელი ერთსა და იმავე დროს ჩვენი კონკრეტული სოფელიც არის და მთელი მსოფლიოც?

დედაშინა თუ მართლა მრგვალია (და დღევანდლებით, მე ვფიქრობ, აღარაა ის აღარ გვეპარება ამისი ეჭვი), მაშინ იმასაც უნდა შევეგუოთ ყველა, რომ ნებისმიერი დასახლებული პუნქტია დედაშინაზე მისი ცენტრი და არა მხოლოდ, სიტყვაზე, მოსკოვი, ან ვაშინგტონი, თავისი საკუთარი ცენტრი კი, რაღა თქმა უნდა, უკლებლო ყველა დასახლებულ პუნქტს გააჩნია და არცერთი მათგანის უგულვებელყოფა არ ეგების.

მკვლევარმა ლ. ტუხაშვილმა შეთქმულებაში საიათნოვას მონაინილობის საფუძვლად მისი ანტიბატონყმური განწყობილება შემოგვთავაზა. შემოთქმული კი გვიდასტურებს, რომ საიათნოვას არა მქონია ანტიბატონყმური განწყობილება თუ კლასობრივი მსხედულებანი, არც დემოკრატიული მისწრაფებანი ისეთი, საქართველოს სამინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეული გარდაქმნების მიზნით პაატაბატონიშვილის შეთქმულებაში გარეუღიყო. ვისაც სნამს, რომ საიათნოვას შექმლო, შეთქმულებაში მიელო მონაინილობა, ან უფრო სერიოზული არ გუქმენტებით ისთელყო, ან მოწყალეება მოაღოს და ნულარ შემატებს ფანტასტიკურ-ზღაპრულ თავგადასავლებს საიათნოვას ისედაც ანლოგიური მონაგონით გადატვირთულ ცხოვრება-შემოქმედების. ამით ის განსაზღვრულ სამსახურს გაუწევს ქართულ კულტურას.

საერთოდ, შეიძლება ისიც ითქვას, რეალურად არსებული აშუღი-მელექტის პიროვნული მონაცემები შეუდარებლად მოკრძალებულად გამოიყურება ლეგენდებითა თუ მკვლევართა პიპოთეზებით განდღეფული და გაზვიადებული მისივე ხატის ფონზე...





თაობისათვის საქართველოს დიდი სიყვარულის შთამბეჭებლად გამოჰყავს არა დედა, თუკი ბატონიშვილი, "მთხრობელი, მახსენებელი" (7, 236) ისტორიული ამბებისა, "ქირსოფალი" ძველი საქართველოსი, არამედ უზარალო სრიდან გამოსული გამხრდელი ლომისაბარი.

ბიესის პირველსა და მეორე მოქმედებაში ნაჩვენებია აბულელის, სერაფიმის, ლიპარიდისა და სხვა ქართველ პატრიოტთა შზადება დაეიო აღმშენებლის მეთაურობით თბილისის განთავსუფლებლისათვის. მათ სწამთ, რომ თბილისისა და საქართველოს განთავისუფლების შეძლება მოიღწიონ მტრის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა გაერთიანებით. ეს რწმენა, ეს თქმა უნდა, ალექსანდრე ორბელიანისეულია და აქამდე იგი წლებს გამოცდილებამ და ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მიიყვანა.

ჯერ კიდევ 1832 წლის შეთქმულების ფარულ ორგანიზაციაში მოღვაწეობისას მის მონაწილეებს, მათ შორის, ალექსანდრე ორბელიანს, მიზნის ხორცშესხმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშანბრობად ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ბრძოლა მიიჩნედათ. რუსეთის საგამოიგებ კომისიის შეკითხვაზე, თუ რა საშუალებები გააჩნდათ მათ შეთქმულების წარმატებით დასაგვირგვინებლად, ქართველი რომანტიკოსი, სოლომონ რაზმაძე პასუხობს: "ფიქრობდნენ, რომ თუ ყველა თავდაპირველად დათანხმდებოდა, მოწანილობა მოიღონ, აგრეთვე თუ მათთან ერთად თანახმა იქნებოდა ყველა ქართველები და სომხები და თუ ინგლისი ან საფრანგეთი დახმარებას აღმოუჩენთ, საქმე წარმატებით დასრულდებოდა" (8, 275).

სულ რაზმაძის ჩვენების ტექსტარტებას ადასტურებს ალ. ორბელიანის გვიანდელი მოგონება: "ეს შეთქმა ასე უნდა ყოფილიყო, რომ მიუღლი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდის, სრულიად შეიებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთებულებით და ერთიანი აღრეულა მოგუდებინა" (4, 1656-57, 26).

აზრი კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციისა ალექსანდრე ორბელიანს გადაახლებიდა და ბრუნების შემდეგ ცოცხლობდა. იგი თავაღურს ადევნებდა რუსეთის ცარიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკურ ზრახვას - დამორჩილებას მთელი კავკასია. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ანექსია მოახდინა, დაიწყო ბრძოლა შამაღიან მთიელთა წინააღმდეგ, რომელთა ანტიკოლონიურ ბრძოლას XIX საუკუნის 40-50-იან წლებში სათავეში ედგა იმაში შამილი. ალ. ორბელიანმა დაიანახა, რომ იმაშიმე შეძლო მთელი ტომთა გაერთიანებით ძლიერი დამპყრობლისათვის შედგარი წინააღმდეგობის განევა. ამიტომაც თანაუგრძობდა ფარულად ამ ლეგენდარულ ადამიანს, ამიტომ აღადგინოვანებდა მის საქციელს. კავკასიის შთის შეკედარი მოსახლეობა შეთქმულების დროსაც მისაბაძი იყო ქართველი პატრიოტებისათვის (პოლინელ მუამბოხეებთან ერთად). ფარულ საზოგადოებას დაარსებისას ორბელიან ბატონიშვილს ალექსანდრე ორბელიანისათვის უთქვამს: ქვეყნისათვის ხამსახურის საქმეში "აი იმ შთის ხალხს მიიწე მიხედ, ხოლის მავალითაი მიიწე გვწინდეს" (9, 2, 202), ხოლო ლუარსაბ ორბელიანს 1832 წლის 12 დეკე-

მბერს მიცემულ ჩვენებაში მიუბიავს ნაჭიარს ჩილოვაძის ხელის სიტყვები: "Начальни мы не могли считать, сколько Кавказовъ былъ" (9, 1, 29). 1832 წლის შეთქმულების წევრები ერთიან კავკასიაზე ოცნებობდნენ, შამილი კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლა, და მთლიან, აღორძლებულ კავკასიის ერთიანობის შედეგად უნდა წარმოადგენდა მთხრობელი "დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი დიმიტრიოპოლისი".

ბრძანაში სწავლია ერთიანობის სიძლიერე პირველი დამაბრძოლი საერთო მხარდრობით გეგმავლობისა და სომხების, მთი კავკასიის სოციალისტური უკონტროლობის ერთმანეთის გვერდით უნდა იდგნენ და სარწმუნოებრივი ნიშნით არ უნდა ხელმძღვანელებოდნენ. საგულისხმოს ფაქტი, რომ სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები ერთიანობას მტრის წინააღმდეგ გაასანაგოს კათალიკოსი: "დიდი კავკასიელნი გულმტკიცდებულად გვედრებით სულიერი მამა თქვენი: ერთნი იყვნეთ და ერთმანეთი გიყვარდეთ გულით. ამაზე უკეთესი მერაღა უნდა გითხრათ თქვენ, კავკასიელნი რისაც გეუბნებთ, საქმიოდაც შეუდგით ამას. ნუ მიხედეთ ჩვენს სხვადასხვად სარწმუნოებას, ერთი მამის შვილები ვართ და ერთი სისხლი გვიცემს ძარღვში. შეუთვისდეთ და გვეერთდეთ ერთარცა შედუღებული რკინის შავარჩი" (6, 285-286).

სასულიერო რწმენიდან, რომელსაც საერთოთან გაუსაერთიებია თავისი მიზნები და ამოცანები, შილოად კათალიკოსი არ უჭერს მხარს კავკასიის ხალხთა ერთიანობის ბუცილებობას. ამავე აზრს იზიარებს სურაფიმი პერიკი და ამბობს: "მამ, ჩემო საყვარელნი, ერთიანთა გვედრებით შავი ზღვიდან მოკიდებული კასპამდისა და თარგამოსის ურთიანად შეილებითა, ან ერთიან გავეწყდეთ და ან გავეთავისუფლებით!" (6, 245).

თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ შზადების ყველაგან იგრძობა ძლიერი და გვირგვინი მხარითელის არსებობა. ეს მხარითელი დავით აღმაშენებელია, რომელიც ცდილობს, შეშორებოს ისეთი დამაშინებელი უჩინარნი და უცნობნი რომ არიან ყველასათვის, მაგრამ დიდი სიკეთის მოტეხა შეუძლიათ ქვეყნისათვის. მეფე დავითის დანაბარება: "გავერთეთ მშობე კავკასიელნი, დრო მოვიდეთ!" (6, 234), ენაბრება ორსაბათის მთიელი მომხარო, რომელიც ტექნიკურ ეროვნულ საქმედ მიიჩნიათ "თარგამოსის მამულის" გამოსხვა. იგი არის ინიციატორი მომხდურთა წინააღმდეგ წარმოებული გარდასახული ბრძოლისა და კავკასიური ერთიანობისა. მეფე გამარჯვების აღსანიშნავად მცხეთაში გამართულ ზეამზე მძიმის ევედრება: "დიო და გამაოთქმელი საკრველო ღმერთო! შენის განგებით, შენის ძლიერებით, დავიკვიდრეთ სახელმწიფო ჩვენი, დიდი ჩვენის თარგამოსის კავკასიის ერისა! იყოს ერთი კავკასია და ერთიც კავკასიის ერთ საუკუნოდ" (6, 284).

1832 წლის შეთქმულების დროინდელი პოლიტიკური ჩინაფიქრობრობა საქართველოს განთავისუფლებისათვის კავკასიის ხალხთა გაერთიანებით, საქართველოს და კავკასიის გადარჩენისა და ჩიხიდან გამოყვანის რეალური გზა იყო. ამიტომ მწერალმა ეს ჩინაფიქრი მივინყების ფერფლს არ დაანება და მისის საშუალებით ცოცხლად მოიტანა შემდგომ თაობებამდე.

დრამაში ალექსანდრე ორბელიანი ილაშქრებს რუსული დამპყრობლური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც სიკრუსესა და თვალთმაქვობას პოლიტიკურ იარაღად იყენებს. საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და მის კოლონიურ გუბერნიებად გადაქცევის შემდეგ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ საზოგადოებრიობის წინაშე მათი მოქმედება გიორგი XII-ისა და ქართველი ერის სურვილად წარმოედგინათ. თითქოს მათ ხელი გაუწოდეს უფსკრულის პირას მდგომ ქვეყანას და გაეფუძვლა განსაცდელისაგან იხსნეს. საქართველოს სამეფო საცარულოს წევრებმა და უმაღლესმა არისტოკრატებმა კი სათანადოდ ვერ დააფასეს მათი შიარდაცქერა. ეს აზრი გამოსტყვივის სხვადასხვა დოკუმენტებიდან, მათ შორის "კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან": царевич и царское семейство первыми были в Россию, где предоставлены им всевозможные почести и вознаграждения. Но многие, вместо должной признательности за благодетельное спасение и их самих и отечества их отъ явной тибели, пытали скрытною злобу" (10, 398).

ალექსანდრე ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს, სოლომონ დოდაშვილს, ზაქარია ჩოლოყაშვილსა და სხვებს კი მიანიშნავთ, რომ 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აქტი იყო ვერაგული დარღვევა გეორგიევსკი დადებული ხელშეკრულებისა, ამ კარა ძალბომრებაა, მიტაცება სახელმწიფოსა და მისი სამეფო გვირგვინისა. ისინი რომ მტკიცედ იდგნენ ამ თვალსაზრისზე, ადასტურებს "1801 წლის მანიფესტის შენიშვნები", რომელიც შექმნა დიმიტრი ერისთავმა. იგი შეთქმულთაგან შემორჩენილი უმნიშვნელოვანესი წერილობითი დოკუმენტია. "правда, просили помощи, - ვკითხულობთ მასში - во нашему защиту, разве это защита что сделали с нашими Царевичами и чему такая запутанность, когда мы все единодушны... кто именно просил присоединить к России и как смели надеть харону Грузии которая находилась только под покровом России, это доказывает похищение..."

მне жалъ только что Европа столь образованная, позволяла сим варварам похитить юную Грузию" (11, 118).

ოკროპირ ბატონიშვილი ალექსანდრე ორბელიანთან საუბარში აცხადებს, რომ რუსეთის მოწინარესი მიერ საქართველოს თვითმმართველობისა და ბაგრატიონთა დინასტიის თორმეტსაუკუნოვანი მეფობის ლეგიტიმაცია უკანონო და უსამართლო იყო: "უნდა იცოდეთ, რომ 1200-ი წელანადი თქვენი მემკვიდრენი ვყოფილვართო, ახლა უბრალოთ და უსამართლოთ ნაგვართვა ხელმწიფებლა, მამა ჩემმა გიორგი მეფემ შფარველობა სთხოვაო, ნაცვლად ამის სულ ნაგვართო და ჩვენ გადაგვრეკეს რუსეთითო" (11, 198).

1832 წლის შეთქმულების მონაწილენი მიხედნენ და ირწმუნეს, რომ რუსეთის საქართველოში ქართველთა გარუსების, მათი ტერიტორიის დათვლების, იქ რუსული ოლქის ჩამოყალიბებისა და ახალი ექსპანსიონისტური ომების წარმოებისას მისი პლიაციარზად გამოყენების გარდა სხვა პოლიტიკური მიზნები არ დაუსახავს. ამიტომ შედამიხედნენ სწორი შეფასება მისცეს XIX საუკუ-

ნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში დატრიალულ ამბებს, რაც პირველა კიდეც დაეთა აღმამენებელში".

დრამის პერსონაჟი, ახალგაზრდა პატრიოტი, ლიბარინდი თურქებისა და არაბების წინააღმდეგ ბრძოლის განცხადების წინ წარსიტყვა მსოფლიოს, საიდანაც წასს, რომ მიმთვინი იდუქმლოს არ წარმოადგენს თურქების გასწრად მიხსნაფენი: "საიდან სად მოვდენენ? ვისი ქვეყანა დაქვერქნის თვის ანკოლომ და ცოცხრობის ბიძინსურბიხათისს - თურქები სიკრულითა გოზებენ - საქართველო გინდას დასაღვარს მოვიხსენითო? საქართველოს მფარველნი შევექნითო! საქართველო გავანაბილეთო! საქართველო გავაბედნიერეთო! და სხვანი. ამას კი აღარ ამბობენ: საქართველო მოტყუებით ნარევიტაცეთო, საქართველოს მემკვიდრე შეფის ჩამომაველობანი თურქეთში გადავყარეთ გაუკითხავათო, ქართველები ჩვენი ფების მონანი არიან და დასაღაბავათო გვეყანან ივინიო, ქართველების მაგვირად თურქები გვინდა დავასახლოთ საქართველოში და თურქები ქვეყანად გადავკეთოთ, რომ ქართველების სხენება აღარსად იყოს საქართველოში და სხვანი" (6, 226-227).

ლიბარინის საცოდ ედგენ, რომელიც სხვა ყმანვილ ქალებით ერთად გამოსულა ბრძოლის ველზე, სხვადასხვა ხალხებს მიმართავს: "მთელი ხმელითის ერნი! თქვენც გულმობიერიად მოიხედეთ და ჭეშმარიტე კეთლი სენიანსიერა სამართალი მოახდინეთ ივერისა და თურქებს შორის. აფულებული გულით და გამწარებულის ცრემლით გვედრებათ თურქებისაგან მოტყუებით დატყვევნილი ივერია!" (6, 224).

ალექსანდრე ორბელიანს მტკიცედ სჯეროდა, რომ საქართველო რუსეთში მოტყუებით, ცბიერებითა და ოპორტობით მიითვისა და ამაზე არაერთგან ამხედრებს პიესაში ყუარდლებს.

ალექსანდრე ორბელიანი მოსწე იყო 1832 წლის შეთქმულების ფართო ორგანიზაციაში ქართველი ქალების მონაწილეობისა. ისინი წესანისწავად ხედავდნენ, რომ XIX საუკუნეში ქვეყანაში არაჯანსაღი მდგომარეობა შეიქმნა. საქართველოს ეროვნული სხეული ირღვეოდა. ქართული მამაკაცების გარკვეული ნაწილი კი სწორედ ამ პროცესის ორგანიზატორის შემდეგმ გაძლიერების ემსახურებოდა. ქართული ხმალი სამშობლოსათვის აღარ ეღვარებდა, პირიქით, რუსეთის უკავფავდა გზას ახალ-ახალი ტერიტორიების მიტაცებისათვის. ამიტომ ქართველი ქალი მივიდა იმ პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც შეთქმულებისა და შემდგომ აჯანყების გზით მის ქვეყანას დაამოუკიდებლობას დაუბრუნებდა.

შეთქმულ ქალთა რაიფენობა უმნიშვნელო არ ყოფილა: თამარ და თელა ბატონიშვილები, სალომე ბაგრატიონი და ეკატერინე ბარათიშვილი, მანანა ორბელიანი და მელანია ერისთავი, კონია ახილახვარი, მართა მესხიშვილი და სხვანი. ეს ის სახელებია, რომლებიც შეთქმულების მასალებიდან არიან ცნობილი. მაგრამ სია სრულყოფილი არ არის, იყენენ რაღაც სასწაულოთრდილიში მოქცეული და რუსული მართლმსაჯულების მიღმა დარჩენილი ქალებიც.

\*კაცურად ჩავიკობთ და ჩვენს უკანასკნელს სისხლს დავღვრიოთ, ჩვენის მამულის გამოსახს-

ნელათო (4, 1656-ბ, 27), - მზურვალე ფიცს დე-  
ბუნენ ქართული ქალები (ვაგაკაცების თავგამო-  
დების შემხედვარე). "საერთოს შეთქმის" (4, 1656-  
ბ, 26) საშადადის ხანაში მათ ყველაფერი გააკეთ-  
ეს, რაც ხელენიფებოდა. მაგრამ, სამწუხარო-  
რად, არ დასცალდათ იარაღით ხელში დაცვათ  
ქვეყანა, საყოველთაო აჯანყების ბიარალი აფე-  
რიალენიანთ, როცა საჭირო შეიქმნებოდა. მიუ-  
ხედავად ამისა, მათი მზურვალე ფიცე არ დავიწ-  
ვებია აღექვანდრე ორბელიანს. მის გონებაში დე-  
ოვანეს იმ სიტყვებმა. ამიტომაცადა ასე მდიდარ  
ბიების მებრძოლი პერსონაჟე ქალთა გაკლერეა. მა-  
რთალია, მათი მხელია რომელიმე კონკრეტული  
ისტორიული ბირის ამოცნობა, ისინი მზურვლის  
ფანტაზიის ნაყოფს უფრო წარმოადგენენ, მაგრამ  
ეს გარკვეულად, შინაგანად კი დრამის გმირი ქა-  
ლები საოცრად ჰგვანან იმ დიდი ეროვნული სა-  
ქმის მონაწილეს. სწორედ მათი სულიერი პორ-  
ტრეტებია გამოქვეყნებული პიესაში. მათეულია უსა-  
ზღვრო პატრიოტიზმი, საბრძოლო შემართება და  
თანდროულობით უმეყოფილება.

ანასტასია, ნინო, ელენე, როდამ, მინილია, მათა  
და მათი შვიკების ის ქალები არიან, რომლებიც  
მოცილენების პასიურად მაყურებლების, მხოლოდ  
თანამგრანობების რდილით არ შემოიფარგლენენ  
და ქვეყნის თავის კრიტიკულ მომენტში გვერდით  
დაუდგნენ თავიანთ მამებს, ძმებსა და ქვრებს.  
ამით ღიფი სამასახური გაუნეეს სამშობლოს და  
მამაკაცებს უწვენეს, თუ როდენ მისიანე ძალას  
წარმოადგენს ერთად მკურული ქალთა დასი.

ამ ქალთა დასიდან თბილისის მამსახლისის,  
აბულელის მუღღემ, ანასტასიამ იტვირთა საბი-  
ფათო მოვალეობა დამკრობილი ქალაქის მცხო-  
ვრებლებში თანამოაზრეთა მოძიებისა, რომლე-  
ბიც დანიშნულ დროს დაეთა აღმამუნებლის ლა-  
შქართად ერთად აღიჭრებოდენ მომბდურთან  
საომრად. "გულშემატკივართ დედათ მინოდები-  
ხარ ჩენი ქვეყნის თარგამოსისა" (6, 242), - ეუბ-  
ნება დედოფალი გურანდუბტი ანასტასიას, ვინა-  
იდან ხედვას მამულისათვის მის ტანჯვასა და გა-  
ნეულ ღვანეს.

დიდგორის ველზე მალე გამოჩნდებიან სომეხი  
და ქართველი ქალებისაგან მემდგარი რაზმები. "ჩ-  
ვენს ხნიანი ქალების სურვილია, ან ჩვენი მშობელი  
ქვეყანა გამოვიხსნათ, ან არა და სულ ერთიანათ  
თურქების ხელით გავსწყდეთ" (6, 232), - აცხადებს  
ანასტასია, მისი კი გამოსვლა აღ. ორბელიანის მო-  
გონების "ქართველების შეთქმულებების" ერთ-  
ერთი მონაკვეთის პერიფრაზია. ამ უკანასკნელში  
აღნიშნულია: "ხნიან დედაკაცთა და ყმანული ქა-  
ლთა ერთი ზნეი ქონდათ ყველას ჩვენიან: ან უნდა  
გაეწყვეტლიყავით სულ ერთიან, ან არადა მამული  
გამოეკესნა, საპირელის ჩვენის მტრის რუსეთისა-  
გან" (4, 1656-ბ, 26-27).

როგორც ჩანს, ბიების გმირი ქალის ანასტა-  
სიას ნათქვამი არა მხოლოდ ლიტონი, ლამაზი სი-  
ტყვები და ქალია, არამედ მხატვრული განს-  
ხეულება "მამულის გამოხსნის შეთქმის" წერტი-  
ქალების მტკიცე გადაწყვეტილებისა, - არაფრის,  
თვით სასიცოცხლო საფრთხის წინაშეც კი არ და-  
ეხიათ უკან გაზარახულის შესარღულივლად.

ზანდერბული ქალების გვირგვინი იმყოფება  
ოთხი ათასი შეიარაღებული ყმანული ქალი, რომ-  
მლებსაც ელენე და ნინო მეთაურობენ. ეს უწყეუ-

ლო ლაშქარი ვეკაცების შიდადასაბო იბრძვის  
თურქ-არაბების უღელისდასამსრუად უბრალო ქა-  
რთველი მეომარი მტევლორეალტაცებით შე-  
სხახვს: "თქვენი გამწენის ციანე, ქართველი ფე-  
დაკაცებო! თქვენს მზეს ვეცადე, თუმცა არ არი-  
ან კაცებო, წაუღებოთ აქ აღარ გაქმის" (6, 257).  
ამ შექმენს ავტორის მონონოკალმუქეიანით, უ-  
ტყარო აღსაქმბალე რბელიანს ქვეყნით თოა ში-  
რტო ბიების პერსონაჟებს, არამედ საქართველოს  
ისტორიაში მთავანედ ერთ მწერსად: გიორგი ქა-  
ლენეს. მისი ვინა საბითბლოს შექმნის საქოცხლე  
და ქართველი უწყდავება იანი თიქვენი.

დრამის გმირებიან საინტერესო და დასამა-  
ხსოვრებელია სერაფიმ ბერის მხატვრული სახე. ზ.  
ტიქინაძე თვის პატარა წიგნში "სოლომონ დოდა-  
შვილი" წერს: "აღ. ორბელიანმა დრამა "დაეთი აღ-  
მამუნებელი" სულ ამ შემთხვევებზე დასწერაო. სე-  
რაფიმ ბერში ფილადელფოს ბერია გამოხატული-  
ო" (12, 30). მართლაც, მათი მსგავსება მკითხოდი-  
გონობა მოეხსიან. სერაფიმ ბერს სტანჯავს ის აზრი,  
რომ მისი სამშობლო თურქების მონობის ქვეშ იმ-  
ყოფება, მის ჰაერსა და წყალს, ბუნებრივ საგა-  
მანურს უცხოთი დაპატრონებისან, ხოლო ქართუ-  
ლები "ცვიის გულით" შეპყრებენ მშობელი ქვე-  
ყნის უზღდურებს. მოხუცდავად ამისა, მან მარცხ  
შეძლო "საბერძნეთმა გაზრდილი, ჩინებელი ყმა-  
ნული კაცების" (6, 206) საბით გულშემატკივართა  
პოვნა და ეკლესია-მონასტრებიდან ბერების გამო-  
ყვანა. ვადაშვეტი გაზას დადგომანედ ბერი ზე-  
დაეს წინასწარმეტყველურ სიზმარს - ინგლოში  
ეცხადება და უბრძანებს: "მამო სერაფიმ, შენი  
მზურვალე ვედრება ღმერთსა შეისმინა; მომილო-  
ცავს, თურქების ხელისგან გამოხსნებით შევის  
სასწაულის ძალითაო!" (6, 207).

სერაფიმ ბერის სიზმარი იმის მიმინიშნე-  
ლია, რომ ჩვენს წინაშეა ქვემარტად მალაღლო-  
რწმუნე პიროვნება, რომელიც, ისევე როგორც  
ფილადელფოს კიხაძე, ვახტანგის მადლსა და სა-  
სწაულს ხედვას თურქების ხელიდან მოსაღლო-  
დნელ განთავისუფლებამო. ამასთან, აღსანიშნა-  
ვია, რომ იგი, როგორც სასულიერო პირი, მხო-  
ლოდ ლიცვა-ვედრებით არ იფარგლება, საჭირო  
დროს სათანადო მზობობას იჩენს და ხელმძღვა-  
ნელობს პრინციპით: "მარტო ჩვენის ლოცვით რა  
იქნება. - თვით უფალი ბრძანებს: მხედ იყავ და გი-  
ნძლიერდიო. ჩვენ ბერებს, ახლა შემთხვევა  
გვავებს და საჭიროა მოვებმარნეთ. მართალია  
ჩვენ გავსყვდებიო, მაგრამ დიდი შეშება მიეცება  
ჩვენს შვილებს. ვინც მშობლის მამულისათვის  
დავიხოცებო, ბედნიერი სიკვდილი იქნება!" (6,  
245).

ბერი სერაფიმი თავის ძმის, აბულელის სახლი-  
დან დიდგორისაკენ მიმავალ ლაშქარებს ეუბნება:  
"შვილო, ლიბარე, გაეშურე, მეც მოხუცებულს ბე-  
რისა ჩქარა მხახავი თქვენს რაზმებში მოკვდივდე.  
ბერი, მოხუცებული, ყმანული და დედაკაცი, სულ  
ერთად უნდა გავიდეთ; ან ჩვენს ლეზე ვა-  
ტართო თურქები, ან არა და თურქებისგან გამო-  
ვისხნათ თათ" (6, 216).

პიესაში ავტორი სერაფიმ ბერს აკლავებს  
საპატიო მისიან მამულისათვის თავდადების მქა-  
დაგებლისა, რაც ცხოვრებაში საკუთარი თავზე  
ქეონდა აღებული ფილ. კიხაძეს და დიდი წარ-  
მატებით ართმევდა კიდევ თავს. ამ ნიუანსშიც



მოიწან სერაფიმისა და ფილ. კიკნაძის იგივეობა და იმაშიც, სერაფიმ ბერიმა თურქ-არაბებთან ბრძოლაში სხვა ბერებთან ერთად მონაწილეობა რომ ისურვა. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების ფარული ორგანიზაციის ერთ-ერთი ადრეული წევრე (1827-28 წლების) სწორედ სასულიერო ნოდებამ ჩამოაყალიბა ფილ. კიკნაძის შოთაეობით. არსებობს მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნიმუშები, რომლებშიც გადაკრულად საქართველოს განთავისუფლებაზეა საუბარი.

სერაფიმ ბერი სამშობლოს სამსახურს საქმეში არ ურჩევდა არავითარ სიძინელს, დაუღალავად დაიარება უფაბნოში და წინააღმდეგობის ნაპერწკალს აღევივებს ბერებში, კავშირი აქვს დაეით აღმაშენებელთან, თბილისის მამისახლის აბულელთან. მას სიმტკიცეა და ძალას შმატებს იმის იმედი, რომ "ეს ჩვენი ქვეყანა, როგორც უნდა მოინდომონ თურქთა თავისათ, არ შეიძლება არ განთავისუფლდეს" (6, 205). სერაფიმ ბერი ბრძოლის ეულზე გამოვლად ეცემა თურქების ხანგალებისაგან გულგანგმირული და უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ატანს ღვთისადმი აღუღნიღ მადლობას იმის გამო, რომ წილად ზედა საქართველოსთვის ღირსეული სიკვდილი.

კავკასიელთა გაერთიანებული ლაშქარი მტრის სასტიკად ამარცხებს. მცხეთაში გამართულ ზეიმზე იღბენენ სხვადასხვა სარწმუნოებისა და რელიგიის წარმომადგენელნი. ხალხი განსაკუთრებული პატივისცემითაა გამსჭვალული

განმათავისუფლებელ ბრძოლის ხელშეწყობისა და სათავადაცხადე მღვდის, დაეით აღმაშენებლისადმი. მის წინაშე წარმდგარი ქალ-ყრმანი თავისუფლების საჯაროებელს მღერიათ:

"ღირსეული თურქ-მტრისაგან  
კავკასიისა შუაგულში!  
გაქცნითო გუბათი, და სტითი თქუეს  
თავისუფლებით მითიდრები!" (6, 272)


ლაშქარში ორბელიანის ბრძანებით აღმაშენებლისა და უკანასკნელი ერთი საქართველოსი" მხატვრულადია განსახიერებული 1832 წლის შეთქმულების მთელი ისტორია. პიესის ყოველ მონოლოგსა თუ დიალოგს, ყოველ სცენას ამ ცნობილ პოლიტიკურ ამბამდე მივყავართ, ხოლო გმირების მიღმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეთქმულების მონაწილენი იღანდებან. ის ადამიანებია, რომლებსაც სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ მონის ფსიქოლოგია არ ჩამოუვლიათ და საყოველთაო შეჭირვება-უფლებობის ფაშს საქართველოს სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის იდეას ელოლიავებოდნენ, კავკასიის ერთიანობაზე ფიქრობდნენ. მათი ღვაწლის ასე ამაღლებულად წარმოჩენით აღუქსანდრე ორბელიანი ქართველ ხალხს სთხოვს, იფიქრონ სამშობლოზე, მისი დამოუკიდებლობა ინახრონ და ხელსაყრელ დროს ოცნება და ნატვრა რეალობად აქციონ.

**ლიტერატურა და წყაროები**

1. სარგის კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნ-1, თბილისის, 1941 წ.
2. შალვა რაფიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954 წ.
3. გერონტი ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958 წ.
4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი; S ფონდი; ციტირებულ მონაკვეთებთან მითითებულია ხელნაწერის ნომერი და გვერდი.
5. თ. აღუქსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, დაეით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ფაში საქართველოსი, თბ., 1891 წ.
6. ქართული მწერლობა, ტ. 9, თბ., 1992 წ.
7. ილია ქაჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III თბ., 1953 წ.
8. გიორგი გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970 წ.
9. საქართველოს ენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1457, სათანადო ადგილებზე მითითებულია რეველის ნომერი და ფურცელი.
10. ARTS... T. VIII, 1881 წ.
11. გიორგი გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935 წ.
12. ზაქარია ჭიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1893 წ.



# გვანებარის ისტორიის ერთი ადგილის სწორად გაგებისათვის



ცნობილია, რომ ჯუანშერი თავის თხზულებასში ("ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა"), ვახტანგ გორგასალზე საუბრისას სპარსელების მიერ თბილისის ორჯერ დაპყრობა-მოპოვებას ვეაშკნობს. შევნიშნავეთ, რომ რადგანაც აღნიშნული ამბების დათარიღებისას მკვლევართა მიერ სხვადასხვა თარიღია შემოთავაზებული, მე ზოგადად მოვასხვებო, რომ სპარსულთა მიერ თბილისის პირველი მოპოვება V საუკუნის 60-70-იან წლებში მოხდა, ხოლო მეორეჯერ - საუკუნის 90-იან წლებსა თუ 502 წელს. ბოლო თარიღი, შემოთავაზებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ და მკვლევართა უმრავლესობა მას იხიარება.

ახლა, დავუბრუნდებით სათქმელსა და აღვნიშნავთ, რომ ქართლსა და ბიზანტიას შორის ბრძოლა, რომელიც დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთში მიმდინარეობდა (ამ ბრძოლის დროს ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი სპარსეთის მოკავშირეა), სამშვიდობო ხელშეკრულებით დამთავრდა. ამას დაუმთავრა ვახტანგ მეფის მუღულის, სპარსეთის შაჰის, იეზიდ ვერ II ასულის, ზღვრულუბრის გარდაცვალება, რომელიც მოპოვებისას გადააკვავა. რის გამოც, ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ I, მეფე ვახტანგს მუღულზე თავისი ასული, ელენე შესთავაზა. ბუნებრივია, ზემოთ ნახსენებ საზავო ხელშეკრულებასა და ქართლის მეფის და ბიზანტიის ქვიპროსის მომავალ დამოუკიდებლობას, უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ, ქართლის სამეფოსა სპარსეთის მოხიციების დამცრობა-დასუსტება და სპარსეთის გავლენის ბიზანტიის გავლენით შეცვლა და ქართლის სამეფოსი მისი მოხიციების განმტკიცება. ისიც ვახსენებ და ბუნებრივია, რომ ყოველივე ამას სპარსული არ და ვერ შეურიგდებოდა და იგი ყოველ ღონეს - დიპლომატიურს თუ სამხედრო ძალას იხმარდა, რომ ქართლში საკუთარი პოლიტიკური მოხიციები დაეგრუნებინა და აღედგინა.

ვახტანგ მეფე ბიზანტიელებთან დახვედრისთანავე ქართლში დაბრუნდა. მეფემ იცოდა, რომ სპარსეთი "ზადენილი საქციელისათვის" მასზე შურის იძიებდა, ვერ მოიცილა მეფისა მოყვანებმა ცოლი ბერძენთა მეფისა ასული... რამეთუ მოკლეთა იგი სპარსთა მეფისა მოსულსა: ამგვრებდა ცხებითა და ქალეთა, და აკანშიდა მხედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა.<sup>61</sup>

მაგრამ, სპარსელებმა თავიანთი ჩანაფიქრის გახორცილება უნდა ვერ მოახერხეს სხვადასხვა მიზეზთა გამო. ვერ ვახტანგ მეფის ყოფილი სიამოვნო, სპარსეთის შაჰი, იეზიდ ვერ II ვარდაიცივალა, სპარსეთის სამეფო ტახტი დაიკავა შაჰის მეორენაშობილი შვილმა პეროზმა, და როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს "მეფემან სპარსთამან... ეითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთში და მოკლდა. და დაჯდა მეფედ ძე შიის, პეროზი და ვიდრე მოინდებოდა იგი, წარბდა ამას შინა ნელნადი საში."<sup>62</sup>

ესევე, შაჰი სანამ მოხიცილები იქნებოდა, სპარსული გეოგრაფიკის რედაქტორი, მეფის სპარსული ქორონიკონით მოსამზადებლად, - "რამეთუ მოკლეთა იგი სპარსთა მეფისა მოსულსა: ამგვრებდა ცხებითა და ქალეთა."<sup>63</sup> მართალია, მოტანილი ადგილი კონკრეტულად არას ვგანცნობს, თუ მეფე, ვარდელი შემოსევის მზადებისას, რომელ ციხეებსა და ქალაქებს ამგვრებდა, მაგრამ წარმოუდგენელია, ვახტანგ გორგასალს არ ეზრუნა და საგანგებოდ არ გამგვრებინა ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული თავდაცვითი ნაგებობა, როგორც იყო თბილისის ციხე-კალა, უშვალოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან რომ კეტავდა ქართლის სამეფო ქალაქ მცხეთისა შესასვლელ გზებს (თეთი თბილისი ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა). გვიხსენით, თბილისის ციხის დაწინაურების შესახებ, მეფისმეფე ლეონის შრომის ნათქვამი - "და აღაშენა ერისთავთა სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად."<sup>64</sup> თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, კიდევ გამეორდები, და ვიტყვი, რომ ვახტანგ მეფეს თავდაცვითი ღონისძიებათა ჩასატარებლად საკმაოდ - "ნელნადი საში" ქორონიკონი.

ასევე, ქართლის მეფემ თავდაიჭრა დაიჭირა და ბერძენთა მეფის მოციქული ვაჟე ხაენა, მოახლოებული სამხრობების შესახებ პუნქსა და იმავდროულად, სამხედრო ძალით დახმარება სთხოვა. მაგრამ იმ დროს ბერძენთა კეთილგანა, მეფე ვახტანგს ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა, რამეთუ "წარსულ იყო კეთილგან ხაზარეთით კერძო."<sup>65</sup> ბიზანტიელები მრავლიყოთ კავკასიაში ხაზარებს ებრძოდნენ.

მტრის პირსპირ დაპირებული მეფე ვახტანგი მეტი გულმოდგინებითა და თავგამოდებით ემზადებოდა თავდასაცავად - "შამინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქართლისანი (ისევე ზოგადი განცხადება - თ.ბ.), და უარქულესი მბრძოლი ერისა მისისა, დაუბანაკა მათ დღემით ვიდრე ქართლის კართადად, და სპარსთა დაიბანაკეს ციხენის ტერფითგან ჩაღმართა."<sup>66</sup>

მეფევეთ ისტორიკოსის თხრობას და, შესაძლოა, ბევრ რამ რაც, ერთი შეხედვით, ჩვენთვის ბუნდობლივად და უჩინოა, ცხადი და სანოვ გახდეს. ამისთვის კი საჭიროა, ერთზედ კიდევ დავეყვებოდეთ ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსს: "ხოლო ვახტანგ განაფართა ჯიღ მოგუფეთისა ეითარ სამოცი შუარი ქვეყისათეს მას ზედა სპათასა. ხოლო მეფე და ჯუანშერი სპასმეტი დაფეს მცხეთას, და ნასრა და მრდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხეთისა და ქართლისა, რომელნი დგეს არმანთა კერძო. და რა ბრძოლიან სპარსნი არმანთა კერძო, მცხეთით ვანვილიან; და რა განიღეს დასმარი იგი მიერ კერძო მცხეთით ეწყენინა და არავსლა ზედა. და ოდესმე განვილიან ფრნი მტკვრისა და მეტისანი ფრისა ზედა ტფილისისა, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღესა

ამათ.<sup>7</sup>

ამრიგად, ჯუანშერის მონათხრობით ირკვევა, რომ ბრძოლის დანებებაშივე მონინალმდევთა ლაშქარს - ქართველებს ეკავათ - "დღამით ვიდრე ქართლის კარიაშდე", ხოლო სპარსელებს - "ცხენის ტერფითგან ჩალმართ" და ასევე, ლაშქრით შედე ვახტანგი და სპასპეტი ჯუანშერი მცხეთაშია დგანან,

მომხობილ ციტატაში მტკერის მარჯვენა სანაპიროზე პირველი გეოგრაფიული პუნქტი დილოშია. ჩვენი ფიქრით, დილოში თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე დიდად არ უნდა შეცვლიდა ადგილმდებარეობა და იგი დღესაც იქაა, სადაც დღემდე მდებარეობდა. ციტატაში შემდეგი პუნქტია "ქართლის კარი". ტომონიში ადგილის სახელად "ქართლი" - ს დღევანდელ გუგუშარებას, ლეონტი მროველი - "და ეგრე ქართლოს პირველად ადგილს მას, სადა შერდეს არაგვ მტკერასა, და ანდიდა მისა მას ზედა, რომელსა ეწოდებინ არმახი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იმენა მუნ ზედა სახლი, და უნდა მისა მას სახელი თავისა თვისა ქართლი. და ვიდრე აღმართებაშდე მუნ-ზედა კერპი არმახისა ერქვა მას ქართლი."<sup>8</sup> მაშასადამე, მასს "კერპი არმახისა" აღმართაშდე "ქართლი" რქმევია.

ქართლი მტკერის მარჯვენა სანაპიროზე, მცხეთის პირდაპირ მთის ძირსა და იქვე მდებარე ვაკის ზოლად რქმევია, ირკვევა, რომ... ვახტანგის ლაშქარი სწორედ მტკერის მარჯვენა სანაპიროზე ყოფილა განლაგებული; დღემდამდე მოკიდებული ვიდრე ქართლის კართაშდე" და თუ მისი თავი დილოშიან იდგა, ბოლო ნაწილი ქართლის კარებამდე აღწევდა.<sup>9</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის შეფე და მისი სპასპეტი, ჯუანშერი ლაშქრით დაბანაკებული იყვნენ მტკერის მარცხენა ნაპირზე, აქედანვე მცხეთას და ზედაშემდეგობას უწევდნენ მცხეთასთან მდინარე არაგვზე გადასასვლლებს, ხოლო მდინარე მტკერის მარჯვენა სანაპიროზე თავიანთი ლაშქრით განლაგებულ წანას და მირდატ ერისთავებს კი ევალებოდათ როგორც მცხეთაზე მისასვლელი მტკერაზე გადასული მოგვითა ხიდის დაცვა, ასევე, რაც მთავარი, არმახის ციხის (ქართლის კარის) და, საერთოდ, დაღმარაშდე მოკიდებული ზეითი, მტკერის აღმა მდინარის მარჯვენა სანაპირო ზოლის ზედაშემდეგობა და, პეტელოურება და დაცვა.

ახლა ვხანთი, რა მდებარეობა იყო, რა ხდებოდა მდინარე მტკერის მარცხენა სანაპიროზე. ისტორიკოს გვამცნობს, რომ "სპარსთა დაბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩალმართ". ჯუანშერი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ პუნქტს "ცხენის ტერფს" ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საისტორიო თხზულებებში, მხოლოდ და მხოლოდ ჯუანშერთან გვეხვება ძველი თბილისის მახლობლად ტომონიში, ადგილის სახელი "ცხენის ტერფი". მაგრამ, კერძოდ, სად მდებარეობდა იგი, არ გვეცოდინებოდა, თუ არა ეახუშტა ბაგრატიონი, რომელიც გვაუწყებს, რომ "ტფილისის მიდლით არა მინდობი დიდუბრისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი."<sup>10</sup> ვახუშტი არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა არ არსებულ იყავოდა აქეს მიღებული რომოდებული ცნობა.

მაშ ასე, მას შემდეგ, რაც უკვე ვიცით, რომ "ცხენის ტერფი" გვიანი ხანის (XII-XIII სს-ბის) დიდუბა, უფრო ადვილი გახდა, ვაზრება და ნარმოდგენა, თუ სპარსულთა ლაშქარი როგორ იყო განლაგებული მტკერის მარცხენა სანაპიროზე "ცხენის ტერფითგან ჩალმართ" ე.ი. დიდუბის დაღმა, მდინარე მტკერის დინების მიმართულებით, ქვევით. ამგვარად,

თუ მდინარე მტკერის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულ ქართველთა ლაშქრის თავიც იქნით და ბოლოც, როგორც ვხედავთ, შემატახებრას ამბოხს სპარსულთა ლაშქრის განლაგების ბოლო პუნქტის შესახებ. ყოველივე ზემოთხსენებულს შემდეგ ერთი, რაც საინტერესოა, ის არის, რომ ქართველები უკვე მდინარე მტკერის აღმ მცხეთაშდე დაბანაკებულნი იყვნენ და მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა მთელი მდინარის განმავლობაში. ეს სპასპეტი, რომელთა ქართლი მემოსივის უპირველესი მიზანი სატახტო ქალაქ მცხეთისა და მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, მთელი ლაშქარი როგორც ამას მცხეთაში მოგვითხრობს და დაბანაკებული იყო მდინარის ტერფითგან ჩალმართ" ე.ი. დიდუბის ქვევით. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მტკერის არივე ნაპირზე საქართველო და განლაგებული მონინალმდევთა (ქართველთა და სპარსეთს) ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ ეკარა დგანან, არამედ თუ შეიძლება ითქვას თავფეხმეცხეთის არიან, რაც საოცარ უხერხულობას იწვევს. მით უმეტეს, რომ შემატახენ ამბოხს, რომ "...პროდიან სპარსნი არმახით ქართი, მცხეთით განევიდა; და რა განვიდაიან ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით ეწუნნიან არაგუსა ზედა."

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამზის აღწერასა და გადამოცემის დროს ავტორის მიერ თხრობის ლოგიკა დარღვეულია, და ცოტა არ იყოს, ნუგარო თავისთავს ამკარად უნარაღმდევება. და თუ ეს ასე არაა, მაშინ "ცხენის ტერფი" შუა საუკუნოების ქალაქისა და დიდუბე კი არ არის, როგორც ამას ეახუშტა ამბობს, არამედ იგი (ცხენის ტერფი) სადალაც მცხეთასთან, მდინარე არაგვის მარცხენა სანაპიროზე უნდა ვფიქრობო.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნოებში დიდუბე არა მარტო სოფელი, დასახლებული პუნქტის სახელია, არამედ იგი ძველი თბილისის ჩრდილოეთით, ქალაქისპირა სოფელ კუთის შემდეგ საკმოდ დიდ ატორიონის, დიდი ფართობის და ცემული, დღემდე ადგილის სახეობა სახელია.<sup>11</sup> აქ ეახუშტის მას "მინდურად" მოიხსენიებს, იგი მდინარე მტკერაზე, დაახლოებით ამჟამად არსებულ დილოში ხიდის აღწევდა და მის იქითაც ვრცელდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვახუშტზე მეორედ უფრო ადრე დიდუბის ჩრდილო სახეობის მახლობლად დადგენაში გვეხმარება XII საუკუნის ისტორიკოსი, ბასილი ეფსიმოვილოვი ქართველთა თამარ მეფის დროს განამაში (განჯა) ძლევამოსილი ლაშქრობისას იმდენი ალაფი ნამოვლით, რომ "... ყუფლანი ველნი გარემო ტფილისისა... ვერდის იხილვე კაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა... და განაწევს ველსა დიდუბისასა ავჭალამდე აქლემი ყუფლ ტერთოთა, ცხენი უელსა შეკაზმული."<sup>12</sup> ამ შემთხვევაში, თხზულებებში და მონუმენტულ არსებულ მაინტერესებს ორი რამ: ერთი, რომ XII-XIII საუკუნეებში დიდუბე "ველსა" და მეორე კი ის, რომ დიდუბე ავჭალამდე აღწევდა.

მაგრამ ვხედავ ვერ ხსენის იმ უხერხულობას, რომელიც შექმნა თუ ნარმოგვა ჯუანშერის თხზულებიდან მიზნობრივად ადგენა - "სპარსთა დაბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩალმართ."

ასევე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპარსელები არა მარტო არმახისა და მცხეთის სახეობების ძეგლი ქართველებს, არამედ მდინარე მტკერის მარჯვენა ნაპირზე გადასვლის ფონის (თუ ფონების) საშუალებით ცდლობდნენ "და აღუსმენ განევიდას ფონი მტკერისა და შეიბინან ფონსა ზედა ტფილისისას", მაგრამ როგორც ჩანს, უშედეგოდ, მათი შედეგად,



სმინძელია. ხომ ასეელი წარმოსადგენია, და უფრო მეტად ქირს დავიჯეროთ ის, რომ თბილისის ამოხრებელი სპარსთა მეფე იქ (თბილისში) ქართლის მეფეს მხოლოდ იმიტომ მიიწვია, რათა მისთვის ვახტანგ გორგასალს დედპატი მღვინე მიერთშია.

ისევე და ისევე ჯუანშერის თხზულებებიდან მოხმოილი პასაჟისადმი გვიჩვენება კითხვა და მასთან ერთად იქვეც. ქართლის მეფე რაღა დანგრეულ, აზრებულ თბილისში მიიწვევდა სპარსთა მეფეს მღვინის მისართმევა, როცა ამის გაკეთება კალას ზღზე შეუძლოა?

კიდევ ერთხელ გავიმოირობოთ, საქმე ისაა, რომ V საუკუნის 60-70-იანი წლების ომის დროს თბილისი დანგრეული და აოხრებული არ იყო.

სათქმელი გავიგორებოდა, და სანამ მასზე საუბარს დაეწყო, ბარემ ერთსაც ვიტყვი. V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს ერთერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის (ციხე-ქალაქის, ალბათ უფრო ქალაქის), თბილისის სტატუსის განსაზღვრებაში გვეტყვარება ზემოთ არაერთგზის დამონებული ციტატაში არსებული დიდილი "თესით ტფილისად", "თესი" ლექსიკონებში ასევე განმარტებული: "თავისი, საკუთარი..." (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961 წ.; ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973 წ.).

ამრავალ თბილისი სამეფო, მეფის კუთვნილი ქალაქია (რომელიც ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შემოხლული), თუმცა ჯერ არ წარმოადგენს ქართლის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრს, იგი მეფის ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. ჩვენ ვარაუდით და შეიძლება - არც თუ ისე მეტადარის, მეფე ვახტანგმა თბილისში იმიტომ მიიწვია შაპუროზი, რომ სპატიო სტუმრისათვის თავისი სამეფოს მომხილი სატაბატო ქალაქი ენახებინა, და თუ ჯუანშერი თბილისს ჯერ კიდევ სოფლად მოიხსენებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი (თბილისის) შემოხლულა ჯერწინობით დასრულებული არ იყო. სპარსელეთთან ბრძოლის მომლოდინე ვახტანგ მეფემ, შესაძლოა, ვაამგრა თბილისის ციხე-კალა, ხოლო თვით ქალაქთბილისის შემოხლულა მთლიანად ჯერ მოახერხა, ჯერ მოასწრო. რასაკვირველია, ეს ვარაუდი,

რომელიც ისევე და ისევე ეფუძნება მეგატიონის ნათქვამს, რომ მეფე დამოკავების შემდეგ განაპარულა ზღუდენი ტფილისისა.

ყოველივე ზემოთხულის შემდეგ დასკვნის სახით აღენიშნავთ, რომ ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის, ჯუანშერის თხზულებებიდან მოხმოილი ერთერთი მტკიცე - რაზემ ნახვდა მათი კლასიკური ვერსიის ქართლის განთავსე, და სპარსთა დიპლომატიის ცხენათ ტერიტორიან ჩამდართ, და კიდევ, რაზეთუ ტფილისი სოფელი და კალაიკი მხოლოდ პლენიკოზი, გორგასალის დამონებულა მოხლოდინა მღვინე თანათბროსა, და გვიჩვენება იქვე დამონებულად გვიღებებს თავდაპირველი, დედნისეული სახით ჩვენთვის მოღვევის მართებულობაში. ისეთი შთაბეჭდილება გვტყვება, რომის, ვინც ქართველებსა და სპარსელებს შორის ოთხთვიანი ომის ამბებს აღწერს და მის შედეგობაზე (ვიმეორებთ, ვარკვეულ ნაწილში) მოგვითბრობს, არ უნდა იყოს ვახტანგ გორგასალის ცხოვრების თვითმხოველი და მეფის თანადროული, მისი თანამედროვე. მონათბრობს აშკარად ატყვია V საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარკა დიდი ხნის შემდეგ მოღვენის, ვაამსწერიანის თუ რედაქტორის ხელი, რომელმაც, ალბათ, უფრო მოგვიანო ხანის თბილისს თავსადამხდარი, კრძოლ, ქალაქის დანგრევა-აოხრების ამბაი, ნებით თუ უნებლიედ ვახტანგ გორგასალს დაუკავშირა და მის ცხოვრებაში შეიტანა.

რასაკვირველია, გამოთქმული მოსაზრება სულაეც არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ V საუკუნის 60-70-იან წლებში ქართველებსა და სპარსელებს შორის, მცხეთა-აშმაზის და თბილისის მისადგომებთან ბრძოლები არ გამართულყობს. იგი ისტორიული სინამდვილეა.

ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი აღნიშნულ ოთხთვიან ომზე საუბრისას არას ამბობს და არ მოიხსენიებს, არც კალას ველზე მოწინააღმდეგეთა გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებას, არც სპარსელებს მიერ თბილისის მოოხრებას. ვახუშტი მხოლოდ მომხდარი ფაქტის აღნიშვნით ენაყოფილება და მას 464 წლთი ათარიღებს.<sup>30</sup>

შენიშვნები

1. ჯუანშერი, ქს, ცხ-ა, I, 1955 წ., გვ. 178
2. ჯუანშერი, იქვე
3. ჯუანშერი, იქვე
4. ლეონტი მროველი, ქს, ცხ-ა, I, 1935 წ., გვ. 136
5. ჯუანშერი, ქს, ცხ-ა, I, გვ. 179
6. ჯუანშერი, გვ. 179-180
7. ჯუანშერი, იქვე
8. ლეონტი მროველი, გვ. 8
9. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954 წ., გვ. 71-72
10. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ვეჯაა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. გაუხნიშვილის მიერ, ქს, ცხ-ა, IV, 1973 წ., გვ. 339
11. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1977 წ., გვ. 220-225
12. ბასილი ეპისკოპოსი, ცხოვრება მეფეთ-მეთისა თამარისი, ქს, ცხ-ა, II, გვ. 128
13. ჯუანშერი, გვ. 179
14. ჯუანშერი, გვ. 180
15. ჯუანშერი, გვ. 181
16. ჯუანშერი, გვ. 181
17. ბერიძე, თბილისი, გვ. 181-182
18. ჯუანშერი, გვ. 181-182
19. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, 1954 წ., გვ. 73; სარგის კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, 1959 წ., გვ. 49; მარამ ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, 1979 წ., გვ. 79-80; თბილისის ისტორი (საბჭოთაული) ტ. I, 1990 წ., გვ. 52; ვ. კოლიძე, ვახტანგ გორგასალს და მისი ისტორიკოსი, 1991 წ., გვ. 154-155; (IV-XII გვ.), 1991 გ., გვ. 25;... დამონებული ნაშრომთა სია სრული არ არის.
20. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ვეჯაა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. გაუხნიშვილის მიერ, ქს, ცხ-ა, IV, 1973 წ., გვ. 109

## სომხები საქართველოში

# სომხების მნიშვნელოვანი როლი თაღისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, სადა არა მქონიათ. ხსენდნანო ქვეყანა დაბადებონ, ვითომცხობტორიული უფლება მიქძღვეთ ამ ადგილებში მინის დადებისა.

ილია ჭავჭავაძე

მიდღარი საარქივო დოკუმენტების, ახალი და ნაკლებად ცნობილი მასალების სამეცნიერო ზრუნვაში შემოტანითა და გაანალიზებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, შოთა თეთვაძემ და მისმა ძმამ, ისტორიკოსმა, თბილისის მე-3 გიმნაზიის დირექტორმა, ოთარ თეთვაძემ (ამ რამდენიმე თვის წინ, სამწუხაროდ გარდაიცვალა) შესანიშნავი წიგნი მოუძღვნეს საქართველოში სომხეთა ჩამოსახლების ისტორიას. "სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე)" (თბ., 1998 წ.) - ასე ეწოდება ნაშრომს, რომელიც შეიცავს 240 გვერდს. მას დართული აქვს რეზუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე (წიგნის რედაქტორებია პროფ. ი. კვესელავა და დოცენტი ვ. ქრისტესიაშვილი, სპონსორია გოგი თოფაძე).

მონოგრაფიაში გაანალიზებულია სომხების საქართველოში დასახლების ეტაპები, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში კომპლექსურადაა შესწავლილი სამხედრო და ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით სომხე დიდებულ-კომერსანტთა, სასულიერო წრეების დიდი დანატერესება და ამ საქმეში მათი აქტიური მონაწილეობა, ქართველების გასომხების, საეკლესიო-სამონასტრო ნაგებობათა მითვისების, საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაყალბების, ოსმალეთიდან საქართველოში რუსეთის ცარიზმის მიერ ჯერ სომხების მასობრივი ორგანიზებული ჩამოსახლების, შემდეგ მისივე აშკარა მფარველობითა და ნაქვებით უწყვეტი სტიქიური მიგრაციის პროცესები. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა სომხეთა მიგრაციის ახალ ნაკადებს XX საუკუნეში, სომხეთის დამნაშავე მთავრობის ომის საქართველოს წინააღმდეგ, სომხური ეროვნული საბჭოს "ინტერნაციონალურ" პრეტენზიებს, ეროვნულ უმცირესობათა პრივილეგიებს საბჭოურ საქართველოში, "ქვათა ღალადის" გადასახედოდან დანახულ თანამედროვე სომხე მეცნიერ ფალსიფიკატორებს, ბაგ-

რამიანის სახელგამომს სომხური ბატალიონის სისხლიან საქმიანობას აფხაზეთში, სომხეთსა საქველმოქმედო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, "ჯავახქის" ანტიქართულ დამნაშავე მოღვაწეობას, სომხეთსა-ქართველოს კეთილშობილური ურთიერთობის განვითარების პრობლემებს თანამედროვე ეტაპზე და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომის არქიტექტონიკის გაცნობამ დაგვიარწმუნა, რომ იგი დანერვილია საკითხის ღრმა ცოდნით, პრობლემების ლოგიკური თანმიმდევრული გაანალიზებით, ლიტერატურული ენით და იკითხება საინტერესოდ. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა (14 პარაგრაფი) და დასკვნისაგან.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში "სომხების მიგრაცია საქართველოში XIX საუკუნემდე" ნაწიენება, რომ ძნელბედობის გამო სომხეთსა მიგრაცია ძველთაგანვე დაიწყო. მათი პირველი ნაკადები საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, II საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, როდესაც სირიის მეფე ანტიოქ III-ის სარდლებმა, არტაქსემ და ზარიადარმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობელი ქვეყნების, მათ შორის, ქართული ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი თავის წიგნში "გეოგრაფია" (ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957 წ.) აღნიშნავს, რომ სომხებისაგან დაპყრობილი ქართული ტომების ერთმა ნაწილმა სომხური ენის ათვისება დაიწყო, რაც იმას მოწმობს, რომ აქ სომხური ენა სახელმწიფო ენად იქნებოდა გამოცხადებული. თუმცა სტრაბონი იმასაც აღნიშნავს, რომ აქ (სომხური სახელმწიფოს ფარგლებში) სომხური ენის გარდა სხვებიც თანაარსებობდნენ.

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს სომხური მოსახლეობის გაჩენა ქვემო ქართლშიც, რადგან ცურტაველის ეპოქაში ქართულ-სომხური ორენოვანი მრეკლის არსებობა VII საუკუნეში დასტურდება. საქართველოში გად-

მოსახლეობული სომხობა დგებოდა ქართული სახელმწიფოს სამსახურში, აქტიურად ემზებოდა ევრონომიკურ ცხოვრებაში, რითაც კათოლიკოსთა მცხოვრებელთა გავლენა აბეზდა მასზე, დროთა განმავლობაში მოსულების კვალი თანდათან ქრებოდა და ის ადგილობრივი მოსახლეობისაგან თითქმის არც კი განსხვავდებოდა.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სომეხთა გავლენა XVIII-XIX საუკუნეების შუაწინა პერიოდში განსაკუთრებულ ხასიათს ღებულობს: თუ ადრე ეს გადასახლება სტიქიური იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება არ ჰქონდა, ერეკლე II-ის დროს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაედო. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: "თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეყნადმოშობის მოიხედენი იყვნენ ხოლმე, ამიერთგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდნენ და მათი დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმის გაკეთებას. როდესაც სომხებმა შეიტყვეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულებას სდებდა და რუსეთთან კავშირსა და მფარველობას ეძებდა, ჯერ კიდევ ხელშეკრულება დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსები, მელიქები და სხვა წარჩინებული პირები რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს ერთგულებას უცხადებდნენ და თანაც უცხოეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას სათხოვდნენ." სომხების ეს განზრახვა რუსეთის მოქმედება და ამიერიდან "სომხები ორმაგ კავშირს იჭერდნენ: ერთის მხრით საქართველოსთან, მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დევნილები, და მედარებით მყოფდნენ თავშესაფარს პოულობდნენ, იმავე დროს, მეორე მხრით - კიდევ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს აკეთებდნენ".<sup>2</sup>

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი ერეკლე II-ს გარდაცვალების შემდეგ სომეხ ვაჭართა როლი ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში კიდევ უფრო იზრდება. რუსეთსა და საქართველოში მცხოვრები სომეხ ვაჭართა ნაციონალისტური ჯგუფი დაუფარავად ცდილობს საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენას. საქართველოში სომხების კოლონიზაციის ახალი ეტაპი იწყება, მათ ჩამოსახლებას ქვემო ქართლში, თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

ნაშრომის მეორე თავში - "რუსეთის მიერ

ქართლ-კახეთის სამეფოს მიერთება და სომხების გამოყენება დემოკრატიული ანექსიონისთვის" - გამოტყვევდა ის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შეიზღო და უფრავდა საქართველოს სავაჭრო ორბენს კავის სპეციალურ საქართველოს გადასჯი და მთელი მანამდინეურობისა. ცარსკის სამეფო კათოსის სისხლეებს ძლიერი საქართველო კი არ უნდოდათ. არამედ სუსტი და დაბნელებული. წარსაბაძლო რად მიუერთებინათ რუსეთს კათოსის რუსეთს ამ პოლიტიკად ფაქტობრივად განაიხრობა ალა-მამამდ ხანის შემოსევა საქართველოში. ოფიციალური ცნობებით, ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1783 წლიდან 1801 წლამდე განახლებდა. ქართველების ერთმა ნაწილმა საქართველოში მიატოვა და სხვა უცხო ქვეყნებში გადასახლდა. განსაკუთრებით დაიცალა თრიალეთ-ლორე-ნალკის მიდამოები და სხვ. ამიერკავკასიაში უმთავრესი პოლიტიკური ძალა საქართველო იყო, ხოლო რუსეთის პოლიტიკა ყველა დამპყრობილი ხალხის გარუსებას ითვალისწინებდა. ამიტომ იგი ამ უმთავრესი ძალის დასუსტებასა და მოსპობას შეუდგა. რუსეთის დახურვერა და დიპლომატია დასაყრდენ ძალას ეძებდა თავისი ანექსიური მიზნების განსახორციელებლად. ერთ-ერთ ასეთ საიმედო ძალად ცარიზმს მიანიხნა ქართლ-კახეთის სამეფოში სომხების ჩამოსახლება, სომეხ ვაჭარბელობისათა გაძლიერება. ამ შემთხვევაში ცარიზმისა და სომეხ სოფინისტია ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. რუსეთის დიდმეფობელებური პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცნენ სომხები, რომლებიც, თავის მხრივ, იმას შეეცადნენ, რომ რუსული იარაღი "დიდი სომხეთის" აღსადგენად გამოეყენებინათ საქართველოს მიწა-წყლის მიტაცების ხარჯზე.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში და განსაკუთრებით 20-იანი წლების დამდეგს და 30-იანი წლების დამდეგს თბილისში, შორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ოსმალეთიდან მასობრივად ორგანიზებულად სახლდებოდნენ სომხები, რამაც არა მარტო რადიკალურად შეცვალა ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა, არამედ გააორკეცა სომხების ხვედრითი წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში 1801 წლის 4.71 პროცენტიდან 9.88 პროცენტამდე 1832 წელს. საქართველოში ოსმალეთიდან სომეხი მოსახლეობის სტიქიური მიგრაციული პროცესი განსაკუთრებით 1897-1910 და 1914-1918 წლებში გაძლიერდა. იგი დაკავშირებულია, ერთი მხრივ, თურქეთისა და ორანში ანტიოსმალური ძალების გაძლიერებასთან, რის შედეგადაც შეეწინააღმდეგებოდა

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები... გვ. 56

2. იქვე, გვ. 37

ლი და დევნილი სომხები იძულებულნი იყვნენ თავშესაფარი საქართველოში ეძიათ, ხოლო, მეორე მხრივ, მეფის რუსეთის კავკასიის სამოხელეო აპარატში მოკალათებული სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელთა აქტიურ საქმიანობასთან.

სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავში "სომხები საქართველოში XX საუკუნეში" - დასაბუთებულია, რომ საქართველოში რუსეთის ცარიზმის დემოგრაფიულმა ექსპანსიამ XX საუკუნის დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო საქართველოში კვლავაც გრძელდებოდა სომხების, რუსების, აზერბაიჯანელებისა და სხვა უცხო ტომთა ჩამოსახლება, ქართული მინა-წყლის მიტაცება-მითვისება. თურქეთში სომხების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერების შედეგად საქართველოში მათმა მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1897-1902 წლებში საქართველოში შემოვიდა დაახლოებით 55 ათასი სომეხი, თბილისში სომხების რაოდენობა გადიოდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე, რომელთაგან დაახლოებით 68 ათასი ახლად მოსული იყო.

ნაშრომში გაანალიზებულია გამოქვეყნებული თანამედროვე სომხური ისტორიული ლიტერატურა, ზოგიერთ სომეხ მოვინისტთა ნაშრომები, რომლებშიც გაყალბებულია საქართველოს ისტორია და ორი შეგობაურის ურთიერთობა. ნაშრომში ნახვასმოთაა მითითებული, რომ ისეთ უშველეს და დიდო კულტურის ქვეყანას, როგორც სომხეთსა, არ სჭირდება მეზობელი ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ საზღვადარში სომხური გროვული კულტურისა და დიდების მაგალითების ხელშეწყობა. ეს თვით სომეხი ერის კულტურის უდიდესი შეურაცხყოფაც არის.

მეორე თავში - "მოსტაბჭოური დამოუკიდებელი საქართველო და სომხური დიასპორა" - მითითებულია, რომ უაზრობა იქნებოდა დაგვეფარა ის ანტიქართული იდეოლოგია და პრაქტიკა, რასაც ეწევიან საქართველოსა და აფხაზეთში სომხთა ულტრამოვინისტური და ექსტრემისტული გჯუფები. აფხაზეთში ქართველთა მიმართ აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი "ზოფიეების" მზარდაშხარ სისხსტიკით გამოიჩინეოდნენ სომეხიც. მათ შექმნეს თბილისში გავრდილი მარშალ ა. ბაგრაძიანის სახელობის პატალიონი, რომელსაც აფხაზი სეპარატისტები ყველაზე რთულ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას ავალბდნენ. ეს ბატალიონი დღესაც არმინას სამსახურშია. ნაშრომში ავტორები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ "შუშლებელთა სომხურ-ქართველთა ძმობასა და მეგობრობას შეუთავსდეს

ოფიციალური და არაოფიციალური ზოგიერთი სომეხი მოლიტიკოსი საქართველოს მიმართ უსაფუძვლო ტერორისტული პრეტენზიები, აფხაზეთში სომხური შეიარაღებული ბატალიონების შექმნა და ქართველებს ბოიკოტითა, ქართული სოფლების განადგურებთა, ჯავაქეთში უახლოესი არაბულ ტერიტორიებთან ჩამოყალიბება, ახალციხეში პროფკავიუნული ანტიქართული მინიგაგების ქობა, ახალციხეში პროფკავიუნის გერგოლება ამბოხების შესახებ, ჯავაქეთში დაშლის ბოფიეების ახალქალაქის პროფკავიუნა, რომელიც რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნასა და შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას ითვლისწინებდა, ათეული წლების მანძილზე გაუთავებული უსაფუძვლო დავა ტაო-კლარჯეთის ქართულ ისტორიულ ძეგლებზე, სამცხე-ჯავაზეთში, თბილისში, ცხინვალში, ქვემო ქართლში და სხვაგან ქართული ეკლესიების მითვისება-დააპატრონება, უცხოეთსა და ერევანში ანტიქართული, ყალბი მინარსის ბუკლეტების, წიგნაკებისა და რუკების დიდი ტირაჟით ბეჭდვა და გავრცელება, სომხური პრესის ფურცლებზე ქართველებისადმი შეურაცხყოფილი და უღიმატმური ხასიათის სტატეიების გამოქვეყნება, ქვემო ქართლსა და ჯავაზეთში საზღვრების ამქარა თუ ფარული გადმონევა, ზოგიერთ "მეცნიერთა", "მწერალთა", "ქორნალისტთა" და სომხური ექსტრემისტული ორგანიზაციების იდეოლოგიური დივერსია და ანტიქართული პრაქტიკა" (გვ. 201-22).

სომეხ ულტრამოვინისტთა ამ არაკეთილმოეზობლური და არამეგობრული იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ მივყვალ დივეში თვით სომეხთა ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და ინტელიგენცია უნდა გამოვიდეს.

გვაქვს შენიშვნებიც. ნაშრომში უთუოდ მოიგებდა, თუ მასში ჩართული იქნებოდა უფრო მეტი რაოდენობის ცხრილები და სტატისტიკური დიაგრამები, სადაც ცალკეული ეტაპების მიხედვით ნაჩვენები იქნებოდა საქართველოში სომხების ჩამოსახლების დინამიკა და მათ საფუძველზე მოცემული იქნებოდა სათანადო დასკვნები. სასურველი იყო ავრეთვე მასში უფრო ფართოდ ყოფილიყო გაშუქებული "დიდი სომხეთის" ისტორია. დასაწანია, რომ ნაშრომში ვხვდებით კორექტურული ხასიათის შეცდომებსაც.

შოთა და ოთარ თეთაძეების ნაშრომი დანერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მასში გაშუქებული პრობლემები ძალზედ აქტუალურია და მათ დიდი შეშვეცნებით და მეცნიერულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოსათვის.





# ეროვნული ბიზნირობე

---

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28  
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61  
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასანყობად 15.04.99წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.06.99წ., ანაწყოების  
ზომა 7 1/4 x 12, ფორმატი 70x108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11,5.  
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,1. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 12.89. ტირაჟი  
400. შეკვეთა №11.

გამომცემლობა "მერანი", რუსთაველის გამზ. №42

0199/9



ფანსი მონი ლარი

ქართული  
ბიზნესი  
76125